

ნმ. ანდრია კრიტიკელი

დიდი კანონი

ძველი ქართული თარგმანები

TBILISI THEOLOGICAL ACADEMY
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY

St. Andrew of Crete

The Great Canon

Old Georgian Translations

The text was prepared for publication by Elene Metreveli
and Laura Grigolashvili. The Preface was written and vocabulary
was appended by Laura Grigolashvili

TBILISI THEOLOGICAL ACADEMY AND SEMINARY PUBLISHING HOUSE

TBILISI
2020

თბილისის სასულიერო აკადემია
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნმ. ანდრია კრიტიკი

დიდი კანონი

ძველი ქართული თარგმანები

ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს ელენე მეტრეველმა და
ლაურა გრიგოლაშვილმა. გამოკვლევა წაუმძღვარა და ლექსიკონი
დაურთო ლაურა გრიგოლაშვილმა

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გამომცემლობა

თბილისი

2020

წმ. ანდრია კრიტელის „დიდი კანონი“ სულიერი კულტურის უძველესი და უმნიშვნელოვანესი ძეგლია. ამ საგალობელთანაა დაკავშირებული ჩვენი მწერლობის სამი უდიდესი წარმომადგენელი: წმ. ექვთიმე მთაწმიდელი, წმ. გიორგი მთაწმიდელი და წმ. არსენ იყალთოელი, რომელთაც ერთმანეთის მიყოლებით თარგმნეს და ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში დაამკვიდრეს იგი.

საგალობელი, რომელიც ჩვენს ლიტურგიკულ პრაქტიკაში XI ს-ის I ნახევრიდან იკიდებს ფეხს და რომელმაც შთააგონა დიდი ქართველი მეფის, დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“, უფრო ადრეულია, ვიდრე ამ ტექსტის შემცველი ჩვენამდე მოღწეული ბერძნული მარხვანი. ესეც ზრდის „დიდი კანონის“ ქართული თარგმანების მნიშვნელობას მედიევისტისათვის.

წინამდებარე ნაშრომი სულიერი კულტურით დაინტერესებული მკითხველისათვის ერთგვარი გზამკვლევი შეიძლება იყოს სასულიერო პოეზიის ამალგებულ სამყაროში.

“The Great Canon” of Saint Andrew of Crete is the oldest monument of spirituality, bearing paramount significance. The great Georgian King David the Restorer was inspired by this text when composing his “Song of Repentance”. To this hymn are related the names of three great representatives of our literature: Saint Euthymius the Athonite, Saint George the Athonite and Saint Arsen of Iqalto, who successively translated its text, and by doing so, established it in the domain of Georgian education.

The hymn, which finds its way in our liturgical practice in the first half of the 11th century, belongs to an earlier period than the Greek text of the “Lenten Triodion”. This augments the importance of the Georgian translations of the “Great Canon” for the medieval studies.

The present work will provide readers, interested in spiritual culture, guidance into the Ancient Georgian Sacred Poetry.

რედაქტორები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
ლელა ხაჩიძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
ნინო მელიქიშვილი

რეცენზენტი: ფილოლოგიის დოქტორი
ირმა მაკარაძე

შინაარსი

წინათქმა	7
შესავალი	9
წმ. ანდრია კრიტელი კანონის, როგორც ჟანრის, მესაძირკვე	16
„დიდი კანონის“ ეთიკურ-ესთეტიკური ბუნებისათვის	34
„დიდი კანონის“ ქართული თარგმანები	58
ტექსტისათვის	114
„დიდი კანონის“ ტექსტის შემცველი ხელნაწერები და მათი ლიტერები	115
ტექსტი	116
წმ. არსენ იყალთოელის ანდერძი	227
წმ. გიორგი ათონელის ანდერძი	228
ლექსიკონი	229
Resume	242
დამოწმებული ლიტერატურა	245

წინათქმა

წმ. ანდრია კრიტელის „დიდი კანონი“ ჩემი დაინტერესების საგნად მაშინ იქცა, როდესაც დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანის“ შესწავლა გადავწყვიტე. ბუნებრივია, დავინყე „დიდი კანონის“ ქართულ თარგმანთა შემცველი ხელნაწერების ძიება და შემდეგ სამივე ქართველი მთარგმნელის (წმ. ექვთიმე ათონელი, წმ. გიორგი ათონელი, წმ. არსენ იყალთოელი) ტექსტების გადმოწერა, რამაც ჩემი ახალგაზრდული წლების დიდი ნაწილი მოიცვა. ძიების მეორე ეტაპზე უნდა გადავსულიყავი, როდესაც აკად. ელენე მეტრეველმა პარიზის ეროვნული ბიბლიოთეკის ხელნაწერთა კოლექციაში დაცული უნიკალური ხელნაწერის — გეორგ. 5 (XI ს.)-ის ფოტოპირი მოიპოვა. მან თავადვე გადმოწერა „დიდი კანონის“ ექვთიმესეული თარგმანი და სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერების ჩვენებათა გათვალისწინებით კრიტიკულად დაადგინა ტექსტი. იმ ეტაპზე მან სამუშაოში ჩემი ჩართვაც გადაწყვიტა. ბუნებრივია, ვიტვირთე პასუხისმგებლობა და ერთობლივად გავაგრძელეთ მუშაობა. ვინაიდან საყრდენ ტექსტად პარიზული ხელნაწერი ავირჩიეთ, ხელახლა მომიხდა წმ. გიორგი ათონელისა და წმ. არსენ იყალთოელის თარგმანთა გადმოწერა ფოტოპირებიდან, რასაც ტექსტების კრიტიკულ დადგენაზე ჩემი და ქალბატონი ელენეს ერთობლივი მუშაობა მოჰყვა. ამ სამუშაოს გასრულების შემდეგ, მიზეზთა გამო, ჩვენი თანამშრომლობა შეწყდა. წელი წელს მისდევდა და საქმისკენ მიბრუნება არ ხერხდებოდა. ქალბატონი ელენე დროდადრო შემახსენებდა ხოლმე, გამეგრძელე-ბინა მუშაობა და სადოქტორო დისერტაცია დამეცვა ამ თემაზე, მაგრამ...

ქალბატონი ელენეს გარდაცვალებამ, ჩემთანაც ჟამის ჩამოკვრის მოახლოება, გადამანწყვეტინა, თავი დამედგა უკვე შორეულ წარსულში დაწყებული საქმისათვის.

წინამდებარე ნაშრომი ქალბატონ **ელენე მეტრეველის** ნათელ ხსოვნას ეძღვნება.

ლაურა გრიგოლაშვილი

P.S. აქვე შევნიშნავ, რომ ჩემთვის სადავო არ არის, რომ სწორი დაწერილობაა ანდრეა კრეტელი, მაგრამ, ვინაიდან თითქმის ყველა უძველეს ქართულ ხელნაწერში იკითხება კრიტელი (და არა კრეტელი) და ანდრია (იშვიათად ანდრეა), ანგარიში გავუწიეთ ტრადიციას (აგრეთვე, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულ ფორმებს) და წინაპართა იკითხვისები დავტოვეთ.

ლ. გ.



წმინდა ანდრია კრიტელი
კუნძული კრეტა, წმ. ანას სახელობის ტაძრის ფრესკა
1225 წ.

შესავალი

რამეთუ ესე არს მცნებაჲ ჩემი, რაჟთა იყუარებდით ურთიერთას, ვითარცა მე შეგიყუარენ
თქუნ.

(იოანე 15, 12)

არა მოვედ წოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთა სინანულად.

(მათე 9, 13)

აღიღეთ უღელი ჩემი თქუნ ზედა, რამეთუ მშვედ ვარ და მდაბალ გულითა, და ჰპოვოთ
განსუენებაჲ სულთა თქუნთაჲ, რამეთუ უღელი ჩემი ტკბილ არს, და ტვრთი ჩემი სუბუქ არს.

(მათე 11, 29-30)

ანდრია კრიტელის „დიდი კანონი“ სულიერი კულტურის ერთ-ერთი უძველესი და უმნიშვნელოვანესი ძეგლია. ჩვენს ინტერესს ამ საგალობლისადმი რამდენიმე მიზეზი განაპირობებს. ამ კანონითაა შთაგონებული დიდი ქართველი მეფის, დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“, მასთანაა დაკავშირებული ჩვენი მწერლობის სამი უდიდესი წარმომადგენელი: წმ. ექვთიმე მთაწმიდელი, წმ. გიორგი მთაწმიდელი და წმ. არსენ იყალთოელი, რომელთაც ერთმანეთის მიყოლებით თარგმნეს და ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში დაამკვიდრეს ეს ძეგლი. მნიშვნელოვანი ისიცაა, რომ დღეს ხდება ერთგვარი გადაფასება რელიგიურ-მისტიკური გამოცდილების, თვით ასკეტიზმისა, როგორც განსაკუთრებული ფენომენის. პოსტმოდერნიზმისა და პოსტსტრუქტურალიზმის წარმომადგენლებიც კი ინტერესდებიან ასკეზის რაობით და აღიარებენ მას, როგორც პოზიტიურ მოვლენას. მეტიც: ასკეტიზმს მიიჩნევენ კულტურის, როგორც ასეთის, უნივერსალურ წინაპირობად, საფუძვლად, რომელიც განსაზღვრავს კულტურათა ნათესაობას და ქმნის შესაძლებლობას ამ კულტურათა შორის კომუნიკაციის დამყარებისა. აღიარებენ, რომ უნივერსალური ეთიკის საფუძვლები სწორედ ასკეტურ ლიტერატურაშია გამოკვეთილი და ამ პრინციპებს დღეს ინტელექტუალური ელიტა ახალს ვერაფერს ჰმატებს. აღსანიშნავია ისიც, რომ ერთი უაღრესად საინტერესო წიგნი ასკეზის ფენომენოლოგიაზე ჩვენი ეპოქის ღვთისმეტყველისა და კულტუროლოგის, ქ. უ. ფონ ბალთაზარის კონოტაციებით დატვირთული ციტატით იწყება, რომელშიც ძალიან საინტერესო საკითხია წამოჭრილი: „ქრისტიანულმა თეოლოგიამ შეძლო, ადამიანისა და მისი დიאלოგური ხასიათისათვის სრულიად ახალი შუქი მოეფინა. შეიძლებოდა ამ ახალ ანთროპოლოგიაზე დაყრდნობით გვეცადა, ახალი საყრდენი წერტილი მოგვეძებნა ახალი ფილოსოფიის ასაგებად და ჩვენი თავისათვის გვეკითხა: არ შეიძლება დღეს ნაცვლად მეტაფიზიკისა (ე. ი. სამყაროს მოძველებული სურათის ადრინდელი სახელის, როგორც ფსუქ-ისა), შემოგვეტანა მეტაანთროპოლოგია?“¹

ადამიანის ფენომენის ასახსნელად, მისი განვითარებისა და სრულქმნის გზათა საძიებლად აქტუალური ხდება საღვთისმეტყველო, გნებავთ, ასკეტური გამოცდილება და სრული კატეგორიულობით აცხადებენ, რომ აუცილებელია ახალი, თანამედროვე ნაკითხვა მართლმადიდებლური ასკეტიკის ტექსტთა მთელი კორპუსისა. რუსი მეცნიერი ს. ხორუჟი კი მიიჩნევს, რომ ასკეზის ერთ-ერთ წამყვან, ძირითად მოტივთან — სინანულთან დაკავშირებულ მძაფრ,

¹ Хоружий С. К феноменологии аскезы. М., 1998. с. 22.

რთულ, დრამატულ განცდათა მონაცვლეობას ტრაქტატებზე უკეთესად ლიტურგიკული პოეზია გამოხატავს და დაბეჯითებით გვიჩვენებს, ჩავუღრმავდეთ ანდრია კრიტელის საგალობელს, განთქმულ „დიდ კანონს“.¹

წმ. ანდრია კრიტელის „დიდი კანონი“ ქართულ საღვთისმსახურო ტრადიციაში XI საუკუნის I ნახევრიდან, კონსტანტინეპოლური ტიპიკონის შემოსვლასთან ერთად იწყებს დამკვიდრებას. ამდენად, ძველ ქართულ ხელნაწერებში დაცული „დიდი კანონის“ ქართულ თარგმანებში მისი არქაული სახეა შემონახული; ბერძნული მარხვანები კი ამ საგალობლის შემცველ ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერთა შედარებით მოგვიანო ტრადიციას ემყარება. ბუნებრივია, რომ ესეც ზრდის „დიდი კანონის“ ქართული თარგმანების მნიშვნელობას მედიევისტიკისათვის.

პირველი ცდა „დიდი კანონის“ ქართულ ენაზე გადმოღებისა, როგორც აღვნიშნეთ, ექვთიმე მთაწმიდელის სახელთანაა დაკავშირებული.² მისი მთარგმნელობითი პრინციპების შესახებ ქართულ მეცნიერებაში ბევრი თქმულა და დანერილა. განსაზღვრულია ანდრია კრიტელის „დიდი კანონის“ ექვთიმესეული თარგმანის რაობაც. მნიშვნელოვანია, რომ ექვთიმეს თარგმანის შესახებ გვაქვს „დიდი კანონის“ მთარგმნელთა (გიორგი მთაწმიდელი, არსენ იყალთოელი) დეფინიციები, რომლებიც უმაღლესი კომპეტენციის გამოხატულებად შეგვიძლია მივიჩნიოთ. ამასთან, გიორგი მთაწმიდელისა და არსენ იყალთოელის შეფასებები ურთიერთთანმხვედრია. რას გვაუწყებენ ისინი? ექვთიმე მთაწმიდელმა გამოტოვა „დიდი კანონის“ ბიბლიური სახისმეტყველებანი, „ვითა გონებისა შემაქცეველნი“ და „ძნად გულისჴმისსაყოფელნი“ (გეორგ. 5, 154v) და „ნაცვლად მათდა სინანულის დასდებლები შეემატა, ვითარცა მხოლოდ სულთა სარგებელისა“ და „არა წიგნთა ძალისაჲცა უცთომელობისა მეძიებელსა. „ამას თანა ჴმისგანცა და ძლისპირთაგან შეეცვალნეს“ (გეორგ. 5, 159v).

ექვთიმე მთაწმიდელის თარგმანი „დიდი კანონისა“ მოცულობით თითქმის იდენტურია ანდრია კრიტელის ტექსტისა და თუ მაინც რჩება უკმარისობის განცდა მისი თარგმანის გამო, ეს გამონეწეულია მთარგმნელის დამოკიდებულებით ბიბლიური იპოდიგმური-პარადიგმული სახეების მიმართ; აგრეთვე, „დიდი კანონის“ ხმისა თუ ძლისპირებთან მიმართებაში გამოჩენილი თავისუფლებით. მაგრამ გავიხსენოთ, როგორ განსაზღვრავს გიორგი მთაწმიდელი ექვთიმე მთაწმიდელის შემოქმედებით მიზანს: „ესე დიდნი გალობანი წმიდასა მამასა ეფთჳმეს სავედრებელისა პირსა ეთარგმნეს“ (გეორგ. 5, 154v). ექვთიმეს ლოცვა-ვედრების გამომხატველი გალობები აინტერესებდა, ხოლო „მეტნი სახისმეტყუელელებანი და სახელნი დაეტევნეს, ვითა გონებისა შემაქცეველნი და ძნად გულისჴმისსაყოფელნი“. ამასვე ამბობს არსენ იყალთოელი ექვთიმეს შესახებ: „სალმრთოჲსა წერილისა სახისმეტყუელელებანი ყოველნი დაეტევნეს და ნაცვლად მათდა სინანულისა დასდებლები შეემატა, ვითარცა მხოლოდ სულთა სარგებელისა ხოლო და არა წიგნთა ძალისაჲცა უცთომელობისა მეძიებელსა“ (გეორგ. 147v).³

ექვთიმეს მთარგმნელობითი მეთოდი, დღევანდელი კვალიფიკაციით, დინამიკური ეკვივალენტის ტიპისაა და ისლა დაგვრჩენია, დავეთანხმოთ კ. კეკელიძის მოსაზრებას, რომ ექვთიმეს „საჭიროდ არ მიაჩნდა ბერძნული ტექსტის მონობაში ყოფილიყო, ის თავს უფლებამოსილად თვლიდა თავისებურად გაეაზრებინა ეს ტექსტები“.⁴

„დიდი კანონის“ გიორგი მთაწმიდელისეული თარგმანის რაობაზე, მთარგმნელის მიზნებსა

¹ იქვე, გვ. 65.

² იხ. გრიგოლაშვილი ლ., ანდრია კრიტელის „დიდი კანონის“ ექვთიმე ათონელისეული თარგმანი, ათონის საღვთისმეტყველო-ლიტერატურული სკოლა, ლიტერატურის ინსტიტუტის გზამკვლევი, თბ. 2013, გვ. 172-196.

³ აქვე შეიძლება მოვიხმოთ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული ჩვენი კონტექსტისათვის რამდენადმე საინტერესო მოსაზრება: „დიდ კანონში“ დაუსრულებლად მონაცვლეობენ ძველი და ახალი აღთქმის სახეები, რედუცირებული უმარტივესი აზრობრივი სქემებით... მთელი „დიდი კანონი“ თითქოს „მორალთა“ კრებულია, მიმართული ათობით არარსებული იგავისადმი“, Аверинцев С. У истоков поэтической образности искусства, Другой Рим, Санкт-Петербург, 2005, С. 254-255.

⁴ კეკელიძე კ., კულტურული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ანარეკლი ძველ ქართულ ლიტერატურაში, თბ. 1949, გვ. 18.

და ამოცანებზე ნათელ წარმოდგენას გვიქმნის მისი ანდერძი, დართული მისსავე თარგმანზე „დიდი კანონისა“.

გიორგი მთაწმიდელი მიზნად ისახავდა შეედგინა სრული კრებული მარხვანისა და ზატიკისა, რომელიც ყოველგვარი „ნაკლულევანებისაგან“ უნდა გასწორებულიყო, რათა კათოლიკე ეკლესიის დამამშვენებლად წარმომდგარიყო. სწორედ ამიტომ გადაუწყვეტია გიორგი ათონელს „დიდი კანონის“ მეორედ თარგმნა, რათა, ექვთიმესგან განსხვავებით, სრულად გამოეღო საგალობლის „სახისმეტყველებანი და სახელნი ძუელთა და ახალთა წერილთანი“. ეს გარემოება კიდევ ერთხელ ადასტურებს გიორგი მთაწმიდელის მთარგმნელობითი მეთოდის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ თვალსაზრისს, რომ გიორგის მეთოდი, ძირითადად, დედანთან სიახლოვეს გულისხმობდა.¹

გიორგი მთაწმიდელს კიდევ ერთი საზრუნავი ჰქონდა: ექვთიმე ათონელისადმი განსაკუთრებული კრძალვისა და პატივისცემის გამო აუცილებლად მიაჩნდა დიდი მამის მიერ ჩამატებული სინანულის დასდებლების გადმოტანაც, რის გამო გიორგის თარგმანში უამრავი სახე და დასდებელი შემოსულა. გიორგი ათონელი იმედს გამოთქვამს, რომ „დალათუ დასდებელი გამრავლებულა, გარნა არაჲ საწყინო არს, არამედ ყოვლად შუენიერ და სამგზის სანადელი“ (გეორგ. 5, 154v). გიორგი ათონელის თარგმანი სინანულის კანონისა მოცულობით მართლაც აღემატება როგორც ექვთიმე ათონელისეულს, ისე არსენ იყალთოელისეულს.

არსენ იყალთოელი კიდევ უფრო რთული ამოცანის წინაშე დგას. იგი წინამორბედ მთარგმნელებს — ექვთიმე და გიორგი ათონელებს, უდიდეს ავტორიტეტებად მიიჩნევს. თუმცა ისიც იცის, რომ მათი თარგმანები დაცილებულია ანდრია კრიტელის ტექსტს, რის გამოც „მძიმედ რადმე ტვრთად ზედაესხნეს ორნივე იგი ყოვლისა საქართველოჲსა ეკლესიათა“. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ არსენ ბერი ერთ-ერთი ინიციატორია ქართულ ეკლესიაში მიმდინარე ტიპიკონური ცვლილებებისა. სწორედ მისი თაოსნობით შემოდის ახალი რედაქცია ტიპიკონისა.² ამ პროცესში ჩართულია მეფეთ მეფე დავით აღმაშენებელიც. სწორედ მას უბრძანებია მისთვის „დიდი კანონის“ ხელახლა თარგმნა, ხოლო იოვანე ქართლის კათალიკოსისთვის — ტექსტისთვის ხმის შეწყობა, რათა განახლებულ ეკლესიას „უზაკუელი და შეურევნელი ჭეშმარიტებაჲ წინა დაუგოს ყოველთა ტრფიალთა სიტყვსათა“ (გეორგ. 147v).

არსენ იყალთოელმა ბრწყინვალედ გადაჭრა დასახული ამოცანა: მთარგმნელობით მეთოდს, რომელსაც იგი ეფუძნება, დღეს ფორმალური ეკვივალენტის ტიპს მიაკუთვნებენ. შეიძლება ითქვას, რომ არსენ იყალთოელმა შექმნა „დიდი კანონის“ ზუსტი, იდენტური თარგმანი, ერთგვარი ორეული დედნისა. მან უცვლელად გადმოიტანა ორიგინალის ხმა, ძლისპირები, ბიბლიური სახისმეტყველებანი, ტექსტის იდეური და მხატვრული შინაარსი. გიორგი მთაწმიდელი რომ უაღრესად ერთგულად მიჰყვება ტექსტს, ამას ამონმებს ძეგლის სლავური თარგმანებიც და, ამასთანავე, ცნობილი ბიზანტინისტის, გვანცა კოპლატაძის მიერ ძველი ბერძნულიდან ახალ ქართულ ენაზე გადმოღებული „დიდი კანონი“ ანდრია კრიტელისა.³

„დიდი კანონის“ ქართულ თარგმანთა შესწავლისას ვეფუძნებით ამ ტექსტის სამივე ქართული თარგმანის შემცველ უნიკალურ კრებულს, რომელიც დაცულია პარიზის ეროვნული ბიბლიოთეკის ხელნაწერთა ინსტიტუტში. ეს ხელნაწერია Par. georg. 5., რომელიც ხელნაწერთა ინსტიტუტში ცნობილმა ქართველოლოგმა ბერნარ უტიემ ჩამოიტანა. აკად. ელ. მეტრეველი და მე, როცა ერთობლივად ვმუშაობდით „დიდი კანონის“ ქართულ თარგმანთა ტექსტების

¹ ჯღამაია ლ., გიორგი მთაწმიდელის თვენი (სექტემბერი). გამოსცა, გამოკვლევა, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო ლალი ჯღამაიამ, თბ. 2007, გვ. 27.

² კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ. 1960, გვ. 576.

³ კოპლატაძე გ., ანდრია კრეტელი, დიდი კანონი, ძველი ბერძნულიდან თარგმნა და გამოკვლევა დაურთო გვანცა კოპლატაძემ, თბ. 2007, გვ. 22-27.

დადგენაზე, სწორედ ამ ხელნაწერის როტოპირსა და მიკროფირს ვეყრდნობოდით.

ექვთიმე თაყაიშვილმა, რომელსაც ეკუთვნის გეორგ. 5-ის პირველი მეცნიერული აღწერილობა, იმთავითვე შენიშნა, რომ „ამ წიგნში სამი სხვადასხვა დროს გადაწერილი ხელნაწერია მოქცეული ერთ ყდაში“.¹ შემდგომმა კვლევამ დაადასტურა ე. თაყაიშვილის დაკვირვება. ხელნაწერში მართლაც გამოიყოფა სამი ხელი. პირველი ხელით დაწერილია ხელნაწერის უმთავრესი ნაწილი — 1-216 გვერდები. ლ. ხაჩიძის მოსაზრებით, ეს ნაწილი შეიცავს გიორგი მთაწმიდელის რედაქციის თითქმის სრულ მარხვანს და მისივე რედაქციის ზატიკის დასაწყისს, რაც თავდაპირველად — გეორგ. 5-ის შედგენამდე ერთ წიგნად — მარხვან-ზატიკად უნდა არსებულებოდა (ხაჩიძე 1983:169).² II და III ნაწილები (217-222 და 222-292 გვ.) ერთი მთლიანობაა და ლ. ხაჩიძემ იგი მარხვანის ახალ რედაქციად მიიჩნია, ხოლო მის შემდგენელ-რედაქტორად ეფრემ მცირე დასახა (ხაჩიძე 2009:15).³ მეცნიერის აზრით, გეორგ. 5-ის II ნაწილი ეფრემ მცირის მიერ XI ს-ის 80-იან წლებში უნდა იყოს შედგენილი⁴.

ლ. ხაჩიძე გეორგ. 5-ის საფუძვლიანი შესწავლის შედეგად ჯერ მივიდა დასკვნამდე, რომ I ნაწილი გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფული ხელნაწერის ზუსტი პირი უნდა ყოფილიყო, ხოლო ამ ხელნაწერის შედარებამ გიორგის ავტოგრაფულ ხელნაწერთან დაარწმუნა, რომ გეორგ. 5-ც ავტოგრაფული ხელნაწერია. მკვლევარი ეფუძნება ანგარიშგასაწევ არგუმენტებს. მართლაც, პირველწყაროებიდანაა ცნობილი, რომ გიორგი მთაწმიდელს „სრულებით“ უთარგმნია მარხვანი და ზატიკი; საგალობელთა ძველი თარგმანების გვერდით საკუთარი თარგმანების მოტანა დამახასიათებელი იყო გიორგი მთაწმიდელისათვის, რომ მთელი ხელნაწერის აღნაგობა თანხვედრილია გიორგის მუშაობის პრინციპებთან (სიზუსტე, საგალობლებისთვის ავტორის მითითება, კრებითი ხასიათი კრებულისა, ანდერძ-მინაწერები და სხვ.).

ჩემი მხრივ დავუმატებდი, რომ გიორგი ათონელის რედაქციის მარხვანად მიჩნეულ ხელნაწერთა შორის მხოლოდ გეორგ. 5-ის ხელნაწერშია დაცული გიორგი ათონელის ძალზე მნიშვნელოვანი ანდერძი, რომელშიც ექვთიმე ათონელისა და თვით გიორგი ათონელის მიერ თარგმნილ „დიდ კანონთან“ დაკავშირებული საინტერესო ვითარებაა აღწერილი.

ლ. ხაჩიძის აღნიშნული თვალსაზრისი არ აღმოჩნდა ყველასთვის მისაღები. მაგალითად, ლიტურგიკისა და ჰიმნოგრაფიის აღიარებულმა მკვლევარმა ლილი ხევსურიანმა ეჭვი გამოთქვა პარიზული ხელნაწერის ავტოგრაფულად გამოცხადების გამო და დასვა კითხვები: თუ გეორგ. 5 მართლაც ავტოგრაფული ხელნაწერია, მაშინ რატომ არ არის იგი სრული, ან რით სარგებლობდა ათ. 38-ის გადამწერი, როცა მას თავის ხელნაწერში სხვადასხვა განგებები შეჰქონდა, რამდენად შესაძლებელია, რომ ავტოგრაფული ნუსხა ყოფილიყო გეორგ. 5-ისაგან განსხვავებული, შევსებული ყველა იმ მნიშვნელოვანი ნაწილებით, რომლებიც გეორგ. 5-ს არ გააჩნია და სხვ. მან ყურადღება გაამახვილა გიორგი მთაწმიდელის ანდერძისა და ხელნაწერის ერთმანეთთან შეუსაბამობის შემთხვევებზეც და დაასკვნა, რომ ანდრია კრიტელის გალობათა გიორგისეული თარგმანი ავტოგრაფულ ხელნაწერში მოთავსებული იყო ცალკე, ხელნაწერის ბოლოს, ხოლო მისმა შეტანამ V ხუთშაბათის განგებაში წარმოშვა შეუთანხმებლობა ხელნაწერსა და ანდერძს შორის.⁵

ლ. ხევსურიანი არ გამორიცხავს, რომ გეორგ. 5-ის გადამწერმა დედნად თვით ავტოგრაფუ-

1 თაყაიშვილი ექვ., პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცი ქართული საიდუმლო დამწერლობის ნიმუში, პარიზი, 1933, გვ. 32.

2 ხაჩიძე ლ., გიორგი მთაწმიდელის რედაქციის მარხვანის პარიზული ნუსხა, კრებული ივირონი-1000, თბ. 1983, გვ. 269.

3 ხაჩიძე ლ., ეფრემ მცირის ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობის შესახებ, თბ. 2009, გვ. 15.

4 ხაჩიძე ლ., გიორგი მთაწმიდელის რედაქციის მარხვანის პარიზული ნუსხა, კრებული ივირონი-1000, თბ. 1983, გვ. 19.

5 ხევსურიანი ლ., გიორგი მთაწმიდელის რედაქციის მარხვანის ავტოგრაფული ნუსხის საკითხისათვის. ლიტერატურული ძიებანი, თბ. 2005, გვ. 79-80.

ლი ხელნაწერი გამოიყენა.¹

გიორგი მთაწმიდელის მიერ თარგმნილი „დიდი კანონის“ პარიზულ ტექსტს უძღვის ასეთი ზედწარწერა: „სახელითა ღმრთისათა. ესევე დიდნი გალობანი ანდრეა კრიტელისა თქუმულნი და ჩუენ, გიორგი მთაწმიდელისა მიერ, მეორის გუერდსა აღწერილნი“ (გეორგ. 5, 127r).

ძალზე მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველი მინაწერი გამოვავლინეთ „დიდი კანონის“ გიორგისეული თარგმანის შემცველ სხვა ხელნაწერში (იერ. 61 XII-XIII ს.).² აქაც ტექსტს უძღვის სათაური: „დიდნი გალობანი, თქუმულნი ანდრია კრიტელისანი და ჩუენ მიერ მეორისა გუერდსა აღწერილნი“ (იერ. 61, 414r). „დიდი კანონის“ ტექსტის დასასრულს კი გადამწერი გვამცნობს: „ესე დიდნი გალობანი ზღუასა მენამულსა ზედა თარგმნილნი მამისა გიორგის მიერ. უმჯობეს და უშუენერეს მამისა ეფთვემს თარგმნილთასა შევჰრაცხენ და იგი აღწერენ, რამეთუ ფრიად უსაყუარელეს მათსა არიან ესე“ (იერ. 61, 468v).³

აქ ერთ კითხვასაც უნდა გაეცეს პასუხი: რა კავშირია გეორგ. 5-სა და იერ. 61-ში მოთავსებული „დიდი კანონის“ გიორგისეულ ტექსტებს შორის? უფრო სწორედ, რა დამოკიდებულებას ავლენენ გადამწერები „დიდი კანონის“ ტექსტის მიმართ? ამჯერად კითხვას ვუპასუხებთ ტექსტების არა დეტალური შედარებით, არამედ ზედაპირული, მაგრამ ჩემი აზრით, სერიოზული დატვირთვის მქონე მონაცემებით.

გეორგ. 5-ის ტექსტი, როგორც ლ. ხევსურიანი შენიშნავს, უჩვეულოდ იწყება: „განგების ცალკე ელემენტის დაწყება სიტყვებით „სახელითა ღმრთისათა“ ჰიმნოგრაფიულ ხელნაწერებში ჩვეულებრივ არ გვხვდება. ეს უფრო სათაურის ფორმაა, რომელიც განგების გარეთ ცალკე მოთავსებული საგალობლისათვის უნდა შეერჩია გიორგი მთაწმიდელს⁴. იერ. 61-ის გადამწერს, ჩანს, უგრძნია ეს უხერხულობა და დასაწყისისთვის ჩამოუცილებია „სახელითა ღმრთისათა“.

იერ. 61-ის გადამწერი, განსხვავებით გეორგ. 5-ის გადამწერისაგან, საჭიროდ მიიჩნევს გიორგისეული თარგმანის ბოლოს კვლავ შენიშნოს: „ესე დიდნი გალობანი ზღუასა მენამულსა ზედა თარგმნიან მამისა გიორგის მიერ“ და ამას ამატებს ცნობას: ექვთიმეს თარგმანს გიორგის თარგმანი ვარჩიე, რადგან „ფრიად უსაყუარელეს მათსა არიან ესე“. იერ. 61-ის გადამწერის ინფორმაციას ლოგიკური საფუძველი აქვს. მის წინაშე ორი თარგმანია: ექვთიმესი და გიორგისა, მათგან შეარჩია ერთ-ერთი (გიორგისეული) და მას დაურთო კიდევ შესაბამისი ახსნა-განმარტება.

გვგონია, რომ იერ. 61-ის გადამწერმა შეგნებულად თქვა უარი გიორგი მთაწმიდელის ვრცელ და უაღრესად მნიშვნელოვან ანდერძზეც, რომელიც გეორგ. 5-ში გიორგისეულ თარგმანს ახლავს, რადგან ეს ანდერძი უმთავრესად „დიდი კანონის“ ექვთიმესეულ თარგმანს მიემართება, მასთან კავშირში იხსნება მისი შინაარსი.

გეორგ. 5 და იერ. 61 ერთმანეთთან კიდევ ერთ მსგავსებას ავლენენ. ორივეგან „დიდი კანონის“ თარგმანებს ექვთიმე მთაწმიდელის „აქებდითსა“ აგვირგვინებს. გეორგ. 5-ში ის მოთავსებულია „დიდი კანონის“ ექვთიმე ათონელისა და გიორგი ათონელის თარგმანებს შორის, იერ. 61-ში კი გიორგი ათონელის თარგმანის ბოლოსაა. რამდენადაც შევძელი თვალი გამედევნები-

1 ხევსურიანი ლ., იქვე.

2 იერუსალიმის ხელნაწერთა არც ერთ აღმწერს (ა. ცაგარელი, ნ. მარი, უ. ბლეიკი) არ აქვს მითითებული, რომ ამ კრებულში შეტანილია „დიდი კანონის“ გიორგი მთაწმიდელისეული თარგმანი, რომელიც, თავის დროზე, ამ ლიტურგიკული კრებულების დეტალური გაცნობის შედეგად გამოვავლინე.

3 „დიდი კანონის“ საკითხებისადმი მიძღვნილ ერთ ჩვენს ნაშრომში მიზეზთა გამო დაშვებული გვაქვს დასაბუთებული შეცდომა: იერუსალიმური ხელნაწერის ეს ანდერძი მივანერეთ პარიზულ ხელნაწერსაც. იხ. ლ. გრიგოლაშვილი, ანდრია კრიტელის დიდი კანონის ქართული თარგმანები და კანონის, როგორც ჟანრის ჩამოყალიბების რამდენიმე ასპექტი, ქართველოლოგი, 19(4), თბ. 2013, გვ. 271-272.

4 ხევსურიანი ლ., დასახ. ნაშრომი, გვ. 76.

ნა „დიდი კანონის“ შემცველი ადრინდელი თუ მოგვიანო ხანის ხელნაწერებისათვის, ყველგან ექვთიმეს თარგმანია აღნიშნული სტიქარონისა. იერ. 56-ში, რომელიც შეიცავს „დიდი კანონის“ არსენ იყალთოელისეულ თარგმანს და მთავრდება ექვთიმე ათონელის თარგმნილი „აქებდით-სათი“, გვხვდება გადამწერის შენიშვნა: „ამათ ახალთა აქებდითსა ააქუს (ასეა! — ლ. გ.), ჩუენ ეგრეცა დაუნერეთ ძულთაგან“ (იერ. 56, 148). „აქებდითსა“ ახალ თარგმანს მივაკვლიეთ A 147 ხელნაწერში. ეს კრებული ახალი რედაქციის მარხვანადაა მიჩნეული. ვინ არის ამ სტიქარონის ახალი მთარგმნელი, არაა ცნობილი. შესაძლოა, ის თვით არსენ იყალთოელს ეკუთვნოდეს. გიორგი მთაწმიდელს კი, ჩემი აზრით, არ უთარგმნია „აქებდითსა“, რადგან ექვთიმე ათონელის თარგმანი ამ შემთხვევაში, ალბათ, მის სრულ ნდობას იმსახურებდა.

გეორგ. 5-ის მნიშვნელობა, იქნება ის ავტოგრაფული ხელნაწერი თუ არა, განუზომლად დიდია. ჯერ ერთი, ის შედგენილია XI საუკუნეში. მასში, როგორც ეს გიორგი მთაწმიდელის შემოქმედებითი მეთოდისთვის იყო დამახასიათებელი, სრულადაა წარმოდგენილი ქართული და ბერძნული ჰიმნოგრაფიული ლიტერატურის მონაპოვარი: კრებული შეიცავს „დიდი კანონის“ სამივე ქართულ თარგმანს. გეორგ. 5-ის I ნაწილს კი აშკარად ატყვია გიორგი მთაწმიდელის, როგორც რედაქტორის, ხელი. აი, რა გვაქვს მხედველობაში:

1. ექვთიმე ათონელის თარგმნილი „დიდი კანონის“ შემცველი უძველესი ხელნაწერებია სინ.5 და სინ.75. ორივე ხელნაწერი სამეცნიერო ლიტერატურაში განიხილება როგორც ერთ-ერთი წყარო გეორგ. 5-ში დაცული ლიტურგიკული კრებულისა. სინურ ხელნაწერებში ექვთიმეს მიერ თარგმნილი „დიდი კანონის“ სათაურია: „გალობანი სინანულისანი, თქუმულნი წმიდისა ანდრია კრიტელი მთავარეპისკოპოსანი“ (სინ. 75, 191r).

ხოლო პარიზულ ხელნაწერში მას „დიდნი გალობანი“ ეწოდება:

„დიდნი გალობანი სინანულისანი, თქუმულნი ანდრია კრიტელისანი, რომელ იყო ირუსალემით“ — გეორგ. 5 (127r). „დიდნი გალობანი“ გიორგი ათონელის მიერ თარგმნილი ტექსტის სათაურიც.

2. II გალობას სინ. 5-ისა და სინ. 75-ში, განსხვავებით გეორგ. 5-ისა, არ აქვს მეორე ძლისპირი.

3. III გალობასაც, განსხვავებით გეორგ. 5-საგან, ერთი ძლისპირი აქვს.

4. VI გალობას (ღალადყავსა) — სინ. 5-სა და სინ. 75-ში არ ახლავს კონდაკი, გეორგ. 5-ში კი VI გალობის ბოლოს ტექსტის ხელით მიწერილია კონდაკის დასაწყისი სიტყვები: მეექუსესა კონდაკი ბ გ~ი: „სულო ჩემო, სულო ჩემო“ და ნეშტი საკითხავისაჲ (გეორგ. 5, 134r). ეს შენიშვნა განპირობებულია ქართული თარგმანის ბერძნულ ტრადიციასთან დაახლოების სურვილით.

5. „დიდი კანონის“ ტექსტს სამივე ქართულ თარგმანში ბიბლიურ საგალობელთა მუხლები ახლავს. ჩემი დაკვირვებით, ეს ტექსტები შეუმოკლებლად, სრული სახით მხოლოდ გეორგ. 5-შია წარმოდგენილი. სხვა ხელნაწერებში, მათგან სინ. 5-სა და სინ. 75-ში, ამ მუხლების მხოლოდ დასაწყისი სიტყვებია მოტანილი სათანადო საგალობლებზე მიმანიშნებლად, გეორგ. 5-ში კი, როგორც აღვნიშნეთ, ექვთიმეს თარგმანსაც კი სრული ტექსტები დაერთვის ამ მუხლებისა. რაც მთავარია, ეს ტექსტები სინ. 5-სა და სინ. 75-ში გიორგი მთაწმიდელის რედაქციისაა.

აშკარაა, გეორგ. 5-ის პირველი ნაწილის რედაქტორი გიორგი მთაწმიდელია (ან ნუსხა მომდინარეობს გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფიდან). ხოლო გიორგი მთაწმიდელის განთქმული ანდერძი, როგორც ექვთიმე თაყაიშვილი შენიშნავს, ამ კრებულში ჩანერილი უნდა იყოს თვით გიორგი მთაწმიდელის მიერ „ფრიად წვრილის ნუსხა-ხუცურით, როგორც ჩვეულება იყო გიორგი მთაწმიდელისა“.¹

¹ თაყაიშვილი ექვ., დასახ. ნაშრომი, გვ. 33.

მთავარი კი ის არის, რომ ქართული კულტურის მესვეურებს — მეფე დავით აღმაშენებელს, ექვთიმე მთაწმიდელს, გიორგი მთაწმიდელს, არსენ იყალთოელს, იოანე ქართლის კათალიკოსს, გადამწერთა თაობებს — უდიდესი მნიშვნელობა მიუნიჭებიათ წმ. ანდრია კრიტელის „კანონთა მეფედ“ მიჩნეული საგალობლისთვის და ქართული ეკლესიის ლიტურგიკულ პრაქტიკაში მისი ადაპტირებით ჩვენი სულიერი კულტურის საძირკველი განუმტკიცებიათ. მნიშვნელოვანია, რომ სწორედ დავით აღმაშენებელს უბრძანებია არსენ იყალთოელისთვის „დიდი კანონის“ ხელახლა თარგმნა, ხოლო იოვანე ქართლის კათალიკოზისთვის — ტექსტისთვის ხმის შეწყობა, რათა განახლებულ ეკლესიას „უნაკლო და წმინდა ჭეშმარიტება მიაღწევას ყოველ მოტრფიალეს სიტყვისას“ (გეორგ. 147v).

ანდრია კრიტელის „დიდი კანონი“ ქართულ ლიტურგიკულ პრაქტიკაში, როგორც აღინიშნა, XI საუკუნის I ნახევრიდან მკვიდრდება. თავიდან ის დიდი მარხვის მეხუთე ხუთშაბათს სრულდებოდა მთლიანად, როგორც ეს დადგენილი იყო VI მსოფლიო საეკლესიო კრების მიერ, ხოლო შემდეგ ნაწილ-ნაწილ (ოთხი დღის სერობაზე ოთხად გაყოფილი), მთლიანად კი — დიდმარხვის მეხუთე კვირიაკის ხუთშაბათს ცისკრად. მიიჩნევა, რომ „დიდი კანონის“ შესრულების წესის ეს ევოლუცია მას დიდმარხვის მსახურებათა ღერძის მნიშვნელობას ანიჭებს. კანონი შემოფარგლავს დიდმარხვის ციკლს და მისი მონოლითურობის ერთ-ერთ განმსაზღვრელადაც მოიაზრება.¹

¹ მანაგაძე ხ., წმ. ანდრია კრიტელის „სინანულის კანონი“ და მისი ქართული ძლისპირები (680 ხელნაწერის მიხედვით). ავტორეფერატი, თბ. 2006, გვ. 6.

ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის ორი სკოლაა ცნობილი: პირველთან დაკავშირებულია შექმნა უძველესი ჰიმნოგრაფიული ჟანრის — კონტაკიონისა (იგივე კონდაკისა), რომელიც V-VI საუკუნეებში ჩამოყალიბდა, უმაღლეს დონეს კი რომანოზ მელიოდოსის შემოქმედებაში მიაღწია, ხოლო მეორე სკოლამ შემოიტანა და დაამკვიდრა ახალი სტრუქტურის საგალობელი — კანონი, რომელსაც ქართულ ტრადიციაში გალობანი ეწოდა. მის ჩამოყალიბებას VII-VIII საუკუნეებში ვარაუდობენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კანონმა, როგორც ჟანრმა, კონტაკიონი ლიტურგიკული პრაქტიკიდან მთლიანად გამოდევნა.

ს. ავერინცევის თანახმად, თუ „კონდაკის ჟანრისათვის დამახასიათებელი იყო თხრობითი და დრამატიზებული, დიალოგური ნაწილები, თუ კონდაკის მონაწილე პირები ერთმანეთს რეპლიკებით ეხმიანებოდნენ, თავის სულიერ მდგომარეობას გადმოგვიშლიდნენ პათეტიკურ მონოლოგებში, ჩაებმებოდნენ ბაასსა ან კამათში, კანონმა საყრდენი მხატვრული შინაარსი არსებითად შეცვალა. დრო ხატოვანი თხრობისა და დრამატული სცენებისა წავიდა. დადგა ჟამი განსჯისა, ქება-დიდების აღვლენისა“.¹

და მაინც, „შინაარსობრივი თვალსაზრისით, კონტაკიონებსა და კანონებს შორის დიდი სხვაობა არ შეინიშნება; შინაარსით ისინი — კონტაკიონებიცა და კანონებიც — ღმრთისმეტყველების პოეტურ ნიმუშებს წარმოადგენენ“.² ორივე ჟანრის საგალობლები ღმრთის სადიდებლადაა შექმნილი. ჰიმნოგრაფი უზენაესისთვის სიტყვიერ მსხვერპლს გაიღებს, მას უძღვნის გულს. ბიბლიური დავითი შესთხოვს უფალს: „მაუწყე მე, უფალო, გზანი, რომელთა ვიდოდი“ (ფსალმ. 142,8). პასუხად გაისმის: „მსხვერპლმან ქებისამან მადიდოს მე, და მუნ არს გზაჲ, სადა უჩუენო მათ მაცხოვარებაჲ ჩემი“ (ფსალმ. 49,23). ამ შეგონების თანახმად, ღვთის ქება, მისი განდიდება ღვთისკენ მიმავალი გზაა. ამქვეყნიური დიდებისმეტყველება განიცდება, როგორც მონაწილეობა ანგელოზთა დიდებისმეტყველებაში, როგორც არეკლა, ასახვა, მიბაძვა ანგელოზთა გალობისა.³

კანონის აღმოცენების ზუსტი თარიღი არ არის დადგენილი, თუმცა ცნობილია, რომ ადრეულ ქრისტიანულ ღვთისმსახურებაში ფსალმუნებთან ერთად ცალკეული ბიბლიური საგალობლები სრულდებოდა. შემდეგში მათ ტროპარები, იგივე დასდებლები, დაერთო. ასე შეიქმნა ერთსაგალობლები, ორსაგალობლები, სამსაგალობლები. როგორც არქიმანდრიტი კიპრიანე (კერნი), მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო სკოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, შენიშნავს: „საკმაოდ დიდხანს მიაჩნდათ, რომ საეკლესიო პოეზიის ეს ახალი ფორმა პირველად იერუსალიმის პატრიარქმა, წმ. სოფრონმა გამოიყენა, მაგრამ მ. კარაბინოვის მტკიცებით, სამსაგალობლები, რომელნიც მიენერებოდა იერუსალიმის პატრიარქს — წმ. სოფრონს, სინამდვილეში ეკუთვნის იოსებ მგალობელს, IX საუკუნის მოღვაწეს“.⁴

საეკლესიო პოეზიის ახალი ჟანრის, კანონის, მესაძიკველედ ერთხმად იქნა მიჩნეული ანდრია კრიტიკელი. „კანონთა მეფედ“ აღიარებული მისი „დიდი კანონი“ ამ ჟანრის უძველეს და სრულყოფილ ნიმუშად გამოცხადდა.

როგორია „დიდი კანონის“ აგებულება? როგორაა ის რეალიზებული უძველეს ქართულ თარგმანებში, შესაბამისად, ამ თარგმანთა შემცველ ხელნაწერებში?

ცნობილია, რომ ბიბლიურ გალობათა შემცირება თორმეტიდან ცხრამდე იერუსალიმურ

1 Аверинцев С. С. Поэтика ранневизантийской литературы, М. 1977, с. 103.

2 კოპლატაძე გვ., ბიზანტიური ჰიმნოგრაფიული პოეზია და ანდრია კრეტელის დიდი კანონი, იბ. ანდრია კრეტელი, დიდი კანონი, თბ. 2007, გვ. 10.

3 Аверинцев С. С. У истоков поэтической образности искусства, Другой Рим, Санкт-Петербург, 2005, с. 247.

4 არქიმანდრიტი კიპრიანე (კერნი), ლიტურგიკა. თარგმანი ელისო კალანდარიშვილისა, თბ. 2009, გვ. 35.

პრაქტიკაში განხორციელდა,¹ მთავარი ნაბიჯები ჰიმნოგრაფიული კანონის ჩამოყალიბებაშიც პალესტინაში გადაიდგა. ანდრია კრიტელის „დიდი კანონი“ სწორედ 9 გალობისაგან შედგება. თითოეულს უძღვის თავისი ძლისპირი ანუ ირმოსი. VI გალობას დაერთვის თითოსტროფიანი კონდაკი და იკოსი. ყოველი გალობა მთავრდება „სამებისანითა“ და „ღმრთისმშობლისანით“. ეს სტრუქტურა დაცულია „დიდი კანონის“ ქართულ თარგმანებშიც.

მიუთითებენ, რომ „დიდი კანონი“ თავდაპირველად 210 ტროპარისგან შედგებოდა. შემდეგ მას ორმოცი ტროპარი შეჰმატებია და მოცულობითაც უნიკალურ საგალობლად ქცეულა. შემატებულ ტროპართა შორის უნდა გამოვყოთ ღირსი მარიამ ეგვიპტელისადმი მიძღვნილი დასდებლები (ორ-ორი ტროპარი თითოეულ გალობაში), აგრეთვე, ტროპარი, რომელიც თვით ანდრია კრიტელს ეძღვნება და ვრცელი „მომიწსენესა“, რომელშიც სახარების ცხრა ნეტარების (მათე 5, 3-12) თემაა გაშლილი.

ძველ ქართულ თარგმანებში ამ დამატებათაგან მხოლოდ „მომიწსენესა“ დასტურდება. მოცულობის და შედგენილობის მიხედვით ექვთიმე ათონელის, გიორგი ათონელისა და არსენ იყალთოელის თარგმანები „დიდი კანონისა“ ერთმანეთისაგან განსხვავდება, მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ.

რით იქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას „დიდი კანონის“ ძველი ქართული თარგმანების შემცველი ხელნაწერები?

როგორც ვიცით, „დიდი კანონის“ ძველი ბერძნული ხელნაწერები ჩვენამდე არ არის მოღწეული; ძეგლის ქართულ თარგმანთა უძველესმა ხელნაწერებმა (X-XII სს.) კი შემოგვინახეს კანონზე ბიბლიური გალობების ტექსტთა დართვის ტრადიცია, რაც არ ჩანს „დიდი კანონის“ ბეჭდურ გამოცემებში, არც ბერძნულში, არც სლავურში.

სურათი მეტად საინტერესოა: „დიდი კანონის“ სამივე ქართული თარგმანის (ექვთიმე ათონელი, გიორგი ათონელი, არსენ იყალთოელი) შემცველ პარიზულ ხელნაწერში (გეორგ. 5) ბიბლიურ გალობათა მუხლები თუ ნახევარმუხლები სრულადაა წარმოდგენილი, სრულადაა ისინი გიორგი ათონელისეული თარგმანის ხელნაწერებშიც (იერ. 61; A 125). არსენ იყალთოელის თარგმანის შემცველ ხელნაწერთაგან კი ეს ტექსტები სრულადაა A ხელნაწერში (გეორგ. 5), B და D ხელნაწერებში საერთოდ არ არის, C-ში კი ამ გალობათა მხოლოდ დასაწყისი სიტყვებია კიდევ მიწერილი. E და F ხელნაწერებში არის ბიბლიური დასაწყისები, მაგრამ დაყოფა გარკვეულწილად განსხვავებულია A-სგან*.

ამ მონაცემებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ აღნიშნული დროისათვის (XI-XII საუკუნეები) კანონზე ბიბლიურ გალობათა დართვის ტრადიცია მტკიცე აღარ არის. მართალია, მას იცავენ ქართველი მთარგმნელები, მაგრამ ნუსხებში აშკარად ქრელი სურათია: ზოგან საერთოდაა გამოტოვებული, ზოგან მხოლოდ დასაწყისი სიტყვებია მითითებული.

ქართულ თარგმანებს დართულ ბიბლიურ გალობათა ტექსტების ურთიერთშეჯერებამ და ამ გალობათა წინაათონურ და გიორგი ათონელისეულ თარგმანებთან შეპირისპირებამ ისიც

1 ბიბლიაში გამოყოფენ 12 საგალობელს. ესენია: მოსეს საგალობელი, მოსეს მეორე საგალობელი, ანანას საგალობელი, ამბაკუმის საგალობელი, ესაიას საგალობელი, იონას საგალობელი, სამი ყრმის საგალობელი, რომელიც ორ ნაწილად გაიყო, ღმრთისმშობლის საგალობელი, ზაქარიას საგალობელი, დებორას საგალობელი, ეზეკიას საგალობელი (ეს ბოლო ორი საგალობელი ღვთისმსახურებაში არ შესულა) და მანასეს სავედრებელი, რომელიც ბიბლიის ებრაულ დედანში არ არის, მაგრამ, როგორც ს. ავერინცევი გვამცნობს, ის შესულია სეპტუაგინტაში. მისივე თქმით, სეპტუაგინტას ხელნაწერში (Codex Alexandrinus) ფსალმუნთა ნიგნს ახლავს როგორც ძვ. აღთქმის, ასევე ახალი აღთქმის გალობათა ნუსხა და მათ შორის მანასეს ვედრებას უკავია მეთორმეტე რიგითი ადგილი (ავერინცევი, დასახ. ნაშრომ. გვ. 213).

კანონის გალობათა განლაგებაში დაცულია ქრონოლოგიური რიგი. მ. სკაბალანოვიჩის შენიშვნით, მხოლოდ ამბაკუმის საგალობელია გადანაცვლებული იონას საგალობლის შემდეგ. ალბათ, იმისთვის, რომ კანონის VI გალობას, როგორც შემაჯამებელს ამ რიგში, შეესაბამებოდეს უფრო მგრძნობიარე ბიბლიური საგალობელი. შენიშნულია ისიც, რომ სასიხარულო ინტონაციის შემცველ გალობებს უკავიათ კენტი ადგილები, სამგლოვიარო განწყობისას — ლუნი, გარდა VII-სი და VIII-სი, რადგან ამ პრინციპის დასაცავად მოუხდებოდათ გალობის ბოლო ნაწილი გადაეტანათ დასაწყისში (არქ. კიპრიანე, დასახ. ნიგნი, გვ. 32).

* რომელი ხელნაწერებია ამ ლიტერებით აღნიშნული იხ. აქვე, გვ. 115.

ცხადყო, რომ პარიზულ ხელნაწერში სამივე თარგმანის ბიბლიური ჩასართავეები გიორგი ათონელისეული რედაქციისაა. აქედან კი ის დასკვნაც გამომდინარეობს, რომ ექვთიმესეული თარგმანი „დიდი კანონისა“ (პარიზული ნუსხა) რედაქტირებულია. თუმცა აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ წინაათონური* და გიორგისეული რედაქციები ბიბლიური გალობებისა ერთმანეთთან მიმართებაში დიდ სხვაობებს არც უჩვენებენ.

მოვიტან ორიოდ მაგალითს ზემოთ მოტანილი დასკვნის საილუსტრაციოდ. I გალობის IV ტროპარს ერთვის მოსეს გალობის III მუხლი. სურათი ასეთია:

წინაათონური რედაქცია	„დიდი კანონის“ ექვთიმესეული თარგმანი	გიორგი ათონელისეული რედაქცია
უფალი არს, რომელმან შემუსრნის ბრძოლანი, უფალ არს სახელი მისი.	უფალმან შემუსრნა ბრძოლანი, უფალ არს სახელი მისი.	უფალმან შემუსრნა ბრძოლანი, უფალი არს სახელი მისი.
I გალობის V ტროპარის ბიბლიური დანართი:		
ეტლები ფარაოჲსი და ყოველი ერჲ შთასთხია ზღუსა.	ეტლები ფარაოჲსი და ყოველი ძალი შთასთხია ზღუსა.	ეტლები ფარაოჲსი და ყოველი ძალი შთასთხია ზღუსა.
I გალობის VI ტროპარის ბიბლიური დანართი		
რჩეული მჴედრები მთავართაჲ მათ დაანთქა ზღუსა მას მენამულსა.	რჩეული მჴედრები სამ-მდგომთაჲ მათ დაანთქა ზღუსა მას მენამულსა.	რჩეული მჴედრები სამ-მდგომთაჲ მათ დაანთქა ზღუსა მენამულსა.
I გალობის VII ტროპარის დანართი		
ზღუამან დაჴფარნა იგინი, დაჴდეს და დაიძირნეს სიღრმენი მას უფსკრულთასა ვითარცა ლოდნი.	ზღუამან დაფარნა იგინი და დაჴდეს სიღრმესა მას ვითარცა ლოდნი.	ზღუამან დაფარნა იგინი და დაჴდეს სიღრმესა მას ვითარცა ლოდნი.
I გალობის VIII ტროპარის ბიბლიური დანართი		
სულისა მისგან ძლიერებისა გულისწყრომისა შენისაჲსა განიპნეს წყალნი. აღზღუდნეს და დადგეს ვითარცა ზღუდენი წყალნი ზღვისანი, შეჴყინდეს და აზღუდნეს ლეღვანი შუვა ზღუსა.	და სულისაგან გულისწყრომისა შენისა განიპნეს წყალნი, შეჴყინდეს და ლელვანიცა იგი შუვა ზღუსა.**	და სულისაგან გულისწყრომისა შენისა განიპნეს წყალნი, შეჴყინდეს ვითარცა ზღუდენი წყალნი, შეჴყინდეს და ლელვანიცა იგი შუვა ზღუსა.

ბიბლიურ გალობათა მუხლების გადანაწილებისას რაიმე კანონზომიერება არ იკვეთება. ავტორი მიჰყვება ტექსტს და მუხლებს თანმიმდევრულად განალაგებს გალობის ყოველი ტროპარის დასაწყისში.

კანონის თანახმად, ბიბლიური გალობის ტექსტი უნდა გადანაწილდეს მთელს გალობაზე. როცა გიორგი ათონელის წინაშე დადგა ამოცანა სრულად გადმოელო ბერძნული ტექსტი (დედანი) და, ამასთანავე, არ გამოეტოვებინა ექვთიმე ათონელის მიერ არც ერთი შემატებული ტროპარი, როგორც თვითონვე გიორგი ათონელი აღნიშნავს თავის ანდერძში, „უმრავლესი ძალი (შინაარსობრივი ერთეული, ტროპარი) შემოვიდა და უმრავლესი დასდებული ფსალმუნთა (გალობათა) შინა და საჭირო იქმნა მუჴლთა წურილადრე დაჭრაჲ“. მართლაც, „დიდი

* ფსალმუნთა მზექალა შანიძისეულ გამოცემაში (თბ. 1960) გამოყოფილია 3 რედაქცია ქართული ფსალმუნისა: ორი ძველი, ათონამდელი და გიორგი მთაწმიდლისეული. შესაბამისად, ზედ დართული ბიბლიური გალობებიც (იხ. იქვე, გვ. 411-445) სამივე რედაქციითაა წარმოდგენილი: წინაათონური (2) და გიორგისეული.

** როგორც ზემოთ აღვნიშნე, სინ. 5-სა და სინ. 75-ში ბიბლიურ გალობათა მხოლოდ დასაწყისი სიტყვებია კიდევ მიწერილი. ამიტომ, ბუნებრივია, ჭირს მათი რედაქციული რაობის განსაზღვრა, თუმცა აქა-იქ მაინც ჩნდება ისეთი იკითხვისები, რომლებიც გვაფიქრებინებს, რომ ეს ხელნაწერები წინაათონურ რედაქციას ეყრდნობა, როგორც ეს იყო კიდევ მოსალოდნელი. ერთ კონკრეტულ შემთხვევაში სწორედ ასეა: კიდევ იკითხება „აზღუდნეს“, რასაც წინაათონურ რედაქციასთან მივყავართ.

კანონის“ ზოგიერთ გალობაში ტროპარებს გიორგი ათონელი მხოლოდ ბიბლიური გალობის უმცირეს ფრაგმენტს (ერთ ან ორ სიტყვას) დაურთავს. მაგალითისთვის VI გალობის რამდენიმე დასდებლის ბიბლიურ თავსართავს მოვიტან:

2, VI, 23 „შთავჴედ მე ქუეყანად“

VI, 24 „რომელსა მოქლონნი მისნი“

VI, 25 „ვითარცა კლიტენი საუკუნენი“

VI, 29 „უფალი მოვიჴსენე“ და სხვ.

და მაინც, რას ემსახურებოდა კანონის გალობათა დაკავშირება ბიბლიურ გალობებთან და, შესაბამისად, ბიბლიური დანართების წამძღვარება ყოველი ტროპარისათვის? ამ ტრადიციას ძალიან ღრმა საფუძველი აქვს. ცნობილია, რომ ალექსანდრიულმა საღვთისმეტყველო სკოლამ შეიმუშავა ბიბლიის ალეგორიული კომენტარების პრინციპები, მეთოდი, რომლის თანახმადაც ბიბლიურ თხრობაში გამოიყოფოდა სამი ასპექტი: სომატური, ფსიქიკური და პნევმატური. „ძველი აღთქმის ლამის ყოველი ეპიზოდი — შენიშნავს ს. ავერინცევი, განიხილებოდა როგორც ქრისტეს მიწიერი ცხოვრების ალეგორია (მომასწავებელი მისი ნაბიჯებისა), ხოლო ქრისტეს ამქვეყნიურ, ცხოვრებისეულ მოვლენებს, თავის მხრივ, შეეძლო გარდათქმით მიენიშნებინა ქრისტიანული სულის შინაგან გზათა პერიპეტიკებზე“.¹

აქედან გამომდინარე, კანონის სტრუქტურა გულისხმობს, რომ მისი ცხრავე გალობა უნდა მიემართებოდეს ერთ რომელიმე ბიბლიურ თემას, ფაქტს. მაგალითად, შობის საგალობლის პირველი გალობა შობის თემას მოიაზრებს მენამული ზღვის გადალახვის მოდუსში (მოსეს პირველი გალობის ჭრილში). „მოვლენა, ქმედება აღარ წარმოადგენს მოვლენას, არამედ გადაიქცევა ერთი და იმავე, ყოველთვის ერთი და იმავე აზრის მატარებელ მოდუსად“.²

გამოთქმულია მოსაზრება, რომ „კანონს მაშინ აქვს იდეალური სახე, როცა ბიბლიური საგალობლის თემა გატარებულია არა მხოლოდ მოცემული გალობის ირმოსში, რომელიც აგრეთვე ბიბლიური გალობიდანაა ამოზრდილი, არამედ ყველა მის ტროპარში, მაგრამ სამართლიანად შენიშნავენ იმასაც, რომ „ეს თითქმის შეუძლებელია“.³

ამ თვალსაზრისით „დიდი კანონის“ ქართულ თარგმანებზე დაკვირვება სურათს არ ცვლის, ბიბლიურ გალობათა ტექსტებისა და „დიდი კანონის“ ტროპართა შინაარსობრივი თანხვედრა ნაკლებად შეინიშნება (გამონაკლისია II ბიბლიური გალობისა და „დიდი კანონის“ II გალობის I ტროპარის სიტყვასიტყვითი დამთხვევა), თუმცა, დავესესხები არქიმანდრიტ კიპრიანეს და დავსძენ: „შემოქმედის კალამი მუდამ ბიბლიური საგალობლის წიაღში ტრიალებს“.⁴

დასკვნა ასეთია: „კანონის“ გამარჯვება კონდაკზე — ესაა „ალექსანდრიული“ ტენდენციის გამარჯვება „ანტიოქიურ“ ტენდენციაზე.⁵

რა შეიძლება ითქვას „დიდი კანონის“ გალობებს წამძღვარებულ ძლისპირებზე? ძველი ქართული თარგმანები რას მატებენ ახალს საკითხის შესწავლის ისტორიას?

„უძველესი იადგარის“ მეცნიერულმა შესწავლამ გამოკვეთა ლიტურგიკული პოეზიის წარმოშობისა და ჩამოყალიბების ეტაპები. ამ იადგარმა, რომლის უშუალო ბერძნული მოდელი არ ჩანს და „არც არის იმედი იმისა, რომ გამოჩნდება“,⁶ შემოგვინახა კანონის ადრეული სახეც და მისი განვითარების შემდგომი საფეხურების სურათიც.

1 Аверинцев С. С. Поэтика ранневизантийской литературы, М. 1977, с. 96.

2 იქვე, გვ. 103-104.

3 კერნი, დასახ. წიგნი, გვ. 33.

4 იქვე.

5 Аверинцев С. С., დასახ. წიგნი, გვ. 104.

6 მეტრეველი ელ., უძველესი იადგარი, გვ. 828.

თავდაპირველად პოეტური ტროპარები, ინდივიდუალური შემოქმედების ნიმუშები, ფსალმუნებსა და ბიბლიურ გალობებს ერთვოდა. ამას ადასტურებს აღნიშნული სტროფების როგორც ბერძნული, ისე ქართული ტერმინებიც: ტროპარი და დასდებელი.

მიიჩნევენ, რომ τροπάριον (ტროპარი) წარმოიშვა ბერძნული სიტყვიდან τροπαία, რაც გამარჯვების ნიშანს აღნიშნავს. თუ სიტყვის ამ სემანტიკას დავეყრდნობით, ტროპარი უნდა გულისხმობდეს ან მარტვილის გამარჯვებას წარმართობაზე, ან წმინდანის მიერ ვნებების დამარცხებას, ან თვით მაცხოვრის მიერ სიკვდილის დათრგუნვას.¹ სხვა თვალსაზრისის თანახმად, ტერმინი „ტროპარი“ მომდინარეობს სიტყვისგან τρῶπις (მაგალითი, ნიმუში). ელინებთანაც სიმღერის წესი, წყობა, რომლითაც სრულდებოდა ესა თუ ის სიმღერა, აღნიშნებოდა სიტყვით τροπός; ძველ კილოებსაც (ლიდიურს, მიქსოლიდიურს, ჰიპოლიდიურს, ფრიგიულს...) ეწოდებოდათ ტროპები.²

არსებობს ასეთი განმარტებაც: ტროპარი მიბრუნებას ნიშნავს. თუკი ირმოსი არის ტროპართა მელოდიის ნიმუში და გალობათა მაკავშირებელი, მაშინ ტროპარი უპირველესად მოიაზრება ირმოსთან მიმართებაში და მისკენ მიბრუნებას გულისხმობს. მაგრამ ამ გაგებას დაუპირისპირეს მოსაზრება: ეს ვარაუდი სწორი იქნებოდა, თუ ტროპარები და ირმოსები ერთდროულად აღმოცენდებოდნენ, სინამდვილეში ტროპარები ირმოსისაგან სრულიად დამოუკიდებლად და, რაც მთავარია, მასზე ადრეა წარმოშობილი. ჩვენი აზრით, ეს ხელს არ უნდა უშლიდეს აღნიშნულ ინტერპრეტაციას ტროპარისას. ბერძნული სემანტიკა ტროპარისა (მიბრუნება) მაინცადამაინც ირმოსისკენ მიბრუნებას კი არ უნდა აღნიშნავდეს, არამედ — მიბრუნებას ბიბლიური საგალობლისა თუ ფსალმუნისაკენ. ხომ ცნობილია, რომ „ქრისტიანული პოეზიის ჩასახვისთანავე ლიტურგიის ერთ-ერთი უმთავრესი თავისებურება ფსალმუნებისა და გალობების ტრადიციულ ებრაულ საგანძურთან კავშირის შენარჩუნება იყო, ხოლო ახალი ჰიმნები იმ ნიმუშების მიხედვით იქმნებოდა, რომელთაც ქრისტიანული მრევლი უკვე იცნობდა ებრაული რიტუალიდან“³.

ასე რომ, ტროპარის, როგორც ტერმინის სამივე ინტერპრეტაციას თავისი ლოგიკური საფუძველი აქვს.

რაც შეეხება ქართულ ტერმინს — დასდებელს, როგორც კ. კეკელიძე განმარტავს, ღვთისმსახურებაში შესასრულებელ ფსალმუნებს ჰიმნოგრაფიის აღმოცენების შემდეგ დაუწყეს მიმატება, ანუ მიდება (აქედან: დასდებელი) სხვადასხვა საგალობლისა.⁴ ფსალმუნით განისაზღვრებოდა მასთან შეწყობილი პოეტური ტექსტი. უნდა ვიგულისხმოთ, რომ დასდებლები არა მხოლოდ თემატურად, იდეურად იყვნენ დაკავშირებული ბიბლიურ გალობასთან თუ ფსალმუნთან, არამედ ინტონაციურადაც, მელოდიურადაც. ნიშანდობლივი ისიცაა, რომ უძლისპირო გალობათა ტროპარები, ბიბლიურ გალობათა მუხლებისგან განსხვავებით, ერთმანეთის მიმართ იდენტური მოცულობისა არ არიან, არც მკვეთრად განსაზღვრულ რიტმულ თუ მეტრულ ჩარჩოებში არიან მოქცეულნი. ბიბლიურ გალობათა მუხლებსაც და საგალობლის მუხლებსაც ერთნაირად ახასიათებთ პროზაული წყობა, ასიმეტრიულობა, პოეტური რაობის განმსაზღვრელად კი მხატვრული მეტყველების სულ სხვა კომპონენტები გვევლინება.

შემდგომ ეტაპზე, როცა ეს ტროპარები გამოეყო ბიბლიურ გალობებს, როცა ჩამოყალიბდნენ დამოუკიდებელი სტიქარონები, ჰიმნოგრაფიული კანონის განმსაზღვრელ ბიბლიურ გალობებს ისინი პირველი ტროპარების მეშვეობით დაუკავშირდნენ. სწორედ ამ ეტაპზე

1 არქიმანდრიტი კიპრიანე (კერნი), დასახ. წიგნი, გვ. 20.

2 იქვე, გვ. 21.

3 Wellesz E., A History of Byzantine Music and Hymnography, Oxford, 1980, p. 146.

4 კეკელიძე კ., ქართული ლიტურატიურის ისტორია, ტ. I, თბ. 1960, გვ. 590.

უნდა ხდებოდეს მათი ირმოსებად (ძლისპირებად) ჩამოყალიბება. აღნიშნულ დანიშნულებაზე მიუთითებს მისი ნომენკლატურული დეფინიციაც: εἰρηός (ირმოსი) ნიშნავს რიგს, კავშირს, მაკავშირებელს. ირმოსი ტროპარებისა და ბიბლიური საგალობლების დამაკავშირებელია. მართლაც, ესაა მისი თავდაპირველი ფუნქცია. აკად. ელ. მეტრეველის განმარტებული დასკვნით, „მაკავშირებელი პირველი ტროპარი ბიბლიური გალობის ტექსტს წარმოადგენდა, რაც განსაზღვრავდა მთელი კომპოზიციის განწყობილებასა და შინაარსს. ბიბლიური ოდების დასაწყისები კანონის ოდების სახელწოდებათა სახით შემოგვინახა კანონმა, ხოლო მაკავშირებელ ტროპარად ანუ ირმოსად იქცა ოდის ან გალობის I ტროპარი, რომელიც შინაარსობრივად ეხმაურებოდა იმ ბიბლიურ ოდას, რომლის სახელწოდებასაც ატარებდა კანონის გალობა“¹.

ქართული ტერმინი ძლისპირი კი ორი სიტყვისაგან შედგება: ძალი და პირი. პირი აღნიშნავს დასაწყისს, ძლის←ძალის კი — სიმს (ხუთძალი, ათძალი, ე. ი. ხუთსიმამანი, ათსიმამანი საკრავი).² ძნობა||ძლობა ჟღერადობაა, ე. ი. ძლისპირი საწყისი, პირველი ტონის მიმცემი მოდელია.

აშკარაა, რომ ჰიმნოგრაფიის განვითარების შემდგომ ეტაპზე ძლისპირი (ირმოსი) არა მხოლოდ თემატური მაკავშირებელია საგალობლის ტექსტისა ბიბლიურ გალობებთან, არამედ რიტმულ-მელოდიური მოდელიცაა, საგალობლის მელოდიური სტრუქტურის განმსაზღვრელიცაა, შეიძლება ითქვას, რომ ერთგვარად იჩრდილება კიდევ მისი თავდაპირველი ფუნქცია როგორც საგალობლის ტექსტის ბიბლიურ გალობასთან თემატურ-იდუური მაკავშირებლისა. ამ ეჭვს აძლიერებს თუნდაც ზოგი ძლისპირის საგრძნობი შინაარსობრივი დაცილება შესაბამისი ბიბლიური გალობებისგან.

„დიდი კანონის“ ძლისპირთა შესახებ ერთმანეთისგან განსხვავებული მოსაზრებებია გამოთქმული: არქიმანდრიტი კიპრიანე შენიშნავს, — ირმოსი, ჩანს, თვით წმ. ანდრიას გამოგონილიაო.³ ვხვდებით ასეთ მოსაზრებასაც: „დიდი კანონი“ წმ. ანდრია კრიტელისა შედგებოდა არასისტემატიზებული ტროპარებისაგან და ანდრიას სიცოცხლეში მათ სახელწოდებაც კი არ ჰქონდათ. მწყობრ სისტემაში ტროპარები მოაქცია წმ. იოანე დამასკელმა. მანვე დაწერა ირმოსები კანონისათვის.⁴ ამდენად, ძალიან საინტერესოა გათვალისწინება „დიდი კანონის“ ქართული თარგმანების მონაცემებისაც.

ჩვენი დაკვირვების ობიექტი, ბუნებრივია, პირველ რიგში „დიდი კანონის“ არსენისეული თარგმანია, რადგან ის ბერძნულ ტრადიციაში დამკვიდრებული ტექსტის სრული ანალოგია. მასში შესულია ტექსტის ყველა კომპონენტი: ძლისპირები, ტროპარები, ბიბლიური ჩანართები და სხვ.

თავიდანვე შევნიშნავთ, რომ „დიდი კანონის“ სამივე ქართული თარგმანიდან მხოლოდ არსენისეულ თარგმანშია ცხრავე გალობის ძლისპირი წარმოდგენილი სრულად (განსხვავებით ექვთიმე და გიორგი ათონელების თარგმანთაგან, სადაც ძლისპირთა მხოლოდ დასაწყისი სიტყვებია მითითებული). ამასთანავე, ექვთიმემ და გიორგიმ, როგორც ვიცით, შეცვალეს დედნისეული ძლისპირები, მათ გამოიყენეს ქართულ ლიტურგიკულ პრაქტიკაში უკვე ადაპტირებული ძლისპირები, რომლებიც შესულია ბერძნული ირმოლოგიონის ერთ-ერთ ადრეულ ქართულ თარგმანში — A-603, რომელიც ჩვენამდე X ს. დამლევისა და XI ს. დასაწყისის ხელნერთაა მოღწეული.

აშკარაა, არსენ იყალთოელს თავადვე გადმოუღია „დიდი კანონის“ ირმოსები და წაუმძღ-

1 მეტრეველი ე., ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი, თბ. 1971, გვ. 37.

2 კეკელიძე კ., ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. XIV, თბ. 1986, გვ. 215.

3 არქიმანდრიტი კიპრიანე (კერნი), დასახ. წიგნი, გვ. 37.

4 Талин В., Святой Андрей, пастырь критский и его Великий покаянный канон, ЖМП, 1968, №2.

ვარებია ისინი შესაბამისი გალობათათვის. არსებითია ისიც, რომ არსენისეული თარგმანის ქართულ ხელნაწერებში (ABC) ძლისპირებს ახლავს რიტმული პუნქტუაციის ნიშნები, რომელთა შესაბამისი კანონზომიერება კიდევ არის დაცული საგალობელთა შემცველ სამივე ნუსხაში. გამოთქმულია საფუძვლიანი მოსაზრება, რომ „დიდი კანონის“ ძლისპირები, როგორც ერთიანი ციკლი, მხოლოდ „დიდი კანონის“ არსენისეული თარგმანის კუთვნილებათა.¹ ის შესულია XIII ს. შედგენილ ქართულ ძლისპირთა კრებულში (A-85).² ბუნებრივია, ძლისპირთა ამ აკოლუთიას შესაბამისი ადგილი უკავია ევსტრადიადისის ძლისპირთა კრებულშიც.³

არსენ იყალთოელის მიერ თარგმნილი „დიდი კანონის“ პირველი გალობის ძლისპირი, ბუნებრივია, ეფუძნება პირველი გალობის (უგალობდითას) ტექსტს.

გალობაჲ მოსესი, გამოსლვათა	ძლისპირი
1. უგალობდეთ უფალსა, რამეთუ დიდებით დიდებულ არს. 2. შემნე და მფარველ-მეყო მე მცხნელად; ესე არს ღმერთი ჩემი, ვადიდო ესე, ღმერთი მამისა ჩემისაჲ და აღვამაღლო ესე.	შემნე და მცხნელ და მფარველ-მეყო მაცხოვარებად ჩემდა ესე ღმერთი ჩემი და ვადიდო იგი, ღმერთი მამისა ჩემისაჲ, და აღვამაღლო, რამეთუ დიდებით დიდებულ არს. (არსენისეული თარგმანი)

სურათი ნათელია: „დიდი კანონის“ I გალობის (უგალობდითას) ძლისპირი თითქმის იმეორებს ბიბლიური გალობის ტექსტს, ძლისპირი ამოზრდილია მოსეს გალობის თემატურ-იდეური შინაარსიდან. თუმცა „დიდი კანონის“ I გალობის სხვა ტროპარებში ეს კავშირი ნაკლებად იგრძნობა, — მოსეს საგალობელი ღმრთის სადიდებელია, ანდრია კრიტელი სინანულის გალობას წარმოთქვამს. ღვთის განმადიდებელი განწყობილება „დიდი კანონის“ დამამთავრებელ „სამებისანსა“ და „ღვთისმშობლისანში“ გამოიხატება. გავიხსენოთ ისიც, რომ I გალობას (ისევე, როგორც დანარჩენ გალობებს) თავიდან ბოლომდე გასდევს ბიბლიური გალობის მუხლები და ნახევარმუხლები, სადაც ღმრთისადმი მადლიერების გრძნობაა გამოხატული.

აქვე აღვნიშნავ, რომ მოსეს გალობა 19 მუხლისგან შედგება, „დიდი კანონის“ ეს გალობა კი 22 ტროპარს შეიცავს.

როგორია ექვთიმე და გიორგი ათონელების ძლისპირთა შესაბამისობა ბიბლიურ გალობასთან? ეს ძლისპირებია:

ექვთიმე ათონელისეული თარგმანის ძლისპირი	გიორგი ათონელისეული თარგმანის ძლისპირი
რომელმან წამისყოფით შეკრიბნა წყალნი შესაკრებელსა ერთსა, მან განუპო მენამული ზღუაჲ ერსა ისრაელისასა, ესე არს ღმერთი ჩუენი დიდებული, და ქებული, მას მხოლოსა უგალობთ, რომელიცა დიდებულ არს. (ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი, 119)	ზღუაჲ მენამული კუერთხმან განაპო და განწყეს სიღრმენი და უფსკრულნი იქმნეს გზა უჭურველთა, და შეჭურვილთა მათ საფლავ, არა დამარხველ გუამთა. გალობით უგალობდეთ, რამეთუ დიდებით დიდებულ არს ქრისტე, ღმერთი ჩუენი ცხოველი (268)

1 მანაგაძე ხ., წმ. ანდრია კრიტელის „სინანულის კანონი“ და მისი ქართული ძლისპირები (Q.680 ხელნაწერის მიხედვით). ავტორეფერატი, თბ. 2006, გვ. 18.

2 ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი, ორი ძველი რედაქცია X-XI სს. ხელნაწერების მიხედვით გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ელენე მეტრეველმა, თბ. 1971, გვ. 066.

3 იქვე, გვ. 234-245.

აშკარაა, რომ ბერძნულ ტექსტს წამძღვარებული ძლისპირი, რომელიც გადმოღებული აქვს არსენ იყალთოელს, ლამის სიტყვასიტყვით იმეორებს ბიბლიურ წყაროს. ექვთიმე და გიორგი ათონელების თარგმანთა ძლისპირებიც ბიბლიურ საგალობელს ეხმიანება, თუმცა იფარგლება თემატურ კვანძზე მინიშნებით, აღბეჭდილია მოსეს გალობის დიდებისმეტყველებითი პათოსიც.

დიდი კანონის II გალობა (მოიხილესა) ორ ნაწილადაა გაყოფილი და, შესაბამისად, ორი ძლისპირი აქვს. ორივე უკავშირდება მოსეს გალობას (მეორე შჯ. 32, 1-32,43), რომელიც დიდმა წინასწარმეტყველმა ღვთის ბრძანებით წარმოთქვა, როცა ებრაელმა ხალხმა მერყეობა დაიწყო რწმენაში. საგალობელი მამხილებელი ხასიათისაა. თუ ყველა დანარჩენი ბიბლიური გალობა ღმერთს განადიდებს, ეს საგალობელი ცალკე დგას, როგორც კაცთა მოდგმის გამომაფხიზლებელი და მონანიებისკენ მომწოდებელი.

II გალობის ორივე ძლისპირი (ძირითადი და „სხუაჲ ძლისპირი“) მეორე ბიბლიურ საგალობელთანაა დაკავშირებული. პირველი (ძირითადი) ძლისპირის დასაწყისი იმეორებს მოსეს გალობის პირველ ფრაზას: „მოიხილე ცაო, და ვიტყოდი“ (მეორე სჯ. 32,1) და მთავრდება ახალი აღთქმისეული ფრაზით: „ვაქებდე ქრისტესა, ქალწულისაგან მოსრულსა ჩუენდა“. „სხვაჲ ძლისპირის“ დასაწყისიც გამეორებაა ბიბლიური საგალობლის 39-ე მუხლის დასაწყისისა:

„იხილეთ, იხილეთ, რამეთუ მე ვარ, და არა არს სხუაჲ ღმერთი ჩემსა გარეშე“ (მეორე შჯ. 32, 39).	ძლისპირი „იხილეთ, იხილეთ რამეთუ მე ვარ ღმერთი“.*
---	---

არსენ იყალთოელს ზუსტად აქვს გადმოღებული ორივე ძლისპირი, რომლებიც კიდევ განსაზღვრავენ ამ გალობის რიტმულ სტრუქტურას.

ექვთიმე ათნელისეული თარგმანის II გალობას ძლისპირის დასაწყისი სიტყვები აქვს წამძღვარებული: „ჴმა ყყავ შენდამი“ (AB-ში კი ვკითხულობთ: „ჴმა ყავ შენ, ამას ზედა: რამეთუ ნათესავი“...). „ნევმირებულ ძლისპირში“ (A-603) აღნიშნული ძლისპირი შესულია, როგორც VI გალობის (ღაღატყავსას) ძლისპირი, თუმცა რიტმული მოდელი აბსოლუტურად იდენტურია ჩვენი ტექსტის რიტმული ქსოვილისა:

ჴმა-ყყა[ვ] შენდამი (5) დამძიმებულმან ტვრთითა ცოდვათა ჩემთაჲთა (14) შეისმინე ჩემი (16) და წყალობა-ყავ, მაცხოვარო (9) (ნევმირებული ძლისპირი, გვ. 289).	მოიხილე დღეს (5) ცაო, და ვიტყოდი და უგალობდე ქრისტესა (13) მაცხოვარსა ჩემსა (6) მხოლოსა მრავალმონყაღესა (9) (ექვთიმესეული თარგმანი, II, 1).
--	---

„სხუაჲ ძლისპირი“ — „უხილავო მხილველო“ შეტანილია „ნევმირებულ ძლისპირში“, მისი რიტმული მოდელიც იდენტურია ექვთიმესეული ტექსტის რიტმული აღნაგობისა, რაც შეეხება მოსეს II გალობასთან შინაარსობრივ თანხვედრებს, ასეთი რამ არ დასტურდება.

რა ვითარებაა გიორგი ათონელისეულ თარგმანში?

II გალობის პირველი ძლისპირი („შენ ეჩუენე“) არ იძებნება არც „ნევმირებულ ძლისპირში“

* ამ ბიბლიური სიტყვებით იწყება შესაბამისი გალობის I ტროპარიც.

ში“, არც კრებულში „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“, „სხუაჲ ძლისპირი“ კი („რომელმან განვლო ზღუჲ მენმული“) შეტანილია „ნევმირებულ ძლისპირნი“, მეორე ხმის VI გალობის (ღალადყავსას) ძლისპირად, თუმცა რიტმული სტრუქტურა არ შეესატყვისება ჩვენი ტექსტის რიტმულ აღნაგობას.

III გალობას (განძლიერდითსა) დაკავშირებულია ბიბლიური ანას საგალობელთან (1 მეფ. 2, 1-2, 10), რომელსაც წარმოთქვამს სამოელის დედა უფლის მიმართ უსაზღვრო მადლიერების გამოსახატავად, ღმრთის განსადიდებლად, რადგან მან ისმინა ქალის ვედრება და მისცა შვილი, რომელიც წინასწარმეტყველი შეიქნა.

III გალობასაც ორი ძლისპირი აქვს. ორივე ძლისპირი ბერძნული ტექსტისა, რომელიც ნათარგმნი აქვს არსენ იყალთოელს, ეხმიანება ანას გალობას.

I ძლისპირი:	ანნას გალობა:
შეურყეველსა ზედა კლდესა ბრძანებითა შენ- თასა დაამტკიცე, ქრისტე, გული ჩემი.	განძლიერდა გული ჩემი უფლისა მიერ, და ამ- აღლდა რქაჲ ჩემი მტერთა ჩემთა, განვიხარე მე მაცხოვარებითა შენითა (1 მეფ. 2, 1).
II სხუაჲ ძლისპირი: დაამტკიცე, უფალო, კლდესა ზედა მცნებათა შენთასა შერყეული გონებაჲ ჩემი, რამეთუ მხ- ოლოჲ ძლიერ და მართალ და წმიდა ხარ.	რამეთუ არავინ არს წმიდა , ვითარ უფალი და არავინ არს წმიდა შენსა გარეშე; და არავინ არს მართალ ღმრთისა ჩუენისაებრ (1 მეფ. 2, 2).

„დიდი კანონის“ III გალობას თავიდან ბოლომდე გასდევს ანნას საგალობლის ტექსტი. ეს ძლისპირები არ არის შეტანილი „ნევმირებულ ძლისპირნი“.

ექვთიმე ათონელისეულ თარგმანში სხუაჲ ძლისპირი“ არ არის გამოყოფილი, პირველი ძლისპირი კი („ეჰა, ბერწო სულო ჩემო“), რომელიც შეტანილია „ნევმირებულ ძლისპირნი“, ამოზრდილია ანნას საგალობლიდან. აი, ეს ტექსტი:

„ეჰა, ბერწო სულო ჩემო
და ნაყოფთაგან ცუდო,
აღყუავენ ღმრთისა მიერ
და ნაყოფიერ ესრთ ღალადებდ:
**არაჲ ვინ არს წმიდაჲ,
არაჲ ვინ არს მართალ
შენებრ, უფალო.**
(„ნევმირებული ძლისპირნი“, გვ. 273).

გიორგი ათონელისეულ თარგმანშიც „სხუაჲ ძლისპირი“ არ არის გამოყოფილი, თუმცა ტექსტი ნათარგმნია და შეზრდილია წინა გალობას, რაც ეხება პირველ ძლისპირს („სამებაო წმიდაო...), ისიც არ იძებნება „ნევმირებულ ძლისპირნი“, უფრო სწორედ, ასეთი დასაწყისის ძლისპირი IV ხმის (კურთხეულ არსა) რეპერტუარშია შეტანილი, მაგრამ რიტმული მოდელი ჩვენი ტექსტისგან სრულიად განსხვავებულია.

IV ბიბლიურ გალობას (მესმასა) ამბაკუმ წინასწარმეტყველი წარმოთქვამს (ამბაკ. 3, 2-3, 19). ამბაკუმი ესაია წინასწარმეტყველის შემდეგ ყველაზე დიდ ევანგელისტადაა მიჩნეული.¹

¹ Толковая Библия или комментарий на все книги св. Писания Ветхого и Нового Заветов, Второе издание, Институт перевода Библии, Стокгольм, 1987, т. VII, с. 305.

მართლმადიდებლური ტრადიცია ამბაკუმის წიგნში ხედავს ცხად მოსწავებას ქრისტე მაცხოვრის მოსვლისა. ამ გალობას ფორმისა და შინაარსის საოცარი ჰარმონიულობით, სიცხადითა და გამომსახველობით გამორჩეულ ადგილს მიაკუთვნებენ ბიბლიურ ჰიმნოგრაფიაში.¹

„დიდი კანონის“ IV გალობის ძლისპირი ამბაკუმ წინასწარმეტყველის ამ გალობას ეფუძნება, სამივე ქართველი მთარგმნელის შესაბამისი ძლისპირები აღნიშნულ მოდუსზეა აგებული.

არსენ იყალთოელს ზედმინევნით უთარგმნია ორიგინალის შესაბამისი ძლისპირი და სრულად დაურთავს ტექსტისთვის. მასში ბიბლიური გალობის ციტატაცაა ჩართული.

არსენისეული თარგმანი:	ბიბლიური გალობა ამბაკუმისა:
ესმა წინასწარმეტყველსა სმენაჲ მოსლვისა შენისა და შეეშინა, ვითარმედ შობად ხარ ქალწულისაგან და სახილველ კაცთა მიერ და ჴმობდა: „უფალო, მესმა სმენაჲ შენი და შემეშინა, დიდებაჲ ძალსა შენსა“.	უფალო, მესმა სმენაჲ შენი და შემეშინა.

ეს ძლისპირიც „ნევმირებულ ძლისპირნში“ არ გვხვდება.

ექვთიმე ათონელის მიერ თარგმნილ IV გალობას წამძღვარებული აქვს ძლისპირი: უფალო, მესმა მოსლვისა შენისა... მისი სრული ტექსტი ვერ აღვადგინე, რადგან ამ ძლისპირის სხვადასხვა ვარიანტია შესული როგორც „ნევმირებულ ძლისპირნში“, ისე „ძლისპირნისა და ღმრთისმშობლისანის“ ელ. მეტრეველისეულ გამოცემაში, მაგრამ არც ერთის რიტმული სტრუქტურა არ ემთხვევა ექვთიმეს თარგმნილი „მესმასა“ რიტმულ ქსოვილს.

გიორგი ათონელის ძლისპირის დასაწყისიც, რომელიც უძღვის IV გალობას, ამბაკუმის გალობას ეხმიანება: „რაჟამს წინასწარმეტყუელმან იხილა რაჲ და“... მაგრამ სრული ტექსტის აღდგენა აქაც ვერ შევძელი, რადგან ზემოხსენებულ ძლისპირთა კრებულებში ამ ძლისპირების განსხვავებული ვარიაციებია, განსხვავებული რიტმული მოდელებია.

ბიბლიური V გალობა (ლამითგანსა) ესაია წინასწარმეტყველს ეკუთვნის, მასში განდიდებულია გზანი უფლისა, სამართალი ღმრთისა. წინასწარმეტყველებია მკვდრეთით აღდგომა, ნაქადაგებია მშვიდობა. ესაია წინასწარმეტყველის საგალობლის ენას გამოარჩევენ განსაკუთრებული დახვეწილობითა და სისადავით. ესაიას წინასწარმეტყველთა მეფედ სახავენ.²

ესაიას გალობა 11 მუხლისგან შედგება. ამ საგალობლითაა შთაგონებული „დიდი კანონის“ V გალობა — „ლამითგანსა“. ძლისპირიც აღნიშნული გალობიდანაა ამოზრდილი, თუმცა მასში ფსალმუნთა ფრაზეოლოგიასთან გადაძახილიც იგრძნობა.

არსენ იყალთოელს ძლისპირის ტექსტი შესაბამისობაშია ბერძნულ ტექსტთან, ოღონდ მასში არსენს ჩაუმატებია ერთი სიტყვა — მოქენე³ (მავედრებელი, მახვეწარი), რასაც მეტი ემოციურობით დაუტვირთავს ტექსტი.

¹ იქვე, გვ. 306.

² Толковая Библия, т. 5, с. 238.

³ ილია აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ ამ სიტყვის სემანტიკაში გამოყოფილია კიდევ ერთი შინაარსობრივი ასპექტი — ნაკლულევანი.

არსენისეული ძლისპირი: ლამითგან აღვიმსთოზ შენდა, კაცთმოყუარე, განმანათლე მოქენე და მიძლოდე მე, ტკბილო, მცნებათა შინა შენთა და მასწავე, მაცხოვარ, ქმნაჲ ნებისა შენისაჲ.	ესაიას გალობა: ლამითგან აღიმსთოზს სული ჩემი შენდამი, ღმერთო, რამეთუ ნათელ [არიან] ბრძანებანი შენნი ქუეყანასა ზედა, ისწავეთ სიმაღლელ მკჳდრთა ქუეყანისათა. (ესაია 26, 9)
---	---

„ნევმირებულ ძლისპირნში“ არც ეს ძლისპირია.

ექვთიმე ათონელისეული თარგმანის V გალობას წამძღვარებული აქვს ძლისპირის მხოლოდ დასაწყისი სიტყვები: „ქუეყანასა ზედა უხილაო“. ეს ძლისპირი შეტანილია „ძლისპირნისა და ღმრთისმშობლისანის“ რეპერტუარში. მისი რიტმული სტრუქტურა განხორციელებულია და ძირითადად დაცულია ექვთიმესეულ თარგმანში. ოღონდ ტექსტობრივი შეხვედრები ბიბლიურ გალობასთან ნაკლებად იგრძნობა.

გიორგი ათონელის თარგმანს, აგრეთვე, მხოლოდ დასაწყისი სიტყვები მიუძღვის: „ზნელისაგან ცოდვათაჲსა“... ამ სიტყვებით იწყება ერთი ძლისპირი (ლამითგანსა, ჳმაჲ და გ~ი), შეტანილი „ნევმირებულ ძლისპირნში“, მაგრამ მისი რიტმულ მოდელს საგრძნობლად დაშორებული გიორგისეული თარგმანის რიტმული სტრუქტურა.

VI გალობა (ღალადყავსა) წარმოთქმულია ვეშაპის მუცელში დანთქმული იონა წინასწარმეტყველის მიერ (იონა 2, 3-2, 10). იონას შთანთქმა ვეშაპისაგან, მისი სამდღიანი ყოფნა ვეშაპის მუცელში და შემდეგ მისი ამონთხევა გააზრებულია, როგორც მაცხოვრის სამდღიანი დაფლვისა და მისი აღდგომის მომასწავებელი. იონას ლოცვა გამოხატავს ღრმა მადლიერების გრძნობას უფლისადმი სიკვდილისაგან დახსნისათვის. მიუთითებენ, რომ იონას ღალადისი თავისი ლოგიკური აღნაგობითა და ლიტერატურული ფორმით მწყობრ და ორგანულ მთლიანობას წარმოადგენს. თავისი ხატოვანი ენით მნიშვნელოვნად განსხვავდება დანიელის წიგნის სხვა ნაწილებისაგან, რომლებიც შეიცავენ ისტორიულ თხრობას.¹

არსენ იყალთოელის ძლისპირი VI გალობისა სრულ შესაბამისობაშია ბერძნულ ტექსტთან და ლამის პერიფრაზირებაა იონას საგალობლის ამა თუ იმ მონაკვეთისა:

არსენ იყალთოელის ძლისპირი: ღალად-ყავჲ მე სიღრმითა გულისაჲთა მონყალ-ისა მიმართ ღმრთისა და ისმინა ჩემი ჯოჯოხეთით ქუესკნელით და განხრწნისაგან იჴსნა ცხოვრებაჲ ჩემი.	იონას საგალობელი: ღალად-ყავჲ ჭირსა ჩემსა უფლისა მიმართ ღმრთისა ჩემისა და ისმინა ჩემი, მუცლით გამო ჯოჯოხეთისა ღალადებისა ჩემისა გესმა ჳმაჲ ჩემი. (იონა 2, 3) ...და აღმოვედინ განხრწნისაგან ცხოვრებაჲ ჩემი შენდამი. (იონა 2, 7)
--	--

არსენისეული ძლისპირი არ არის „ნევმირებულ ძლისპირნში“.

ექვთიმე ათონელის ძლისპირის დასაწყისი — „დამკჳდრებაჲ იონაჲ[სი]“... მიგვანიშნებს ძლისპირზე, რომელიც შესულია „ნევმირებულ ძლისპირნში“. ტექსტი ასეთია:

დამკჳდრებაჲ იონაჲსი
სიღრმესა მას შინა

¹ Толковая Библия, т. 7, с. 229.

სახედ ბუნებისა ჩუენისა
 მოესწავებოდა ჯოჯოხეთს შინა,
 რომლისაგან მიჰსენ მრავალმოწყალე.
 (ჴმაჲ გ. ღალადყავსა)
 გვ. 289.

გიორგი ათონელის ძლისპირის დასაწყისი სიტყვები: „მუცლად-ილო“ [იონა) — ეს ძლისპირ-
 იც შეტანილია „ნევემირებულ ძლისპირნში“:

„მუცლად-ილო
 იონა ვეშაპმან
 და არა განხრწნა მან იგი,
 რამეთუ მით მოასწავა
 სახე სამ დღე დაფლვისა
 შენისაჲ, რომელმანცა
 დაფლვით თავს-იდეჲ
 ჩუენთჴს, სახიერ,
 და ეტყოდა იგი
 მცველთა მათ: ჴ ცრუნო,
 ნყალობაჲ თქუენი დაუტევეთ
 თქუენ დ[ლ]ეს.
 (ჴმაჲ ბ გ~ი, ღალატყავსა)
 გვ. 569.

ამკარაა, რომ ექვთიმე და გიორგი ათონელების ძლისპირები, განსხვავებით არსენისეული
 ძლისპირისგან, იონას გალობის ინტერპრეტაციას უფრო შეიცავენ, ვიდრე მის კალკირებას.

ბიბლიური VII გალობა (კურთხეულ არსა) დანიელის წინასწარმეტყველებაშია ჩართული.
 მას სამი ყრმა (აზარია, ანანია და მისაილი) წარმოთქვამს. ნაბუქუდონოსორმა ისინი დასაჯა
 კერპთა უარყოფისათვის: ყრმები აგიზგიზებულ ღუმელში ჩაყარეს. მათ მწვავე სინანულის
 გრძნობითა და ვედრებით ღმერთს დახსნა შესთხოვეს. ღმერთმა ისინი გადაარჩინა. ყრმებმა
 მაღლიერების გამომხატველი გალობა აღუვლინეს უფალს. გალობა ორ ნაწილად გაიყო. პირ-
 ველი (დანიელი 3, 26-3, 56) ლიტურგიკულ პრაქტიკაში „კურთხეულ არსა“-ს სახელით დამ-
 კვიდრდა; მეორე ნაწილი კი (დანიელი 3, 57-3, 88) კანონის VIII გალობას დაედო საფუძვლად და
 „აკურთხევდისა“ ეწოდება.

„დიდი კანონის“ VII გალობის ძლისპირი, ბუნებრივია, ეხმიანება სამი ყრმის გალობას. არსენ
 იყალთოელი ერთგულად მიჰყვება ბერძნულ ტექსტს:

არსენ იყალთოელისეული ძლისპირი: ვცოდეთ და უსჯულო ვიქმნენით და სიცრუვე ვყავთ წინაშე შენსა და არა დავიმარხეთ ან და არცა ვყავთ, მეუფეო, ვითარ-იგი შენ მამცენ ჩუენ, გარ- ნა ნუ მიმცემ სრულიად, მაღალო, მამათა ჩუენთა ღმერთო.	სამთა ყრმათა გალობა: კურთხეულ ხარ შენ, უფალო ღმერთო მამა- თა ჩუენთაო, ქებით და დიდებით არს სახელი შენი უკუნისამდე (დან. 3, 26). რამეთუ შეგცოდეთ ჩუენ და უსჯულო ვიქმნენით განდგომად შენგან; და ვცოდეთ ყოვლითურთ და მცნებათა შენთაჲ არა ვის- მინეთ, არცა დავიმარხეთ (დან. 3, 29).
--	--

მნიშვნელოვანია, რომ „დიდი კანონის“ ამ გალობის პირველი ტროპარიც ეხმიანება სამი ყრმის გალობას:

„ვცოდე და უსჯულო ვიქმენ მე,
და შეურაცხ-ვყვენ მცნებანი შენნი“.
(არსენ იყალთოელის თარგმანი).

არსენ იყალთოელისეული ძლისპირი კვლავ არ დასტურდება „ნევმირებულ ძლისპირში“. მის რიტმულ მოდელთან სრულ შესაბამისობაშია გალობის ყველა ტროპარი.

ექვთიმე ათონელის თარგმანში VII გალობას უძღვის ძლისპირი: ვითარცა სამთა ყრმათა... ეს ძლისპირი დასტურდება „ნევმირებულ ძლისპირში“:

„ვითარცა სამთა ყრმათა
პირველად განუქარვე
ალი იგი საჯუმილისაჲ მის,
ჩუენცა განგუანათლენ
ღმრთეებისა ნათლითა
და ღირს-მყვენ ღალადებად:
კურთხეულ ხარ შენ, უფალო
ღმერთო მამათა ჩუენთაო.
(„ნევმირებული ძლისპირნი“, გვ. 295).

გიორგი ათონელს სხვა ძლისპირი აქვს შერჩეული; ისიც, ბუნებრივია, სამი ყრმის გალობიდანაა ამოზრდილი და შესულია „ნევმირებულ ძლისპირში“:

ჴ სასნაული,
რომელმან საჯუმილსა დაიცვნა
სამნი ყრმანი შეუნუელად,
მანვე დაიცვა
უბინოჲ ქალწულად,
რაჟამს განჯორციელდა
საშოსა მისსა უთესლოდ სიტყუაჲ
ღმრთისაჲ.
(„ნევმირებული ძლისპირნი“, გვ. 577).

VIII გალობის (აკურთხევდითსას) ძლისპირი არსენ იყალთოელის თარგმანისა იდენტურია ბერძნულისა და ეხმიანება ბიბლიური გალობის იდეურ-მხატვრულ შინაარსს. შეინიშნება კონკრეტული ტექსტობრივი თანხვედრებიც:

არსენ იყალთოელისეული ძლისპირი: რომელსა ძალნი ცათანი აქებენ და ძრნიან მისგან ქერობიმ-სერაფიმნი, ყოველი აგებული ყოვლით სულითურთ სძნობდით და უფროჲსად აღამაღლებდით მას უკუნისამდე.	კურთხეულ ხარ შენ, უფალო ღმერთო მამათა ჩუენთაო, და უფროჲსად ქებულ და უფროჲსად ამაღლებულ უკუნისამდე. და კურთხეულ არს სახელი წმიდაჲ დიდებისა შენისაჲ და უფროჲსად ქებულ და უფროჲსად ამაღლებულ უკუნისამდე (დან. 3, 57).
---	---

ნიშანდობლივია, რომ ბიბლიურ გალობას რეფერენად მიჰყვება ძლისპირთან თანხვედრი-ლი ტაეპი: „[უგალობდით] და უფროსად აღამაღლებდით მას უკუნისამდე“. „ნევმირებულ ძლისპირნში“ აღნიშნული ძლისპირი არ არის შეტანილი. VIII გალობის ექვთიმე და გიორგი ათონელების თარგმანებს დედნისაგან განსხვავებული ძლისპირები აქვთ, მაგრამ კანონი აქაც დაცულა, ისინიც შთაგონებულნი არიან სამი ყრმის გალობით. აღნიშნულ ძლისპირთა ტექსტებიც შეტანილია „ნევმირებულ ძლისპირნში“. VII გალობის ძლისპირები მაჟორულ ჟღერადობას იძენენ, დამაგვირგვინებელ IX გალობას ამზადებენ.

IX ბიბლიური გალობა მარიამ ღვთისმშობლისა და ზაქარიას გალობებს აერთიანებს, გამოხატავს უსაზღვრო მადლიერების გრძნობას ღმრთის მიმართ, განადიდებს მის ყოვლისშემძლეობას, სინმიდეს, სიდიადეს. ეს სამადლობელი ქრისტიანული პოეზიის კარიბჭესთან დგას. ის აძლევს ტონსა და მიმართულებას ახალი აღთქმის დიდებისმეტყველებას.

არსენ იყალთოელს გარკვეული ნიუანსებით გადმოუთარგმნია ორიგინალის ძლისპირი. ის „ნევმირებულ ძლისპირნში“ არ გვხვდება. „დიდი კანონის“ აღნიშნული გალობის ძლისპირში ღვთისმშობლის თემაა გაშლილი.

ძლისპირი

უთესლოდ მიდგომილი
შობს ზესთა თარგმანებისა,
უმამოჲ დედაჲ
მუცლად-იღებს უხრწნელად,
რამეთუ ღმრთისა შობაჲ
სცვალებს ბუნებისა წესთა,
ამისთვის შენ, ყოველნი ტომნი,
ღმრთის სძალო და დედაო,
დაუდუმებლად გადიდებთ.

ძლისპირში არც ერთი გამონათქვამი მარიამ ღვთისმშობლის გალობიდან არ არის შეტანილი, რაც შემთხვევითი სრულიადაც არ არის. არქიეპისკოპოსი ფილარეტი განმარტავს: ღვთისმშობლისადმი უდიდესი მოწინების გამო ძლისპირებში ღვთისმშობლის სიტყვები არ შეჰქონდათ. კავშირი ბიბლიურ საგალობელსა და ძლისპირს ან ტროპარს შორის მყარდებოდა იმით, რომ ტროპარს თავში ან ბოლოში ერთვოდა სიტყვა „ვადიდებთ“.¹

ექვთიმე და გიორგი ათონელებიც IX გალობას წარუმიძღვარებენ ძლისპირებს, რომელთა შინაარსი ღვთისმშობელს მიემართება, მაგრამ ამ ძლისპირებში არაა ჩართული თვით ღვთისმშობლის გალობიდან არც ერთი ფრაგმენტი.

არსენ იყალთოელის თარგმნილი ძლისპირი არ არის შეტანილი „ნევმირებულ ძლისპირნში“, ათონელთა ძლისპირები კი შეტანილია.

აქვე დავუმატებთ, რომ სამივე თარგმანს ამ გალობისა მიჰყვება ღვთისმშობლისა და ზაქარიას წინასწარმეტყველის ბიბლიურ საგალობელთა ტექსტები.

რაც შეეხება „დიდი კანონის“ ცხრავე გალობის „ღმრთისმშობლისანებს“, არც ერთი მათგანი „ნევმირებულ ძლისპირნში“ შეტანილი არ არის.

¹ არქიეპისკოპოსი კიპრიანე (კერნი) დასახ. წიგნი, გვ. 43.

„დიდი კანონის უძველეს ქართულ თარგმანებზე დაკვირვება საშუალებას გვაძლევს გამოვთქვათ მოსაზრებები კანონის, როგორც ჟანრის, ჩამოყალიბებების ამა თუ იმ საკითხზე.

ჩვენს ყურადღებას „დიდი კანონის“ ქართული თარგმანები რამდენიმე ასპექტით იქცევს, ესენია: ა) გალობათა უჩვეულო სიდიდე, ბ) გალობათა ერთმანეთისაგან განსხვავებული მოცულობა, გ) მეორე და მესამე გალობის ორ-ორი ძლისპირი (ირმოსი). კანონის ჩამოყალიბებული, დასრულებული სახისთვის სრულიად უცხოა მსგავსი ნიშნები. რითაა განპირობებული „დიდი კანონის“ აღნიშნული თავისებურებანი? რა განსაზღვრავს მის ამ სპეციფიკას?

„დიდი კანონის“ ქართულმა თარგმანებმა შემოგვინახეს კანონის არქაული სახე. კერძოდ, ყველა გალობას, ყველა ტროპარს გასდევს ბიბლიურ გალობათა მუხლები. დადასტურებულია, რომ საგალობლების თითოეულ ტროპარს დართული ბიბლიური გალობების მუხლებსა თუ ნახევარმუხლებზე მითითებანი ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერებში დიდი იშვიათობაა. სპეციალისტებისთვის კი ცნობილია, რომ კანონის ცხრავე გალობის იდეურ-თემატური შინაარსი განსაზღვრულია ბიბლიური გალობებით. ეს კავშირი ნათელყოფს, როგორ იბადება, როგორ ამოიზრდება ბიბლიურ ტრადიციაში ახალი უნივერსალური ჟანრი — კანონი, იგივე გალობანი.¹

ბიბლიურ საგალობელთა მოცულობა ერთმანეთისაგან განსხვავდება. ჩანს, ანდრია კრიტელი „დიდი კანონის“ გალობებს მოცულობითაც უფარდებდა ბიბლიურ გალობებს. არქიმანდრიტი კიპრიანე (კერნი) განმარტავს: „იოანე დამასკელის კანონები წმინდა ანდრიას კანონებთან შედარებით მოკლეა. თუ ეს უკანასკნელი ცდილობდა ბიბლიური საგალობლების ყველა გალობისთვის მიესადაგებინა საგანგებო ტროპარები, დამასკელი შემოიფარგლებოდა ორი-სამი ტროპარით“,² ბიბლიური გალობებისა და კანონის ტროპარების ერთმანეთთან შეწყობა განსაზღვრავდა კანონის გალობათა მოცულობასაც და მათი ერთმანეთისაგან სიდიდით განსხვავებასაც. ე. ი. რაკი ყოველ გალობას „დიდ კანონში“ გასდევს ბიბლიურ საგალობელთა მუხლები, გალობა დაახლოებით იმ მოცულობისაა, სადამდეც გასწვდება მას ბიბლიური ფრაზეოლოგია. ამიტომაც, რომ „დიდი კანონის“ I გალობა შეიცავს 22 ტროპარს, IV გალობა — 27 ტროპარს, V გალობა — 20 ტროპარს, VI გალობა — 16 ტროპარს, IX გალობა — 25 ტროპარს...

სამეცნიერო ლიტერატურაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ანდრია კრიტელის „დიდ კანონს“ სხვა კანონებისგან კიდევ ერთი თავისებურება გამოარჩევს: გალობებს ორ-ორი ირმოსი (ძლისპირი) აქვთ. ახსნა ამ თავისებურებისა არ შემხვედრია.

ბიბლიური საგალობლებისა და „დიდი კანონის“ ტექსტის ორგანული კავშირი, რომელიც თვალსაჩინოა „დიდნი გალობანის“ ქართულ თარგმანთა უძველეს ხელნაწერებში, ანგარიშგასწავლი მოსაზრების გამოთქმის საშუალებას გვაძლევს.

კანონის II გალობა („მოიხილესა“) დაკავშირებულია მოსეს მეორე გალობასთან (მეორე შჯ. 32,1-43). ესაა მოზრდილი საგალობელი, რომელიც აგვირგვინებს ხუთნიგნეულს. ბრძენი წინამძღვარი თავის ხალხს მაღალ ზნეობრივ პრინციპებს შეახსენებს და მათ მკაცრად დაცვას მოითხოვს. ამ ტექსტს მოსე წინასწარმეტყველის ანდერძად მიიჩნევენ. გალობა, როგორც აღვნიშნეთ, ძალზე ვრცელია და შინაარსობრივად ორ არათანაბარ ნაწილად შეიძლება გაიყ-

1 ს. ავერინცევი შენიშნავს, რომ V ს. ხელნაწერ სეპტუაგინტაში (ე. წ. Codex Alexandrinus), ფსალმუნებს დართული აქვს როგორც ძველი აღთქმის, ასევე ახალი აღთქმის გალობათა (ὁδὸι) წუსხა. მაგრამ რამდენადაც სეპტუაგინტა მხოლოდ ქრისტიანული წერილობითი ტრადიციითაა ჩვენამდე მოღწეული, არ არის საშუალება გარკვეულ იქნას ბიბლიურ გალობათა ეს ანთოლოგია შედგენილია იუდეველთა გარემოში და ქრისტიან რედაქტორთა მეშვეობით შემდეგაა შევსებული, თუ საერთოდ თავისი არსებობით ახალგაზრდა ეკლესიის ლიტურგიკული მოთხოვნებითაა განპირობებული, როგორც ამას ვარაუდობდა ვ. კრისტი (С. Аверинцев, Другой Рим, 2005, с. 213).

არსებითაა, რომ „ფსალმუნთა“ ძველი ქართული თარგმანების X საუკუნის ხელნაწერებს სხვა დანარჩენებთან ერთად ახლავს 9 ბიბლიური გალობის ეს ანთოლოგია (ფსალმუნნი, მზ. შანიძის გამოცემა, თბ. 1960, გვ. 411-445).

2 არქიმანდრიტი კიპრიანე (კერნი), დასახ. წიგნი, გვ. 38.

ოს: პირველი ნაწილი შეიცავს 38 მუხლს (1 — 38) და იწყება სიტყვებით: 1. „მოიხილე, ცაო, და ვიტყოდი და ისმენდინ ქუეყანაჲ სიტყუათა პირისა ჩემისათა. 2. მოელოდენ ვითარცა წმასა თქუმასა ჩემსა, და გარდამოვედინ ვითარცა ცუარნი სიტყუანი ჩემნი, ვითარცა წმაჲ მწუან-ვილსა ზედა და თოვლი თივასა ზედა. 3. რამეთუ სახელსა უფლისასა ვხადე, მიეცით დიდებაჲ ღმერთსა ჩუენსა“ და ა. შ.

გალობის მეორე ნაწილი (32, 39-43) სრულიად ახალ ინტონაციაზეა აგებული. მასში წამყვანია მამხილებელი ტონი, თუმცა მის დამაგვირგვინებელ სიტყვებშიც წამოიწევს იმედისა და რწმენის ნათელი განწყობილება და შესაბამისი ინტონაცია. გალობის ეს მეორე მონაკვეთი იწყება სრულიად განსხვავებული შემართებით: „იხილეთ, იხილეთ, რამეთუ მე ვარ და არა არს სხუა ღმერთი ჩემსა გარეშე: მე მოვაკუდინო და ვაცხოვნო და ვსცე და მე განვკურნო, და არა არს, რომელმან განარინოს ჴელთაგან ჩემთა“ (მეორე რჯ. 32, 39).

„დიდი კანონის“ არსენ იყალთოელისეული თარგმანის II გალობის პირველი ძლისპირია: „მოიხილე, ცაო, და ვიტყოდე და ვაქებდე ქრისტესა, ქალწულისაგან მოსრულსა ჩუენდა“; ხოლო II ძლისპირი (სხუაჲ ძლისპირი) არის: „იხილეთ, იხილეთ, რამეთუ მე ვარ მეუფე, რომელმან მივეც მანანაჲ და წყარონი კლდისაგან, წყარო ვყვენ უდაბნოს ერისათჳს ჩემისა, მხოლოჲთა ძალითა და მარჯუენითა ჩემითა“. და რაც ძალზე არსებითია, II გალობის I ძლისპირთან შეწყობილ ტროპარებს მიჰყვება მოსეს ბიბლიური გალობის მუხლები I ნაწილიდან, ხოლო მეორე ძლისპირით გამართულ დასდებლებზე გადანაწილებულია II ნაწილის სათანადო მუხლები.

ანალოგიური ვითარება იკვეთება ანნას საგალობელშიც (I მეფ. 2,1-10), რომელიც წარმოთქმულია უფლის წინაშე უსაზღვრო მადლიერების გამოსახატავად. ღვთის დიდებასთან ერთად მასში გაისმის წინასწარმეტყველური პათოსით განმსჭვალული სიტყვებიც. ამდენად, ამ გალობის ორ ნაწილად დაყოფაც ხერხდება: პირველი ნაწილი 5 მუხლს შეიცავს და იწყება სიტყვებით: „განძლიერდა გული ჩემი უფლისა მიერ, და ამაღლდა რქაჲ ჩემი ღმრთისა მიერ“. მეორე ნაწილიც 5 მუხლისაგან შედგება, მაგრამ ის სრულიად ახალი რიტმითა და ინტონაციით წარმოითქმის: „უფალი მოაკუდინებს და აცხოვნებს, შთაიყვანებს ჯოჯოხეთად და აღმოიყვანებს; უფალი დააგლახებს და განამდიდრებს, დაამდაბლებს და აღამაღლებს“; შესაბამისად, „დიდი კანონის“ III გალობის პირველ ძლისპირთან შეწყობილ ტროპარებს გასდევს ანნას საგალობლის პირველი ნაწილის მუხლები, II ძლისპირზე აგებული ტროპარები კი განწყობილია ანნას გალობის II ნაწილის მუხლებით.

საინტერესოა, რომ სინ.5-ში III გალობას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არ აქვს II ძლისპირი და ამ მეორე ძლისპირის დასდებლები შეერთებულია I ძლისპირის დასდებლებთან. შესაბამისად, ანნას ბიბლიური საგალობელი მთლიანად ნაწილდება „დიდი კანონის“ 19 ტროპარისაგან შედგენილ III გალობაზე. სხვაგვარი სურათია არსენ იყალთოელის თარგმნილ ტექსტში. აქ მთარგმნელი ერთგულია ბერძნული ტრადიციისა, კანონის III გალობას აქვს ორი ძლისპირი და ბიბლიური გალობის ტექსტიც შესაბამისადაა განაწილებული.

ბიბლიურ გალობათა ამგვარმა ფუნქციურმა დატვირთვამ დაბადა კითხვა: თუ ბიბლიურ საგალობელთა და „დიდი კანონის“ დასდებელთა შორის ასეთი ორგანული, ასეთი ცხადი კავშირია დამყარებული (ბიბლიური საგალობელი განსაზღვრავს გალობის მოცულობას, ორ-ორი ძლისპირის საჭიროებას, საგალობლის მთლიანი ტექსტის ბიბლიური საგალობლებით გამართვას), მაშინ რაღა იყო ძლისპირთა უმთავრესი დანიშნულება „დიდი კანონის“ სტრუქტურაში? მას თავიდანვე რიტმულ-მელოდიური ფუნქცია ჰქონდა? ძეგლის სამივე ქართულ თარგმანში ძლისპირები ატარებენ ამ დატვირთვას.

ელ. მეტრეველი „უძველესი იადგარის“ შესწავლის შედეგად მივიდა უადრესად მნიშვნელოვან დასკვნამდე: „ბიბლიურ გალობებთან მაკავშირებელი პირველი სტროფის — ძლისპირის

საჭიროება შეიქმნა იმის შემდეგ, რაც ბიბლიური გალობის დანართი სტროფები ჩამოსცილდნენ კანონის გალობებს და შეიქმნა ახალი ტიპის პოეტური კანონი, სადაც ყოველი გალობის პირველ სტროფს დაეკისრა პოეტური გალობის ბიბლიურ გალობასთან კავშირის გამოხატულება, რაც იმაში გამოიხატა, რომ ყოველი ძლისპირი გარკვეულ ფარგლებში გალობათა პარაფრაზირებულ ტექსტზე ააგო. ასეთი ძლისპირები უძველესია იადგარისათვის¹. არქიმანდრიტი კიპრიანე (კერნი), როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იმასაც კი ვარაუდობს, რომ ირმოსი თვით წმ. ანდრიას გამოგონილია². არ არის გამორიცხული, ბიბლიურ გალობათა საგალობლებზე დართვის ტრადიციასაც ანდრია კრიტელი ედგას სათავეში. სხვათა შორის, „დიდი კანონისთვის“ დამახასიათებელია ბიბლიურ გალობასთან დამაკავშირებელი რეფრენიც. ჩანს, ანდრია კრიტელმა, როგორც კანონის მესაძირკვლემ, სასულიერო პოეზიის ბიბლიასთან კავშირს მყარი საფუძველი ჩაუყარა და ერთხელ და სამუდამოდ დაამკვიდრა პატრიარქთა მრწამსი: „ჩვენს საგალობლებში მხოლოდ სიტყვებია სხვა, წმიდა წერილისგან განსხვავებული, თორემ არსებითად ჩვენ იმასვე ვგალობთ“.³

ჩვენს მასალაზე დაკვირვებით შეიძლება დავასკვნათ, რომ „დიდ კანონში“ ძლისპირების ფუნქცია ბიბლიურ საგალობლებთან კავშირის დამყარებაა და მელოდიურ-რიტმული მოდელის განსაზღვრა. ნუ დაგვაზიწდება ისიც, რომ ბიბლიურ საგალობლებთან კავშირზე მიუთითებდა ქართულ (და არა მხოლოდ ქართულ) ტრადიციაში შემორჩენილი სახელწოდებანიც კანონის გალობებისა: უგალობდითსაჲ, მოიხილესაჲ, განძლიერდასაჲ, მესმასაჲ, ღამითგანისაჲ, ღალადყავისაჲ, აკურთხევდითსაჲ, ადიდებსაჲ.*

მსჯელობის ამგვარად წარმართვა ანდრია კრიტელის „დიდი კანონის“ ხმისა და ძლისპირების მიმართ დიდი ქართველი მთარგმნელების, ექვთიმე მთაწმიდელისა და გიორგი მთაწმიდელის, თავისუფალმა დამოკიდებულებამაც განაპირობა. ექვთიმე მთაწმიდელმა შეცვალა „დიდი კანონის“ როგორც ხმა, ისე ძლისპირები, გიორგი ათონელმა ხმა კი დედნისეული დატოვა, მაგრამ წმ. ანდრიას ტექსტი სხვა ძლისპირებზე გამართა.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ, შესაძლოა, ხმის, როგორც დოგმატური საწყისის მნიშვნელობა ექვთიმე მთაწმიდელის შემდგომ პერიოდში გამოიკვეთა.⁴ რაც შეეხება ძლისპირებს, ცნობილია, რომ X საუკუნიდან ჰიმნოგრაფები ძლისპირებს თვითონ კი არ თხზავდნენ, არამედ მიმართავდნენ ძლისპირთა კრებულებს — ირმოლოგიონებს, ასე იქცევია ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელებიც. ისინი იყენებენ ქართულ ტრადიციაში უკვე ადაპტირებულ ძლისპირებს, რომლებიც შესულია X საუკუნის ალავერდის ანუ იორდანეს კრებულში (A 603). „დიდი კანონის“ მესამე მთარგმნელი კი სხვა რეალობის წინაშეა. მან თვითონ გადმოთარგმნა ანდრია კრიტელის „დიდი კანონის“ ძლისპირები. ლიტურგიკაში დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, ერთი და იგივე ძლისპირი ხშირად გამოიყენებოდა სხვადასხვა კანონში. „დიდი კანონის“ ძლისპირები, თარგმნილი არსენ იყალთოელის მიერ, ამ თვალსაზრისით გამონაკლისს წარმოადგენს, როგორც ერთიანი ციკლი და მხოლოდ ამ კანონის კუთვნილებაა.⁵ „დიდი კანონის“ ეს ძლისპირები შეტანილია A 85 ხელნაწერში.

1 მეტრეველი ელ., უძველესი იადგარი, გვ. 834.

2 არქიეპისკოპოსი კიპრიანე (კერნი), დასახ. წიგნი, გვ. 35.

3 Флоренский Н. Н. История Богослужбных песнопений православной католической церкви, Киев, 1881. с. 1.

4 მანაგაძე ხ., დასახ. ავტორეფერატი, გვ. 15.

5 იქვე, გვ. 18.

* ცნობილია, რომ ამ სიტყვებით იწყება ბიბლიური საგალობლები და სახელწოდებადაც მათ აღნიშნული სიტყვები დაუმკვიდრდათ, როგორც ეს მიღებული იყო შუა საუკუნეების სამწიგნობრო ტრადიციაში. შდრ: Поим, Вонми, Утвердися, Услышах, От ноши, Возопих, Благословен еси, Благословите, Величит — ასეთია კანონის გალობათა სლავური სახელწოდებანი (კეკელიძე კ., Грузинский литургический словарь, ეტიუდები ძველი ქართული ლიტურგიის ისტორიიდან, XIV, თბ. 1986).

ამ კონტექსტში საგულისხმოა „დიდი კანონის“ ტექსტს დართული ვრცელი ანდერძი გიორგი მთაწმიდელისა. მასში ძალიან მნიშვნელოვანი არაერთი ინფორმაციაა მოწოდებული: მაგალითად, რომ ექვთიმე მთაწმიდელს გამოუტოვებია „დიდი კანონის“ ბიბლიური სახის-მეტყველებანი, შეუმატებია სინანულის საგალობლები, განუვრცია ტექსტი და ა. შ., მაგრამ არაფერია ნათქვამი უმთავრესზე: ხმისა და ძლისპირების შეცვლაზე. სამაგიეროდ, ამ ცვლილებებზე ვრცლად მსჯელობს არსენ იყალთოელი ამავე კანონის თავისსავე თარგმანის ანდერძში: ექვთიმე მთაწმიდელს „წმისგანცა თვსისა და ძლისპირთაგან შეეცვალეს“, ხოლო გიორგი მთაწმიდელს „დაღათუ ჳმაჲ არა შეეცვალა, გარნა თვსთა ძლისპირთა ზედა თარგმანი არცა მას გულს-ედგინა“ და სხვ.

იქნებ არ იყოს ზედმეტი, აქ გავიხსენოთ ქართული ტერმინის, „ძლისპირის“ ეტიმოლოგია, რომელზეც ყურადღებას ამახვილებს აკად. კ. კეკელიძე და რომელიც დღეს რატომღაც მივიწყებულია. ძლისპირი შედგება ორი სიტყვისაგან: ძლის და პირი — შენიშნავს კ. კეკელიძე. პირი აღნიშნავს დასაწყისს, ძლის←ძალის კი — სიმს (ხუთძალი, ათძალი, ძნობა-ძლობა). მეცნიერი მოიხმობს ბიბლიის ქართულ თარგმანს: „და მოიღო მარიამ წინასწარმეტყუელმან, დამან არონისამან, ბოზლანი ჴელითა თვსითა, და განვიდოდეს ყოველნი დედანი მის თანა ბოზლნებითა და (მ)(ძნობ(რ)ითა; უ-პირ-ობდა (Преднач) მათ მარიამ და ეტყოდა: „უგალობდით უფალსა, რამეთუ დიდებით დიდებულ არს“ (გამოსლ. XV, 20-22). ამრიგად, ძლისპირი სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობით აღნიშნავს ჰიმნის პირველ, საწყის სიტყვას, შესრულებულს მუსიკალურ საკრავზე, ე. ი. პირველ სიმღერას“ (კეკელიძე 1986:214). ანდრია კრიტელის ეპოქაშიც ძლისპირის მთქმელი გალობის წამომწყები ხომ არ იყო? ძლისპირს გალობის ტონის განსაზღვრის ფუნქციაც ხომ არ ჰქონდა? ხოლო ეს ტონალობა შესაბამისი ბიბლიური გალობის ტონალობას ხომ არ იმეორებდა? ძლისპირის ამგვარ დანიშნულებაზე ხომ არ მიგვანიშნებს „დიდი კანონის“ ორ-ორი ირმოსი, ჩემი ვარაუდით, განსაზღვრული სწორედ ინტონაციურ შეფერილობათა სხვადასხვაგვარობით?

დასასრულს, როცა ანდრია კრიტელზე, როგორც ჟანრის მესაძირკვლეზე ვსაუბრობთ, მისი უმნიშვნელოვანესი დამსახურება ხაზგასმით უნდა გამოიკვეთოს: მან „დიდი კანონის“ სახისმეტყველება სემანტიკურ-ჰერმენევტიკულ მეთოდზე დააფუძნა. ის აპოლოგეტთა მსგავსად მიიჩნევს, რომ წინასწარმეტყველთა სიტყვა და, საერთოდ, ბიბლიური თხრობა, თუ ამ თხრობაზე დაფუძნებული ქრისტიანული ლიტერატურა ერთდროულად მოიცავს სიტყვიერ, ენიგმატურ და ალეგორიულ შრეებს. ამიტომაც მიიჩნევა, რომ შემდგომ საუკუნეთა პოეტები — იოანე დამასკელი და კოზმა მაიუმელი, იოსებ მგალობელი და თეოფანე აღმსარებელი და სხვები და სხვები — არიან არა რომანოზის მემკვიდრეები, არამედ ანდრია კრიტელის ტრადიციათა გამგრძელებლები. „კანონის“ გამარჯვება კონდაკზე — ესაა რაციო-ალეგორიზებული ტენდენციის გამარჯვება თხრობით-დრამატულ ტენდენციაზე“.¹

„დიდი კანონის“ ქართული თარგმანები, ბუნებრივია, განსაზღვრავენ ქართული ჰიმნოგრაფიის განვითარების გზებსაც.

1 Аверинцев С. С. У истоков поэтической образности искусства, Другой Рим, Санкт-Петербург, 2005, с. 255.

ვიზიარებ თვალთახედვას, რომ მთელი ევროპული ლიტერატურა (და არა მხოლოდ ევროპული ლიტერატურა), ჰომეროსიდან მოყოლებული ვიდრე დღევანდელობამდე, ჩვენს დროსაც ემსახურება, რომ ლიტერატურასა და ხელოვნებას კაცობრიობის შედუღაბების ძალა შესწევს. ამიტომაც გვმართებს კულტურულ ფასეულობათა სამუზეუმო ექსპონატებად გამოცხადების ნაცვლად ძეგლთა ესთეტიკური რაობის გათვალისწინება და მათთვის ახალი სიცოცხლის მინიჭება. მეცნიერებამ თავისი სივრციდან მთლიანად კი არ უნდა განდევნოს სულიერება, არამედ ის გზად და ხიდად უნდა ექცეს ადამიანებს ჭეშმარიტ ღირებულებებთან მისასვლელად.

ჩვენთვის სახელმძღვანელოა ბიბლიის პირველივე წიგნი — დაბადება, რომელიც გვამცნობს, რომ ღვთაებრივი შესაქმის ყოველი დღე გვირგვინდება სიტყვებით: „იხილა ღმერთმა, რამეთუ კეთილ“, ხოლო ექვსი დღის შემდეგ, როცა აღესრულა შესაქმე, როგორც დავით წინასწარმეტყველი იტყვის, „იხარებდინ უფალი ქმნილთა თჳსთა ზედა“ (ფს. 103, 31) და აღმატებით ხარისხში წარმოითქმის: „და აჰა, კეთილ ფრიად“ (დაბად. 1, 31). ძველ ქართულ ენაში „კეთილი“ აღნიშნავს „ქველსაც“ და „მშვენიერსაც“. მოხმობილ კონტექსტში ეს სიტყვა ორივე მნიშვნელობას მოიცავს. მშვენიერება კი ესთეტიკური კატეგორიაა, მიმანიშნებელი სრულყოფილებისა, ჰარმონიულისა, ამაღლებულისა. ამით იმის თქმას ვცდილობ, რომ მართალია, ტერმინი ესთეტიკა და მისგან ნაწარმოები — ესთეტიკური — XVIII საუკუნეში გაჩნდა (მისი დამამკვიდრებელია გერმანელი ფილოსოფოსი ალექსანდრე ბაუმჰარტი), მაგრამ ესთეტიკური განცდა, როგორც ფენომენი, უშორეს წარსულშია აღმოცენებული.

შუა საუკუნეების კულტურის აღიარებული მკვლევარი ვიქტორ ბიჩკოვი შენიშნავს: „ესთეტიკურ სფეროს განეკუთვნება სისტემის ყველა კომპონენტი ადამიანის არაუტილიტარული მიმართებისა სამყაროსადმი (იქნება ეს ბუნებითი, საგნობრივი, სოციალური თუ, უპირველესად, სულიერი), რის შედეგადაც ადამიანი სულიერ ტკბობას განიცდის. ამ მიმართებათა არსი გამოიხატება ან გარკვეული შინაარსის გრძნობადაღლსაქმელი ფორმების მეშვეობით, ან თვითკმარი ჭვრეტით რომელიმე მატერიალური თუ სულიერი რაობისა, ხოლო სულიერი ტკბობა (ესთეტიკური კათარსისი) ცხადყოფს ღრმა კონტაქტს სუბიექტსა და ობიექტს შორის, ზეგრძნობად ჭვრეტას სუბიექტის მიერ ესთეტიკურ ობიექტში ყოფიერების არსისეული საფუძვლებისას, სულის დაფარული ჭეშმარიტებისას, სიცოცხლისა და ყოფის მოუხელთებელი კანონებისას. მთელს ამ ერთიანობასა და ჰარმონიაში, ბოლოს და ბოლოს, განხორციელებას სულიერი კონტაქტისა უნივერსუმთან, აბსოლუტურ სულთან, ღმერთთან, გარღვევას საზღვრებისას, თუნდაც წამიერად, შეღწევას მარადიულში, უფრო ზუსტად, მარადიულის, ღვთაებრივი სფეროს ნაწილად განცდას საკუთარი არსისას. ესთეტიკური ერთგვარ უნივერსალურ მახასიათებლად წარმოდგება სამყაროსა და ადამიანის არაუტილიტარული ურთიერთობისა, რაც იმ განცდაზეა დაფუძნებული, რომ ადამიანი დასაბამიდანვე დაკავშირებულია ყოფიერებასთანაც და მარადიულობასთანაც და ჰარმონიულად ერწყმის უნივერსუმს. აქედან გამომდინარე, ესთეტიკური, ფაქტობრივად, საფუძველდამდები კულტუროლოგიური კატეგორიაა ამ სიტყვის ყველაზე ფართო გაგებით“.¹

ჭეშმარიტი ლიტერატურა და ხელოვნება ყველა თავისი დარგით ამ ესთეტიკური განცდის დანაბადია, მისგან შობილია და ნასაზრდოები. სწორედ ამ მისტიკური განცდის მოსახელთებლად, მის გამოსახატავად ეძებდნენ გზებს, მხატვრულ ხერხებსა და გამომსახველ სიტყვებს დიდი შემოქმედები, ამან დაბადა სიმბოლურ-ალეგორიული ენა, ტროპული მეტყველება, რომელსაც გამოუთქმელის გამოთქმა უნდა შესძლებოდა.

¹ Бычков В., 2000 лет христианской культуры. т. 1. Раннее христианство. Византия, Москва-Санкт-Петербург, 1999, с. 12-13.

ფილონ ალექსანდრიელი, მდგარი ორი კულტურის — ელინისტურისა და ქრისტიანულის — გადაკვეთის ზღვარზე, თავის მსოფლმხედველობრივ სისტემაში მომავალი ახალი კულტურის ნახნაგებსაც გამოკვეთს. იგი ეფუძნება ელინისტ ეგზეგეტიკოსთა ტრადიციებს, კერძოდ, ესეველებს, იმავე თერაპევტებს და მიიჩნევს, რომ გამოთქმული სიტყვა მხოლოდ სიმბოლოა დაფარული აზრისა, რომელიც ცხადდება მისი თარგმანებისას, კომენტირებისას. ფილონისათვის სიმბოლური სახე აღჭურვილია მშვენიერებით და ის უნდა შეიმეცნო არა მხოლოდ როგორც გნოსეოლოგიური, არამედ, აგრეთვე, როგორც ესთეტიკური ფენომენი. მისთვის დასაბამობრივი ერთის წვდომა ტკბობასთანაა დაკავშირებული და ემყარება რა ჰედონეს თეორიას, მის მყარ სიმბოლოდ ეროტიკულ კავშირს მიიჩნევს. დიონისე არეოპაგელის თანახმადაც, არსებობს ჭეშმარიტების შემეცნების ორი გზა: სიმბოლურ-მატერიალური და ფილოსოფიური, ყველასთვის მისაწვდომი. უმაღლესი, გამოუთქმელი ჭეშმარიტების წვდომა მხოლოდ პირველი გზითაა შესაძლებელი. სწორედ სიმბოლოთა, სახეთა მეშვეობით მიიღწევა მიზანი. შემეცნების პროცესში კი წარმოიშობა განცდა, რომელსაც ტკბობა ჰქვია. ვ. ბიჩკოვის თანახმად, ამ განცდას დღევანდელი ტერმინოლოგიით ესთეტიკურ ტკბობას ვუწოდებთ.¹

შეიძლება ითქვას, რომ ესთეტიკური ტკბობა სულიერი აღმაფრენის ის მდგომარეობაა, რამაც გოეთეს ათქმევინა: „შეჩერდი, ნამო, მშვენიერი ხარ!“ ხოლო თეოდორ დოსტოევსკის თანახმად, აღნიშნულ განცდას „სხვა სამყაროში“ შეჰყავხარ.

აქვე ყურადღებას გავამახვილებ თანამედროვე სასულიერო პირის, კონსტანტინე ვერემენკოს, უაღრესად საინტერესო ინტერპრეტაციაზე „დიდი კანონის“ სტრუქტურისა. მისი გაგებით, ანდრია კრიტელი, იკვლევს რა წმიდა წერილს, წარმოაჩენს უწყვეტ ერთიანობას ძველი და ახალი აღთქმისას. ამასთანავე, შეიძლება თვალი გავადევნოთ სამ ერთმანეთთან დაკავშირებულ მიმართულებას მისი საღვთისმეტყველო აზრისა: პირველი — დოგმატური — რომელიც შეიცავს მოძღვრებას ჩვენი ხსნის განგებულებაზე, მეორე — სამოძღვრო — წარმოაჩენს ურთიერთობას ადამიანთა შორის, ამ გზით კი იკვეთება ზნეობრივი კანონი, ხოლო მესამე მიმართულება — მისტიკური — ეხება სულის შინაგან ცხოვრებას, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „დიდი კანონის“ ავტორისათვის.² უყოყმანოდ შეიძლება ითქვას, რომ მესამე მიმართულება, რომელიც ეფუძნება პირველ ორ მიმართულებას, ერთ მთლიანობად კრავს ტექსტს და მის ესთეტიკურ სამყაროში შევყავართ.

„დიდი კანონი“ ნათელყოფს, რა არის ღმერთთან თანაცხოვრება და რას მოასწავებს ღმერთისგან დაშორება. მთავარი ზნეობრივი პრინციპია: „სულითა ვიდოდეთ და ჴორცთა გულისთქუმასა ნუ აღასრულებთ“ (გალატ. 5,16). უზნეობის ჭაობში ჩაძირული კაცთა მოდგმა სხვა პარადიგმას ვერც მოძებნის თავის გადასარჩენად. ვერავითარი მცდელობა მსოფლიო ზნეობის ახალი პროექტის შედგენისა (მხედველობაში მაქვს თუნდაც ჰანს კიუნგის ამავე სათაურის ძალიან საინტერესო ნაშრომი, რომელიც ქართულ ენაზეც არის თარგმნილი)³ მიზანს ვერ მიაღწევს. ზნეობის საფუძველთა საფუძველი ჩვენთვის ერთხელ და სამუდამოდაა განსაზღვრული ქრისტეს მოძღვრებაში.

ძალიან სქემატურად თუ ვიმსჯელებთ, წმ. ანდრია კრიტელი კაცობრიობას შეახსენებს, რა არის ცუდი და რა არის კარგი. დაგმობილია ამპარტავნობა, შური, მრუშობა, გულბოროტება, ნაყროვანება, მცონარეობა... განდიდებულია ღვთისმოსაობა, სიმშვიდე, სიწრფეობა, ურისხველობა, კაცთმოყვარეობა... და ყოველივე ეს მოწოდებულია საკუთარი თავის მხილებით, რაც ნათქვამს განსაკუთრებულ ძალას ანიჭებს.

1 ბიჩკოვი ვ., დასახ. ნიგნი, გვ. 335.

2 Веремеенко К., Свящ. уроки покаяния в Великом каноне Андрея Критского, М. 2013. с. 4.

3 ჰანს კიუნგი, მსოფლიო ზნეობა (პროექტი). თარგმანი ზურაბ აბაშიძისა. თბ. 1998.

დიდ ბიზანტიელ ჰიმნოგრაფს თვითმხილებისთვის არჩეული აქვს ბიბლიური ნარატივი, რომელიც მოიცავს კაცთა მოდგმის ისტორიას ადამის ცოდვით დაცემიდან ვიდრე აპოკალიფსამდე. ეს ხედვა, რომელიც დიამეტრულად განსხვავდება სხვა რელიგიათა ხედვებისგან, გულისხმობს სამყაროს არა ციკლურ, არამედ სწორხაზოვან განვითარებას — დასაბამიდან დასასრულამდე, ღმრთის ჩანაფიქრის განხორციელებამდე, რომელიც აღსრულდება დროის და სივრცის აღსასრულთან ერთად ესქატოლოგიურ მოვლენებში.

ამიტომაც მიიჩნევენ, რომ წმ. ისტორიაში ყველაფერი თავისი შემადგენელი ელემენტებით (მოვლენებით, პიროვნებებით, ინსტიტუტებით) ერთგვარ სიმბოლიზმს განასახიერებს.¹ ამასთანავე, პატრისტიკული თვალსაზრისით, ბიბლიური თხრობა შესაქმნე, პირველცოდვაზე, წარღვნაზე, ლოგოსის განკაცებაზე, ქრისტოლოგიასა თუ აპოკალიფსისზე, თავისი დაფარული აზრით არის ისტორია როგორც სამყაროს განვითარებისა, ისე ადამიანის ევოლუციისა.

ამიტომაც, რომ ჩვენს ძეგლში, რიტორიკული ხერხები, საღვთისმეტყველო შინაარსით რომ არიან თავის მხრივ დატვირთულნი, იჩრდილება იმ ბიბლიურ ადამიანთა ხატ-სახეებით, რომლებიც ღმრთისათნო ცხოვრებით ან მძიმე ზნეობრივი ცთომილებებით არიან გამორჩეულნი. ჯერ კიდევ ფილონ ალექსანდრიელი შენიშნავდა, რომ ძველი აღთქმის პერსონაჟები „სულიერ მდგომარეობათა სახეები არიან“.² ამ ადამიანთა მიღმა კაცობრიობის განვითარების მთელი ეტაპები იკვეთება. ბიბლიური ჰერმენევტიკის თანახმად, ეს პერსონალები უცვლელ ორიენტირებად რჩებიან კაცობრიობის ისტორიაში. მათთან დაკავშირებული განსაცდელი, მათი ცხოვრების მნიშვნელოვანი ეპიზოდები იპოდიგმურ, ე. ი. წინასწარმომასწავებელ, ესქატოლოგიურ ნიშნებად წარმოჩნდებიან. თვით სახელებიც კი ამ ადამიანებისა ღრმა დატვირთვას ატარებენ და ხშირად მათი მისიის განმსაზღვრელნი არიან.

„დიდი კანონის“ ესთეტიკურ შინაარსთან მისაახლოვებლად უთუოდ უნდა გავითვალისწინოთ ის დიდი სულიერი ძვრები, რამაც განსაზღვრა შუასაუკუნეობრივი კულტურის მხატვრული სპეციფიკა, ახალი კულტურის სტილი და ენა. ცნობილია, რომ ელინისტურ პერიოდში ფორმის რიტორიკული გამომსახველობისათვის უდიდესი მნიშვნელობის მინიჭებამ შექმნა საშიშროება ძალზედ დაკნინებულიყო შინაარსი. მიიჩნიეს, რომ მხოლოდ ახალი რელიგია თუ შეძლებდა თავისი უზარმაზარი შინაარსით წარმოეშვა ახალი პოეზია და ახალი რიტორიკა.

ასეც მოხდა. ეს ახალი რელიგია კი ქრისტიანობა იყო, ახალი პოეზია — საღვთისმეტყველო ლირიკა. მასაც მჭიდრო კავშირი ჰქონდა რიტორიკასთან, მაგრამ ეს უკვე გულის რიტორიკა იყო.³ ანდრია კრიტელის „დიდი კანონი“ სწორედ გულის რიტორიკითაა წარმოთქმული. იგი თავისუფალია ბუნდოვანებისა, მიფარულებისა, თუ რთული საღვთისმეტყველო ლექსიკისაგან. მასში ერთმანეთს ენაცვლება თხოვნა-ვედრების, მონანიების, ჭმუნვის, გოდების, მადლიერებისა და დიდებისმეტყველების გამომსახველი ინტონაციები. მისი მხატვრული შინაარსი ამ ემოციებით იქსოვება, ამ ენით გამოიხატება. სწორედ ესაა სახარებისეული სტილი და ენა, ესაა მეთევზურთა (მოციქულთა) მჭევრმეტყველების სისადავე და ყოვლისმომცველი ძალა. აქვე საჭიროდ ვთვლი, მოვიხმო თანამედროვე რუსი ანთროპოლოგის, სერგეი ხორუჟის მეტად საგულისხმო რჩევა: ადამიანის გარდასახვა, შინაგანი სულიერი ძვრა რთული პროცესია. „ადამიანის სულში შემოდის იმედის სხივი, გრძნობ აღმავლობას, უკიდურესი ტანჯვა ერწყმის უსაზღვრო სიხარულს, მთელი ეს მძაფრი და დრამატული შეჯახებანი განცდებისა

1 Словарь библейского богословия, Под редакцией Ксавье Леон-Дюфура, Брюсель, 1974, с. 923-924.

2 Бычков В., დასახ. წიგნი, გვ. 28.

3 ამ საკითხზე უფრო ვრცლად იხ. ქ. ბეზარაშვილი, რიტორიკისა და თარგმანის თეორია გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ქართული თარგმანების მიხედვით. თბ., 2004, გვ. 260-270.

ტრაქტატებზე უკეთ გამოიხატება ლიტურგიკულ პოეზიაში და დაბეჭდვით გირჩევთ მიაშუროთ სინანულის დიდ კანონს წმ. ანდრია კრიტელისა“.¹

მართლაც, სინანულის საგალობელი ხომ ღმერთთან ადამიანის პირად მიმართებას გულისხმობს. ფსალმუნთა მსგავსად, ამ საგალობლით „კაცი იგი ღმერთსა ჰზრახავნ თჳსით გონებით და ღმერთი — კაცსა“.² დიალოგი კი ორმხრივი პროცესია. მიუთითებენ, რომ თანამოსაუბრისაგან ვიღებთ სიტყვიერ პასუხს, ღმრთისაგან კი საპასუხოდ მადლი მოდის. „ეს აქტი ღრმად მისტიკური ხასიათისაა და განსხვავებულია ყველაფრისაგან, რასაც ჩვეულებრივ გულისხმობენ დიალოგსა თუ საუბარში“.³ დიალოგი ღმერთთან თავიდან ბოლომდე სულიერი ქმედებაა, ღრმად დაფარული და ინტიმური.

სინანული (μετάνοια) გულისხმობს გონების (ცნობიერების) შეცვლას, გარდასახვას. მისი მეშვეობით ღმერთთან განწყვეტილი კავშირის აღდგენაა შესაძლებელი. ეკლესიის მამათა მოძღვრებით, სინანული სულიერი კარიბჭეა ადამიანის ადამიანად ქცევის გზაზე. იოანე ოქროპირი განმარტავს: „სინანული მსგავს არს უძღურსა ქუე მდებარესა, რომელი განმრთელდის სენისაგან და აღსუბუქნის ვითარცა მფრინველი; სინანული მსგავს არს გლახაკსა პურის მთხოელსა, რომელმან პოოს საფასე დიდძალი და იქმნის იგი მდიდარ და ღონიერ; სინანული მსგავს არს კაცსა მწუხარესა, რომელი ვალნ ბნელსა შინა წყუდიადისასა და მეყსეულად აღიხილნის და იხილის ნათელი ცხოვრებისა და იხარებნ მას შინა“.⁴ სინანულის წიაღში იბადება „ახალი ადამიანი“.

მნიშვნელოვანია, რომ სინანულის ყოვლისმომცველი გრძნობა თავისი ყველა ნახნავით ქრისტიანობაში გამოიკვეთა. როცა კოლექტიური ცნობიერებიდან მოხდა პიროვნული „მეს“ გამოყოფა, როცა ადამიანში დაიბადა პირადი პასუხისმგებლობის გრძნობა, როცა მან „ძველი აღთქმის“ კანონის მორჩილებას, მის წინაშე შიშსა და ძრწოლას „ახალი ბუნებითი სჯული“ და მის არსებაში გაღვიძებული სინდისის ქენჯნა შეუნაცვლა, მასში გაჩნდა ჩადენილ ცოდვათა სიმძიმის მძაფრი განცდა, შესაბამისად — წყურვილი მონანიებისა და სრული განახლებისა. მას ეს გზა ქრისტეს მცნებებმა დაუსახეს: „რამეთუ ესე არს მცნებაჲ ჩემი, რაჲთა იყუარებდით ურთიერთას, ვითარცა მე შეგიყუარენ თქუენ“ (იოანე 15, 12); „უფროჲს ამისა სიყუარული არავის აქუს, რაჲთა სული თჳსი დადვას მეგობართა თჳსთათჳს“ (იოანე 15, 13); „გესმა, რამეთუ თქმულ არს: „შეიყუარო მოყუასი შენი და მოიძულო მტერი შენი. ხოლო მე გეტყვ თქუენ: გიყუარდედ მტერნი თქუენნი და აკურთხევდით მწყევართა თქუენთა და კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქუენთა და ულოცევდით მათ, რომელნი გმძლავრობდენ თქუენ და გდევნიდენ თქუენ“ (მათე, 5, 43-44). ამ მცნებებზე გადის ადამიანის და, საერთოდ, კაცობრიობის გადარჩენის გზა. ეს მრწამსი აერთიანებს შუასაუკუნეობრივ საღვთისმეტყველო, ეთიკურ და ესთეტიკურ შეხედულებებს. ამიტომ, რომ „შუასაუკუნეობრივი მსოფლმხედველობა მთლიანი, ორგანული და გრანდიოზულია“.⁵

მიიჩნევენ, რომ კანონი, როგორც ჟანრი, დიდი მარხვისთვისაა შექმნილი. ამიტომ წმ. ანდრია კრიტელის „დიდი კანონის“ ღრმა ესთეტიკურ შინაარსს რომ ჩავწვდეთ, უნდა ვიგრძნოთ ის ატმოსფერო, „ის ნათელი სევდა, რომელიც დიდი მარხვის სული და ნიჭია“, როგორც ამას ამერიკაში მოღვაწე, მართლმადიდებლობის სახელგანთქმული მქადაგებელი ალექსანდრე შმემანი შენიშნავს. მისივე განმარტებით, „სევდიანი ნათელი“ ადამიანის განდევნისა და ამაოდ განლეული ცხოვრების სევდაა, ხოლო ნათელი ღვთის სიახლოვესა და მის მიერ მიტევებას

1 Хоружий С., даსახ. წიგნი, გვ. 65.

2 ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები X-XIII საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით გამოსცა მზექალა შანიძემ. თბ. 1960, გვ. 446.

3 Хоружий С., даსახ. წიგნი, გვ. 220.

4 მამათა სწავლანი, X და XI საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით გამოსცა ილ. აბულაძემ, თბ. 1955, გვ. 62.

5 ბერდიაევი ნ., ადამიანის ბედი თანამედროვე სამყაროში. თარგმანი ბაჩანა ბრეგვაძისა, თბ. 2001, გვ. 44.

ეკუთვნის, ეს ღმერთთან დაბრუნების სიხარული და მამისეულ სახლში შესვლის სიმშვიდეა.¹ მორწმუნე ადამიანისთვის დიდი მარხვა „გაზაფხულია, სიხარულისა და სინათლის დროა“.²

იოანე სინელის „სათნოებათა კიბის“ იოანე პეტრიწის მიერ გალექსილ ვერსიაში კი ნათქვამია:

„სინანული სჯის თავსა თვსსა მოსწრაფედ,
სინანული სწმედს სწიდიდისა მხილებით,
სინანული არს გზა ღმრთისა დაგებისა
და მიმყვანებელ კართა სამოთხისათა,
შედი, მართალო, აღარ დაგეჴმას კარი“.³

ნმ. ანდრია კრიტელის „დიდ კანონშიც“ გაზაფხულის სუნთქვა იგრძნობა, „ახალი ადამიანის“ დაბადების ჟამი დგას! ძეგლის მხატვრული აღნაგობა, სტრუქტურა, კომპოზიცია სრულად შეესატყვისება ტექსტის საღვთისმეტყველო შინაარსს, მის კონცეპტუალურ ინტენციას. საგალობლის შინაარსს კონტრასტულ განწყობილებათა გამომსახველი ინტონაციები დაჰყვება: ერთი მხრივ, ტკივილის, თვითმხილების, თავის დამდაბლების, სევდის, მეორე მხრივ კი, — სასოებითა და იმედით გასხივოსნებული. ეს განწყობილებები თანდათან ღრმავდება და მეცხრე, დამამთავრებელ გალობაში დიდებულ რეგისტრში გადადის. ამ პრინციპითაა აგებული არა მხოლოდ მთელი საგალობლის კომპოზიცია, არამედ ყოველი ცალკეული გალობის სტრუქტურაც: ყოველი გალობა იწყება უფლისკენ მიმართული მსასოებელი მზერით, მას მოსდევს ცრემლით დაღტობილი აღსარება ცოდვილი ადამიანისა, იქვე შემოდის იმედის გამომხატველი ინტონაცია და ბოლოს აჟღერდება დამამთავრებელი „სამებისანი“ და „ღმრთისმშობლისანი“.

აღსანიშნავია ისიც, რომ მიუხედავად გალობათა პრინციპულად ერთგვაროვანი სტრუქტურისა, მთლიანი საგალობელი სრულიადაც არ არის მონოტონური. მასში იცვლება რიტმი, ინტონაცია, განწყობილება, ბიბლიურ სახისმეტყველებით პასაჟებს სუბიექტის გულწრფელი ლაღადისი ენაცვლება. ამოუწურავი ბიბლიური წიაღსვლები ადამიანის სამყაროს ლაბირინთებში გვამოგზაურებს, ადამიანის აღმშენებლობით ღვწას გვაზიარებს. საგულისხმოა ედიშერ ჭელიძის შენიშვნა: „ერთადერთი ჭეშმარიტი, ბუნებითი კულტურა ისაა, რაც სამოთხისეულ ცხოვრებას უნდა მოჰყოლოდა და რაც, ღვთის შეწევნით, მოჰყვება სამოთხედაკარგული კაცობრიობის მიერ საკუთარ თავში კულტურული ანუ თავისივე თვითდამუშავებითი მოღვაწეობის შედეგად იმავე სამოთხისეული ცხოვრების კვლავ აღდგინებას, რაც ბერძნულში გამოიხატება შესანიშნავი ტერმინით „ასკეზისი“ (ἀσκησις). მისივე განმარტებით, ბერძნული ზმნა „ასკეო“ (ἀσκέω) უაღრესად საყურადღებო ტერმინი გახლავთ. იგი, პირველ რიგში, ნიშნავს უხეში მასალის დამუშავებას, მეორე მხრივ, — ნატიფად დამზადებას, „ხელოვანებით სრულქმნას“, „შემკობას“, „გამშვენებას“, მესამე მხრივ კი — „ვარჯიშს, წვრთნას“. მეცნიერის დასკვნით, ტერმინი „ასკეზისი“, სულიერი განმარტებით, ესაა ადამიანის ღვწა იმისთვის, რომ მან, ღვთის შეწევნით, საკუთარი თავი, როგორც დაუმუშავებელი და უხეში მასალა, საღვთო ჭურჭლად თვითონვე შეამზადოს, საკუთარი თავი თვითვე გარდაქმნას სულიწმიდის სამკვიდრებლად“.⁴

„დიდი კანონი“, ისევე როგორც ყოველი საღვთისმსახურო საგალობელი, უფალს ეძღვნება, მას განადიდებს. ქართველ მთარგმნელს — არსენ იყალთოელს — ძეგლის ეტიკურ-ესთე-

1 შემეანი ა., დიდი მარხვა, თარგმანი ექვთიმე კოჭლამაზაშვილისა, თბ. 2004, გვ. 34.

2 იქვე.

3 იოანე პეტრიწი, სათნოებათა კიბე, ივ. ლოლაშვილის გამოცემა, თბ. 1968, გვ. 182.

4 ჭელიძე ე., ქრისტიანობა და საზოგადოება, რელიგიურ-საგანმანათლებლო ჟურნალი „გული გონიერი“, 2, 2011, გვ. 15-16.

ტიკურმა შინაარსმა უფლება მისცა შემდეგნაირად გამოეხატა ეს განცდა: „ქუეყანაო, ისმინე სინანული ღმრთისმგალობელისა“ (II, 1). ეს ტერმინი არ არის „დიდი კანონის“ ბერძნულ ტექსტში, თუმცა ამოზრდილია მისგან.

ცხადია, „დიდი კანონის“ ესთეტიკური შინაარსი სრულად მისი გალობით შესრულებისას იხსნება. მაგრამ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ „ეს ჟანრები (სასულიერო საგალობლები — ლ. გ.) სუფთა მუსიკალური კი არა, არამედ მუსიკალურ-პოეტური ხასიათისა არიან, რადგან მთავარ როლს აქ ასრულებს არა მუსიკალური მელოდია, არამედ სულიერი და პოეტური შინაარსი, რომელიც განსაზღვრავს ნაწარმოების სტრუქტურასაც და მის მელოდიურ ფორმასაც.¹ თუმცა მუსიკალური თანხლება ის აუცილებელი კომპონენტია, რაც სასულიერო ლირიკის ნიმუშს სხვა კომპონენტებთან ერთად (ღმრთისკენ აღვლენილი სიტყვა, მისი რიტმულ ჩარჩოში მოქცევა, სახეთა პარალელიზმი, ერთი იდეის წიაღში ვარირება...) პოეზიად აქცევს.

* * *

„დიდი კანონი“, როგორც აღვნიშნეთ, ბიბლიური თხრობის ფონზეა გაშლილი, მაგრამ, როგორც ა. შემენი აღნიშნავს, „დიდ კანონში“ საღმრთო ისტორიის მოვლენები ისეა მოცემული, როგორც ჩემი პირადი ცხოვრება, ღვთის წარსული საქმენი — როგორც ჩემი პირადი ცხოვრებისათვის ქმნილნი, ცოდვისა და ღალატის ტრაგედია — როგორც ჩემი პირადი უბედურება, ჩემი ცხოვრება ნაჩვენებია როგორც ღმერთისა და მის წინააღმდეგ ამბოხებული ბნელეთის ძალების დიდი და ყოვლისმომცველი ბრძოლის შემადგენელი ნაწილი.“²

ჩვენს ძეგლში სინანულის საგალობელს ცხოვრების გზის დასასრულს მიღწეული ადამიანი წარმოთქვამს. „დავრდომილსა, მაცხოვარ, წინაშე ბჭეთა სიბერესა ღათუ ნუ შთამაგდებ მე ჯოჯოხეთად, არამედ პირველ სიკუდილისა კაცთმოყუარებით მომმადლე შენდობაჲ შეცოდებათაჲ“, — გოდებს მრავალჭირნახული, მრავლისგადამტანი პიროვნება, რომელსაც ბრძოლისა და დაპირისპირების ასპარეზად თავისი შინაგანი სამყარო გაუხდია.

აღმსარებელი თვითმხილებას იწყებს ხორცისა და სულის, ანუ „ადამიანური არსების ერთადერთი პირადი „ფესვის“ (ა. შემენი) მოხმობით: „მოვედ, სულო მდაბალო, ჴორცთა თანა და იჯმენ პირველისა მის პირუტყუებისაგან“ (მღუმარებისაგან — ლ. გ.). განსჯა ლოგიკურად წარიმართება: ქრისტიანული ასკეტიზმი სულაც არ უცხადებს ბრძოლას სხეულს. პირიქით, ის გულისხმობს ბრძოლას სხეულისთვისაც. „ამიტომაც ინანიებს მთელი ადამიანი — მისი სული და ხორცი. სხეული სულის ღოცვაში მონაწილეობს, მსგავსად იმისა, როგორც სული თავის სხეულში ღოცულობს და არა მის გარეთ.“³

ადამიანისთვის ძნელია, მოძებნოს დასაბამი ცოდვათა ჭაობში კაცთა მოდგმის ჩაფლობისა. აკი „დიდი კანონიც“ იწყება შეკითხვით: „ვინაჲ ვინყო მე გლოვად საქმეთა ცხოვრებისა ჩემისათა, ანუ რომელი დასაბამი ვყო, ქრისტე, გოდებისა ამის?“ (I, 1). თუმცა ამ საგალობელში დასმული კითხვა რიტორიკული ხასიათისაა, ტექსტის პროლოგისთვისაა საჭირო; ძველი და ახალი აღთქმის სწავლებას ნაზიარებმა ადამიანმა კარგად იცის, რომ ცოდვათა დასაბამი ბიბლიური ადამიანების — ადამისა და ევას ქმედებაშია ჩამარხული.

მაინც რა ჩაიდინა ადამმა? რა ცოდვა დაატეხეს პირველმა ადამიანებმა კაცობრიობას? ადამმა ღვთის მცნება დაარღვია, აკრძალული ხის ნაყოფი იგემა და განიდევნა სამოთხიდან.

მეცნიერული ინტერპრეტაციის თანახმად, ბიბლიური მონათხრობი ქმნის საფუძველს, გა-

1 Бычков В., დასახ. წიგნი, გვ. 71.

2 Шемени А., დასახ. წიგნი, გვ. 71.

3 იქვე, გვ. 39.

მოიყოს სამი სხვადასხვა დისკურსი: წმ. წერილის (სამოთხე, ხე, მაცდუნებელი ევა), თეოლოგიისა (ქმნადობა, დაცემა) და ანთროპოლოგიისა (საწყისი, დასასრული).¹

თითოეული მათგანი გულისხმობს ორ მოდუსს, რომელიც დაიყვანება ოპოზიციაზე: სიკეთე — ბოროტება. დაცემა გულისხმობს დაშორებას ღმრთისაგან, აბსოლუტური სიკეთისაგან, ჭეშმარიტებისგან, მშვენიერებისგან, უკვდავებისაგან. ყველანაირი სატკივარი, გასაჭირი, უმწეობა, უზნეობა და სიკვდილიც, როგორც შედეგი პირველცოდვისა, ღვთისგან დაშორებადაა მიჩნეული და გაერთიანებულია ერთ მცნებაში — ცთომა, ცოდვა, დაცემულობა.

ასკეზის ფენომენოლოგიაში ამ მოვლენას მიიჩნევენ სინერგიის დარღვევად, რაც ღვთის ნებისა და ადამიანის ნების ერთმანეთისაგან დაცილებას ნიშნავს. ადამი საკუთარ ნება-სურვილს აჰყვას, ღმრთისაგან დამოუკიდებელ გზას დაადგას. ექსორიაქმნილი ადამი კაცობრიობის „გზამკვლევად“ იქცა.

საგულისხმოა, რომ საღვთისმეტყველო სწავლებით, სინერგიის დიადი მაგალითია ღვთისმშობელი. როდესაც მას გაბრიელ მთავარანგელოზის მოწოდება ესმა, „ჰრქუა მას მარიამ: აჰა მწევალი უფლისაჲ, მეყავნ მე სიტყვსაებრ შენისა!“ (ლუკა 1, 38). სინერგიის თემამ განსაკუთრებული დატვირთვა შეიძინა მართლმადიდებლურ ტრადიციაში.

ანდრია კრიტელის „დიდი კანონის“ პირველი საგალობლის დასაწყისშივე გაისმის: „პირველ შექმნულსა ადამს გარდასლვითა ვებაძვე და ვაგრძენ სიშიშულე ჩემი ღმრთისაგან და მალლისა მის მეფობისა და წმიდისა ფუფუნებისა დაცემათა ჩემთათჳს“ (I, 3). შემდეგ ტროპარში კი ევას თემა შემოდის: „ჩემო უბადრუკო სულო, რაჲსა ემსგავსე პირველსა ევას, რამეთუ მიჰხედე და იწყალ შენ მწარედ, და შეეხე ხესა და სჭამე ყოვლად წარმდებად ჭამადი მაკუდინებელი“? (I, 4).

მოხმობილ ტროპარებში რელიეფურად იკვეთება ჰიმნოგრაფის მხატვრულ-ალეგორიული მეთოდი. იგი ადამისა და ევას ცოდვათა, ბრალეულობათა მხოლოდ თანამონაწილედ კი არ მიიჩნევს თავს (საეკლესიო სწავლებით, ადამის მოდგმამ თვისებრივად მიიღო მონაწილეობა პირველცოდვაში), არამედ ამ ცოდვათა გამამრავლებლადაც: გრძნობადი, ხორციელი ევას ნაცვლად, მასში მოქმედებს წარმოსახვითი ევა — ხორციელი ვნება, სიტკბოებათა მომგვრელი, ამ სიტკბოებათა დაგემოვნებას კი სიმწარე მოჰყვება, ღმერთთან დაშორებით გამოწვეული სიმწარე: „გრძნობადისა ევაჲს წილ საცნაური ევა, — ჴორცთა ჩემთა ვნებული აღძრვაჲ მიჩუენებდა მე ტკბილთა, რომელთა გემოჲ რაჲ ვიხილე, დავაკლდი შენსა მას მეცნიერებასა“ (I, 5).

კაცთა მოდგმისთვის შემადრწუნებელია, რომ ადამი ერთი მცნების დარღვევის გამო განიდევნა ედემიდან, და რა ელის მას, რომელიც მუდამ უარყოფს ღვთის ცხოველმყოფელ მცნებებს?

ბუნებრივია, რომ პირველსავე გალობაში მძაფრად შემოიჭრება კაენისა და აბელის თემა, რომელიც უაღრესად მნიშვნელოვანი ინტერპრეტაციითაა მოწოდებული. კაენი შურმა დააბრმავა, მან ძმის მკვლელობა ჩაიდინა, მაგრამ ადამიანი, რომელიც საკუთარ სინდისს განგმირავს, ძმის მკვლელზე უარესია. ამ ზნეობრივ მაქსიმას დომინანტური ფუნქცია ენიჭება მთელს საგალობელში. ნიშანდობლივია, რომ ცნება — სინდისი — „დიდი კანონის“ ქართველ მთარგმნელთაგან მხოლოდ არსენ იყალთოელთან გვხვდება და თან არაერთგზის.

რაც შეეხება აბელის თემას, რომელთანაც ძველი აღთქმის ერთ-ერთი მთავარი იპოდიგმაა დაკავშირებული (მხედველობაში მაქვს საღვთო ძღვენის წრფელი გულით გაღება), ჩვენს საგალობელში საკუთარი თავის სამხილებლად არის შემოტანილი: „აბელისა, იესუ, არა მივემსგავსე სიმართლესა და ძღუენნი სათნონი არა მოგართუნ შენ, არცა საქმე ღირსი, არცა მსხუერპლი განწმედილი, არცა ცხორებაჲ უბრალო“ (I, 8).

I გალობის ინტონაცია თანდათან მძაფრდება. შემოქმედის წინაშე ყველაფერი ცხადდე-

¹ Хоружий С., დასახ. წიგნი, გვ. 35.

ბა, ცოდვათა აღიარებით კი იკვეთება გზა ხსნისა. ადამიანს არ ტოვებს ღრმა რწმენა უფლის მოწყალებისა. სწორედ აქ შემოდის უძღვები შვილის მოტივი (გავიხსენოთ, რომ დიდი მარხვის კვირიაკეთა შორის დამაგვირგვინებელი კვირა უძღვები შვილის თემას ეხება). მას უძღვები შვილივით სტანჯავს ჭეშმარიტებასთან, საკუთარ კერასთან დაბრუნების მძაფრი წყურვილი. სიყვარულით, იმედით გამთბარი ინტონაციით წარმოითქმის: „დალაცათუ ვცოდე, მწსნელო, არამედ უწყი, რამეთუ ტკბილ ხარ, მოსწყლავ თანალმობით და ჰკურნებ წყალობით, მტირალსა მიჰხედავ და უძღვებსა შვილსა კუალად შეიტკბობ, ვითარცა ღმერთი“ (I, 12). ტექსტი სავედრებელი გამონათქვამებით იტვირთება: „ან კუალად მაცხოვნე, ტკბილო“, „კაცთმოყუარებით მომმადლე შენდობა შეცოდებათა“, „გვედრები, განმკურნე“, „მიღვანე და შემინყალე“. ბოლო ოთხ ტროპარს რეფრენად მიჰყვება: „აღილე ან ჩემგანცა საწივი მძიმე ცოდვისა და ვითარ კაცთმოყვარემან, მომმადლენ ცრემლნი სინანულისანი“. იგივე რეფრენი გაიჟღერებს დამამთავრებელ „სამეპისანსა“ და „ღმრთისმშობლისანში“. ცრემლით გულის დაღტობაც დიდი მარხვის მოსამზადებელი პერიოდის ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტია.

„დიდი კანონის“ II გალობა, რომელიც მიჰყვება მოსე წინასწარმეტყველის მამხილებელ გალობას, გამოირჩევა საოცარი დინამიურობით, დაძაბული რიტმით, ლაკონიურობით. ტროპარები დაწნეხილი და ღრმა ემოციითაა დამუხტული. თითქმის ყოველი მათგანი იწყება ზმნით: „მოიხილემ ცაო“, „მომხედენ მე“, „შეგცოდე შენ“, „სახოან-ვყავ“, „გარდამეცნეს ღელვანი ვნებათანი“, „ბინიან-ვყავ ტაძარი“, „დავაშავე ბრწყინვალეაჲ სულისაჲ“, „განვბძარე მე სამოსელი“, „მმოსიეს მე ხენეში კუართი“, „წარვწყმიდე პირველქმნილი სიკეთე“, „შემიკერნა ტყავისა სამოსელი“, „გმოსიეს სამოსელი კდემისაჲ“, „შთავრდომილ ვარ უფსკრულსა ვნებათა-სა“, „დავეკუეთე დავითისებრ ცოდვითა“, „მილხინე მე, — ვიტყვ მეზუერისაებრ“, „ყურად-იხუენ სულთქუმანი სულისანი“... სულის ეს ძახილი გულისშემძვრელია.

II გალობის წამყვანი პარადიგმა — „სამოსელი“, სამოთხიდან ადამის განდევნის ერთ-ერთი ყველაზე ტევადი სახე-სიმბოლოა. ცოდვით დაცემული ადამიანი შეიმოსა „ტყავის სამოსლით“ (დაბ. 3, 21); „მას განეხუნეს თუალნი ჯორციელნი“, როგორც ეს იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ არსენ იყალთოელისეულ თარგმანშია აღნიშნული (იოანე დამასკელი, გარდამოცემა).¹ „ტყავის სამოსელი“ და ჯორციელი თვალი“ იმაზე მიგვანიშნებს, რომ ადამი სამოთხიდან გამოძევებამდე ფლობდა სხვაგვარ სხეულს. საგულისხმოა, რომ ებრაული თეოსოფიური კოდირებული სისტემის შემცველი მიმდინარეობა — კაბალა და მისი ფუძემდებლური წიგნი ზოჰარი განმარტავს, რომ როდესაც ადამი, ჩვენი პირველი მამა, ედემის ბაღში ცხოვრობდა, იგი შემოსილი იყო, როგორც ზეცაში მყოფი, წარუვალ ნათლისაგან მოქსოვილი სამოსლით.² წმ. გრიგოლ ნოსელი კი აღდგომის არსზე საუბრისას იტყვის: „მადლი იგი აღდგომისაჲ არარას სხუასა გჳქადაგებს, არამედ მუნვე მოქცევასა, ვინაჲცა განვისხენით პირველ“.³ აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ აღდგომის შემდეგ ადამიანის სხეული უზრუნველი იქნება, რადგან „სიმძიმე ესე ჯორცთაჲ ამათ არღარა შთაზიდვიდეს გუამსა ამას ქუეყანად, არამედ შემძლებელ იქმნეს სინულადითა მით აერთა შინა სლვად“.⁴ მაშასადამე, ადამიანის სხეული მძიმე ხორციით კი არ იქნება მოსილი, არამედ „წულილით“, ე. ი. ჰაეროვნით. ადამიანის სწორედ ამგვარ სხეულზე მიგვანიშნებს პავლე მოციქულის შემდეგი სიტყვები: „სხუაჲ არს ჯორცნი იგი ზეცისათანი და სხუაჲ არს ჯორცნი იგი ქუეყანისათანი“ (1 კორ. 15, 40); ასევე: „არს ჯორცი მშვნეიერი

1 წმ. იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, ორი ძველი თარგმანი, გამოსაცემად მოამზადეს რომან მიმინოშვილმა და მაია რაფაევამ. თბ. 2000, გვ. 109.

2 Шмаков В., Священная книга Тота. Великие арканы Таро. Абсолютные начала синтетической философии эзотеризма, М., 1916, с. 173.

3 უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთაჲსა“ და გრიგოლ ნოსელის თარგმანებისა „კაცისა აგებულებისათჳს“, თბ. 1964, გვ. 183.

4 იქვე, გვ. 196.

და არს „წორცი სულიერი“ (1 კორ. 15, 44).

ანდრია კრიტელის „დიდი კანონის“ II გალობაში ადამის დაცემის გამომხატველ სახეთა („უსახოების სახოვან-ყოფა“, „გონების მიწად გამოჩენა“, „სულის მშვენიერების დაბნელება“ და სხვ.) შორის აშკარად დომინირებს სამოსლის სიმბოლო.

ეს სახე გალობის VI ტროპარშივე იკვეთება „ἐσπίλωσα τὸν τῆς σαρκὸς μὲν χιτῶνα“. სამივე ქართველი მთარგმნელი შესატყვის თარგმანს გვთავაზობს: „განვხეთქე მწარედ სამოსელი ჩემი პირველი“ (ექვთიმე ათონელი), „განვხეთქე მე მწარედ სამოსელი ჩემი პირველი“ (გიორგი ათონელი), „განვაბძარე მე პირველი სამოსელი“ (არსენ იყალთოელი). მომდევნო ტროპარებში ანდრია კრიტელი ნაირნაირი ნიუანსების შეტანით აღრმავებს სამოსლის თემას. შემოგთავაზებთ მაგალითებს არსენ იყალთოელისეული თარგმანიდან: „შემიკერნა ტყავისა სამოსელნი ცოდვამან ჩემმან და ღმრთივექსოვილი სამოსელი განმძარცუა“ (II, 12); „მმოსიეს მე სამოსელი კდემისაჲ, მსგავსად ლელვს ფურცელთა მხილებად თვთმფლობელთა ვნებათა“ (II, 13); „სამოსელი შებღალული მმოსიეს“ (II, 14).

ცოდვაში ჩაფლული ადამის შთამომავალი ღვთის მოწყალეობაზე სასოებს, ქრისტეს სთხოვს შემწეობას. იხსენებს მღელვარე ეპიზოდს მათეს სახარებიდან: „წყალთა ზედა“ მავალ, ქრისტეს დამონაფებულ პეტრეს, ძლიერი ქარისგან შეშინებულს, „ჴელი რომ უპყრა“ იესომ (მათე, 14, 31) და იხსნა იგი განსაცდელისაგან. ჩვენს ძეგლში გაისმის გულის წამღები ვედრება: „მოწყალეო უფალო, არამედ ვითარ პეტრეს, ჴელი აღმიპყარ“ (II, 5).

ცოდვათა აღიარებისას მონანული ადამიანი მოიშველიებს ახალი აღთქმის პარადიგმულ სახეებსაც. ესენია: მეძავი და მეზვერე. ერთმა ნელსაცხებლით სავსე ალაბასტრი (ჭურჭელი) მიიტანა, ქრისტეს ფერხთა წინაშე დადგა, შემდეგ ცრემლით დააღტო, თმით წარხოცა, ეამბორა და ნელსაცხებელი სცხო მაცხოვრის ფეხებს (ლუკა 7, 38). ხოლო მეორემ, მეზვერემ, ვერც კი შეჰბედა იესოს თვალის გასწორება, „არამედ იცემდა მკერდსა და იტყოდა: „ღმერთო, მილხინე ცოდვილსა ამას“ (ლუკა 18, 17).

ხსენებულ ბიბლიურ სახეებს „დიდ კანონში“ გვირგვინად დავით მეფსალმუნის სახე ადგას: „დავეკუეთე დავითისებრ ცოდვითა და სავსე ვარ მწიკულითა, განმბანე მეცა ცრემლითა, მჴსნელო“ (II, 21). ვედრება კულმინაციას აღწევს შემდეგ ტროპარში: „არცა ცრემლნი, არცა სინანული მაქუს, არცა ღმობიერებაჲ, ვითარცა ღმერთმან, მომცენ ესენი“ (II, 23).

ვიცით, რომ II გალობა აგებულია ორ ძლისპირზე. ძლისპირსაც და მასთან შეწყობილ პირველ ტროპარსაც ერთნაირი დასაწყისი აქვს. „იხილეთ, იხილეთ, რამეთუ მე ვარ მეუფე“ (ამავე სიტყვებით იწყება ბიბლიური მოსეს მეორე გალობა).

ამ გალობაში მამხილებელი ტონი მკაცრდება. მღალადებელი თითქოს შიშვლდება უფლის წინაშე. ამისთვის ნიადაგი მზადდება გალობის პირველსავე ტროპარში, სადაც ღმრთის მრისხანე ხმა გაისმის: „იხილეთ, იხილეთ, რამეთუ მე ვარ მეუფე, ისმინე შენ, სულო ჩემო, ღალადებაჲ უფლისაჲ და ევლტოდე პირველსა ცოდვასა და ძრწოდე, ვითარცა მსაჯულისა და ვითარცა ღმრთისაგან“ (II, 1).

გალობაში გამოყენებულია კონტრასტის ხერხი. ჯერ დასახელებული არიან ცოდვით წარწყმედილები: კაენი, ლამექი, შემდეგ კი მოხმობილია სჯულამდე მცხოვრებ მართალ ადამიანთა სახეები: „სჯულისა პირველთა თანა-წარჰჴედ შენ, ჴ, სულო, და სეთს არა ემსგავსე, არცა ენოსს ებაძვე, არცა ენუქის მიცვალებასა და არცა ნოეს“ (II², 3). განაჩენი კი მკაცრია: „დაჰგლახაკენ მართალთა ცხორებისაგან“.

ძველი აღთქმიდან ცოდვილთა განსასჯელად შემოტანილია გოდლის მაშენებელთა თემაც. თუ ძველი აღთქმის ადამიანები უგუნურ გზას დაადგნენ, ღმერთთან მისაახლოებლად სათნოებათა კიბეს კი არ ესწრაფოდნენ, არამედ ქვით აგებდნენ გოდოლს, რომლის მეშვეობითაც

ცდილობდნენ მიზნის მიღწევას, დღესაც ცოდვილი ადამიანი გულისთქმათა (სურვილთა) გოდლის აღმართვას ცდილობს, მაგრამ ღმერთი აცამტკვერებს მსგავს ბოროტ ზრახვებს.

ამ ტროპარში ბიბლიურ სასწაულთა ჰერმენევტიკული არსია გახსნილი: „აწჳმა ოდესმე უფალმან უფლისა მიერ ცეცხლი და ბილწებათათჳს რისხვით დაწუნა სოდომნი, ხოლო შენ, ზ, სულო, ცეცხლი გეჰენიისაჲ აღაგზენ, რომელსა შინა გეგულები დაწუნაჲ“ (II², 7). ცოდვა დაუსჯელი არ რჩება. წარღვნა, სოდომ-გომორის დაწვა ღმრთის რისხვაა ცოდვათა აღმოსაფხვრელად, გაფრთხილებაა კაცობრიობისთვის.

გალობის ფინალური ტროპარი ღრმა ტკივილს გამოხატავს: „წყლულ ვარ და განგუმერილ, რამეთუ განეწონნეს აწ ისარნი ბოროტისანი სულსა და ჳორცთა ჩემთა“ (II², 8). ღმრთის მრისხანება უკიდევანოა: „ცანთ და გულისჴმა-ყავთ, რამეთუ მე ვარ უფალი, განმკითხველი გონებათაჲ, მსაჯული გულისზრახვათაჲ, რომელი ვამხილებ ქმნათა და დავსწუავ ბრალთა, და უსჯი ობოლსა, და მდაბალსა და გლახაკსა“ (II², 9).

III გალობა „დიდი კანონისა“ უკავშირდება ბიბლიური ანას გალობას, რომელშიც უფლის ძლევამოსილებაა განდიდებული. უშვილო დედას ღმერთმა ძე უწყალობა. ანას სიხარული უსაზღვროა: „განძლიერდა გული ჩემი უფლისა მიერ და ამაღლდა რქაჲ ჩემი ღმრთისა მიერ ჩემისა; განვრცნა პირი ჩემი ზედა მტერთა ჩემთა, განვიხარე მე მაცხოვარებითა შენითა“ (მეფ. 2, 1). ამ განწყობილებითაა განმსჭვალული სამუელ წინასწარმეტყველის დედის — ანას მცირე მოცულობის საგალობელი.

ანდრია კრიტელის „დიდი კანონის“ III გალობის ორივე ძლისპირი ანას საგალობლიდანაა ამოზრდილი, ოღონდ ემოციური შინაარსია შეცვლილი: ანას გული გაძლიერებულია, „რქაჲ მისი ამაღლებულია“, ძლისპირში კი ვედრებაა ღვთისმოსავი ადამიანისა: „შეურყეველსა ზედა კლდესა ბრძანებათა შენთასა დაამტკიცე, ქრისტე, გონებაჲ ჩემი!“

პირველ ძლისპირთან შეწყობილ შვიდსავე ტროპარში უმძიმესი ცოდვების თემაა წამოწეული, სოდომ-გომორის ცეცხლით გადაბუგვის მოტივია აქცენტირებული. აღმსარებელი, რომელიც თავს ცოდვითა შორის უცოდვილესად მიიჩნევს („მე მხოლომან ვცოდე შენდამი, მე ვცოდე უფროჲს კაცთა“... (III¹, 4), მაცხოვარს შეძრწუნებული შესთხოვს, დაიხსნას სასჯელისაგან, მოიშველიებს სახარებისეულ იგავსაც („ზ, მწყემსო სახიერო ქრისტე, მომიძიე ცხოვარი და ცთომილსა ნუ უგულებელს-მყოფ“) და გამოთქვამს რწმენას, რომ მას დაიხსნის უფალი: „შენ ხარ დამბადებელი ჩემი, შენ ხარ ტკბილი იესუ, და შენ მიერ განვმართლდები, მჴსნელო“ (III¹, 7).

III გალობის II ძლისპირიც წინა ძლისპირის პათოსს შეიცავს: „დაამტკიცე, უფალო, კლდესა ზედა მცნებათა შენთასა შერეული გონებაჲ ჩემი, რამეთუ ღმერთი მხოლოჲ ძლიერ და მართალ, და ნმიდა ხარ“. ამ გალობაშიც ცოდვილი ადამიანი უმკაცრესად განსჯის თავს. ღმრთისადმი სასოება ლაკონიურადაა ჩამოყალიბებული: „ვცოდე, მილხინე და მაცხოვნე“ (III², 1).

სახელდებიან ნოეს ჟამის ცოდვილი ადამიანები, რომელთაც სამართლიანი სასჯელი დაიმსახურეს. ესენი არიან: ქამი — მამის შეურაცხმყოფელი, ურცხვი და უტიფარი, აგარი — შვილის ხარჭობისას გამჩენი, ისმაელი — შვილი ხარჭისა, ხოლო ზნეობრივ ადამიანებად, რომელთაც ღვთის გზაზე მდგომი კაცი უნდა ჰბაძავდეს, მიიჩნევიან: სემი, იაფეტი, აბრაამი, იაკობი; აგრეთვე, მელქისედეკი, მეფე და მღვდელი, რომელმაც მიიღო და აკურთხა აბრაამი. საგულისხმოა, რომ აპოსტოლური ტრადიციით, ქრისტე არის „მღვდელი უკუნისამდე მელქისედეკის წესით, რადგან მელქისედეკის მსგავსად, იესო ერთდროულად იყო მეფეც და მღვდელმთავარიც: მეფე — ღვთის სასუფეველისა და მღვდელი, რომელმაც სიცოცხლე გაიღო მსხვერპლად (ებრ. 5, 6-10).

საგანგებოდ უნდა გამახვილდეს ყურადღება მამა აბრაამზე, რომელიც ძველი აღთქმის უმ-

თავრესი სახეა და საგალობელში რამდენიმე ასპექტითაა წარმოდგენილი.

მართებულია თვალსაზრისი, რომ „აბრაამი ის ადამიანია, ვინც თავისი განუმეორებელი ინდივიდუალობით პირველად გამოჩნდა ძველი აღთქმის ისტორიაში, როგორც პიროვნება“.¹

აბრაამი ღვთის რჩეულია. მას ღმერთმა მოუწოდა, დაეტოვებინა ქალაქი ური და ხარანში გადასახლებულიყო. აბრაამი უყოყმანოდ დაჰყვა ღმრთის ნებას. ანდრია კრიტელი შემდეგნაირად ეხმიანება ამ ფაქტს: „გასმიეს, სულო ჩემო, ვითარ დაუტევა აბრაჰამმან მამული თვისი და უცხო იქმნა, ემსგავსე შენცა მისსა კეთილსა აღრჩევასა“ (III, 6).

საღვთისმეტყველო სწავლებით, ღმრთის მოწოდებით აბრაამის მიერ თავისი მიწა-წყლის დატოვება და ღმრთის გზაზე შედგომა ღრმა შინაარსს შეიცავს. ესაა გზა, რომელიც ადამიანისა და კაცობრიობის განვითარებას მოასწავებს, ესაა გზა უძრაობიდან მოძრაობისკენ, ღვთისკენ, ესაა გზა ცოდვილი სივრციდან სამოთხისაკენ. ამიტომ მოუწოდებს „დიდ კანონში“ აღმსარებელი თავს: „გამოვედ, სულო ჩემო, ქუეყანით ცოდვისაჲთ ხარანით და მივედ სოფლად გამომდინარედ უხრწნელებისად, რომელ დაიმკვიდრა აბრაჰამ“.

ექვთიმე ათონელისა და გიორგი ათონელის თარგმანები აღნიშნული ტროპარებისა ინტერპრეტაციულ ხასიათს ატარებს და უფრო მკაფიოდაა გამოხატული იდეური ჩანაფიქრი. მოვიხმოთ ორივე თარგმანს:

ექვთიმე ათონელი

„ეჰა, სულო უბადრუკო,
განიფრთხვე ცოდვათაგან
და გამოვედ ქუეყანით
ვნებათაჲთ მოსწრაფედ
შეუქცეველად
და მოვედ ქუეყანად
უვნებელობისა
აბრაჰამისებრ“ (III², 5).

გიორგი ათონელი

„გამოვედ, სულო ჩემო, ცოდვისა ქუეყანით
და შევედ ქუეყანასა
უწრწნელებისა მომატყუებელსა,
განაგდე ვნებათა სიყუარული,
რაჲთა ემსგავსო შენ აბრაჰამს
და მსგავსად მისსა დაიმკვიდრო
ქუეყანაჲ სძისა და თაფლისა“ (III², 5)

ღმრთის მოწოდება და აბრაამის ახალ მიწაზე დამკვიდრება კიდევ ერთ აღთქმას გულისხმობდა. აბრაამიდან სათავე უნდა აეღო ადამიანების გამრავლებას, აბრაამი უნდა გამხდარიყო აბრაამი, აბრაჰამ „მამა მრავლისა“ (დაბად. 17,5), რაც მოხდა კიდევ: მამათმთავარს მამბრეს მუხასთან სასწაულებრივად ესტუმრნენ ანგელოზნი და მათი აღთქმისამებრ აბრაამსა და სარას, უკვე ხანდაზმულებს, შეეძინათ მემკვიდრე — ისაკი, რომელმაც განამრავლა ერი. სტუმარ-მასპინძლობის საკრალურ ტრადიციას აღთქმის მაღლი დაჰყვა.

აბრაამმა „რწმენის მამის“ პატივიც დაიმსახურა. ღმერთმა მას შვილის, ისაკის მსხვერპლად შეწირვა მოსთხოვა. აბრაამს გულში არც გაუვლია წინააღმდეგობის განევა. მასში ღმრთის რწმენა ყველა სხვა გრძნობაზე ძლიერი, ყველაფერზე აღმატებული და ყოვლისმომცველი აღმოჩნდა. გამოთქმულია უაღრესად საინტერესო მოსაზრება: „ეს ღირსშესანიშნავი ეპიზოდი უმართებულოდ არის ხოლმე გამოყენებული უძველესი საკულტო პრაქტიკის — ადამიანის მსხვერპლშეწირვისა და ცხოველთა შეწირვით მისი შეცვლის „ისტორიული“ მომენტის საილუსტრაციოდ. ასეთი თვალსაზრისი სრულიად უგულვებელყოფს ამ ეპიზოდის ზნეობრივ აზრს; ამავე დროს, იჩქმალება ის ფაქტი, რომ ეს არის განსაკუთრებული შემთხვევა აბრაამის ცხოვრებაში — მისი ინდივიდუალური განსაცდელი. უსიტყვო მორჩილება ამ უღმობელი და გაუგებარი მოთხოვნისადმი, ერთი მხრივ, არის რეაქცია ადამის დამღუპველი ურჩობის

¹ კიკნაძე ზ., საუბრები ბიბლიაზე, თბ. 1989, გვ. 26.

მიმართ (რაც გასდევს მთელს ბიბლიას), ხოლო, მეორე მხრივ, დასტური აბრაამისა და მისი უფლის მჭიდრო ურთიერთობისა, ღვთისგან მიუტოვებლობისა. ეს ეპიზოდი უნდა გავიაზროთ როგორც ადამიანისა და მისი ღვთის დიალოგის ახალ ფაზაში შესვლისა, რაც შეუძლებელია არ ყოფილიყო აღნიშნული ტრაგიკული ნიშნით.¹

„დიდი კანონი“ გვაუწყებს: Τὸν Ἰσθὰκ τάλαινα γνοῖσα ψυχὴ μου καὶ τὸν θυσαν, μὴ κἀνδ' ὀλοκαρπὸν μὲνον τῷ Κυρίῳ, μίμῃσαι αὐτῷ τὴν προαίρεσιν (III², 11). ამ ტექსტის ქართული თარგმანების დამამთავრებელი ტაეპები მცირე ნიუანსებით ერთმანეთისგან განსხვავდება. არსენ იყალთოელთან არის: „ჰბაძევდ მისსა სათნოებასა“; ექვთიმე ათონელთან ნათქვამია: „ემსგავსე მას, რაჟთა შენცა მსხუერპლად შენირო მისსა სათნოებითა“, გიორგი ათონელი კი, მსგავსად ექვთიმე ათონელისა, იტყვის: „შენცა ემსგავსე მას, რაჟთა მსხუერპლად უბინოდ შენირო მისსა სათნოებათა მოგებითა“. გვანცა კოპლატაძის თარგმანში ვკითხულობთ: „არჩევანსა მასსა შენცა მიბაძე“. ე. ლოვიაგინის თარგმანი კი ასეთია: „подражай его решимости“. ვფიქრობ, ორიგინალის პათოსს ლოვიაგინისეული ნაკითხვა ყველაზე მეტად შეესატყვისება.

III გალობის ორივე ნაწილს აერთიანებს ემოციურ-ფსიქოლოგიური ატმოსფერო თავის დამდაბლებისა, რომელიც გამოიხატება როგორც უზენაესთან მიმართებაში, ისე საკუთარ სულთან დიალოგში. ერთი მხრივ, გაისმის გულში ჩამწვდომი ვედრება: „ქრისტე მაცხოვარ, ნუ დამაგდებ მე“ (III¹, 3), „ჰო, მწყემსო სახიერო, ქრისტე, მომიძიე ცხოვარი და ცთომილსა ნუ უგულებელს-მყოფ“ (III, 5); „შენ ხარ ტკბილი იესუ, და შენ მიერ განვმართლდები, მესწნელო“ (III, 6); აღვიარებ შენ, მაცხოვარ, შენ შეგცოდე, „არამედ მილხინე და მაცხოვრე, სახიერ“ (III, 7); „ვცოდე, მილხინე და მაცხოვრე“ (III², 1), „არამედ შეგვწყალებ, კაცთმოყუარე, და მომეც მთხოველთა ამათ სარწმუნოებით ცოდვათა მოტევება“ (III², 8)...

მეორე მხრივ, თითქმის ყოველ ტროპარში შემოდის ღრმა ინტიმითა და მღელვარე ინტონაციით წარმოთქმული მიმართვები: „სულო, სულო ჩემო“ „უბადრუკო სულო“, „უდებო სულო“ და სხვ.

IV გალობა „დიდი კანონისა“ ამბაკუმ წინასწარმეტყველის საგალობელს ეხმიანება. ბიბლიური ტრადიციით, ამბაკუმი ესაია წინასწარმეტყველის შემდეგ ყველაზე დიდ ევანგელისტადაა აღიარებული. მის წიგნში მაცხოვრის განკაცების ცხად მოსწავებას ხედავენ. ჩვენი გალობაც ამ განწყობილებითაა შეფერილი. გაისმის ურწმუნოთა მკაცრად დასჯის მოტივი, ძლიერდება ჭმუნვა-ურვის გამომხატველი გოდება. აღსასრულის მოახლოებით შეძრული ადამიანი მღვიძარებისკენ მოუწოდებს სულს, თავს შეახსენებს, რომ „სიზმრებ და ყუავილები წარვლენ ჟამნი ცხოვრებისანი“. ამ მოწოდებას მოჰყვება ცოდვილი ადამიანის გულწრფელი აღსარება: „არა არს სოფელსა შინა ცოდვაჲ, არცა დაცემაჲ, არცა სიბოროტე, მესწნელო, რომელი მე არა მიცოდავს გონებით, და სიტყვით, და მოგონებით, ნებებით, და ჯერ-ჩინებით, და ქმნით, ვითარ სხუასა არცა ერთსა ვის სადა“ (IV, 4).

ამ გოდებას წარმოთქვამს ადამიანი, რომელიც ზნეობრივი კიბის მაღალ საფეხურზეა ასული, ადამიანი, რომელშიც მღვიძარებს სინდისი. „ამისაგან მხილებულ ვიქმენ, ამისაგან დავისაჟე მე სანყალობელი თვთ სწინდისისა თვისაგან, რომლისასა არა რაჲ უმკუეთელეს არს“ (IV, 5). აღსანიშნავია, რომ ქართულ სამწერლობო სივრცეში „დიდი კანონის“ არსენ იყალთოელისეული თარგმანი ერთ-ერთი პირველი ძეგლია, რომელიც ამკვიდრებს ტერმინს — სინდისი (გიორგი ათონელისა და ექვთიმე ათონელის თარგმანებში ეს ტერმინი შენაცვლებულია შესატყვისი ცნებებით), რის შესახებაც ქვემოთ ვისაუბრებთ.

საგანგებოდ უნდა გამახვილდეს ყურადღება ამ გალობის VI ტროპარზე. მასში მინიშნებაა იაკობის, „მამათმთავართა შორის დიდის მიერ“, კიბის ხილვაზე. ამის შესახებ ბიბლია მოგვითხ-

¹ კიკნაძე ზ., დასახ. ნიგნი, გვ. 32.

რობს. სწორედ „შესაქმე“ გვამცნობს, რომ ხარანში მიძინებულ იაკობს ჩვენება ჰქონდა: „აჰა ესერა, კიბენი აღმართებულნი ქუეყანით, რომლისა თავი მიწდომილ იყო ცად და ანგელოზნი ღმრთისანი აღვიდოდეს და გარდმოვიდოდეს მას ზედა“ (შესაქ. 21, 12).

ეს ამონარიდი ბიბლიიდან იმიტომ მოვიხმე, რომ წარმომეჩინა აღნიშნული ტექსტის ანდრია კრიტელისეული ინტერპრეტაციის სიღრმე, რაც, ბუნებრივია, საღვთისმეტყველო სწავლებას ეფუძნება. „დიდი კანონის“ ავტორი განმარტავს, რომ იაკობის მიერ ხილული კიბე „სახე იყო საქმისა აღსავალთა“ და, ამასთანავე „მეცნიერებისა მის ხარისხთა“, ანუ „საქმით და ხედვით, მეცნიერებით ცხორებისა“ (IV, 6).

„დიდ კანონში“ ეს თემა გაშლილია მომდევნო ტროპარებშიც. „ორ მეუღლედ გულისჴმა-ყვენ საქმე და მხედველი ცნობა: ღია, ვითარცა შვილმრავალი, — საქმედ და რაქილ, ვითარცა ჭირმრავალი, — ცნობად, რამეთუ თვნიერ შრომისა არცა საქმე, არცა ხედვა და ცნობაა წარემართების, სულო“ (IV, 8).

ანდრია კრიტელმა ამ თემის დამაგვირგვინებელ ტროპარში კიდევ ერთი ჰერმენევტიკული წიაღსვლა შემოგვთავაზა: იაკობის 12 შვილი საიდუმლო კიბის 12 საფეხურად დასახა, ზეაღსვლის სიმბოლოდ წარმოაჩინა.

ამავე კონცეპტს ეფუძნება საგალობლის XI ტროპარი: „მოძაგებულსა მას ესავს ემსგავსე, სულო, და განსცენ მბრკუნელსა მას შენსა სიკეთენი პირმშოებისანი, და მამულისა დიდებისაგან იჯმენ, და ორგზის დააკლდი საქმესა და ხედვასა, ამისთჳს შეინანე“ (IV, 15). ესავი იაკობის შვილია, უფროსი ტყუპისცალი, მამის რჩეული, კარგი მონადირე, კარგი მეურნე, მაგრამ ის ღმრთის ცნებებს უგულვებელყოფს, თავის პირმშოებას კი ძმას ერთ ჯამ შეჭამანდზე მიჰყიდის, კარგავს მამის ლოცვა-კურთხევასაც. მან ჯერ დასაბამიერი სიკეთე (პირმშოება) დაკარგა, მერე მამისეული დიდებაც. ის ორგზის იძლია: ჯერ საქმით, მერე ხედვით (ცნობით).

აშკარაა, „დიდი კანონის“ ეთიკურ-ესთეტიკური შინაარსი დაფუძნებულია ასკეზის ფენომენოლოგიაში შემუშავებულ უმნიშვნელოვანეს პრინციპზე, რომლის თანახმადაც ღმერთთან ადამიანის მიმართების პროცესი ორ ეტაპს მოიცავს: ერთია — ღვწა, ქმედება (პრაქსისი), მეორე — ჭვრეტა, წვდომა, ხედვა (თეორია). თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ არ შეიძლება პრაქსისი და თეორია მივიჩნიოთ ერთანეთის მონაცვლე თანმიმდევრულ საფეხურებად. არა მხოლოდ პრაქსისია შესრუტული თეორიაში, არამედ გარკვეულწილად პირიქითაც შეიძლება დავუშვათ, კავშირი მათ შორის ორმხრივია¹. წმ. მაქსიმე აღმსარებლის თქმით, შემეცნება ქმედების გარეშე არაფრით განსხვავდება წარმოსახვისაგან, ეფემერული ფანტაზიისგან... ასევე ქმედებაც, თუ ის ჭვრეტით არ არის გაცხოველებული, უნაყოფოა და უმოძრაო როგორც კერპი².

აღნიშნულ თემას გალობაში აგრძელებს ბიბლიურ იობთან დაკავშირებული სახისმეტყველებითი განსჯანი. მრავლისდამთმენი, მრავალგანსაცდელგამოვლილი, მრავალი სათნოებით გამორჩეული იობი დასახულია მისაბაძ სახედ. მას ღვთისადმი ყოვლისმომცველმა რწმენამ გადაატანინა ყველანაირი განსაცდელი, რაც კი ამქვეყნად შეიძლება დაატყდეს ადამიანს. ღმერთმა ყოველივეს სანაცვლოდ დაუბრუნა დაკარგული დიდება.

სულითა და ხორციით შეძრწუნებული ადამიანი ქრისტეს, ვითარცა ტკბილ მკურნალს, შესთხოვს, განკურნოს და განწმინდოს ცოდვებისაგან, ევედრება „უსპეტაკეს თოვლისა გამოაჩინოს“ მისი შებღალული ხორცი და ბინიანი სული (IV, 17).

IV გალობის დამამთავრებელი ტროპარები ბრწყინვალე ნიმუშია მაცხოვრის ჯვარცმის გულისმიერი განცდისა, აზრთა და ემოციათა დინებაში ჩართულია საღვთისმეტყველო ინტერპრეტაციები, ევანგელური სიმბოლიკა, არეკლილია პატრისტიკული სწავლებანი და, რაც

1 Хоружий С., დასახ. ნიგნი, გვ. 83.

2 Лосский В. Н. Очерк мистического богословия Восточной Церкви. Богословские труды, т. 8. М. 1972. с. 106.

მთავარია, ყოველივე ერთ მთლიანობაშია წარმოჩენილი, ერთი განცდითაა შეკრული. ღმრთისმოსავ ადამიანს აღავსებს რწმენა, რომ სასწაული განხორციელდა. იგი მუხლმოდრეკილი შეჰღალადებს ქრისტეს: „წორცსა თანა სისხლი შენი განუყავ ყოველთა, მო-რაჲ-ხვდოდე ჯუარ-ცუმად; წორცი რაჲთა კუალად დამბადო, სიტყუაო, ხოლო სისხლი, რაჲთა უფროჲს განმბანო, და სული მიეც, რაჲთა მიმგუარო მე ქრისტე, მშობელსა შენსა მამასა“ (IV, 16).

V გალობა ესაია წინასწარმეტყველის გალობითაა შთაგონებული. მასში გრძელდება მოთქმა და გოდება ცოდვილი ადამიანისა. სათქმელი ამოუწურავია, ცთომილებათა რაოდენობა — ურიცხვი.

ანდრია კრიტელის მიერ შერჩეული გზა თვითმხილებისა, როგორც ვიციტ, ბიბლიურ ნარატივთანაა დაკავშირებული. კაცთა მოდგმის მიერ დაშვებული ცოდვები არეკლილია ძველსა და ახალ აღთქმაში. ანდრია კრიტელი ამ სახეთა ღრმა გააზრებით ამხელს ცოდვილ ადამიანს და ყველას საკუთარ თავში ჩაღრმავებისკენ უბიძგებს.

ამ გალობაში, შეიძლება ითქვას, რომ ცენტრალური ფიგურები არიან იოსებ მართალი და მოსე წინასწარმეტყველი. მათ გვერდით გამოჩნდებიან სხვა ბიბლიური, ნაკლებად მნიშვნელოვანი პირები (დათან და აბირონი, ვინც მოსეს წინააღმდეგ მოწყობილ აჯანყებას ჩაუდგნენ სათავეში; იანე და იამბრე — ფარაონის მოგვები, რომლებიც აარონს ეწინააღმდეგებოდნენ, რუბენი, რომელმაც მამის ხარჭასთან შესცოდა, ოფნი და ფინეზი, ილია მღვდელმთავრის შვილები, რომლებიც ღმრთისმსახურებისადმი ზერელე დამოკიდებულებით ხასიათდებოდნენ და ღვთის რისხვა დაიმსახურეს).

მართალი იოსების თემაზე „დიდ კანონში“ აგებულია რამდენიმე იპოდიგმური სახე, რომელთაც თავისი დატვირთვა შეაქვთ საგალობელში. ანდრია კრიტელი ძმათა მიერ მონად გაყიდულ იოსებს ქრისტე-მხსნელის მომასწავებელ წინასახედ მოიაზრებს: „შეკრული განისყიდა ღირსი სული ძმათა თვსთა მიერ და მონა იქმნა მართალი სახედ ქრისტეს მწსნელისა“ (IV, 5). მღალადებელი ამავე სახეს თავისი თავის სამხილადაც გამოიყენებს: იოსები ძმებმა „განყიდეს“, თავად კი ცოდვას მიჰყიდა სული. „სულო ჩემო, მიესყიდე ცოდვასა“, — ტკივილით წარმოთქვამს იგი.

ასეთივე ღრმა დატვირთვის იპოდიგმური სახეა იოსების მიერ მღვამეს დამკვიდრება, როგორც მომასწავებელი უფლის დაფლვისა და აღდგომისა: „დაიმკვდრა იოსებ მღვმე სახედ საცხორებელთა შენთა ვნებათა, მეუფეო“. ამასთანავე, ეს თემაც დაკავშირებულია ადამიანის ცოდვილ ბუნებასთან: „ხოლო მე, უბადრუკმან, რაჲ შევწირო ოდესცა შენდა ესევითარი?“ (V, 6). განა მას შეუძლია მსგავსი მსხვერპლის გაღება?

ანდრია კრიტელის საგალობელში, ბუნებრივია, ვრცელი ადგილი ეთმობა მოსე წინასწარმეტყველის თემას, რომელიც ბრწყინვალედ ჩამოქნილი მხატვრული სახით იხსნება: „კიდობანი მოსესი, გესმა, სულო, ვითარ მი-მო-აქუნდა მდინარისა ღელვათა, და ვითარ სასძლოთა შინა (საქორწინო დარბაზებში) იშუბდა და განერა მწარესა ბრძანებასა“ (V, 7).

მოსე წინასწარმეტყველის თემაც ადამიანის სულის საწვრთნელად, ზნეობრივი მაგალითების გასაცოცხლებლადაა მოხმობილი. ბებია ქალების მიერ მოშთობილ ახალშობილებს, რომელთაც ავტორი უბიწოებისა და სინძინდის სახედ მოიაზრებს, ადამიანი უნდა მიემსგავსოს, ჩვილად, უმანკოდ უნდა იქცეს და სიბრძნით ისაზრდოს. განრისხებულმა მოსემ სასტიკი, უსამართლო ეგვიპტელი მოკლა, ჩვენ კი გვმართებს, ვძლიოთ საკუთარ ეგტივიპტურ გონებას, დამაბრკოლებელს, მოძალადეს.

ანდრია კრიტელი შეგვახსენებს, რომ მოსე წინასწარმეტყველს სრულიად განსაკუთრებული ხვედრი ერგო. მას უნდა ემსგავსო, რათა უდაბნოში (ვნებათაგან სრულიად დაცლილ სივრცეში) დამკვიდრებით „მაყულოვანსა შინა ღმრთის გამოცხადებისა ხილვასა მიემთხვო“ (V, 10). მოსეს კვერთხმა ზღვა განაპო, კვერთხი კი ღვთაებრივი ჯვრის წინასახედ მოიაზრება,

მისი შემწეობით საკვირველ სასწაულთა ქმნაა შესაძლებელი.

მაგალითად უნდა დაისახო აარონიც, ძმა მოსე წინასწარმეტყველისა, რომელსაც ღმერთ-თან წმინდა და უზაკველი ცეცხლი მიჰქონდა, თუმცა უნდა გაემიჯნო ოფნის და ფინეზს, რომელთაც ღმერთს უღირსი ცხოვრება მიართვეს ძღვნად.

მონანული ადამიანის გოდება თითქოს კულმინაციას აღწევს. იგი თავს ადარებს უღმრთელ ფარაონს, აგრეთვე, იფნეს და იამბრეს, სულითა და ხორციით წარწყმედილად მიიჩნევს თავს. მაგრამ ისიც იცის, რომ მას შემწეც ჰყავს, რომ ცრემლით განბანა შეუძლია. აქ კვლავ გაიელვებს ადრე უკვე მოხმობილი ხატოვანი გამოთქმა: „ნივთი ჯორცთა ჩემთაჲ თოვლებრ განასპეტაკე“ (V, 14).

ვედრება თანდათან ემოციურად კიდევ უფრო მეტად იძაბება. ერთმანეთის მიჯრით იზადება ელვარე პოეტური ხატები, შედარებები, მეტაფორული სახე-თქმანი. მოვიხმობთ ორიოდ მაგალითს:

„უფსკრულ ხარ უსაზღვროჲ წყალობისაჲ, ამისთვის გევედრები, მომრწყე შენთა უხრწნელთა წყაროთაგან, უფალო, რაჲთა სამარიტელებრ ვსუა, რაჲ არა მწყუროდის“ (V, 19).

სილოამი — წყალსატევია, რომლითაც სასმელი წყლით მარაგდებოდნენ იერუსალიმში დამპყრობთაგან ალყაში მოქცეულნი. ამ წყალსატევში ბანაობა ურჩია ქრისტემ მის მიერ განკურნებულ ბრმადმოხილს (იოანე IX, 7). ანდრია კრიტელი შესთხოვს უფალს: „სილოამ მექმენინ მე ნაკადულნი ცრემლთანი, ღმერთო, რაჲთა დავიბანნე გულისა თუალნი და გიხილო შენ საცნაურნი ნათელი საუკუნეთანი“ (V, 20). ცრემლთა ნაკადულით გულის თვალთა განბანვა შეუდარებელი პოეტური სახეა, რომელიც მხოლოდ მსასოებელი ადამიანის განცდაში შეიძლება აღმოცენდეს.

VI გალობა იონა წინასწარმეტყველის მიერ წარმოთქმული გალობითაა შთაგონებული. ძლისპირი შეიცავს კიდევ იონას აღიშნული საგალობლიდან რამდენიმე სტრიქონს. მასში ნათელი განწყობილება იკვეთება: „ისმინა ჩემი ჯოჯოხეთით ქუესკნელით და განხრწნისაგან იწსნა ცხორებაჲ ჩემი“. მაგრამ „დიდი კანონის“ VI გალობაშიც კვლავ საკუთარი თავის მკაცრად განმსჯელი ადამიანის ხმა ღაღადებს. ბიბლიიდან კვლავ მოხმობილია ზნეობრივი მაგალითები, რომელთაც უნდა მიბადოს ადამიანმა, ყურადღება მახვილდება ზნეობიდან გადაცდომის იმ შემთხვევებზეც, რომელთაც უნდა გაემიჯნოს ყველა.

გალობის პირველი ტროპარი, ისევე როგორც „დიდი კანონის“ თითქმის ყველა დასაწყისი სიტყვები, ღმერთს მიემართება; ძე ცთომილი უფლის წინაშე უწმინდესი მსხვერპლით წარდგება: „ცრემლთა თუალთა ჩემთასა, მწსნელო ჩემო, და სიღრმით-გამო სულთქუმათა მოსწრაფედ შევსწირავ, და ვჭმობ ესრეთ გულითა: შეგცოდე, ღმერთო, მილხინე მე წყალობით“ (VI, 1).

„დიდი კანონი“, როგორც საგალობელი, მთლიანადაა ცრემლით დანამუღი, მაგრამ ზოგჯერ მასში ცრემლს გამორჩეული ფუნქცია აქვს, რასაც თავისი ახსნა მოეპოვება. ცრემლს, გლოვას განსაკუთრებული დატვირთვა აქვს ასკეზის ფენომენოლოგიაში. იოანე სინელის განთქმულ „სათნოებათა კიბეში“ გლოვის, ცრემლის თემას ცალკე თავი ეძღვნება. მასში ცრემლის არსია წარმოჩენილი. მას ნათლისღებასთან შედარებისას უპირატესობა ენიჭება, რადგან ნათლისღება პირველცოდვას წარმოცავს, ცრემლი კი ნათლისღების შემდეგ დაშვებული შეცდომების მიტევებას ემსახურება: „წყარონი ცრემლთანი უდიდეს ნათლის-ღებისა არიან; შემდგომად ნათლისღებისა, დაღაცათუ, კადნიერ არს სიტყუაჲ ესე, რამეთუ ნათლის-ღება პირველ ქმნულთა ცოდვათა ჩუენდა განმწმედელ არს, ხოლო ცრემლნი შემდგომად ნათლის-ღებისა ჩუენისა ქმნილთა ცოდვათა ჩუენთა მომტევებელ არიან“, — ვკითხულობთ „სათნოებათა კიბის“ ექვთიმე ათონელისეულ თარგმანში¹. ზუსტად იგივეა ნათქვამი ტექსტის იოანე პეტრიწისეულ

¹ იოანე პეტრიწი, დასახ. წიგნი, გვ. 188.

„ცრემლთა წყაროთა უდიდესად იტყვან,
კადნიერ თუ არს დაღათუ სიტყუა ესე,
რამეთუ იგი პირველთა ბრალთა განსწმედს,
ხოლო ესენი ნათლის-ღების უკუანაჲს
ქმნილთა განსწმედენ ცოდვათა, მონანულო!“¹

გალობის დასაწყის ტროპარებში კვლავ მკაცრად განიკითხება ცოდვილი ადამიანი, თუმცა აქვე გაისმის იმედის, რწმენის გამომხატველი ხმაც. ასე მაგალითად, მოხმობილია დათან და აბირონის — მოსე წინასწარმეტყველის წინააღმდეგ აჯანყებულ ადამიანთა — სახელები. მათ ცოდვილი კაცი უფლისგან განდგომით ემსგავსება, ამიტომ უნდა შესთხოვოს პატიება უზენაესს. ეფრემს, იოსების უმცროს ვაჟს, რომლის დამსახურების გამო ზოგჯერ ისრაელი „ეფრემისიანად“ იწოდება, უნდა მიემსგავსოს, მაგრამ ქურციკის მსგავსად უნდა შეძლოს სიცოცხლის დახსნა თავისი საქმითა და ხედვით ფრთაშესხმულმა (VI, 4).

ანდრია კრიტელი ბიბლიურ სახეთა მოხმობისას ქრონოლოგიურ პრინციპს ყოველთვის არ მისდევს. მოსე წინასწარმეტყველის მოღვაწეობის საეტაპო ეპიზოდებს ადრეც შეეხო, მაგრამ ამ გალობაშიც შეგვახსენებს მასთან დაკავშირებულ სასწაულებს, რათა არ წარვიკვეთოთ იმედი ხსნისა; მხედველობაში მაქვს, მაგალითად, გალობის მეოთხე ტროპარი: „მოსეს ჴელმან გარწმუნენ, სულო, ვითარ ძალუძს ღმერთსა კეთროვნისა ცხორებისა კუალად განწმედად და შემკობად, და ნუ უდებ ხარ, დაღათუ განჰკეთროვნდი“ (6, 4). მხედველობაშია ბიბლიური სასწაული, რომელიც ეგვიპტელთა წინაშე მოსეს ხელის განსპეტაკებით განხორციელდა (გამოსლვ. 4, 6).

ხშირად გალობის ტროპარები ოპოზიციურადაა აგებული: ადამიანმა საღმრთო საკვებს — მანანას ამჯობინა სიმაძღრე (VI, 7), ზეციურ საკვებს — ეგვიპტური საჭმელი (VI, 8) და ა.შ.

ამავე გალობაში იკვეთება მოსე წინასწარმეტყველის დიდი სასწაული, რომელიც იპოდიგმურ სახედ მოიაზრება: „ოდეს, მოსე მსახურმან შენმან, კუერთხი სცა კლდესა, ცხოველსმოფელი წმიდაჲ გურდი შენი გამოსახა წინანარ, რომლისაგან ვსუამთ, ქრისტე, უხრწნელებასა“ (VI, 9).

ეს საპირისპირო პარალელები შთამაგონებელი მოწოდებებით მთავრდება: ისუ ნავეს მსგავსად შეისწავლე, მოიხილე აღთქმის ქვეყანა და დაემკვიდრე კეთილი სჯულისამებრ (6, 10); ებრძოლე და სძლიე ხორცთა ვნებებს, ვითარცა ისუმ ამაღლეს და დაამარცხე მაცთუნებელი შენი ზრახვანი, ვითარცა გაბაონელთა საცთური (VI, 11).

გალობის XII ტროპარში ღმრთის ნება იკითხება: „თანა-წარჰჴედ ბუნებით მდინარესა ჟამსა, ვითარ კიდობანი, და ქუეყანისა მის აღთქუმულისა მკჳდრ იქმენ, ღმერთი გიბრძანებს: „ერჩიდი, დაჴსნილო სულო“ (VI, 12). ე. ი. ადამიანმა, მსგავსად სჯულის კიდობნისა, რომელიც წყალს მისცეს, დროის მდინარეა უნდა გადალახოს და აღთქმულ ქვეყანას დაეპატრონოს.

VI გალობის ტექსტი დახუნძლულია ხატოვანი შედარებებით, სახეებით, მეტაფორებით. ასეთებია: „ნუუკუე ღრმამან დანახეთქმან დაგფაროს“, „ქურციკებრ იჴსენ საბრჴით ცხორებაჲ“, „ფთოვანქმნილი საქმით და ხედვით“, „ღელვაჲ ჩემთა ცოდვათა, მეწამულთა ზღჴსებრ აღძრული, დამფარავს“, „ქანანელთა ჯურღმულნი“, „ღელვათაგან მჴსნელი ნავთსადგური ხარ“, „უსასოებისა სიღრმით მიჴსენ, მოწყალე“ და სხვ.

VI გალობას დაასრულებს კონდაკი, რომელიც მღვიძარებისკენ მოგვიწოდებს, აღსასრუ-

¹ იქვე, გვ. 188.

ლის მოახლოებას შეგვახსენებს. მასში მთლიანად „დიდი კანონის“ სულისკვეთებაა გამოხატული. არსენ იყალთოელის თარგმანი, განსხვავებით ბერძნული ტექსტისგან (მხედველობაში გვაქვს როგორც პიტრას, ასევე ლოვიაგინის გამოცემები „დიდი კანონისა“), ორი ტროპარისგან შედგება. პირველი ტროპარი იდენტურია ორიგინალისა, მეორე კი, მიჭირს დაბეჯითებით ვთქვა, რა წარმომავლობისაა, ძალიან საინტერესო შინაარსის შემცველი კი არის: „ქრისტეს სამკურნალოსა ხედავ განღებულად, არამედ მისგან აღმოცენებულსა სიმრთელესა ივნო, ინყლა ეშმაკი და ჭირვეული იტყებდა, და მწკრეთა მოყუარეთა მიმართ თვსთა ღალად-ყო, და თქუა: რა უყო ძესა მარიამისსა, მკლავს მე ბეთლემელი, რომელი ყოველგან არს და ყოველსავე ალავსებს“.

არსენ იყალთოელის თარგმანში, კვლავ ბერძნულისგან განსხვავებით, შემოდის მცირე საეკლესიო საგალობელი: იბაკოჲ მომიწსენესა ზედა. ის ერთგვარად შეგვაშთაბუძნებს „მომიწსენენის“ ტექსტისთვის, რომელიც, როგორც ცნობილია, სახარების 9 ნეტარებაზეა აგებული (მათე, 5, 3-12).*

ჩვეულებრივ, „მომიწსენენის“ ტროპართა შინაარსი სახარების „ნეტარებათა“ მუხლებს შეესაბამება, ჩვენს შემთხვევაში კი სხვაგვარი ვითარებაა:

ტროპარებს წამძღვარებული აქვს „ნეტარებათა“ მუხლები, დასდებლების სტრუქტურა კი უცვლელია; როგორც „დიდი კანონის“ ყველა გალობა, ზნეობრივი მაქსიმებითაა დატვირთული, გალობის დასასრულს კი წარმოითქმის „სამებისანი“ და „ღმრთისმშობლისანი“.

გალობაში ძირითადად მოხმობილია მისაბაძი მაგალითები ზნესრული ადამიანების ცხოვრებიდან. ესენი არიან: მანოე (მანოახი), სამსონის მამა, რომლის ბერძნულს ანგელოზი გამოეცხადა და უთხრა: „ეგერა, ბერძნ ხარ და არა გიშობიეს, ხოლო ან მიუდგე და შვე ძე. არამედ ეკრძაღე და ნუ ჰსუამ ღვინოსა და თაფლუჭსა, ნუცა სჭამ ყოველსავე არანმიდასა“, „რამეთუ შენ მუცლად-ილო და ჰშევ ძე, და მახვლი თავსა მისსა ნუ შეგეხებიან, რამეთუ წმიდაჲ ღმრთისაჲ იყოს ყრმაჲ იგი შობითგან მისით“ (მსაჯ. 13, 3-5). წინასწარმეტყველება ახდა, მათ შეეძინათ ძე, რომელსაც სამსონი უწოდეს. ღვთის რჩეულმა მრავალი საგმირო საქმე ჩაიდინა, ისრაელიც დაიხსნა ფილისტიმელთაგან. თვითონ სამსონი აღასრულებდა ასკეტური ცხოვრების წესებს: მას ეკრძალებოდა ღვინო და სხვა მაგარი სასმელები, აგრეთვე, ყურძენი და ყოველივე ის, რაც ვაზისგან მზადდებოდა. მას არ უნდა მოეჭრა თმა და სხვ. მაგრამ ღაზელი მეძავი ქალის, დალილას მეშვეობით ფილისტიმელებმა შეიტყვეს, რაში იყო სამსონის უჩვეულო სიძლიერის საიდუმლოება, მოჭრეს თმები და „ინყო დამდაბლებად და განემორა მისგან ძალი მისი“ (მსაჯ. 16, 19).

ანდრია კრიტელი გვაფრთხილებს, არ დავუძლურდეთ სამსონის მსგავსად, სინმიდე და ძალა, წმიდა და ნეტარი ცხოვრება გაუმაძღრობას, ავხორცობას („უცხო თესლთა“) არ უნდა წარატაცებინო, დიდება შენი, სამსონის თმათა მსგავსად, არავის უნდა შეაკრეჭინო.

სამსონმა ღვთის შეწევნით კიდევ ერთი საარაკო საქმე ჩაიდინა. სწვდა იქვე მდებარე ჩონჩხად ქცეულ ყბას ვირისას და მისი შემწეობით „მოსრა მით ათასი კაცი“ (მსაჯ. 15, 15), ათასი ფილისტიმელი, მაგრამ ბოლოს მაინც მათი ტყვე შეიქმნა. გაისმის მკაცრი გაფრთხილება: „რომელმან ყბითა ვირისაჲთა სძლო პირველ უცხო თესლთა ესე, ვნებულსა მას მონად მიეცა გულისსიტყუასა. ივლტოდე, სულო, ღირნებასა მისსა და საქმით მსგავსებასა“ (მომიწსენესა, 3). გულისსიტყვა კი ამ კონტექსტში წადილს, ვნებას ნიშნავს.

საღმრთო მოწოდებაა მივბაძოთ ისრაელიანთა ერთადერთ მსაჯულ ქალს — დებორას,

* „მომიწსენესა“ და მათეს სახარების V-VIII თავების სხვა მუხლების ახსნისთვის გრიგოლ ნოსელს მიუძღვნია — „განმარტებაჲ მომიწსენისა“. ე. გაბიძაშვილის ინფორმაციით, ის ქართულ ენაზე თარგმნილია გიორგი მთანმიდელის მიერ და დაცულია ძველ ქართულ ხელნაწერებში (საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი, ავტორ-შემდგენელი ენრიკო გაბიძაშვილი (ხელმძღვანელი), მაია მამაცაშვილი, ანა ღამბაშიძე, თბ. 2007.

სიქველით გამორჩეულს, აგრეთვე, მის მამაც მსაჯულებს: ბარაკს და იეფთაეს. მაგალითად გვისახავენ იაილის გაბედულებას — მან განადგურებული ლაშქრიდან გამოქცეული თავად სისარა (მხედართმთავარი) არ დაინდო, ხალის ქვეშ დამალულს პალო ჩააჭედა თავში. ასე იხსნა თავისი ხალხი. ამ ტროპარის გიორგი ათონელისეულ თარგმანში უფრო მკვეთრია მოწოდება: „იაელისთვის გასმიეს, ჰ, სულო, ვითარ მწნდა და მოკლა სისარა მანითა, რომლისა მიერ გესწავების შენ ჯუარი და შენცა იქმენ ძალითა ჯუარისაჲთა ახოვან და დაეც მძლავრი ბელიარ“ („მომიწსენესა“, II, 5). იეფთაემ, მამის სახლიდან გამოძევებულმა, რომელმაც უხუცესთა გადწყვეტილებით მიიღო პატივი გამხდარიყო მთავარი მამისეული გვარისა, უფალს აღუთქვა, თუ მტერზე გაამარჯვებინებდა, მისი სახლიდან პირველსავე გამოსულს მსხვერპლად შესწირავდა ღმერთს. მას თავისი ერთადერთი ასული შეეგება. სასონარკვეთილ იეფთაეს გულიდან ამოხდა: „ვაიმე, ასულო ჩემო, ვაიმე, რამეთუ ბორკილ მექმენ მე და სანერტელ თუალთა ჩემთა. და მე აღვალე პირი ჩემი უფლისა მიმართ და ვერ ჯელ-მენიფების მე ქცევად“ (მსაჯ. 11, 35). მამამ აღასრულა აღთქმა. რჩევა ასეთია: მსხვერპლთა სანაცვლოდ ხორციელი ვნებანი შესწირე უფალს: „მსხვერპლთა წილ დაუკლენ ვნებანი ჯორცთანი უფალსა შენსა“ („მომიწსენესა“, I, 6).

ელი მღვდელი თავისი ვაჟების უზნეობის გამო მწარედ დაისაჯა: ისინი ფილისტიმელებთან ბრძოლაში ერთად დაიღუპნენ. ელიმ, როცა ეს შემზარავი ამბავი შეიტყო, იქვე განუტევა სული. ადამიანი, რომელიც უნესო შვილთა მსგავსად ბოროტებასა და ვნებებს მიუშვებს, აგრეთვე დაისჯება.

მსაჯულთა წიგნში მოთხრობილია, რომ ლევიტელმა თორმეტ ნაწილად დაჭრა მეუღლის სხეული, რათა ბენიამინის შვილთა მცონარობა, უძღურება შეერცხვინა, ემხილებინა. ბენიამინის შთამომავალთა უგვანობას უნდა გაემიჯნოს კაცი! — ასეთია საგალობლის პათოსი.

დაბოლოს, გვირჩევენ, დავენაფოთ გედეონის საწმისისებრ ზეციურ საზრდოს და ვებრძოლოთ ეშმაკეულ ძალებს; სამოელის დედას, ანნას, მივბაძოთ, მასავით მდუმარედ ვილოცოთ. გიორგი ათონელის „მომიწსენესა“ დავით წინასწარმეტყველის უფლისგან ცხებაა მოხსენებული, ჩვენ ცრემლთა მირონის ცხებას გვირჩევენ, რათა ზეციური მეუფება მოვიპოვოთ. „მომიწსენეთა“ მთავრდება „სამეხისანი“ და „ღმრთისმშობლისანი“.

VII გალობა სამი ბაბილონელი ყრმის გალობას უკავშირდება. მასში ღმრთისადმი უსაზღვრო მადლიერების გრძნობაა გამოხატული.

ჩვენი გალობის დასაწყისი ტროპარები უზენაესს მიემართება: „შენ შემინყალე, ვითარ მოწყალემან, მამათა ჩუენთა ღმერთმან“ (VII, 1) ანალოგიურადაა გამოთქმული ღმრთისადმი სასოება II ტროპარის დამამთარებელ ტაეპებში: „და მილხინე, ვითარ კაცთმოყუარემან მამათა ჩუენთა ღმერთმან“. უნდა ითქვას, რომ ორივე ტროპარის ფინალური სტრიქონები ეხმიანება ძლისპირის დამამთავრებელ ტაეპს: „გარნა ნუ მიმცემ, სრულიად მაღალო, მამათა ჩუენთა ღმერთო!“

VII გალობაში ვედრების ახალი ინტონაცია შემოდის; მონანული ადამიანი უზენაესს სრულ გულახდილობას ჰპირდება: „დაფარულთა გონებისათა აღგიარებ შენ, იხილე სიმდაბლე ჩემი, იხილე ჭირი ჩემი, და მოხედე სჯასა ჩემსა“. ფსალმუნური გამონათქვამების მოშველიებით გამომსახველობის საოცარი სიმაღლეა მიღწეული.

თვითმხილების მხატვრული მეთოდი უცვლელია. ბიბლიური ადამიანების სახეთა ალეგორიული ინტერპრეტაციებით მონანული ადამიანი თავის ცოდვებსაც წარმოაჩენს, ზნეობრივი მაგალითების გახსენებით კი გზას სიკეთისაკენ იკვლევს.

ანდრია კრიტელი ბიბლიურ მეფეთა სახეებს აცოცხლებს. ტექსტში შემოდის ისრაელის პირველი მეფის, საულის ცხოვრების ერთი ეპიზოდი. საულმა, წარმოსადგემა და ტანმაღალმა

ყმანვილმა, დიდი გულმოდგინება გამოიჩინა მამის დაკარგული ვირების ძიებაში და სრულიად მოულოდნელად სამუელ წინასწარმეტყველისაგან მეფობის პატივი ერგო. ეს ეპიზოდი ადამიანს იგავურად მიაჩნის: ნუ დაკარგავ თავს, პირუტყვულ სწრაფვას ნუ ამჯობინებ ქრისტეს სამკვიდროს, მის სამეფოს. გარჯამ შეიძლება მოულოდნელი სიხარულიც მოიტანოს. საულის სხვა ცოდვებზე „დიდ კანონში“ ყურადღება არაა გამახვილებული.

სამაგიეროდ საგალობლის სამ ტროპარში გაშლილია დიდი წინასწარმეტყველის, დიდი მეფის, დავით მეფესალმუნის ცხოვრების რეალიებთან დაკავშირებული მედიტაციები. ავტორი შეგვახსენებს ურიას ცოლთან, ბერსაბესთან, დავითის შეცოდებას, შემდეგ ურია ხეთელის ვერაგული გზით მკვლელობას და გამოაქვს განაჩენი საკუთარი თავისათვის: „დაღათუ ცოდა, სულო ჩემო, დავით, ღმრთისა მამამან, ოდესმე და განიგუმირა ისრითა მრუშებისა და კუალად ბოროტისა მკვლელობისათა, გარნა შენ უძკრესთა ჰყოფ საქმეთა წურთითა გონებისათა“ (VII, 4). ე. ი. შენ მეტად იგვემეები არა ჩადენილ უკეთურ საქმეთა გამო, არამედ გონებაში გავლებულ სწრაფვათა მიზეზით.

აქვე დავით მეფის დიდი ბუნებისათვის დამახასიათებელი ზნეობრივი ნიშნულია გამოკვეთილი: „შეუერთა ოდესმე დავით უსჯულოებაჲ უსჯულოებასა და კაცისკლვაჲ მრუშებასა, ხოლო სინანულიცა მრჩობლ აჩუენა მეყსეულად“, დავითს უნდა ჰბაძავდე სწორედ თავისი ღირსების გამო, ღმრთის წინაშე გულწრფელი მონანიების უნარით.

საგალობელში დავით მეფესალმუნის თემა დასრულდება მისი სინანულის საგალობლის განდიდებით: „განაქიქა ოდესმე დავით, ვითარცა ძეგლსა ზედა წარწერით გალობასა წინა თვსსა და მხილებულ ყო ცოდვაჲ, თქუა რაჲ ესრეთ: „მინყალე მე, მხოლოსა შეგცოდე ყოველთა ღმერთსა, შენ განმნმიდე, უფალო“ (VII, 6).

აღმსარებელი სულის სანვრთნელად შეგვახსენებს ბიბლიურ ოზანსაც, რომელიც ოდნავ შეეხო გზიდან ხარის გადაცდენის გამო შერხეულ ურემს, რომლითაც რჯულის კიდობანს მიაბრძანებდნენ, ოზანი შეირისხა. ზნეობრივი შეგონება ასეთია: ადამიანი უნდა განერიდოს სილადეს, თავხედობას, კრძალვით უნდა სცემდეს თავყვანს ყოველივეს, რაც ღვთაებრივია.

დავით მეფის ძის, აბესალომის, სამარცხვინო საქმეებიც არაა დავინწყებული. მან მამის ხარჭასთან იმრუშა, რაც ებრაული ტრადიციით მძიმე ცოდვაა და უარესის მომასწავებელია. ადამიანმა უნდა მოიძულოს აბესალომის უშვერი, ურცხვი ნაბიჯები. მან ეს უკეთური რჩევა აქიტოფელისგან მიიღო. ადამიანს მაცდუნებლად სხვა ასეთი აქიტოფელი შეიძლება გამოუჩნდეს, თუმცა თვით ქრისტე მაცხოვარი აცამტკერებს მათ, „რათა წყალობით გაცხოვნოს შენ“ (VII, 9).

მძიმეა სოლომონ მეფის დანაშაულიც. ანდრია კრიტელი დიდი გულისტკივილით გამოხატავს სათქმელს: „საკრველმან ბრძენმან სოლომონ, ვრცელმან ფრიად სიბრძნისა მადლითა, წინაშე ღმრთისა ოდესმე ქმნა ბოროტი და განდგა, რომლისასა შემდგომსა მას უშუერსა ცხორებასა ემსგავსა, სულო, დაწსნილი ქცევაჲ შენი“ (VII, 10); „გემოთაგან დამონებული და ვნებათაგან მწარედ ტყუექმნილი, ჰოჲ-მე, ტრფიალი სიბრძნისაჲ, ტრფიალ ექმნა მეძავთა და უცხო ღმრთისაგან, სულო, რომლისასა შენ მიემსგავსე გონებით მედგარსა ბილწებასა“ (VII, 11).

დაგმობილია საქციელი რობოამისა და იერობამის, რომელნიც ურჩობითა და სიბოროტით გამოირჩნენ და გამაფრთხილებლად გაისმის: „ჰოჲ სულო, ევლტოდე მსგავსებისა მათისა და ჯმობდი: „ვცოდე, შემინდვე, ღმერთო“ (VII, 12).

ბიბლიურ პირთა შორის მანასემაც სახელი გაითქვა უგვანი საქმეებით, მაგრამ შეძლო თავისი ცოდვების აღიარება და მონანიება. კაცმა ღმობიერებაში უნდა მიბაძოს მას.

აქაბიც — ისრაელთა მეფე — ბინიერებითაა გამორჩეული. ის წარმართობისკენ გადაიხარა, ბაალის კულტის აღორძინებაც განიზრახა. თავის ცოლთან იეზაბელთან ერთად ბაალის

კულტს მსახურებდა, რისთვისაც გაკიცხულ იქნა ელია წინასწარმეტყველისგან. მისი ზნე-დაცემულობა უაღრესად ტევადი სახითაა გამოხატული: „იქმენ ჭორციელთა ზრახვათა და ვნებათა სავანე, არამედ სიღრმით სულისა შენისაჲთ სულ-ითქუენ და მიუთხრეს ღმერთსა შე-ცოდებანი შენი“ (VII, 14).

შეჩვენებასავით გაისმის სიტყვები იმ ცოდვილთა მიმართ, ვინც აქაბს ჰბაძავს და არა სა-რეფთელ ქვრივს, რომელმაც ელია წინასწარმეტყველი მიიღო და დააპურა (3 მეფეთა, 17, 7-9).

ბოლო სამი ტროპარი გალობისა ვედრების, გლოვის, ურვის, ტკივილის სრულყოფილი გა-მოხატვის ბრწყინვალე ნიმუშია. იკვეთება ელვარე პოეტური სახეები: „განილინეს ღღენი ესე ჩემნი, ვითარცა სიზმარი“, „შეგივრდები და დაგასხამ შენ, ვითარცა ცრემლთა სულთქუმათა ჩემთა“, „ხატი შენი დავანთქ ვნებათა შინა“, „დაშრტა, მწსნელო, ჩემი ლამპარი მადლისაჲ“, „არამედ სიტკბოებით კუალად მაგე სიხარული“, „შენ უწყნი, ჰოჲ, მაცხოვარ, უცნაურნი (და-ფარულნი — ლ. გ.) ჩემნი“.

XIX და XX ტროპარებს რეფრენივით გასდევს სიტყვები: „ვითარცა გალობს დავით“. ეს სი-ტყვები ქართველ მთარგმნელს (კერძოდ, არსენ იყალთოელს) თვითნებურად არ შეუტანია ტექსტში, ისინი დედანშია დადასტურებული, მაგრამ მათი დამამთავრებელ ფრაზებად ქცევა არსენ იყალთოელის არჩევანია (VII, 17; VII, 18).

VIII გალობას, რომელიც წინა გალობის მსგავსად ბაბილონის სამი ყრმის გალობასთანაა და-კავშირებული, უძღვის აღნიშნულ ბიბლიურ საგალობელთან შეხმიანებული ძლისპირი, რომე-ლიც სახოტბო შინაარსისაა და საზეიმოდ ჟღერს. მაგრამ მასთან შეწყობილი „დიდი კანონის“ VIII გალობა კვლავ გოდებისა და ურვის გამომხატველი ტროპარებით იწყება.

ამ გალობის I ტროპარიც უზენაესს მიემართება: „შეცოდებული შემინყნარე, მწსნელო, და წადიერ-ჰყავ გული ჩემი მოქცევად, მონანული მაცხოვრე და მომხედენ, რომელი ვწმობ: შეგ-ცოდე, შემინყალე და წარწყმედული მპოვე“ (8, 1). შემდეგ ერთმანეთს ენაცვლება წინასწარმე-ტყველთა — ელიასა და ელისეს — სასწაულებზე მიმანიშნებელი ტროპარები, რომელთა ჰერ-მენევტიკული შინაარსის წვდომა ადამიანს ზნეობრივი სრულყოფისკენ უკაფავს გზას.

ელია წინასწარმეტყველი აქაბ მეფის დროს მოღვაწეობდა. მისი საწინასწარმეტყველო მსახურება დიდი სასწაულით დაგვირგვინდა. იგი ზეცად ამაღლდა, ბიბლია გვაუწყებს: „აჰა, ეტლნი ცეცხლისანი და ცხენნი ცეცხლისანი, და განეშორნენ იგინი (ელია და ელისე — ლ. გ.) ურთიერთსა და აღიტაცა ელია ძრვით ზედა“ (მეფეთა 2, 11). ბიბლიის კომენტატორთა აზრით, გრიგალი, ცეცხლი, ეტლი და ცხენები ღვთაებრივ გამოცხადებასთან დაკავშირებული ძველი აღთქმისეული სიმბოლოებია, მაგრამ ელიას შემთხვევაში გრიგალისა და ცეცხლის სიმბოლოე-ბი შეესაბამება ელიას მგზნებარე სულს, ეტლი და ცხენები, როგორც მთავარი ძალა, საყრდე-ნი და დიდება — ხალხს, ამ სიმბოლოთა მეშვეობით ელია წინასწარმეტყველის დიდებულებაა წარმოჩენილი, მინიშნებაა მის ტრიუმფალურ სვლაზე ზეციურ სამკვიდრებელში. ელია წინას-წარმეტყველის სიტყვები — „მამაო, მამაო, ეტლო ისრაელისაო და მწედარო მისო“ (IV მეფეთა 2, 12) უნდა გავიგოთ აღნიშნულ სიმბოლოთა მეშვეობით გადმოცემული შინაარსის გათვალის-წინებით.¹

ანდრია კრიტელის ინტერპრეტაციით, ელია სათნოებათა ეტლით, ე. ი. მის მიერ განხორ-ციელებული ღვთისათნო საქმეთა მეშვეობით ზეცად იქნა აყვანილი: „ეტლთა მფლობელი ელია ეტლითა სათნოებათაჲთა აღჴდა რეცა ზეცად და მიწიერი კაცი ზეშთა-ექმნა“. ტროპარი მთავრდება მოწოდებით: „ჰაერსა აღსლვასა მას მისსა იწსენებდი შენ, სულო ჩემო“ (VIII, 2).

ელისე წინასწარმეტყველი, რომელიც ელია წინასწარმეტყველის საქმეს ემსახურებოდა, ევედრება სულიერ მამას, ელიას: „იყავნ მრჩობლი სული ჩემ ზედა“ (IV მეფეთა, 2,9). ამით მან

1 Толковая Библия, под ред. проф. А. П. Лопухина, СПб, 1914, т. 2. С. 484-485.

ელიას შესთხოვა პირველშობილ ძედ მიიჩნიოს იგი, რადგან სხვა ძმებზე უპირატესია იმით, რომ ორმაგად იღებს მემკვიდრეობას. ელისემ სულიერი ზემოქმედებით განჭვრიტა ელიას სასწაული. მართლაც, როცა იხილეს წინასწარმეტყველის სასწაული, თქვეს: „დადგრა სული ელიასი ელისეს ზედა!“ (მეფეთა IV, 2, 15), ელიას ძალა ელისეზე გადმოვიდა, სასწაულთმოქმედი ხალენი ელიასი ელისემ შეიწყნარა და, როგორც ანდრია კრიტელი იტყვის, „ელისე, ოდესმე შემწყნარებელმან ელიას ხალენისამან, მიიღო მრჩობლი მადლი უფლისა მიერ“, მაგრამ ტროპარს დაასრულებს მამხილებელი შეგონება: „ხოლო შენ, სულო ჩემო, მადლსა მის ვერ ზიარ იქმენ უნესოდ სლვითა“ (VIII, 4). გალობაში ყურადღება მახვილდება სომანიტელ ქალზე, რომელმაც შეიწყნარა ელისე წინასწარმეტყველი და გულითაც უმასპინძლა მას, ცოდვილი ადამიანი კი უცხოთა მასპინძლობის მოვალეობას გაურბის, მგზავრსაც არ გაულებს კარს, რის გამოც იგი „სასძლოთ გარე განჰვარდება მტირალი“ (VIII, 5).

ცოდვებით დამძიმებულ ადამიანთა შორის ნახსენებია გეეზია, ელისე წინასწარმეტყველის მსახური. მან ელისეს მიერ კეთრისგან განკურნებული ადამიანისგან ელისესთვის განკუთვნილი ძღვენი მიისაკუთრა (წინასწარმეტყველს უარი ჰქონდა ნათქვამი ამ გასამრჯელოზე), ანდრია კრიტელი უმკაცრესად მოუწოდებს ანგარებით შეპყრობილ ადამიანს: „გეეზისსა ემსგავსე, უბადრუკო, საძაგელსა და ბილწსა ნებასა, სულო, რომლისა ანგაჰრება ანლათუ სიბერესა, განაგდე შენ შიშითა ცეცხლისაჲთა და იჯმენ მისგან“ (VIII, 6).

ოზია, იგივე აზარია, მეფობას დიდი შემართებით შეუდგა, ბევრი სასახელო საქმეც განახორციელა, მაგრამ გადიდგულდა, გაამაყდა, უნდოდა თავხედურად მიეტაცებინა მღვდელმთავრის უფლებები, რის გამოც უმკაცრესად დაისაჯა, კეთრი შეეყარა და განცალკევებული, ყველასგან მიტოვებული აღმოჩნდა. ანდრია კრიტელის გამაფრთხილებელი მოწოდებები ამჯერადაც მკვეთრია: „ოზიას მიმსგავსებითა, ჰოჲ სულო, მრჩობლი გაქუს (ორმაგად გჭირს — ლ. გ.) კეთროვანებაჲცა მისი: ბილწთა საქმეთა წურთითა და უსჯულოთა ქმნითა (ბილწი აზრებით და უსჯულო საქმეებით — ლ. გ.). დაუტევენ ესენი და შეიტკბე სინანული“ (VIII, 7).

ადამიანთა სანუგეშებლად მოხმობილია ნინეველთა მიერ ძაძითა და ნაცრით ცოდვათა მონანიების ეპიზოდი, იერემია წინასწარმეტყველის გოდება სიონის გამო, იონა წინასწარმეტყველის სწრაფვა ნინეველთადმი. მათ აქვთ რწმენა, რომ ღმერთი გულმონყალეა და მათ დაიხსნის ცოდვებისაგან.

იმედისა და რწმენის განსამტკიცებლად გალობაში ყურადღება მახვილდება დანიელის მიერ მხეცთათვის პირის შეკვრაზე, აგიზგიზებული ცეცხლის დაშრეტაზე ყრმათა მიერ სარწმუნოების ძალით.

საგალობელში ბიბლიურ ადამიანთა — ზნესრულთა თუ ცოდვით შებილწულთა ლამის მთლიანი გალერეაა წარმოდგენილი. მიზანი ნათლად და მწყობრადაა ჩამოყალიბებული: „ძუელისა აღთქუმისანი ყოველნივე სახედ მოგართუნ, სულო, რაჲთა ემსგავსო მართალთა საქებელსა საქმესა და ევლტოდი ხენეშსა მას და ბილწსა ცოდვასა უკეთურთასა“ (VIII, 12).

საგალობლის შემდგომი, დამამთავრებელი რვა ტროპარი წარმოთქმულია მღელვარე ინტონაციით, მოხმობილია სახარებისეული მაგალითები სინანულით მოცული ადამიანებისა, რომელთაც უნდა შეუერთდეს ყოველი ადამიანი. „ავაზაკისაებრ ვჰმობ: მომიწსენე, და პეტრესებრ ვტირ: მილხინე, მაცხოვარ, მეზუერისაებრ ვგოდებ, მეძვისაებრ ვცრემლოჲ. მიითუალე ჩემი გლოვაჲ, ვითარ ქანანელისაჲ“, — ისმის გულწრფელი ხმა მონანული ადამიანისა.

ტროპარებში ჩაქსოვილია მაცხოვართან დაკავშირებული გამომსახველი ეპითეტები: „სულთა მკურნალი“, „დავითის ძე“, „ტკბილმაცხოვარი“, „მაღალმონყალე“, „მაღალი დიდების მქონე“. მეორე მხრივ, ცოდვილის წარმოსაჩენად შემოდის გულისშემალონებელი ეპითეტები:

„სულმყარი წყლებით დამდიმებული“, „ძრწოლით მღალადებელი“, „ნიდოვანი“, „მტირალი“ და სხვ.

საგალობლის ფინალში სახარებისეული იგავით შთაგონებული ვედრება გაისმის: „მონყალე მექმენ, მაცხოვარ, ქმნულსა შენსა და ვითარცა მწყემსმან, მპოვე წარწყმედული, მეწიე შეცთომილსა, გამომიწესენ მწყეტაგან და შემრაცხე ცხოვართა თანა სამწყსოსა შენისათა“ (VIII, 20).

IX გალობა, რომელიც ღვთისმშობლის საგალობლითაა შთაგონებული, სულიერი აღმავლობის ბოლო საფეხურია. მასში წამოწეულია სახარებისეული მოტივები, რომელთა წვდომა, გააზრება, განცდა ადამიანში აღვიძებს ყოველივე კეთილშობილურს, ფრთებს ასხამს ღვთაებრივისკენ სწრაფვას.

ამ გალობის შესავალი, რომელიც სამი ტროპარისგან შედგება, მძიმე რეალობას წარმოაჩენს: „გონება მწარედ წყლულ არს, ჯორცნი დაწსნილ და განკაფულ, სწეულ არს სული, მოუძღურებული — სიტყუაჲ, წარწირულ არს ცხოვრებაჲ და სიკუდილი კართა ზედა“ (IX, 1). მძიმე მხილებას მოსდევს შეკითხვა: „უბადრუკო სულო, რაჲ-მე ჰყო, ოდეს მოვიდეს მსაჯული დიდი განსჯად შენდა?“ (IX, 1).

გულისტკივილითაა ნათქვამი: „მოგითხარ შენ მოსესი სოფლის შესაქმე, ჰ, სულო, რომლისა მიერ ყოველივე სჯულისა წერილი გაუწყე შენდა, მართალთა თანა ცრუნი, ხოლო შენ შემდგომთა ჰბაძავ, უდებო, არა პირველთა მათ ღმრთისა მიმართ უგუნურ-ქმნითა“ (IX, 2).

ცოდვილი ადამიანისთვის სჯული და კანონი მოუძღურებულია, მასზე გავლენა აღარ აქვს, უსარგებლო შეიქმნა მისთვის სახარება, წმიდა წერილმა დაკარგა ზეგავლენა, წინასწარმეტყველნი და მართალთა შესახებ თქმულნი ფუჭი აღმოჩნდა. განმკურნებელი სიტყვისაგან განდგომით კი განმრავლდნენ წყლულნი.

ხსნა სახარებისათვის გულის გადაშლაშია. აკი ნათქვამია: „გამოიძიებდით წიგნთაგან, რამეთუ ჰგონებთ, ვითარმედ გაქუს ცხოვრებაჲ საუკუნოჲ მათ შინა; და იგინი არიან, რომელნი წამებენ ჩემთვის“ (იოანე 5, 39).

ანდრია კრიტელი „დიდ კანონს“ აგვირგვინებს „ახლისა წიგნისა“ სახეთა გაცოცხლებით, რათა მოაღბოს ცოდვილი ადამიანის გული, რათა მან მაგალითად დაისახოს მართალთა წესი ცხოვრებისა, განერიდოს ცოდვილთ და მონყალე ყოს ქრისტე მარხვით, ვედრებით, სიწმინდით, კრძალულობით.

სახარებისეული ეპიზოდების მოხმობისას ინტონაცია შემართულია, ფრაზა კიდევ უფრო მოქნილი და ემოციურად დაძაბული ხდება. ტროპართა დასაწყისი სიტყვები თუ ფრაზები ზოგჯერ იდენტურნიც არიან, რაც ამძაფრებს რიტმს. ყველა ტაეპში აქცენტირებულია ქრისტე-მაცხოვრის სახელი. თვალსაჩინოებისთვის მოვიტან ამ ტროპართა დასაწყის ფრაზებს:

„ქრისტე განკაცნა, სულო“ (IX, 5)

„ქრისტე განკაცნა, სულო“ (IX, 6).

„ქრისტე აცხოვნნა მოგუნი“ (IX, 7).

„ქრისტე განიცდებოდა“ (IX, 9).

„იმარხა მაცხოვარმან“ (IX, 8).

ამ ტროპარებში ხსენებული სასწაულები მაცხოვრისა ავტორის მიერ განმარტებულია როგორც ყოველი ადამიანის გადარჩენისათვის განხორციელებული დიადი ქმედება. ქრისტე იმ-იტომ განკაცდა, რომ მაგალითი დაესახა ყველასთვის თავის დამდაბლებისა, „ხატი და სახე გიჩუენა დამდაბლებისა თვისისაჲ, რაჲთა განგაახლოს წყალობით“ (IX, 6).

ქრისტემ აცხოვნა მოგვები, მოიხმო მწყემსები, მრავალი ყრმა მონამედ აქცია, განადიდა

მოხუცი და ქვრივი დედაკაცი, რომელთაც უნდა ემსგავსოს ადამიანი, ორმოცი დღე იმარხა. არ უნდა შეგაშინოს მტერმა, რადგან „მარხვა და ლოცვა გაქონან საჭურველად მის ზედა. ეშმაკი ქრისტეს ცდუნებას ცდილობდა და რა შეიძლება თავს დაატყდეს ადამიანს? ამიტომ დღენიადაგ სიფხიზლე მართებს მას. „ძრწოდე, სულო, და მარადის მღვიძარე, შემწე იყოფდ ღმერთსა“ (IX, 9).

იოანე ნათლისმცემლის თემატ, ჰეროდესა და ჰეოდიადეს მიერ გამოჩენილი სისასტიკეც, იოანე ნათლისმცემლის სიკვდილით დასჯაც ზნეობრივი შეგონებისთვისაა მოხმობილი: „ნუ დაეცემი შენდა, არამედ შეიტკბე მოქცევა“ (IX, 10).

სახარებისეული ეპიზოდების ღრმა ინტერპრეტაციის ბრწყინვალე ნიმუშია მაცხოვრის მიერ ქორწილში წყლის ღვინოდ გადაქცევა. ანდრია კრიტელის განმარტებით: „ესე პირველად ნიშად აჩვენა, რაათა შენცა შეგცვალოს, სულო“ (IX, 12).

ქრისტეს სხვა სასწაულებიც — დაუძლურებული ადამიანის განმტკიცება, ქვრივი დედის ჭაბუკი შვილის აღდგინება, ასისტავის მსახურის განკურნება, სამარიელი დედაკაცისათვის თავის გაცხადება (იოანე, 4, 24-26) მოხდა იმიტომ, რომ „სულიერი მსახურება წინასწარ დაგისახა, სულო“ (IX, 13), — გვიხსნის წმ. ანდრია. მისივე შეგონებით, მაცხოვარმა „წიდოვანი განკურნა, შე-რაჲ-ეხო ფესუსა მისსა, და კეთროვანნი განწმიდნა, დაღრეკილნი და ბრმანი განჰმართნა და განანათლნა, ხოლო ყრუნი და უტყუნი და დაღონებულნი სიტყვით განკურნა, რაათა შენცა გაცხოვნოს, სულო“ (IX, 14).

მეძავი და მეზვერე განმართლდნენ, რადგან ღმერთს შეწყალებას შესთხოვნენ, ფარისეველი კი დაისაჯა სიამაყისთვის. უნდა მიბაძო იმ ცოდვილ დედაკაცს, რომელმაც „მოიღო ალბასტრი მიჰრონისაჲ ცრემლითურთ და სცხო ფერჯთა მწსნელისათა და წარჰჳოცნა თმითა“, — დაბეჯითებით გვირჩევს კრიტელი მწყემსმთავარი.

გალობის დამამთავრებელ ტროპარებში კიდევ ერთხელ გაიჟღერებს მკაცრი მოწოდება — სასტიკად დაისჯება ის ქალაქები, რომელთაც ქრისტემ სახარება უქადაგა და არ შეისმინეს. ბოროტ სოდომელებთან მსგავსების გამო მათი სასჯელიც უმკაცრესი იქნება. მოწოდება ასეთია: „შეშინდი სახისაგან და ნუ ჰბაძავ მათ!“ (IX, 19).

სასოება, იმედი მთავარი საყრდენია ადამიანისთვის, ქრისტესთან ერთად ორი ავაზაკი აცვეს ჯვარს. მაგრამ ერთმა ავაზაკმა ირწმუნა ქრისტე, ღმერთად შეიცნო იგი და მისთვის გაიღო სასუფეველის კარი.

საგალობელს დიდებული ხატი დაასრულებს: „დაბადებულნი განჰკრთეს, ჯუარცუმულსა რაჲ გხედვიდეს შენ; მთანი და კლდენი შიშისგან განიჰნეს, ქუეყანაჲ შეირყია, ჯოჯოხეთი ოვერ იქმნა, დაბნელდა ნათელი მზისაჲ, რაჟამს ჯუარითა ვნებულად გიხილეს შემოქმედი თჳსი“ (IX, 23).

საგალობლის ბოლო ტროპარებში კვლავ მონათული ადამიანის ხმა ისმის. აღმსარებელი ფსალმუნურ სტრიქონებთან შეხმიანებით შესთხოვს უფალს: „არამედ მომეც გული შემეუსრვილი და მარადის სიგლახაკე სულითა, რაათა ესენი შევწირნე, ვითარცა სათნოჲ და მითუალული მსხურპლი“ (IX, 24). 50-ე ფსალმუნშია ნათქვამი: „მსხურპლ ღმრთისა არს სული შემეუსრვილი; გული შემეუსრვილი და დამდაბლებული ღმერთმან არა შეურაცხყოს“ (ფსალ. 50, 19). შეურევბული, მჭმუნვარე, შემეუსრვილი სულია ღმრთისათვის სასურველი, შეურევბული და დამდაბლებული გულია უფლის სამკვდრებელი. ასე დასრულდება აღმსარებელი ადამიანის მოგზაურობა საკუთარი სულის ლაბირინთებში. „კრიტელმა მწყემსმა თითქოს ჩაგვჭიდა ხელი და შეგვიძღვა თავის უმდიდრეს, ნათელ, სიხარულით აღსავსე და ღმრთისადმი თავის პირადი დამოკიდებულების დაძაბულ სამყაროში“, — იმონმებს კ. ვერემენკო პროტ. ს. პრავდოლიუბოვის გამონათქვამს ნაშრომიდან: „Великий канон святого Андрея Критского, История, поэ-

тика, богословие“, МДА, 1984. с. 12)*. „დიდი კანონი“, ისევე როგორც ამ ეპოქის სულიერი კულტურის სხვა ძეგლები, ეფუძნება საღვთისმეტყველო, ეთიკურ და ესთეტიკურ პრინციპებს, რომლებიც შუასაუკუნოებრივ ესთეტიკაში ერთმანეთისგან გაუთიშავია. ამიტომ ბადებს ჩვენი საგალობელი უნივერსუმთან მიახლოების, მარადიულში შეღწევის უჩვეულო განცდას.

ნმ. ანდრია კრიტელის „დიდნი გალობანი სინანულისანი“ არის კიდევ ერთი მტკიცებულება იმისა, რომ სამყარო ერთიანია, მთლიანია და რომ „კაცობრიობის ისტორია სხვა არაფერია, თუ არა სხვადასხვა სახით, სხვადასხვა გამოხატულებით დასაბამიერი სამშობლოს ძიება“,¹ დაკარგული ხატისკენ სწრაფვა.

¹ ჭელიძე ე., ქრისტიანობა და საზოგადოება, რელიგიურ-საგანმანათლებლო ჟურნალი „გული გონიერი“, 2, 2011, გვ. 6.

* Веремеенко К., დასახ. წიგნი, გვ. 18. სამწუხაროდ, რუსეთთან ჩვენი ურთიერთობების გართულების გამო, მიუხედავად ჩემი დიდი მცდელობისა, ს. პრავდოლიუბოვის ნაშრომზე ხელი არ მიმიწვდა.

„დიდი კანონის“ ქართული თარგმანები

„დიდი კანონის“ ქართული თარგმანების შედარება ორიგინალთან რამდენადმე პირობით ხასიათს ატარებს. ჩვენ ხელთ არ გვაქვს ამ ძეგლის დედნის ზუსტი ასლი (ის არცაა ჩვენამდე მოღწეული!). ამიტომ ვეფუძნებით ჟაკ-პოლ მინის მიერ გამოცემულ ტექსტს¹, აგრეთვე, ე. ლოვიაგინისეულ გამოცემას ბერძნული ტექსტისას², ბუნებრივია, ვითვალისწინებთ ე. ლოვიაგინის მიერვე რუსულ ენაზე თარგმნილ „დიდ კანონს“, რომელიც აგრეთვე დასახელებულ წიგნშია გამოქვეყნებული და ქართველი ბიზანტინისტის, გვანცა კოპლატაძის მიერ თანამედროვე ქართულ ენაზე გადმოღებულ აღნიშნულ ტექსტს.³

ჩემი მიზანი არც არის ტექსტების ზედმინევენითი შედარება. მე მაინტერესებს არა ქართველ მოღვაწეთა მთარგმნელობითი მეთოდის სკურპულოზური შესწავლა და დახასიათება, არამედ დადგენა იმისა, როგორაა რეალიზებული საღვთისმეტყველო და ესთეტიკური შინაარსი „დიდი კანონისა“ ქართულ თარგმანებში, როგორ ხერხდება ბერძნული ტექსტის ადაპტირება ქართულ სააზროვნო სივრცეში და სხვ.

პირველ რიგში დაისმის კითხვა: როგორია „დიდი კანონის“ მთლიანი კომპოზიცია, რა სახითაა ის მოღწეული ჩვენამდე, რა ძირითადი ცვლილებები განიცადა მისმა ფორმამ დროთა მანძილზე, როგორ ეკიდებიან მას ქართველი მთარგმნელები.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „დიდი კანონი“ თავდაპირველად შეიცავდა 210 ტროპარს, შემდეგ მას შეჰმატებია ღირსი მარიამ მეგვიპტელისადმი მიძღვნილი ტროპარები (რადგან ღირსი მარიამ მეგვიპტელის ხსენების დღე სწორედ დიდი მარხვის პერიოდში მოდის). „დიდი კანონისთვის“ დაურთავთ წმ. ანდრია კრიტელის სადიდებელი ტროპარებიც. ასე რომ, ტექსტის მოცულობა მთლიანად 250 ტროპარამდე გაზრდილა.

ტექსტში მკაფიოდ გამოკვეთილ მხატვრულ სტრუქტურასაც ხედავენ: „შესავალში ღირსი მამა (ანდრია კრიტელი) მოუხმობს თავის სულს სხეულითურთ აღსარებისათვის ღმრთის წინაშე. შემდეგ შემოდის მთავარი თემა — სინანულისა და გოდებისა, ცოდვილი სულის ტირილისა და მოთქმისა. VII გალობაში ეს თემა აღწევს გამოსახვის მწვერვალს, ხოლო დასკვნით ნაწილში მკვიდრდება მშვიდი ახალი აღთქმისეული განწყობილება, რომელიც იბადება ადამიანში, ვინც სინანულით შეჰღალადა ღმერთს და გული გაიღო მსხვერპლად უფლისათვის“.⁴

თავიდანვე შევნიშნავ, რომ სამივე ქართველი მთარგმნელის (ექვთიმე ათონელი, გიორგი ათონელი, არსენ იყალთოელი) მიერ მეტნაკლები სიზუსტით შენარჩუნებულია ორიგინალის სტრუქტურა, კომპოზიცია, სამივე თარგმანი შედგება 9 გალობისაგან, რომლებიც შესაბამისი ძლისპირების მიხედვითაა განწყობილი, აქვთ ბიბლიური წანამძღვრები (ან სათანადო მინიშნებები). ყოველი გალობა მთავრდება „სამეებისანითა“ და „ღმრთისმშობლისანითა“. თუმცა, როგორც ვიცით, ექვთიმე და გიორგი ათონელებს შეცვლილი აქვთ ძლისპირები,

1 Patrologiae cursus completus, accurante J.-P. Migne, Bibliothecae Cleri universae, Tomus Unicus, Parisiis, 1865. t. VII, col. 1332-1385.

2 Богослужбные каноны на греческом, славянском и русском языках – изд. Е. Ловягина, СПб, 1875.

3 ანდრია კრიტელი, დიდი კანონი, თბ., 2007, ძველი ბერძნულიდან თარგმნა და გამოკვლევა დაურთო გვანცა კოპლატაძემ.

4 Веремеенко К., Свящ. уроки покаяния в Великом каноне Андрея Критского, М. 2013, стр. 17-18.

ექვთიმე ათონელს კი ძლისპირებთან ერთად — ხმაც საგალობლისა.

დავინყებ ტექსტის სათაურით. აქვე შევნიშნავ, რომ სათაურს შუასაუკუნეობრივ მწერლობაში დღევანდელი დატვირთვისაგან (დღეს სათაური მხატვრული ნაწარმოების ერთგვარი გასაღებია) სრულიად განსხვავებული ფუნქცია აკისრია. ის ნაწარმოების ჟანრობრივ რაობას აღნიშნავს, გვაუწყებს, რას წარმოადგენს ტექსტი: „მარტვილობას“, „ცხოვრებას“, „ქებას“, „გალობანს“, თუ მათიანეს. ჟანრის რაობაზე მითითებით მკითხველის შემზადებაც ხერხდება ნაწარმოების აღსაქმელად.

„დიდი კანონის“ სამივე ქართულ თარგმანში სათაურშივე მითითებულია ავტორი — ანდრია კრიტელი. ნმ. ექვთიმე ათონელი გვამცნობს: „ანდრია კრიტელი, რომელი იყო რუსალემით“; ნმ. გიორგი ათონელი იფარგლება კონკრეტული ინფორმაციით: „ანდრეა კრიტელი“, ნმ. არსენ იყალთოელი კი ავრცობს ამ ინფორმაციას: „ნმიდა ანდრია იერუსალიმელი, კრიტელი მთავარეპისკოპოსი“. სამივე მთარგმნელთან, ბუნებრივია, დასახელებულია ჟანრის რაობა: „გალობანი“. ოღონდ ექვთიმე და გიორგი ათონელები ტექსტის მოცულობასა და მნიშვნელობასაც წარმოაჩენენ: „დიდნი გალობანი“. არსენ იყალთოელი და ექვთიმე ათონელი კი მის შინაარსობრივ რაობასაც აზუსტებენ: „გალობანი **სინანულისანი**“. გიორგი ათონელი ზედწარწერაში, სათაურში იმასაც გვაუწყებს, რომ ტექსტი მის მიერ თავიდან, მეორეჯერაა გადმოთარგმნილი.

„დიდი კანონის“ ქართულ თარგმანთა ეს დასათაურებანი თავიდანვე მიგვანიშნებს თარგმანთა ერთმანეთისაგან შესაძლო განსხვავებებზე და, რაც მთავარია, იმასაც გვაფიქრებინებს, ეს განსხვავებულობა ბერძნულ სათაურთან დაახლოების პროცესსაც უნდა ასახავდეს.

„დიდი კანონის“ სამივე ქართული თარგმანის ბერძნულ ტექსტებთან და ერთმანეთთან შეპირისპირებისას შედგენილობის თვალსაზრისით I გალობის ფარგლებში შემდეგი სურათი იკვეთება: პირველი ორი ტროპარი სამივე თარგმანისა სრულ შესაბამისობაშია ბერძნულ ტექსტთანაც და ერთმანეთთანაც. შემდეგ ექვთიმე ათონელს შემოაქვს სამი ტროპარი (III, IV, V), რომელთა შესატყვისი ტროპარები არსენ იყალთოელთან და გიორგი ათონელთან (შესაბამისად, ბერძნულ ტექსტშიც) გვხვდება, ოღონდ X, XI, XII მუხლებად. ბერძნული ტექსტის IX ტროპარიდან კი (X, XI, XII, XIII, XIV) არსენ იყალთოელი და გიორგი ათონელი ორიგინალს მიჰყვებიან, ექვთიმე ათონელს კი ამ ტროპართა შესაბამისი ტროპარები გადატანილი აქვს I გალობის დასკვნით ნაწილში, შემდეგ ექვთიმე ათონელისა და გიორგი ათონელის თარგმანთა ტექსტები კვლავ მიჰყვებიან ერთმანეთს (XXIV-XXXVIII ტროპარების ჩათვლით), თუმცა ექვთიმე ათონელი აგრძელებს ტექსტს, კიდევ 9 ტროპარს უმატებს, რომელთა შესატყვისი ტროპარები გიორგი ათონელის თარგმანშიც არის, ოღონდ მისადაგებულია ბერძნულ ტექსტს, როგორც ეს არსენ იყალთოელთანაა*.

რაც შეეხება ქართველ მთარგმნელთა დამოკიდებულებას ტექსტის მხატვრულ-ენობრივი

* იკვეთება ერთი საგულისხმო ვითარებაც: ჟაკ-პოლ მინის პატროლოგიაში „დიდი კანონის“ I გალობის დამამთავრებელი ტროპარები (XX, XXI, XII, XXIII) ბერძნული ტექსტის ლოვიაგინისეულ გამოცემაში გადანაწილებულია, უფრო სწორედ, ადგილმონაცვლეობენ: XX ტროპარი არსენ იყალთოელის თარგმანში XIII ტროპარია, XXI ტროპარი XXII-ეა, XXII — XIX ტროპარია, XXIII კი — XX ტროპარი, როგორც ეს არსენისეულ თარგმანშია. ხოლო XVIII და XIX ტროპარები მინისეული გამოცემისა არ არის ლოვიაგინისეულ ბერძნული გამოცემის ტექსტში, არც რუსულ თარგმანში, შესაბამისად არც ქართულ თარგმანებში. ჩვენი მთარგმნელები ხომ არ მიჰყვებიან იმ ბერძნულ ვერსიას, რომელსაც ე. ლოვიაგინი ეყრდნობა?

ქსოვილისადმი, შევეცდები მივყვე ტექსტებს და გზადაგზა გამოვკვეთო ქართულ თარგმანთა თავისებურებანი.

უგალობდითსა (გალობაჲ ა)

I ტროპარი სამი მონაკვეთისაგან შედგება:

I. „ვინაჲ ვინყო მე გლოვად საქმეთა ცხოვრებისა ჩემისათა“, II. „ანუ რომელი დასაბამი ვყო, ქრისტე, გოდებისა ამის“, III მონაკვეთს პირველი ორი ფრაზისგან გამოჰყოფს მაცალკეებელი კავშირი (არამედ) და წამოიწევს ვედრებისა და რწმენის გამომხატველი ფრაზეოლოგია. ქართველ მთარგმნელებს ზუსტად გადმოაქვთ ბერძნული ტექსტის აღნაგობა, მაგრამ თავიდანვე იკვეთება შემოქმედებითი, დინამიკური ეკვივალენტის ტიპის მთარგმნელობითი სტილის ნიშნები. ეს ტენდენცია განსკუთრებით საგრძნობია ექვთიმე ათონელის თარგმანში, გარკვეულწილად კი — გიორგი ათონელთანაც. მაქსიმალური სიზუსტით არ გამოირჩევა არც არსენ იყალთოელი.

რა მაქვს მხედველობაში?

ბერძნულში, ორივე ვერსიაში გვაქვს: Πόθεν ἄρξομαι θρηγεῖν τὰς τοῦ ἁθλίου μου βίου πράξεις;

αθλίζ / αθλίσ — ნიშნავს ღვაწლს, შრომას; ზმნურ ფორმას განსაცდელის, უბედურების დათმენის, გამწარების მნიშვნელობაც აქვს, ამიტომ რუსულ თარგმანში ეს ფრაზა შემდეგნაირადაა გადატანილი; „С чего начну оплакивать деяния моей несчастной жизни“ (ახალ ქართულში: „საიდან ვინყო გლოვა საქმეთათვის ჩემისა მწუხარისა ცხოვრებისა“).

არსენ იყალთოელს (და არც ექვთიმე ათონელს) არ გადმოუღიათ ἁθλίου / αθλίσ, გიორგი ათონელს კი შემოაქვს აღნიშნული სიტყვის ეკვივალენტი — „უბადრუკი“. ყურადღებას იქცევს ტროპარის დამამთავრებელი ტაეპიც: ἄλλ’ ἂν εὐσπλαγχνός μοι δῷς παραπτώμάτων ἄφεσιν“. რუსულ თარგმანში გვაქვს: „Но как милосердный, даруй мне оставление прегрешений, ასევეა თარგმნილი თანამედროვე ქართულ ენაზე: „გარნა ვითარცა გულმონყალე ხარ, ცოდვათა დატევებაჲ მომანიჭე“. საგულისხმოა, რომ არსენ იყალთოელი თითქოს გაურბის სინტაქსურ კალკს და ქართული ენისათვის ორგანულ ფრაზას გვთავაზობს: „ვითარცა ტკბილმან, მომცენ ცრემლნი ღმობიერნი“, ამ გზას დასდგომია „დიდი კანონის“ პირველი მთარგმნელი ექვთიმე ათონელიც: „არამედ, შენ, სახიერ, მომცენ ღმობიერებისა ცრემლნი, რაჲთა ჯეროვნად შეგივრდე შენ, მონყალესა“. გიორგი ათონელიც მიჰყვება ექვთიმე ათონელს (გავლენა აშკარაა!) და კიდევ უფრო აფართოებს ფრაზას: „მომმადლენ მე ცრემლნი სინანულისანი და მაცხოვნე“. შესაძლოა, გიორგი ათონელს ტექსტის რიტმულმა ჩარჩომ უბიძგა ტროპარი დაეგვირგვინებინა სიტყვით: „მაცხოვნე“, მაგრამ ამგვარმა დაბოლოებამ, ისევე როგორც სიტყვამ „მომმადლენ“ (და არა „მომცენ“ როგორც არსენ იყალთოელთან და ექვთიმე ათონელთანაა), დაამშვენა ტექსტი, ლოგიკურად და ესთეტიკურად დაასრულა სათქმელი.

საინტერესოა ქრისტეს დედნისეული ეპითეტის — εὐσπλαγχνός — ქართული შესატყვისები: **სახიერი** (ექვთიმე ათონელი), **მრავალმონყალე** (გიორგი ათონელი), **ტკბილი** (არსენ იყალთოელი). შეიძლება ითქვას, რომ გიორგი ათონელის მიერ შერჩეული ეპითეთი უფრო შესაბამისია ბერძნულისა.

II ტროპარი. სამივე ქართველ მთარგმნელს ტროპარის შინაარსი გადმოტანილი აქვს. თუმცა ექვთიმე ათონელი გვერდს უფლის ტექსტის ერთ ძალიან მნიშვნელოვან პასაჟს: „ἀπὸ τοῦ λίπτον τῆς πρὶν ἀλοιγίας“. არსენ იყალთოელს კი ზუსტად გადმოუღია იგი: „იჯმენ პირველისა მის პირუტყუებისაგან“, გიორგი ათონელიც იდენტურ თარგმანს გვთავაზობს: „განეშორე ამიერითგან პირველთა მათ შენთა პირუტყუებათა“. ექვთიმე ათონელი კი ასხვაფერებს ტექსტს: „განეშორე ამიერითგან პირველთა საქმეთა ცოდვისათა“. მან გვერდი აუარა „პირუტყუებას“, რადგან ის, ჩანს, დამატებით ინტერპრეტაციას საჭიროებდა (უტყვად ყოფნა, დადუმება, არალიარება ცოდვათა საზიანოა ადამიანისთვის), თუმცა ტექსტის დედააზრი, მისი სემანტიკური რაობა მიტანილია მსმენელამდე: „განეშორე ამიერითგან პირველთა საქმეთა ცოდვისათა და შენირენ შენ უფლისა ცრემლნი მჭურვალენი და სინანული, რაჟთა სცხოვნდე“. ე.ი. პირუტყუება (მდუმარება, უტყვობა) სიტყვიერი ლაღადისით უნდა შეიცვალოს, ღმრთის წინაშე ცოდვების აღიარებით უნდა დაიძლიოს.

საგულისხმოა, რომ სამივე ქართველ მთარგმნელს გამორჩენია დედნისეული *λίπτον* (ამიერთაგან), რუსულ თარგმანში კი არის: „Воздержись наконец от прежней безсловесности“.

III ტროპარი ორიგინალისა ექვთიმე ათონელს გადატანილი აქვს VII ტროპარად (შესაძლოა, ექვთიმე დედნის სხვა ვერსიით სარგებლობდა), და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შემოაქვს ოთხი ტროპარი (III, IV, V და VI) *, რომელთა შესატყვისი ტროპარები არსენ იყალთოელთან და გიორგი ათონელთან (მაშასადამე, ბერძნულ ტექსტშიც) გვხვდება X, XI, XII ტროპარებად. ე.ი. გიორგი ათონელი არ არღვევს დედნის სტრუქტურას და მიჰყვება ორიგინალის ტექსტს. ასევე იქცევა არსენ იყალთოელიც.

თავს უფლებას ვაძლევ ერთ კონტექსტში ვიმსჯელო ქართულ თარგმანთა რაობაზე, ერთმანეთს შევუდარო აღნიშნული ქართულად თარგმნილი ტროპარები მიუხედავად იმისა, თუ რა ადგილი უკავიათ მათ ტექსტში.

სამივე მთარგმნელი ერთგულია ბერძნული ტექსტისა. გიორგი ათონელს აშკარად ეტყობა ექვთიმე ათონელის გავლენა, ტექსტს მის მსგავსად განავრცობს: დავკარგე ზეციური დიდებულება ცოდვათა გამო, „რომელნი შევიყუარენ“. ბოლო სინტაგმა ბერძნულში არ არის, ექვთიმე კი ამ სიტყვებით ამთავრებს (VII) ტროპარს, გიორგიც ასე დაასრულებს (III) ტროპარს.

ყურადღებას იპყრობს ერთი ნიუანსიც: ექვთიმე და გიორგი ათონელები ცნებას *ἔχων* — თარგმნიან, როგორც „ვიხილე“-ს, არსენ იყალთოელი კი როგორც — „ვაგრძენ“ (შევიცან, *сознал*), რაც უფრო მიახლოებულია ბერძნული ცნების შინაარსთან: „ვაგრძენ სიშიშულე ჩემი ღმრთისაგან“ (*ἔχων ἐμαυτὸν γοιμνωθῆναι θεῷ*).

IV ტროპარი. არსენ იყალთოელი ერთგულია ტექსტისა. შეაქვს სემანტიკური ხასიათის უმნიშვნელო ცვლილება. ბერძნულშია: *ἔχυσθα προπετὲς τῆς παραλήγουσιν βρώσεως. παραλογε* — უგუნური, გონების გარეშე ჩადენილი ქმედებაა, არსენ იყალთოელი კი გვთავაზობს სემანტიკურ თარგმანს: „ჭამადი მაკუდინებელი“.

ეს ტროპარი არა აქვს თარგმნილი ექვთიმე ათონელს. გიორგი ათონელი დედნის სტრუქტურის შეუცვლელად გვითარგმნის, ისიც მიმართავს საწყალობელ სულს: „ო, სულო

* ეს ტროპარი B ხელნაწერში გადატანილია „უგალობდითას“ ბოლოს.

ჩემო საწყალობელო“. დედანს შეჰმატებს „ხის“ განმსაზღვრელ სიტყვას, ბერძნულში მხოლოდ „ხეა“ ნახსენები, გიორგი კი მას „ნარწყმედილს“ უწოდებს, „ცნობადი ხის“ ეპითეტად მოიხმობს („გემოჰსხილვითა ნარწყმედილისა მისგან ხისა მცნებელისა“). გიორგი ათონელი ტროპარს ამთავრებს ექვთიმე ათონელის მიერ ტექსტისთვის შემატებული სიტყვებით: „მთავარდი მწვრესა ცოდვათასა“.

V ტროპარი ინტერპრეტაციული თარგმანის ნიმუშია. მთარგმნელები არ გადიან ბერძნული ტექსტის სემანტიკური ველიდან, ინარჩუნებენ ადექვატურობას და ნიუანსური განმარტებებით აღწევენ სიცხადეს, გამჭვირვალობას. ამ მხრივ გამოირჩევა ექვთიმე ათონელისეული თარგმანი: „პირველსა ევაჲს წილ მაცთურ მექმნა მე ვნებული ესე გულის სიტყუაჲ ჩემი, რამეთუ დამიტკბო ცოდვისა იგი მწარე გემოჲ და მცნებათა ღმრთისათა გადასლვაჲ შემაყუარა მე, ამისთჳსცა შთავარდი მწვრესა [მას] ცოდვისასა“ (VIII). გიორგი ათონელიც, თავის მხრივ, ხატოვანებას შეჰმატებს სათქმელს: „ესრეთ შთამაგდო უბესა ბრალთა და ცოდვათასა“ (V).

არსენ იყალთოელი თუმცა ერთგულია ტექსტისა, მაგრამ ტროპარს ამთავრებს ტაეპით, რომელიც არც ბერძნულ ვერსიებშია და არც რუსულ თუ თანამედროვე ქართულ თარგმანში: „გემოჲ რაჲ ვიხილე, დავაკლდი შენსა მას მეცნიერებასა“ (V).

საინტერესოა ევას ეპითეტებიც: Ἀντὶ Ἑυαγ αἰσθητῆς, გრძნობადი ევა (არსენ იყალთოელი), ხილული ევა (გიორგი ათონელი), პირველი ევა (ექვთიმე ათონელი). სიზუსტით არსენ იყალთოელი გამოირჩევა, თუმცა ექვთიმე და გიორგი ათონელებიც არ ეწინააღმდეგებიან ბერძნული ტექსტის გაგებას.

VI ტროპარი. სამივე მთარგმნელი ერთგულია ბერძნული ტექსტისა. არსენ იყალთოელი, შეიძლება ითქვას, სიტყვასიტყვით მიჰყვება ტექსტს, თუ ძალიან დავაზუსტებთ, მხოლოდ ერთი სიტყვა აქვს უთარგმნელად დატოვებული. ბერძნულშია: τὰ ζῶηρά σου λόγια („ცხოველმოყველი მცნებანი“), მასთან კი გვაქვს: „უდებ ვყოფ სიტყუათა შენთა“.

ექვთიმე ათონელი არ ღალატობს თავის მთარგმნელობით პრინციპს, სათქმელს უაღრესად დინამიური ინტონაციით გადმოსცემს, თხრობით კილოს თავიდანვე კითხვითი ინტონაციით ცვლის და ტროპარს მხურვალე ვედრებით ამთავრებს: „უკუეთუ ადამ ერთი მცნებაჲ, უფალო, დაუტევა და სამართლად განვარდა საშუებლისა მისგან, რაჲ-მე ვყო, რომელმანცა ყოველნი მცნებანნი შენნი წმიდანი შეურაცხ-ვეყვენ? არამედ შემინყალე, მხოლოო, მრავალმოწყალე“. (IX):

გიორგი ათონელიც ერთგულად მიჰყვება ტექსტს და ტროპარს, არსენისგან განსხვავებით და ექვთიმე ათონელის მსგავსად, შეწყალების თხოვნით დაასრულებს.

VII ტროპარი ძალზე საინტერესოა ტერმინოლოგიური თვალსაზრისით. არც ბერძნულ ვერსიებში, არც მის რუსულ თარგმანსა და, ბუნებრივია, არც თანამედროვე ქართულ ენაზე გადმოთარგმნილ ტექსტში არ დასტურდება ცნება — სინდისი.

თვალი მივადევნოთ ანდრია კრიტელის ტექსტს და მის თარგმანებს:

Τὴν τοῦ Καὶν μετελθὼν μαιφονίαν, τῇ προαιρέσει γέγονα φονεὺς, συνειδῶτι φυχῇ, ζῶσας τὴν σάρκα, καὶ ζῶατέυσας, κατ' αὐτῆς ταῖς πονηραῖς μου πράξεσι (VII).

ექვთიმე ათონელის თარგმანია: „მკლველსა მას გონებასა მივემსგავსე მე კაენისა და ვიქმენ

[მკლველ] სულისა გონებითურთ მთავრით და განვაცხოველენ ჯორცნი და უფალ-ვყვენ სულისა საქმეთა მიერ ბოროტთა, და ან დაცემულ ვარ მე, მონყლული ვნებათა მიერ“ (VII).

გიორგი ათონელის თარგმანი: „კაენის მკლველსა მას გონებასა მივემსგავსე მე და მოვკლენ უწყალოდ გონება და სული და ცხოველ-ვყვენ ჯორცნი, რამეთუ უკეთურთა საქმეთა მიერ ვენყვებოდე მათ და ან განწირული ვღალადებ: ქრისტე განმაცხოველ“ (VII).

არსენ იყალთოელის თარგმანი: „მივემსგავსე კაენის მკლველსა ცნობასა და **მოვკალ სულისა სწიღისი**, და განვაცხოველენ ჯორცნი, და აღვძრენ მას ზედა გულისა ჩემისა იგი ვნებულნი გულისთქუმანი“ (VII)

ე. ლოვიაგინისეული თარგმანი: „Превзошёл я Каиново убийство: с сознательным произволением, чрез оживление (греховной) плоти, я сделался убийцею души, вооружась против неё моими злыми делами“ (VII).

გვ. კოპლატაძისეული თარგმანი: „გარდავამეტე კაენის მკვლელობასა და შეგნებულთა განზრახვითა და განცხოველებითა ხორცისა **მკვლელად სულისა** ვიქეც, აღვძარ რაჲ მას ზედა უკეთურნი საქმენი ჩემნი“ (VII).

ცნება „სინდისი“ დასტურდება მხოლოდ არსენ იყალთოელისეულ თარგმანში. იგი თავს ნებას აძლევს თვითონ შემოიტანოს **სინდისის** ცნება იქ, სადაც ორიგინალში არ არის, მაგრამ ნაგულისხმევია და ზუსტად შეესატყვისება სათქმელს.

აქვე მოვიტანთ მეორე მაგალითსაც, რომელიც IV გალობაში იკვეთება. ექვთიმე ათონელის თარგმანში ვკითხულობთ: „დაშვილ ვარ მე მწარედ ჩემისა მამხილებლისაგან, რომელ არს **გონებაჲ**, რომლისა მხილებაჲ ფრიად ფიცხელ არს“ (IV,7).

გიორგი ათონელი მიჰყვება ექვთიმე ათონელს: „დაშვილ ვარ მე და ქენჯნილ ჩემისა მამხილებლისაგან, მწსნელო, მწარედ და ულხინებლად სანყალობელი, რომელ არს **გონებაჲ მამხილებელი**“ (IV,5).

არსენ იყალთოელი კი ბერძნულის იდენტურ თარგმანს გვთავაზობს და უცვლელად გადმოაქვს „დიდ კანონში“ დადასტურებული ტერმინი — სინდისი (συνείδησις): „ამისაგან მხილებულ ვიქმენ, ამისაგან დავისაჲ მე სანყალობელი თვთ **სწიღისისა** თვსისაგან, რომლისასა არა რაჲ უმკუთეთელეს არს“ (IV,5).

საყურადღებოა, რომ ტერმინი „სინდისი“ არ გვხვდება ქართული ოთხთავის სიმფონია ლექსიკონში (შემდგენელი ივ. იმნაიშვილი, თბ. 1986), რაც იმის დასტურია, რომ სინდისის ცნება ჯერ არ არის სახარების ლექსიკონში დამკვიდრებული.¹

როგორ უნდა აიხსნას ეს ვითარება? ადამიანი ხომ შექმნილია მეუფედ ყოველივე

¹ ერთადერთი შემთხვევა სიტყვა სინდისის გამოყენებისა ქართულ ოთხთავში იოანეს სახარებაში გვხვდება: „ხოლო მათ, ვითარცა ესმა მხილებანი **სწიღისისაგან**, განვიდოდეს თითოჲ, იწყეს მოხუცებულთაგან, ვიდრემდის დაშთა თავადი მარტოჲ და დედაკაცი იგი დგას შორის“ (იოანე 8,9). ეტყობა, ეს სიტყვა შემთხვევითაა გამორჩენილი ხსენებულ სიმფონია-ლექსიკონში.

იკვეთება ასეთი ვითარებაც: ახალი აღთქმის ბერძნულ ორიგინალში გვაქვს სინდისი, ქართულ თარგმანში კი მას ენაცვლება **გონება**: „ამას ზედა ვილუანი, დაუბრკოლებელი გონებაჲ მაქუს ღმრთისა მიმართ და კაცთა მარადის“ (საქმე მოც. 24,16).

პავლე მოციქულის ეპისტოლური მემკვიდრეობა სინდისის ცნების დომინირებითაა გამორჩეული. მის ეპისტოლეებში 25-ჯერ მაინცაა ეს სიტყვა მომარჯვებული, მაგრამ ქართულ თარგმანში მათ შესატყვისად გვხვდება არა სინდისი, არამედ – გონება, გული, იჭუ || ეჭვი.

ილ. აბულაძის მიერ შედგენილ ძველი ქართული ენის ლექსიკონში (თბ. 1973 წ.) **სწიღისის** განმარტებისას მოხმობილია სწორედ აღნიშნული განმარტებანი: გული, გონება, „იჭუ“.

არსებულისა, ის ხომ აღმატებულია ყოველივეზე და სულიერ არსთა შორის ერთადერთი ქმნილებაა, რომელსაც ვერტიკალური მდგომარეობა აქვს, შეუძლია აღაპყროს თვალები ზეცას. მხოლოდ მას აქვს ხელები, რომელთა მეშვეობით სასწაულებს ახდენს მრავალ სფეროში და, რაც მთავარია, ერთადერთს აქვს უნარი აზროვნებისა, მეტყველებისა, განსჯისა... აქვს **სინდისი, ანუ „მამხილებელი გონება“**, როგორც სულხან-საბა ორბელიანი განგვიმარტავს ამ ცნებას თავის „სიტყვის კონაში“.

უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ სინდისის ფენომენი ადამიანის თანდაყოლილი მოცემულობაა. როგორც თანამედროვე ფილოსოფოსი ნ. ბერდიაევი განსაზღვრავს: „სინდისი სულიერი, ზებუნებრივი საწყისია ადამიანში, ის სოციალური წარმოშობის არ არის, სოციალური წარმოშობისაა შერყვნა და დამახინჯება სინდისისა“.¹ ხოლო სინდისის ლათინური შესატყვისის (conscientia) ეტიმოლოგიას შინაგან ცნობიერებასთან მივყავართ. სინდისის გაღვიძება ადამიანში პიროვნების განვითარებასთან არის დაკავშირებული.

ბიბლიური სწავლებით, „ახალმა აღთქმამ“, ქრისტეს მოძღვრებამ კაცობრიობას ახალი ბუნებითი სჯული მისცა. ამიერიდან ადამიანის მოქმედება უნდა განისაზღვროს და შეაფასოს არა სავალდებულოდ ქცეულმა გარედან მოცემულმა კანონმა (მოსეს ათმა მცნებამ), არამედ ადამიანის შინაგანმა ხმამ. პიროვნების სრულქმნაში უდიდესი როლი სწორედ გულისა და გონების ხმას მიენიჭა. ეს ხმა იდენტიფიცირებულია სინდისთან. როგორც ქართველი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი განმარტავს, „სიტყუაჲ“, ლოგოსი, ვითარცა შინაგანი ხმა გულისა, მსგავსად სასწორის საწონისა, ან იმ ქვისა, რომელიც ოქროს ღირებულებას განსაზღვრავს, კაცს ეხმარება თავისი ზრახვებისა და ნამოქმედარის შეფასებაში.² სინდისი პირუთვნელ მსაჯულად არის მიჩნეული, ის არასდროს ცრუობს.

პავლე მოციქული, რომელსაც თავად ჰქონდა შემეცნებული ახალი ადამიანის მიერ მოპოვებული სიმშვიდე ქრისტეში, იმასაც განმარტავს, რომ წარმართები, რომელთაც სჯული არ აქვთ, „ბუნებითა მას სჯულსა ჰყოფდეს“ (რომ. 2,14). ისინი ცხადყოფენ, რომ ზნეობითი მცნებანი ამოტვიფრულია მათ გულებზე და „თავისა თვისისა თვთ სჯულ არიან“ (რომ. 2,14). ეს სჯული თანდაყოლილია.

ქართულ სააზროვნო სივრცეში თანდათან მკვიდრდება ეს ტერმინი. მას ხშირად მიმართავს ეფრემ მცირე „გარდამოცემაში“. იოანე დამასკელის ეს აღიარებული თეოლოგიური სახელმძღვანელო თარგმნილი აქვს არსენ იყალთოელსაც და ისიც არაერთხელ იყენებს მას. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ბერძნულ ტერმინს — სინდისს ჩვენში ამკვიდრებენ ქართული სულიერი კულტურის ტიტანები: ეფრემ მცირე და მისი მოწაფე არსენ იყალთოელი, რომელთა სახელებთანაც მჭიდროდაა დაკავშირებული საქართველოში ელინიზმის ესთეტიკური ხედვებისა და კონცეფციების შემოჭრა. აღსანიშნავია, რომ მალე იოანე პეტრიწი თავის შრომებში მთელ სისტემას ჩამოაყალიბებს სინდისის ფენომენისას.³

პირველცოდვის თემა სამივე ქართველ მთარგმნელთან მთავრდება XI ტროპარში. ექვთიმე ათონელი თითქოს შეაჯამებს ნათქვამს და პოეტური მეტაფორით დამშვენებული შეკითხვით

1 Бердяев Н., О назначении человека, М., 1993, стр. 53.

2 იოანე პეტრიწი, შრომები, II, თბ. 1937, გვ. 207.

3 ზნეობითი პრობლემებით მოცულმა ვაჟა-ფშაველამ კი შექმნა საინტერესო პოემა სათაურით — „სინდისი“.

მიმართავს თავის სულს: „ჰ, სულო უბადრუკო, სად დაუტევე სამკაული იგი სათნოებათა და შეიყუარე შენ უშუერება ცოდვისა? არამედ მოიქეც და შეუვრდი მაცხოვარსა, რომელმან შეგმოსოს შენ პირველი იგი დიდება“ (XI). ანალოგიური ხასიათისაა არსენისა და გიორგის შესაბამისი ტროპარები, რომლებიც ძირითადად ბერძნულ ტექსტს მიჰყვებიან. XII ტროპარიდან ახალი ინტონაცია შემოდის: „დაღათუ ვცოდე, მწსნელო, არამედ უნყი, რამეთუ ტკბილ ხარ, მოსწყლავ თანალმოებით და ჰკურნებ წყალობით, მტირალსა მიხედავ და უძღვება შვილსა კუალად შეიტკბობ, ვითარცა ღმერთი“ (XII).

აქვე შევნიშნავ, რომ ექვთიმე ათონელი, განსხვავებით გიორგი ათონელისა და არსენ იყალთოელისაგან, გვერდს უვლის ბერძნული ტექსტის 6 ტროპარს, სადაც ანდრია კრიტელი პარალელს ავლებს თავის ცოდვილ სულსა და ზნეობრივად შებღალულ ბიბლიურ ადამიანებს შორის და თითქოს სანაცვლოდ შემოიტანს სინანულის გამომხატველ 16 ტროპარს, რომელთაგან რამდენიმე ეხმიანება კიდევ ორიგინალის სათანადო ტროპარებს.

საჭიროდ ვთვლი ყურადღება გავამახვილო რამდენიმე პასაჟზე:

გიორგი ათონელისა და არსენ იყალთოელის თარგმანთა (ექვთიმე ათონელს, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ეს ტროპარი არ აქვს გადმოღებული) შეპირისპირებამ ბერძნულ ტექსტთან გამოავლინა რამდენიმე თავისებურება: ა) ბერძნულში „სულს“ ახლავს ეპითეტი — ἄθλια (Ψυχῇ ἄθλια) — უბადრუკი, რომელიც ორივე მთარგმნელს გამოუტოვებია, ბ) ორიგინალისეული „მსხვერპლი შეგინებული და ცხოვრება უხმარი“ (θυσίαν ψεκτὴν καὶ ἄχρητον βίον) გიორგი ათონელს თარგმნილი აქვს, როგორც „მსხვერპლი ბილნი და ცხოვრება საძაგელი“, არსენ იყალთოელს კი „ცხოვრების“ ნაცვლად შემოუტანია ტევადი ტერმინი — „მოქალაქობა“¹ გ) გიორგი ათონელი ტროპარს დაასრულებს შემდეგი ფრაზით: „ამისთვისცა სამართლად დავისჯებით ჩუენ, ვითარცა იგი შვდთა მათ მიერ შურისგებათა“. მსგავსი რამ არაა ნათქვამი არც ბერძნულ ვერსიებში, არც სხვა თარგმანებში, თუმცა მინიშნება დასჯაზე („რისთვისაც დასჯილ ვიქმენით“) არის.

რა იგულისხმება შვიდ შურისგებაში? უფალმა კაენს ძმის, აბელის, მკვლელობისთვის უჩვეულო განაჩენი გამოუტანა: „ყოველმან მომკვლელმა კაენისამან შვდნი შურისძიებანნი დაჴსნეს. და დასდვა უფალმან ღმერთმან სასწაული კაენს არა მოკლვად მისა ყოვლისაგან მპოვნელისა მისისა“ (დაბად. 4,15).

ბიბლიის კომენტატორთა თანახმად, ღმერთმა ხმამაღლა გასცა მოწმობა კაენის ხელშეუხებლობის შესახებ: შვიდგზის სასჯელს მიაგებდა მას, ვინც თვითნებურად შეეცდებოდა კაენისთვის სიცოცხლის მოსწრაფებას. რიცხვი 7, როგორც ეს საკრალური ენისთვისაა დამახასიათებელი, შინაარსით შემოუსაზღვრელია. ასე რომ, ღმერთი, ერთი

1 მოქალაქობა, მკვიდრობა სხვადასხვა შინაარსს იძენს სხვადასხვა კონტექსტში; ზეცათა მოქალაქე, ზეციური მოქალაქე ღმერთშემოსილი ადამიანია, მარადიულ ჭეშმარიტებასა და სიკეთეს ზიარებული, სრულყოფილებისკენ სწრაფვა ადამიანისა ზეციური მოქალაქობით გვირგვინდება. მაგრამ ამქვეყნიური მოქალაქე, „ამა სოფლის“ მკვიდრია ის, რომლის ცხოვრება ამ სოფლის მსახურებითაა შემოფარგლული, თუმცა ადამიანს ამქვეყნიად გაწეული ღირსეული ღვაწლი გზას უკავავს ზეციური მოქალაქობისკენ. ასე რომ, ღირსეული მოქალაქობა და „ბილნი, მოძაგებული“ ცხოვრება ადამიანის მოქალაქობის ორი სხვადასხვა გზაა: ამამაღლებელი და დამაკნინებელი, ერთი გზის სათავეში აბელია, მეორე გზას კი კაენის გზად მიიჩნევენ (ამ საკითხზე იხ. ნ. სულავას საინტერესო ნაშრომი: ზეცათა მოქალაქობისთვის საღვთისმეტყველო ლიტერატურაში. კრებული „ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი“, IV, თბ. 2011).

მხრივ, აშიშვლებს დანაშაულის სიმძიმეს, მეორე მხრივ, წარმოაჩენს ამოუწურავ სიღრმეს გულმონყალებისა: დამნაშავეს არ იმეტებს სიკვდილისათვის, რათა მას მიეცეს შესაძლებლობა ცოდვების გამოსყიდვისა.¹

X ტროპარი. ეს ტროპარი გადმოღებული აქვს სამივე ქართველ მთარგმნელს, ოღონდ ექვთიმე ათონელს იგი თავის თარგმანში შეტანილი აქვს III ტროპარად (ჩანს, საჭიროდ მიუჩნევია შესაქმის თემის დასრულება ტექსტის დასაწყისშივე).

ტროპარი ყურადღებას იქცევს ტერმინოლოგიური თვალსაზრისით, კერძოდ, ბერძნულში ნათქვამია: ἐνθὺμῳ καὶ σῶφρᾳ καὶ ὁσιῳ, καὶ πνοῇ καὶ ζῳῇ („მიბოძე მე ხორცი და ძვალი, სუნთქვა და სიცოცხლე“ — თარგმანი გვ. კოპლატაძისა). არსენ იყალთოელმა ნაცვლად „სუნთქვისა“ და „სიცოცხლისა“, შემოიტანა „სამშვნელი“ და „სული“, რაც აირეკლავს ჩვენში საღვთისმეტყველო-თეოლოგიური ტერმინოლოგიის ჩამოყალიბების პროცესს.

ექვთიმე ათონელი კი ამარტივებს ტექსტს: „შთაბერე სული ცხოველი და გონიერი“ — მიმართავს უზენაესს და ტროპარს დაამთავრებს ორიგინალისეული ინტონაციით: „და ან გვედრები, შემოქმედო, და მწსნელო ჩემო, და მსაჯულო მართალო, შენდობაჲ ცოდვათაჲ მომეც“. გამეორების ხერხი სათქმელს მუხტს მატებს.

გიორგი ათონელი ლამის სიტყვასიტყვით იმეორებს ტროპარის პირველი მონაკვეთის ექვთიმესეულ თარგმანს: „თიხაჲ ქუეყანით აღმიღე, ღმერთო, ღმერთო, და ცხოველად პირმეტყუელად შემქმენ მე და შთამბერე სული ცხოველი და გონიერი“.

XI ტროპარი. ბერძნულში იწყება სიტყვებით: Κἄγε γέλοι σὺ, Σατήρ (განვაცხადებ წინაშე შენსა, მხსნელო) — გიორგი ათონელი, აგეთვე არსენ იყალთოელიც, იწყებს სიტყვით: „აღვიარე“, არის სხვა ნიუანსური ცლილებებიც, მაგრამ ტექსტის აზრის გამომხატველი ქსოვილი გადმოღებულია. გიორგი ათონელი ტროპარს დაამთავრებს ვედრებით: „გვედრები შენ, სახიერებით განმკურნე, მრავალმონყალე“.

XII ტროპარი. ვფიქრობ, ადეკვატურობით გიორგი ათონელის თარგმნილი ტექსტი გამოირჩევა. გიორგი ათონელი გვთავაზობს ეკვივალენტს სიტყვისა φιλάνθρωπος — კაცთმოყვარე (არსენ იყალთოელი კი კაცთმოყვარეს უნაცვლებს „ტკბილს“. გიორგი ათონელი სინტაგმას — σπλαγχνίῳ θερμῷ — გადმოაქართულებს, როგორც „მწუწვალედ შეტკბობას“, არსენ იყალთოელთან კი გვაქვს — „გულმხურვალედ შეიწყალებ“, დედანში არის πατὴρ — ასევეა გიორგი ათონელთან (მამაჲ), არსენ იყალთოელთან კი ჩანაცვლებულია — „ღმერთით“. παριστρέχει — სწრაფვა, „ისწრაფვი“ არსენ იყალთოელს არ გადმოუღია, გიორგი ათონელთან კი გვაქვს: „მიეგებვი“.

ექვთიმე ათონელს კიდევ უფრო თავისუფალი თარგმანი აქვს, თუმცა შინაარსობრივი და მხატვრული რაობა უზადოა.

XIII ტროპარი. არსენ იყალთოელიცა და გიორგი ათონელიც ბერძნული ტექსტის თითქმის ადეკვატურ თარგმანს გვთავაზობენ. ოღონდ გიორგი ათონელი ავრცობს ტროპის

¹ Толковая Библия, т. 1, с. 35.

დამაგვირგვინებელ ვედრებას. არსენ იყალთოელი ბერძნული ტექსტის ერთგულია: „ამისთვის გიღალადებ შენ, ან კუალად მაცხოვრე, ტკბილო“. გიორგი ათონელი კი იტყვის: „და გიღალადებ: ნუ მიმიშუებ სრულიად წარწყმედად, არამედ მომაქციე და სიკუდილი ჩემი და აღსასრული ყავ სინანულით და მაცხოვრე მე“.

XIV ტროპარი. არსენ იყალთოელს ზუსტად გამოუღია ტექსტი. გამოტოვებულია მხოლოდ სიტყვა ურგები (κένον), გიორგი ათონელის თარგმანიც ზუსტია და, შეიძლება ითქვას, რომ უფრო ბუნებრივი და სადა. და კიდევ: Ἐρίμμενον με (დამხობილი) ორივესთან არის: „დავრდომილი“.

XV ტროპარი. თვით ბერძნულ გამოცემებში ეს ტროპარები ერთმანეთისგან მცირედ სხვაობენ. ჯერ ერთი, „დიდ კანონში“ სხვადასხვა ადგილი აქვთ მიჩენილი: მინესთან XXI ადგილზეა, ლოვიაგინთან XV ადგილზე. რაც შეეხება ქართულ თარგმანებს, ვფიქრობ, სიზუსტეს არ იცავს არსენ იყალთოელი. ბერძნულშია: Τὴν θυσίαν τῆς ψυχῆς καταναλῶς τῇ ἁμαρτίᾳ („სიმდიდრე სულისა ცოდვათა შინა წარვაგე“ — (გვ. კოპლათაძის თარგმანი), არსენ იყალთოელი კი იტყვის: „სიმდიდრე ჩემი, ქრისტე, უძღებებასა შინა წარვაგე“, ექვთიმე ათონელი და მის მსგავსად, გიორგი ათონელიც სულს ესიტყვებიან: „სიმდიდრე შენი, სულო, წარაგე ცოდვით და ან ცალიერ ხარ ნაყოფთა მათგან სათნოებისაგან და მომემარ კეთილთაგან“ (ექვთიმე ათონელი); „სიმდიდრე შენი, სულო, წარაგე ცოდვითა და ცარიელ იქმნენ ნაყოფთაგან“ (გიორგი ათონელი); ათონელების თარგმნილი ტროპარი დედნის სემანტიკურ დატვირთვას მოიცავს, თუმცა არსენ იყალთოელის თარგმანი მაინც უფრო ახლოსაა ბერძნულ ტექსტთან.

XVI ტროპარი: ექვთიმე ათონელი სემანტიკური თარგმანისკენ იხრება; ბერძნულ ტექსტში ვკითხულობთ: Ὁ ληζαῖς περιπεσὼν ἐγὼ νῦν ἀρχῶ τοῖς λογισμοῖς μου, ὅλος ὑπ' αὐτῶν τετραυματισμαὶ νῦν, ἐπλήσθην μαλᾶπων, ἀλλ' αὐτὸς μοι ἐπιζᾷ, Χριστὲ Σωτήρ, ἰάτρεισον.

ექვთიმე ათონელი ავრცობს, ავსებს სათქმელს, კერძოდ, განმარტავს „ავაზაკის“ მეტაფორას, აქ ავაზაკი გარდათქმით აღნიშნავს გულისსიტყვას (გულისთქმას), „რომელ არნ გულისსიტყუანი“. გიორგი ათონელიც მიჰყვება ექვთიმე ათონელს, ანალოგიურად აგებს ფრაზას და გვთავაზობს სინონიმურ ლექსემებს: „ავაზაკი, რომელ არიან გულისთქმანი და გულისსიტყუანი“.

აღნიშნული ტროპარის დასასრულის ექვთიმესეული თარგმანი შეიძლება მივიჩნიოთ ალტერნატიულ თარგმანად. ბერძნულშია: ἀλλ' ὁ ἐκ Μαρίας ἀνατε ἰλας Ἰησοῦς, τὸ ἐπιζᾷ με οἰκτεῖρον. („გარნა მოვედ ჩემდა, ქრისტე მაცხოვარ, და განმკურნე მე“. გვ. კოპლათაძის თარგმანი). ექვთიმე იმავე შინაარსში შეიტანს რამდენიმე შტრიხს და ფრაზა მეტი ემოციურობით იტვირთება: „შენ, მაცხოვარ, მომხედენ და განმკურნენ მე, ვითარცა სახიერ ხარ, მკურნალი სულთა და ჯორცთა“.

გიორგი ათონელი, ექვთიმეს მსგავსად, იტყვის: „არამედ შენ, მაცხოვარ, მივსენ და განმკურნე, ვითარცა ხარ მკურნალი სასონარკუეთილთა“.

აბსოლუტურ სიზუსტეს არც არსენ იყალთოელი იცავს: Χριζὲ Σωτήρ ქრისტე მაცხოვარი და არა „ქრისტე მეუფეო“, τετραυματῖσμαι ნიშნავს „ოთხკუთხივ“-ს, არსენ იყალთოელი თარგმნის

„ყოველითურთ“, მაგრამ ეს მცირეოდენი გადახვევები არ ცვლის ტექსტის სემანტიკას, პირიქით, თითქოს უფრო გამოკვეთს მას, არსენი იცავს ორიგინალის სტილის ლაკონიურობას.

საყურადღებოა, რომ რუსულ თარგმანშიც მიმღეობითი ფორმების ნაცვლად განმარტებითი შინაარსის ფრაზაა: „По мыслям моим я тот человек, который попался разбойникам“.

XVII ტროპარი. არსენ იყალთოელი ორიგინალის ერთგულია, თუმცა სემანტიკურ თარგმანს არ ერიდება, ასე მაგალითად, *Ιερὺς με προιδὼν ἀντιπαρῆλθε* („მღვდელმან რომ დამინახა, გვერდი ამიარა“) — ვკითხულობთ ბერძნულ ტექსტში. არსენ იყალთოელის თარგმანში ეს სემანტიკური მონაკვეთი შემდეგნაირადაა გადმოტანილი: „მღვდელმან უგულებელს-მყო და თანა-წარმჭდა“. მას არ გადმოუთარგმნია *γυμνὸν* – განშიშვლებული, *σπερδαῖνε* (მიტოვება) და სხვ. მაგრამ ალტერნატიული ფრაზეოლოგიით შექმნილია სრულყოფილი თარგმანი: „მღვდელმან უგულებელს-მყო და თანა-წარმჭდა და ლევიტელმან ძკრთა შინა დამიტევა, არამედ შენ, ღმრთისმშობლისა მარიამისაგან მოსრულო, მილუანე და შემინყალე“. მხატვრული გამომსახველობით, ტექსტთან სიახლოვით შთამბეჭდავია როგორც ექვთიმე ათონელის, ისე გიორგი ათონელის მიერ გადმოთარგმნილი ეს ტროპარი.

აქვე შევნიშნავთ, რომ ექვთიმე ათონელისეულ თარგმნულ ტროპარს ტექსტში უკავია XVIII ადგილი.

I გალობის დამამთავრებელი თხუთმეტიოდე ტროპარი, რომელთაც ექვთიმე ათონელი და გიორგი ათონელი გვთავაზობენ, ყურადღებას იმითაც იქცევს, რომ ერთხელ კიდევ ვრწმუნდებით, როგორი განსაცვიფრებელი ერთგულებით, სიზუსტით, კდემით მიჰყვება გიორგი ათონელი ექვთიმე ათონელის ყოველ ფრაზას, ყოველ ნიუანსს და ქმნის სრულიად ადეკვატურ ტექსტს. მცირეოდენი განსხვავებები მხოლოდ მოცულობითი ხასიათისაა, ანუ განპირობებულია საგალობელთა რიტმულ-მელოდიურ ჩარჩოთა ერთმანეთისაგან განსხვავებით. ეს მონაკვეთებიც ორგანულად ერწყმის ტექსტთა მხატვრულ ქსოვილს, ბუნებრივია, რომ გალობის სამივე თარგმანი მთავრდება „სამეზისანი“ და „ღმრთისმშობლისანი“.

მოიხილესა (გალობაჲ ბ)

J.P. Migne-სთანაც და ე. ლოვიაგინთანაც გალობა შედგება 28 ტროპარისაგან. არსენ იყალთოელის თარგმანი შეიცავს 26 ტროპარს, ექვთიმე ათონელისეული — 27 ტროპარს, მათ ერთვის XXVIII — „სამეზისანი“ და XXIX — „ღმრთისმშობლისანი“. გიორგი ათონელისეული თარგმანი კი შედგება 30 ტროპარისაგან, ახლავს XXXI — „სამეზისანი“ და XXXII — „ღმრთისმშობლისანი“.

I ტროპარი. არსენ იყალთოელს თავისთავად ღრმა, დინამიური და გამომსახველობით გამორჩეული სტროფი კიდევ უფრო ლაკონიურად ჩამოუქნია და ბრწყინვალე მხატვრული სახე შეუქმნია: ბერძნულში ვკითხულობთ: *γῆ ἐναιΐζου φανῆς, μετανοῖστος θέν και ἀσυμνοῖστος αἰτὸν* („ქვეყანაო, ისმინე ხმისა, წინაშე ღმრთისა მონანულისა და მგალობლისა მისისა“), არსენ იყალთოელი კი იტყვის: „ქუეყანაო, ისმინე სინანულით ღმრთისმგალობელისა“. ეს სინტაგმა

— **სინანულით ღმრთისმგალობელი** — ექვთიმე და გიორგი ათონელების თარგმანებში არ არის. ცოდვილი ადამიანიც მონანიებისას ღმერთს რომ ესიტყვება, მას რომ უგალობს, არსენ იყალთოელმა ერთ სახეში მოაქცია.

II ტროპარი. არსენ იყალთოელის თარგმანში დაკლებულია, გამოტოვებულია „მჭურვალე“ (აღსარება) — *Θεοῦ ἑξομολόγησις*, რაც არ არის გამორიცხული, გამონვეული იყოს ქართული თარგმანის რიტმული სტრუქტურით. გიორგი ათონელი კი ორიგინალის ფრაზას ავრცობს ჰენდიადისებით და მეტი მღელვარება შეაქვს ფრაზში: „ჰ, ღმერთო მაცხოვარო, მრავალმონყალითა თუალითა მომხედენ და შეინირე ჩემი ესე მჭურვალე სინანული და გოდებით აღსარებაჲ“. „მჭურვალე სინანული“, „გოდებით აღსარება“ ტექსტს მეტ გამომსახველობას ანიჭებს.

III* ტროპარი, რომელიც ეხმიანება ტიმოთეს ეპისტოლეს (1,15), არსენ იყალთოელს მეტნაკლები სიზუსტით აქვს თარგმნილი, ასევე, ექვთიმე ათონელიც მისდევს დედანს, ოღონდ თითქოს ტავტოლოგიას გაურბისო, აზრს ერთი ფრაზით გადმოგვცემს: „შეგცოდე, ქრისტე, უფროჲს ყოველთა კაცთა მე უბადრუკმან ამან, შემინყალე ქმნული შენი“. გიორგი ათონელი ავრცობს, აფართოებს ტექსტს გამომსახველი ეპითეტებითა („სანყალობელი“, „უბადრუკი“) და ზმნებით: „შემინდვე“, „შემინყალე“.

IV ტროპარი. არსენ იყალთოელი ერთგულია დედნისა, გადმოტანილია ყველა ნიუანსი ტექსტისა, ექვთიმე ათონელსაც ზუსტად გამოაქვს ტექსტის შინაარსი, ოღონდ მას შერჩეული აქვს ალტერნატიული ფრაზა: „ბოროტთა ჩემთა უფსკრულსა გარე-მოუცავ მე, უფალო“. გიორგი ათონელი ეფუძნება ექვთიმე ათონელის თარგმანს, ოღონდ შემოაქვს მცირე დამატებები რიტმული ჰარმონიის დასაცავად, ემოციური მუხტის გასაძლიერებლად, აი, ეს ტაეპიც: „ბოროტთა მათ ჩემთა უფსკრულსა გარე-მოუცავ მე, ჰ, მრავალმონყალეო ღმერთო, არამედ პეტრესებრ ჯელი აღმიპყარ და მიჰსენ, გევედრები“.

V ტროპარი. ქართულ თარგმანებში შემოდის მეძავის თემა („მეძვისა მის ცრემლთა მეცა შევსწირავ“...). ეს ტროპარი ლოვიაგინთან X ტროპარია, PG-ში კი V ტროპარია.**

არსენ იყალთოელი მეტნაკლებად ერთგულია ტექსტისა, ექვთიმე ათონელი და გიორგი ათონელი უფრო სემანტიკურ თარგმანს გვთავაზობენ, თუმცა შინაარსობრივად ახლოს არიან ტექსტთან. სიცხადისთვის მოვიტან თარგმანის სამივე ნიმუშს:

* აღნიშნულ ტროპარს ე. ლოვიაგინის გამოცემაში მოჰყვება ტროპარი „სახიან-ვყავ უსახობაჲ“, რომელიც ქართულ თარგმანებში XVIII ტროპარია, PG-ში კი — XXI ტროპარი.

** ამ მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქართველი მთარგმნელები სარგებლობენ ერთი ვერსიით და ის განსხვავდება როგორც PG-ს, ისე ლოვიაგინის რედაქციებისგან.

არსენ იყალთოელი:	გიორგი ათონელი:	ექვთიმე ათონელი:
მეძვისა მის ცრემლთა მეცა შევსწირავ, მაცხოვნე, ვითარ იგი, მაცხოვარ, წყალობითა შენითა.	ცრემლით შეგივრდები, მწსნელო, ვითარცა მეძავი იგი და ღმობიერად გიღალადებ: „მომმადლე მოტევებაჲ მეცა აურაცხელთა მათ ცოდვათა ჩემთაჲ“.	შეგივრდები შენ ცრემლით, ვითარცა მეძავი იგი, მაცხოვარო, მომიტევენ მეცა აურაცხელნი ცოდვანი ჩემნი.

ექვთიმე და გიორგი ათონელების თარგმანები შეიძლება მივაკუთვნოთ დინამიკური ეკვივალენტის ტიპის თარგმანს, რაც უმნიშვნელო გადახვევებით ტექსტის ღრმა წვდომას ემსახურება.

VI ტროპარი. ამ ტროპარის ქართულ თარგმანებზე დაკვირვებით საინტერესო სურათი იკვეთება. ბერძნულში ნათქვამია: ἔσπλῳσα τὸν τῆς σαρκὸς μὴν χιτῶνα καὶ κατερίπῳσα τὸ κατ' εἰκόνα, Σῶτηρ, καὶ κατ' ὁμοίωσιν („სამოსელი ხორცისა ჩემისა შევბილნე და (ქმნული) ხატად და მსგავსად შენისა, მაცხოვარ, დავაბნელე“ (თარგმ. გვ. კოპლატაძის)).

არსენ იყალთოელი ნაცვლად „სამოსლის“ პარადიგმისა გვთავაზობს ეკვივალენტურ სახეს: „ტაძარი ჯორცთაჲ“ („ბინიან-ვყავ ტაძარი ჯორცთაჲ“ და უმატებს ერთგვარ კომენტარს: „რომლითა პატივ-მეცა“).

ექვთიმე ათონელი (მას მიჰყევბა გიორგი ათონელიც) „ხორცის სამოსელს“ ცვლის ალტერნატიული ვარიანტით: „შევაგინე მე სინმიდე გონებისა ჩემისაჲ“.

ექვთიმე ათონელი კმაყოფილდება „ხატის“ ხსენებით („განვრყუნე ხატი იგი“), გიორგი ათონელი კი ხატთან ერთად ახსენებს „მსგავსებასაც“ (როგორც დედანშია): „განვრყუნე ხატი და მსგავსებაჲ ჩემი“ და აგრძელებს ინტერპრეტაციას: „რომლითა პატივ-მეცა“.

საყურადღებო ის არის, რომ ექვთიმე ათონელს სემანტიკური თარგმანი შემოაქვს: „ხორცის სამოსლის“ (ასეა ბერძნულში — ლ.გ.), „ხორცის ტაძრის“ შებილწვის დასაბამი გონების სინმიდის შეგინებაა („შევაგინე მე სინმიდე გონებისა ჩემისაჲ“); ექვთიმე ათონელის ამ ფრაზას უცვლელად იმეორებს გიორგი ათონელიც.

VII ტროპარი. სამივე მთარგმნელს გადმოღებული აქვს ტროპარის მხატვრული ქსოვილი. განსხვავდებიან ეკვივალენტური მეტაფორების შერჩევაში: Ἡμαῦθῳσα τῆς ψυχῆς τὸ ἀραιὸν (მშვენიერება სულისა) ექვთიმე ათონელს, აგრეთვე, გიორგი ათონელს, გადმოუღიათ ზუსტად: „შუენიერებაჲ სულისაჲ“, არსენ იყალთოელს კი — როგორც „ბრწყინვალეებაჲ სულისა“. „მიწად გამოვაჩინე გონებაჲ“ (ბერძნულშია: „გონება სრულად მიწად ვაქციე“) — იტყვის არსენ იყალთოელი, ექვთიმე ათონელი კი სემანტიკურ თარგმანს ჩაანაცვლებს: „გონებაჲ ჩემი დავაბნელე“, მას მიბაძავს გიორგი ათონელი და კვანტიტატიური განვრცობით დაამშვენებს ფრაზას: „და ყოვლითურთ მიწად და ნაცრად გამოვაჩინე გონება“. სხვათა შორის, ზმნა „გამოვაჩინე“ არ არის ბერძნულში, ის თარგმანში შემოიტანა გიორგი ათონელმა; ჩანს, ეს ვარიანტი მოიწონა არსენ იყალთოელმაც.

VIII ტროპარი. აქაც ქართველი მთარგმნელები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან: „არსენ იყალთოელი წერს: „განვბძარე სამოსელი პირველი“, ექვთიმე ათონელი (მასთან ერთად,

გიორგი ათონელი) კი — „განვხეთქე სამოსელი“; ბერძნულ ზმნას *διατίθημι*-ს სწორედ „განვხეთქე“ უნდა შეეფერებოდეს. ამასთან, არსენ იყალთოელთან არ არის „იმჟამიდან“ (*ἐκτὸς*), რასაც დამატებითი სიცხადე შეაქვს ტექსტში.

IX ტროპარი. აქაც ანალოგიური ვითარებაა: არსენ იყალთოელთან გვაქვს „ხენეში კვართი“, ექვთიმე და გიორგი ათონელებთან კი — „შებლალული კვართი“ (გიორგი უმატებს კიდევ ერთ ეპითეტს: „დაბებკული“ კვართი). არსენ იყალთოელი წერს: „კდემულ ვარ“; ექვთიმე ათონელი: „სირცხლეულ ვარ“; გიორგი ათონელი: „კდემულ ვარ და სირცხლეული“.

X ტროპარი. საინტერესო სურათი იკვეთება ამ ტროპარის თარგმნისას.

ის ყველაზე ადეკვატურად თარგმნილი აქვს ექვთიმე ათონელს: *προσέβλεψα τὸν φυτόν τὸ ἄριστον, καὶ ἠπατήθην τὸν νοῦν, καὶ ἔσθην κεῖμαι ὡς ὄψιν καὶ καταίσχυσιμα*.

„ვიხილე რა მშვენიერება ხისა, გონებით ვცდუნდი და მიერიტგან შიშველ ვარ და მრცხუნის“ (თარგმ. გვ. კოპლატაძისა).

Воззрел я на красоту дерева, и прельстился в уме; оттого лежу нагим и стыжусь (თარგმანი ე. ლოვიაგინისა).

„მივხედენ ხესა, რომლისა გემოსა არა ხილვად მაქუნდა მცნება და ვსცეთ გონებითა ხილვად გემოსა მისსა მწარესა“ (თარგმანი ექვთიმე ათონელისა).

გიორგი ათონელს ამ ტროპარის შინაარსი გაშლილი აქვს ორ ტროპარად: 1) (X) „მივხედენ ხესა მას, რომლისა იგი მაქუნდა მცნება გემოსა არა ხილვად უძლებსა და შევსცეთ მისსა მწარესა, უბადრუკი“; 2) (XI) პირველი სიკეთე და შუენიერება ნარვწყმიდე, რომელი მომცა შემოქმედმან მედგრობითა ჩემითა და ან მწარედ უშუერ და სირცხლეულ ვარ“.

აქვე შევნიშნავ, რომ გიორგი ათონელის თარგმანი მკვეთრად ინტერპრეტაციულია, თუმცა ეფუძნება ბერძნულ ტექსტსაც და ექვთიმე ათონელისეულ თარგმანსაც.

არსენ იყალთოელი კი გიორგის ორივე ტროპარის შინაარსს თითქოს კვლავ ერთ ტროპარში მოაქცევს, რატომღაც გვერდს უვლის ხის სიმბოლოს, აქცენტი კეთდება პირველქმნილი მშვენიერების დაკარგვასა და სიშიშველეზე.

ძნელია დღეს განისაზღვროს, რამ განაპირობა ქართულ თარგმანთა ერთმანეთისაგან ამგვარი დაცილება, სხვადასხვა საყრდენმა ვერსიებმა?

XI ტროპარი. ექვთიმე და გიორგი ათონელები ამჯერადაც საინტერესო სემანტიკურ თარგმანს გვთავაზობენ.

ბერძნულში გვაქვს: *ἑτέκταινον ἐπὶ τὸν νῦν τὸν μὲν πάντες οἱ ἀρχηγοὶ τῶν παθῶν, μακρύνοντες...* („ბეჭთა ჩემთა მცემდეს ვნებათა ყოველნი წინამძღვარნი“).

არსენ იყალთოელი ერთგულია დედნისა, ექვთიმე ათონელი და მასთან ერთად გიორგი ათონელი საინტერესო ინტერპრეტაციით გვანვდიან ტექსტს. „ბეჭთა ჩემთა მცემდეს“ — ექვთიმეს გაგებით, არის: „**ბეჭთა სულისა** ჩემისათა მცემდეს“. გიორგი ათონელი, თავის მხრივ, უმატებს. „ბეჭთა გონებისა და სულისა ჩემისათა მცემდეს“.

ლექსიკური მრავალფეროვნებისთვის საინტერესოა, რომ ათონელების „უშჯულოებანი“ არსენს შეცვლილი აქვს „ძმაცუვანით“.

XII ტროპარი. არსენ იყალთოელი მიჰყვება ორიგინალს, ექვთიმე ათონელიც ერთგულია ბერძნული ტექსტისა, გიორგი ათონელი კი ტროპარს „თქსით გულით“ დაურთავს სუბიექტური განცდის გამომხატველ შთამბეჭდავ ფრაზას: „კუართი განმძარცუა უბადრუკსა და საქიქელ მყო ყოვლად სანყალობელი“.

XIII ტროპარი. არსენ იყალთოელი ადეკვატურად თარგმნის ტროპარს, ექვთიმე ათონელი ასხვაფერებს ტექსტს: „მმოსიეს მე სამოსელი კდემისაჲ, მსგავსად ლელვს ფურცელთა“ — იტყვის არსენ იყალთოელი, ექვთიმე კი ამარტივებს სათქმელს: „ვნებათა იგი ნივთი მმოსიეს, ვითარცა ფურცელი ლელვისაჲ“. გიორგი ათონელი სუბიექტური თვითგანსჯის თემას ამძაფრებს; „მმოსიეს ვნებათა ჩემთა სიმრავლე საძაგელი ფრიად სანყალობელსა“.

XIV ტროპარი. ორიგინალში აღნიშნული ტროპარი ეპითეტებით მეტად დატვირთულია: Ἐστῆσιμαί κατεστειμένον χιτῶνα καὶ ἡμαγμένον αἰσχρῶς, τῇ ῥύσει τῆς ἐμπαθοῦ; καὶ φιληδόνῳ ζῶντι. „მმოსიეს მე სამოსელი სასირცხვოდ შებღალული და უწმინდურთა ვნებათაგან და გემოთმოყვარე ცხოვრებისაგან წაბილწული“ (გვ. კოპლატძის თარგმანი). „Оделся я в ризу, постыдно запятнанную и окровавленную нечистотою страстной и сластолюбивой жизни“ (ე. ლოვიაგინის თარგმანი).

არსენ იყალთოელის თარგმნილი ტროპარი თითქოს გაფერმკრთალებულია და ცოტა დამძიმებული: „სამოსელი შებღალული მმოსიეს და მწვრთა ვნებულად გემოვნისა ქცევისაჲთა ვიშთვები“.

ექვთიმე ათონელი, ბუნებრივია, ტექსტიდან ამოდის და პოეტურობით, გამომსახველობით, სისადავით გამორჩეულ ტროპარს ქმნის: „მმოსიეს კუართი დაბეპკული და შებღალული ვნებათა მიერ და ცოდვათა ჩემთა სირცხვლი მოფენილ არს ჩემ ზედა“. გიორგი ათონელი თითქოს ვერ ელევა ექვთიმეს ვერც ერთ ლექსემას, უმატებს ერთადერთ ეპითეტს — „უბადრუკს“ და ნათქვამს მოაქცევს ძლისპირით განსაზღვრულ რიტმულ ჩარჩოში:

„კუართი დაბეპკული
და ვნებათაგან შებღალული
მმოსიეს უბადრუკსა ამას
და ცოდვათა მათ ჩემთა
სირცხვლი მძვნვარედ მოფენილ არს ჩემ ზედა“.

XV ტროპარი. არსენ იყალთოელი თუმცა სიტყვასიტყვით არ მიჰყვება ბერძნულს, მაგრამ თავისას არაფერს უმატებს. ექვთიმე ათონელი ტროპარს დაასრულებს ვედრებით: „გევედრები, ქრისტე, მივსენ მათგან“ (ეს თხოვნა არ არის ბერძნულში), გიორგი ათონელიც, ექვთიმეს მსგავსად, ვედრებით შეკრავს ტროპარს: „მივსენ, კაცთმოყუარეო“.

ტროპარის დასაწყისი ფრაზა ქართულად სამი ვარიანტითაა გადმოთარგმნილი: γπέπεσα τῇ τῶν παθῶν ἄλγῳδόν — „**შთავრდომილ ვარ** უფსკრულსა ვნებათასა“ (არსენ იყალთოელი); „ვნებათა ჩემთა საკრველითა **შეკრულ ვარ**“ (ექვთიმე ათონელი); „ვნებათა მათ ჩემთა ტვრთითა **დამძიმებულ ვარ**“ (გიორგი ათონელი).

ექვთიმე და გიორგი ათონელები „ნივთის“ (საგნის, საგნობრივის, მატერიალურის) შემოტანასაც ერიდებიან. თუ არსენ იყალთოელი იტყვის: „შთავრდომილ ვარ... ნივთთა ხრწნილებასა“, ექვთიმე ჩაანაცვლებს: „ეშმაკთა სიმრავლეს“, გიორგი ათონელი — „საკრველით უწყალოდ შეკვრაზე“ საუბრობს.

Καὶ ἔνθεν νῦν ὁ ἐχθρὸς καταπίνξει με — არსენი თარგმნის შემდეგნაირად: „ამისთვის მეცინის მტერი ჩემი“, ექვთიმე ათონელის და გიორგი ათონელის თარგმანებიც ანალოგიურია: „მწარედ მემღერის“. ზუსტი შესატყვისია: „оттого ныне враг угнетает меня“ (ე. ლოვიაგინი), „ამისთვის მაჭირვებს ან მტერი ჩემი“ (გვ. კოპლატძე).

XVI ტროპარი. არსენ იყალთოელის თარგმანი შესატყვისია ბერძნულისა, ექვთიმე ათონელი და მასთან ერთად გიორგი ათონელი კი ინტერპრეტაციულ თარგმანს გვთავაზობენ; ექვთიმე ათონელი ერიდება ტერმინებს: „ნივთმოყუარე“, „მონაგებთმოყუარე“, „უნივთო“ (რომელთაც იყენებს არსენი) და ქმნის ალტერნატიულ შინაარსობრივ მოდელს: „განვრყუნ მე ხატი სულისა ჩემისაჲ გულისსიტყუათა ბოროტთა უკეთურებითა, რომლითა მიერ დავისაჯები“.

გიორგი ათონელი გვთავაზობს ექვთიმე ათონელისეული ტროპარის ანალოგიურ სტროფს (იხ. გალობა II, 17) და, ამავედროულად, უმატებს ორ ტროპარს, რომლებიც აღნიშნული ტროპარის თემას აგრძელებენ: **19.** „მონაჲ მონგებთაჲ და ნივთმოყუარე ცხორებაჲ უნივთოჲსა აღვირჩიე, მჴსნელო, ამისთვისცა მძიმითა ცოდვითა ტვრთითა მწარედ განკაფულ ვარ“. **20.** „ძეგლი ესე ჴორცთაჲ საძაგელთა გულისთქუმათა და უჯეროთა გულისსიტყუათა მიერ ქანდაკებულ ვყავ და სული ჩემი უშუერებითა აღვაყსე“.

XVII ტროპარი. სამივე ქართველი მთარგმნელი ამ უაღრესად საინტერესო ტროპარის თავისუფალ თარგმანს გვთავაზობს:

Τῆς ἐξῴθεν ἐπιμελῶς, εὐκοσμίαις μόνως ἐφθόρντισα, τῆς ἔνδον ὑπεριδὼν θεοτυπῶτος σκηνῆς.

„ოდენ გარეგნულისა განშვენებისათვის გულმოდგინედ მზრუნველმან უგულუბელვყავ ხატად ღმრთისად ქმნული კარავი შინაგანი“ (გვ. კოპლატაძის თარგმანი).

„გარეშისა ხოლო განშუენებისა მზრუნველმან შინაგანი ღმრთივექმნული შემკობაჲ უგულუბელს-ვყავ“ (არსენ იყალთოელი).

„ჴორცთა სიკეთე შევიყუარე და იგი შევამკვე მოსწრაფებით, და სულისა იგი ღმრთივექმნული დიდებაჲ უჴმარ-ვყავ (ექვთიმე ათონელი).

„შევიყუარე ჴორცთა სიკეთე და იგი შევამკვე მოსწრაფედ და სულისა იგი ღმრთივექმნული დიდებაჲ უჴმარ-ვყავ და განრყუნილ მწვრთთა ვნებითაჲთა“ (გიორგი ათონელი).

XVIII-XX ტროპარების თარგმნისას სამივე ქართველი მთარგმნელი ერთგულად მიჰყვება ტექსტს.

XXI ტროპარის თარგმნისას ექვთიმე ათონელი გვერდს უვლის დავით წინასწარმეტყველის სახელს; ორიგინალში, შესაბამისად არსენ იყალთოელის თარგმანშიც, გვაქვს: „დავეკუეთე დავითისებრ ცოდვითა“. გიორგი ათონელს მცირეოდენი ცვლილება შეაქვს ტექსტში: „ვღალადებ მსგავსად დავითისა“, ექვთიმე კი, როგორც აღვნიშნეთ, არ ასახელებს დავითს და ტროპარს ამთავრებს ელვარე მხატვრული სახით: „განმბანე, მაცხოვარ, და უფროჲს თოვლისა

სპეტაკ მყავ“, გიორგი ათონელიც ამავე სიტყვებით დააგვირგვინებს ტროპარს: „მაცხოვარ, მეცა ცრემლთა მიერ ჩემთა განმბანე და უფროჲს თოვლისა სპეტაკ მყავ“.

XXII, XXIII XXIV ტროპარები სრულად გადმოსცემენ დედნის საღვთისმეტყველო და ესთეტიკურ შინაარსს. დამატებით შეიძლება იმის აღნიშვნა, რომ გიორგი ათონელი აფართოებს სათქმელს და დიდებული ხაზით დაასრულებს სათქმელს: „განმიღე სასუფეველი ცათაჲ და შემეყვანე წყალობით სასძლოსა შენსა“.

XXV-XXVI ტროპარებიც სრულ შესაბამისობაში არიან დედანთან.

ექვთიმე და გიორგი ათონელები აგრძელებენ ტექსტს, უმატებენ ერთ სავედრებელ ტროპარს, „სამებისანი“ და „ღმრთისმშობლისანი“ კი დაასრულებენ ტექსტს. არსენ იყალთოელთან ეს დამამთავრებელი ტროპარები არ არის, რადგან ტექსტს აგრძელებს სხვა ძლისპირზე გამართული ტროპარები, თუმცა „სხუა ძლისპირი“ ერთვის ექვთიმე ათონელისა და გიორგი ათონელის თარგმანებსაც.

სხუა ძლისპირი

I ტროპარი. არსენ იყალთოელი ტროპარის ზედმიწევნით თარგმანს გვთავაზობს, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ორ ვარიანტულ სხვაობას: ბერძნულშია Θεός (ღმერთი), არსენთან არის „მეუფე“; დედანშია „უწინდელი ცოდვა“ (πρώτη ἀμαρτία), არსენთან გვაქვს „პირველი ცოდვა“, რაც მთარგმნელობით პრაქტიკაში სავსებით მისაღებია.

ექვთიმე ათონელის ტექსტის შემცველ ხელნაწერებში დასაწყისი ორი ტროპარი არ იკითხება.

რაც შეეხება გიორგი ათონელს, ის არ ღალატობს თავის მეთოდს, ტექსტს ავრცობს სინონიმური ეპითეტებითა და ზმნებით, აფართოებს და აღრმავებს სემანტიკურ სივრცეს; სანიმუშოდ ერთ ტროპარს მოვიტან: „იხილეთ, იხილეთ, რამეთუ მე ვარ ღმერთი, ისმინე, სულო ჩემო, ჳმაჲ ესე საღმრთოჲ და ყურად-იღე გონიერებით, და შეშინდი და შეძრწუნდი მისგან, ვითარცა მსაჯულისა, და დამსჯელისა, და მაცხოვარისა და განეშორე პირველთა ცოდვათაგან და ჰმონებდ სინმიდით მცნებათა მისთა“.

II ტროპარი, რომელშიც წამოწეულია ბიბლიური იპოდიგმური სახეები კაენისა და ლამექისა, არსენს ზუსტად უთარგმნია. ერთგულნი არიან ტექსტისა ექვთიმე და გიორგი ათონელებიც, ოღონდ მათი თარგმანები აშკარად სემანტიკური მთარგმნელობითი ტენდენციებით ხასიათდება.

III ტროპარი გამოირჩევა დანურული, კონდენსირებული სახისმეტყველებით. აქ მოხსენებულნი არიან პირველ რჯულამდე (მოსეს კანონამდე) მოღვაწე მართალი ადამიანები, რომელთაც არ მიემსგავსა ცთომილი კაცი. ესენი არიან: სეითი, ენოსი, ენოქი, ნოე. არსენ იყალთოელი მიჰყვება ტექსტს და დასკვნით მონაკვეთში იტყვის; „დაჰგლახაკენ მართალთა ცხორებისაგან (დედანშია: ἄλλ’ ὁφθαλμοὶ περιεὶ τῆς τῶν δικαίων ζῆς)“. ექვთიმე ათონელი ლაკონიურია: „არამედ ებაძვე ბილნად მავალთა“ (IV), გიორგი ათონელი ამ ფრაზასაც

ითვალისწინებს და დედნისეულ „განაჩენსაც“ შემოიტანს: „არამედ ებაძვე ბილწებით მავალთა და იქმენ [შორს] მართალთა ცხორებისაგან“ (IV).

IV ტროპარი. სამივე მთარგმნელს ბრწყინვალედ აქვს გადმოღებული ტექსტი. მაგრამ ყურადღება უსათუოდ უნდა გამახვილდეს გიორგი ათონელის მიერ თარგმნილი ტროპარის დამამთავრებელ მხატვრულ სახეზე: „და არა შეხუალ ცხორებისა კიდობანსა, რომელ არს ტირილი და სინანული“. ცოდვილმა ადამიანმა თვითონ რომ „განახვანა“ (გახსნა) ღვთის რისხვის (წარღვნის) „საქანელნი“ (უფსკრულნი) და კიდობნის გარეშე რომ დარჩა — ეს დედანშია ნათქვამი. გიორგი ათონელი კი ქმნის კიდობნის უაღრესად ტევად მეტაფორას: „ცხორებისა კიდობანი, რომელ არს ტირილი და სინანული“.

V ტროპარის სამივე თარგმანი სრულ შესაბამისობაშია დედანთან.

ამავე ტროპარს ექვთიმე და გიორგი ათონელების თარგმანებში მოსდევს ტროპარი, რომელიც ბერძნულ წყაროში VII ტროპარია. ტექსტის ლოგიკით მისი ადგილი მართლაც აქაა, რადგან წინარე ტროპარის ინტერპრეტაციაა, მისი განმარტებაა: „ჰ, ვითარ ვემსგავსე მე კაენს და ლამექს მკლველობითა, სული — ვითარცა კაცი, და გონება — ვითარცა ჭაბუკი, და ჯორცნი, ვითარცა ძმა მოვსწყდენ ცოდვისმოყუარეთა წყლულებითა“ (VII).

აღნიშნული ტროპარის სახისმეტყველებას კიდევ უფრო მეტ ნათელს მოჰფენს გიორგი ათონელი: „ჰ, ვითარ ვემსგავსე მე კაენს და ლამექს, პირველთა მათ ბოროტთა კაცისმკლველთა და სული ჩემი — ვითარცა კაცი და გონება — ვითარცა ჭაბუკი, ხოლო ჯორცნი, ვითარცა რა ძმა, მოვკლენ საწყალობელმან ამან გემოხმოყუარეთა წყლულებათა მიერ და ყოვლად უღმობელ ვიქმენ მედგარი“ (VII).

VI ტროპარი ამავე თემას აგრძელებს: „ქალაქისა ჯელ-ჰყავ შენებად“. დედანშია არა ქალაქი, არამედ გოდოლი, ექვთიმე და გიორგი ათონელები, არსენისგან განსხვავებით, „გოდოლს“ ანიჭებენ უპირატესობას. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბიბლიაში ქალაქი და გოდოლი ერთმანეთის გვერდითაა ნახსენები: „და თქუეს: მოვედით, ვიშენოთ თავთა თვსთათვს ქალაქი და გოდოლი, რომლისა თავი იყოს ვიდრე ცადმდე“ (დაბად. 11,4). ადამიანებმა მიზნად დაისახეს აეშენებინათ ქალაქი, რომლის შუაგულში აღმართავდნენ სვეტს, შემაერთებელს მიწისა და ცისა. ღმერთს არ მოეწონა ხალხის განზრახვა „მათ საქციელში, განგვიმარტავენ, რომ ღმერთმა იმ ურჩობის გავლენა დაინახა, რისთვისაც მათი წინაპრები განიდევნენ სამოთხიდან. ურჩობას აქ, ქალაქის და გოდოლის შენებას, კადნიერების სახე აქვს: ეს ხალხი ღვთის შემწეობის და სასოების გარეშე იკაფავს გზას ცისკენ, რათა „აილოს ცა და გაუტოლდეს ღმერთს. ამ საქმეზე კი, რადგან ეს ჯანყია, ღმერთი არ სცემს დასტურს“. ¹ თუმცა ჩვენს ძეგლში საუბარია „გულის-თქმათა“ (წადილთა, სურვილთა) და ნდომათა გაფეტიშებაზე. ღმერთთან მიახლოება კი მხოლოდ გულით ძალუძს ადამიანს და არა მის მიერ აშენებული სვეტით.

VI-VII, VIII, IX ტროპარები არ ჩაითვლება ადეკვატურ, სიტყვასიტყვით, ზედმიწევნითი სიზუსტით ნათარგმნ ტროპარებად, მაგრამ დედნისეული შინაარსობრივი და მხატვრული

¹ კიკნაძე ზ., დასახ. წიგნი, გვ. 25.

ქსოვილი გადმოტანილია.

გასათვალისწინებელია, რომ მთარგმნელები პოეტური ამოცანების წინაშეც დგანან: გადმოტანილი უნდა იქნეს რიტმული სტრუქტურა, ბიბლიური სახე-სიმბოლოები, შედარება-მეტაფორები, ეპითეტები, ინტონაციური ჟღერადობა და ა.შ. პოეზიის თარგმნისას იქნება სწორედ დინამიკური თარგმანის მეთოდი უფრო ამართლებს...

რაც შეეხება ონტოლოგიურ ტერმინებს, აქაც და ყველა სხვა შემთხვევაშიც, დაცულია სრული შესაბამისობა ორიგინალთან, კავშირი საღვთო სწავლებასთან უმტკიცესია.

”Αναρχε ἄκλιζε Τρίαζ დაუსაბამო და აუგებლო სამო (არსენ იყალთოელი).
დაუსაბამო სამებაო ერთარსებაო (ექვთიმე ათონელი).
დაუსაბამო, დაუბადებლო სამებაო,
არსებით განუყოფელო (გიორგი ათონელი).

”Αχραντε Δέσποινα, Θεογενήτορ უბინო დედოფალო, მშობელო ღმრთისაო,
უხრწნელო ქალწულო, ღმრთისა დედაო.
(არსენ იყალთოელი)
უხრწნელო დედაო ღმრთისაო.
(ექვთიმე ათონელი)
უხრწნელო დედოფალო, ღმრთისმშობელო.
(გიორგი ათონელი)

განძლიერდითსა (გალობაჲ გ)

ეს გალობა ბიბლიური ანას გალობას ეხმიანება. ანდრია კრიტელს აღნიშნული გალობის ტექსტიც (მსგავსად II გალობისა) ორ ძლისპირთან აქვს შეწყობილი. ძლისპირები შინაარსობრივად ერთმანეთის მსგავსნი არიან.

ჩვენი გალობის პირველი ნაწილი, ე.ი. პირველ ძლისპირთან შეწყობილი ტექსტი, 8 ტროპარისგან შედგება; ხასიათდება განცდათა სიმძაფრით, ღმრთისგან დასჯილი „სოდომურ ქალაქთა“ შემადრწუნებელ ხვედრზე მიმანიშნებელი ხატ-სახეებით; შეიცავს ვედრებასაც: უფალმა ხრწნილებისაგან დაიხსნას დაკარგული ცხოვარი.

არსენ იყალთოელი ზედმიწევნითი სიზუსტით თარგმნის ტექსტს. აქა-იქ, ბუნებრივია, გვხვდება გადახვევები, რაც სავსებით გამართლებულია მხატვრული ტექსტის თარგმნისას. მაგალითად, არსენ იყალთოელისეულ თარგმანში ლირიკული გმირი თავის სულს მიმართავს: „ცეცხლი უფლისა მიერ, სულო, უფალმან წჳმა პირველ“. მიმართვა — „სულო“ ბერძნულ ტექსტში არ არის (მთარგმნელი თუ სხვა ვერსიით არ სარგებლობს).

რა ვითარებაა ექვთიმე და გიორგი ათონელების თარგმანებში?

ექვთიმე ათონელი, მასთან ერთად, გიორგი ათონელიც, აერთიანებენ ორივე ძლისპირთან შეწყობილ გალობებს ერთ გალობად (ე.ი. სხვა ძლისპირი არ არის გამოყოფილი ცალკე,

ისე, როგორც ორიგინალშია და როგორც, შესაბამისად, ფიქსირდება არსენისეულ თარგმანშიც). თუმცა გიორგი ათონელს, ბერძნულის შესატყვისად, I ძლისპირთან შეწყობილი გალობა, განსხვავებით ექვთიმე ათონელისაგან, დასრულებული აქვს „სამეზისანიტა“ და „ღმრთისმშობლისანიტ“, ოღონდ არსენი ამ ტროპარებს თარგმნის ბერძნულიდან, გიორგი ათონელი კი შემოიტანს ახალ ტროპარებს, ახალ „სამეზისანსა“ და „ღვთისმშობლისანს“.

ექვთიმე ათონელი, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, გვერდს უვლის დედნის პირველ სამ ტროპარს, სადაც სოდომ-გომორზე დატეხილი ღვთის რისხვის თემაა გაშლილი და გალობას სინანულის მოტივით იწყებს.

„ეჰა, ქრისტე მეუფეო,
აღგიარებ შენ ცრემლით,
შეგცოდე, შეგცოდე შენ,
არამედ შემინდვე, რაჟთა
ვლალად-ყო:
„არაჲ ვინ არს წმიდაჲ,
არაჲ ვინ არს მართალი
შენებრ, უფალო“

შეიძლება ითქვას, რომ ექვთიმე ათონელისეულ თარგმანში თავიდან ბოლომდე ეს მოტივია დომინირებული. მიმართება დედანთან აშკარად იგრძნობა, მეტიც, შთაგონებულია ანდრია კრიტელის „დიდი კანონის“ გულშიჩამწვდომი სინრფელით, მაგრამ ის მაინც დამოუკიდებელი ესთეტიკური ღირებულების მქონე მაღალმხატვრული ტექსტია.

გიორგი ათონელმა დედნისეული პირველი სამი ტროპარის მხატვრული შინაარსი ერთ ტროპარში მოაქცია, წამოწია სოდომურ ქალაქთა ცეცხლით განადგურების თემაც, შემდეგ კი მიჰყვება ბერძნულ ტექსტს, აფართოებს მას, ერთმანეთთან აზავებს ორიგინალისა და ექვთიმე ათონელისეული თარგმანის ფრაზეოლოგიას.

არსენ იყალთოელის თარგმანი:	ექვთიმე ათონელის თარგმანი:	გიორგი ათონელის თარგმანი:
შენ ხარ დამბადებელი ჩემი, შენ ხარ ტკბილი იესუ, და შენ მიერ განვმართლდები, მჴსნელო. (VI ტროპარი)	ეჰა, ყოველთა უფალო, შენ ხარ ტკბილი მეუფე და დამბადებელი ჩემი, და შენ გვედრები ცრემლით მჴურვალედ: მიჴსენ ცოდვათაგან და მომეც სიმრთელე და მაცხოვნე მე. (IV ტროპარი)	ეჰა, ქრისტე, ყოველთა უფალო, შენ ხარ ტკბილი მეუფე და პირველი დამბადებელი ჩემი, და შენ გვედრები ცრემლით მჴურვალედ, მიჴსენ ცოდვათა და ბრალთა ჩემთაგან, და მომეც სინანული და მაცხოვნენ და შემრთე სათნოთა შენთა თანა. (IV ტროპარი)

სხუაჲ ძლისპირი

სხუაჲ ძლისპირთან ორიგინალში შეწყობილია 16 ტროპარი, მათგან მე-15 და მე-16 „სამეხისანი“ და „ღმრთისმშობლისანია“. ამ გალობაში ჭარბადაა ბიბლიური იპოდიგმური სახეები. ავტორი წმ. წერილიდან მოიხმობს როგორც ზნეობრივი სიმტკიცის მაგალითებს (სემი, აბრაჰამი, იაკობი, მელქისედეკი, ლოთი...), ისე უზნეობის მორევში დანთქმულ ადამიანთა სახეებს (ქამი, ისმაელი, აგარი...).

არსენ იყალთოელი მიჰყვება ორიგინალს, გიორგი ათონელსაც ორიოდე ტროპარი დაუტოვებია უთარგმნელი, თუ დედანშივე არ იყო გამორჩენილი. ექვთიმე ათონელი კი კვლავ თავისუფლად ეკიდება ტექსტს: არა მხოლოდ გვერდს უვლის რამდენიმე ტროპარს, ზოგჯერ ტროპარების ადგილმონაცვლეობასაც ვხვდებით და, რაც მთავარია, სიტყვასიტყვით კი არ მიჰყვება ტექსტს, არამედ ერთგვარი ინტერპრეტაციით აგებს ტროპარებს. აქვე უნდა ითქვას, რომ ექვთიმეს თარგმანი ზეგავლნას ახდენს გიორგი ათონელის ტექსტზეც. სანიშნოდ მოვიტან ერთ მაგალითს.

არსენ იყალთოელი:	ექვთიმე ათონელი:	გიორგი ათონელი:
ნუ იქმნები ძეგლ მარილის, სულო, უკუნხედვითა მართლუკუნ, ზარი განგჳადენ შენ სახემან სოდომელთამან, სეგორს შეესნარ დაქცევასა. (XIII ტროპარი)	ეჰა, სულო, ნუ იქმნები ძეგლ მარილის ქცევითა ცოდვათა შენთა მიმართ, ძრწოდე ცეცხლისაგან სოდომელთაჲსა, ივლტოდე მთად მიმართ უვნებელობისა, რაჲთა განერე. (XI ტროპარი)	ეჰა, სულო ჩემო, ნუ იქმნები შენ ძეგლ მარილის ქცევითა ცოდვათა მიმართ, ვითარცა-იგი ლოთისა, არამედ ძრწოდე ცეცხლისა მისგან სოდომელ- თაჲსა, ივლტოდე მთად უვნებლობისად, რაჲთა განერე სეგორს ლოთისაებრ. (XIV ტროპარი)

ექვთიმე ათონელი არ ღალატობს საკუთარ მთარგმნელობით პრინციპს და გალობას დაასრულებს 9 ტროპარისგან შედგენილი სინანულის გამომხატველი ბრწყინვალე ტექსტით, რომელიც აგრძელებს „დიდი კანონით“ შთაგონებულ გალობას. ეს მონაკვეთი, რომელიც 18 დასდებლისაგან შედგება, გამთლიანებულია და შეკრული ერთი სტილითა და ინტონაციით. ყოველი მუხლი, ყოველი ტროპარი იწყება შეძახილით: „ეჰა!“, რომელიც თავიდან მიემართება უფალს, V ტროპარიდან კი დიალოგი გრძელდება ადამიანსა და საკუთარ სულს შორის, შესაბამისად, გაისმის: „ეჰა, შენ, სულო ცოდვილო“, „ეჰა, საყუარელო სულო“, „ეჰა, სულო, გულისგმა-ყავ“, „ეჰა, ბერწო სულო ჩემო“, „ეჰა, სულით უბადრუკო“, „ეჰა სულო ცალიერო“, გიორგი ათონელს ექვთიმეს მიერ შექმნილი ეს ტროპარები უკლებლივ შეუტანია თავის თარგმანშიც, მას ზოგჯერ უცვლელად გადააქვს ექვთიმეს ფრაზეოლოგია, ზოგჯერ ასხვაფერებს და კონკრეტულ სახეებსაც უმატებს.

გიორგი ათონელის თარგმანის დახასიათებისას საგანგებოდ უნდა აღინიშნოს გიორგის მიერ ტექსტში შემოტანილი უაღრესად მნიშვნელოვანი ტერმინი — ადამეანი (ადამიანი).

არსენიყალთოელისთარგმანში ἁγίους გამოტანილია როგორც „კაცი“, გიორგი ათონელი კი გზას უხსნის ტერმინს, რომელიც ეს-ესაა მკვიდრდებოდა ქართულ სალიტერატურო ენაში:

ეჰა ქრისტე, რომელი ეგე მხოლოდ
ხარ ღმერთი უცოდველი,
შემინდვენ ბრალნი ჩემნი, რამეთუ
უნყი ჭეშმარიტებით, ვითარმედ
უმეტეს ყოველთა კაცთასა ვცოდე
და არაჲ ვინ არს **ადამიანი**
ჩემებრ ცოდვითა შებღალული

(III ძლისპირი, 2)

ცნობილია, რომ ქართულ ენაში კაცი და ადამიანი სინონიმური ცნებებია. მაგრამ ქართულ სამწერლობო ენაში **ადამიანი** ბევრად გვიანაა დამკვიდრებული. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში სიტყვა „ადამიანი“ შემდეგნაირადაა განმარტებული: „ადამიანი — ადამისგამონი; ადამიერი-ადამის ერთ[თ]აგანი“. სამაგიეროდ, ამავე ლექსიკონში „კაცის“ ცნების კონოტაციებით დატვირთული შუასაუკუნეობრივი გაგება ლამის ბოლომდეა ამოწურული; „კაცი დაბადა ღმერთმან ხატების და მსგავსებისაებრ თვისსა, ნივთებითა მიერ ჴორცნი შეემზადა სულის გონიერისა და სიტყვერისა შთაბერვითა“ და ა.შ.

შუასაუკუნეობრივ კულტურაში ფუძემდებლურ თეოლოგიურ ნაშრომებად აღიარებულ ძეგლებს ქართულ თარგმანებში ეწოდებოდათ: „ბუნებისათჳს კაცისა“ (ავტორი ნემესიოს ემესელი); „კაცისა შესაქმისათჳს“ (ავტორი გრიგოლ ნოსელი) და სხვ.

ჯვარცმის წინაშე მდგარ, ეკლის გვირგვინით და ძონეულით შემოსილ ქრისტე-მაცხოვარზე პილატე წარმოთქვამს ფრთიან გამოთქმად ქცეულ ფრაზას: „აჰა, კაცი იგი!“ (იოანე 19, 5).

ბუნებრივია, რომ სიტყვა ადამიანი არ გვხვდება არც ოთხთავის ქართულ სიმფონია-ლექსიკონში (შემდგენელი ივ. იმნაიშვილი, თბ. 1986), რადგან ის არ დასტურდება სახარების ქართულ თარგმანებში.

იბადება კითხვა: მაინც როდის ჩნდება, როდის მკვიდრდება ქართულ სამწერლობო სივრცეში „ადამიანი“, როგორც ანთროპოლოგიური ტერმინი? როდის ენიჭება მას აბსოლუტური მნიშვნელობა?

ჩემი დაკვირვებით, აღნიშნულ ცნებას ქართულ სალიტერატურო ენაში გზა X საუკუნეში მოღვაწე ქართველმა ჰიმნოგრაფებმა გაუხსნეს. მათ შორის გამორჩეული ადგილი **იოანე მინჩხს** უკავია. მოვიტან სათანადო ციტატებს:

„რომელმან შეძრა ქუესკნელი ჴელმწიფებით და იჴსნნა მისგან ტყუენი — **ადამიანი** (იოანე მინჩხი, დასდებელნი წმიდისა აღდგომისანი).

„მარადის დაუდუმებლად გიგალობენ ანგელოზნი და გმონებენ **ადამიანი**“ (იოანე მინჩხი, ღმრთივგვრგვნოსანისა მეფისა თევდოსი მორწმუნისა);

„ღმერთი... აცხოვნებს **ადამიანთა** და გამოაბრწყინებს ნათელსა საღმრთოს“ (იოანე მინჩხი, წინააღმდეგობაჲ შობისათჳს უფლისა ჩუენისა იესო ქრისტისა);

„ეჰა, მუცელი, რომელსა აქუს სიმაღლეჲ და სივრცე ყოვლად უზეშთაესი ცათაჲ, რომლისაგან **ადამიანი** ქმნა ღმერთი“ (იოანე მინჩხი, წინააღმდეგობაჲ შობისათჳს უფლისა...).

დავიმონმებ მიქაელ მოდრეკილსაც: „აღმსარებელნი სამებისანი, მორწმუნენი **ადამიანი...** საღმრთოთა შესხმითა უგალობდეთ ჴსენებასა აბო, ახლისა მონამისა (მიქაელ მოდრეკილი, ჴსენებაჲ ლუანლით შემოსილისა უძლეველისა მონამისა ჰაბო ისმაიტელ-ყოფილისა ქართველისაჲ).

მაგალითების დაძებნა, ალბათ, კიდევ შეიძლება.

„ადამიანის“, როგორც ცნების, დამკვიდრებას ქართულ სალიტერატურო ენაში, ვფიქრობ, საბოლოო „სანქცია“ შოთა რუსთაველმა მიანიჭა. გავიხსენოთ „ვეფხისტყაოსნის“ უფაქიზესი ეპიზოდი: სატრფოს დავალების შესასრულებლად ველად გაჭრილმა ავთანდილმა გამოქვაბულში დაბანაკებული ასმათი შეიპყრო („ყმა გარდაიჭრა, დააბა, ვითა კაკაბი მახესა“), ქალი შეშინდა („ვითა კაკაბი არწივსა ქვეშე მი და მო ძრწებოდა“). ავთანდილი ასმათს სიმშვიდისკენ მოუხმობს: „ეტყოდა, სულე! რამც გიყავ? კაცი ვარ, **ადამიანი!**“.

გვმართებს დაფიქრება: რა უპირატესობა აქვს სინონიმურ წყვილში — ადამიანი-კაცი — ცნებას „ადამიანი“? პასუხი ნათელია: ცნებაში „ადამიანი“ გაცხადებულია მისი ეტიმოლოგია; „ადამიანი“ პირველი ადამიანის სახელიდან მომდინარეობს, სახელს კი ძველი ხალხების შეგნებაში ძალიან ღრმა დატვირთვა ჰქონდა. სახელი კაცის ბუნების მახასიათებელი იყო. მეტიც: სახელი ადამიანის მონოდებასაც განსაზღვრავდა, უფრო ზუსტად, მოასწავებდა.

მიუთითებენ, რომ ხალხური ეტიმოლოგიის თანახმად, სახელი „ადამ“ წარმოდგება ებრაული სიტყვიდან — „აბადაგან“, რაც „მინას“ ნიშნავს. „ადამი“ კი მიგვანიშნებს მიწიერ კაცზე, წარმოშობილზე მტვრისაგან მიწისა. დადასტურებულია, რომ ადამიანისა და მიწის თავდაპირველი ერთიანობის მოტივი საერთოა სემიტური და ინდოევროპული ტრადიციებისთვის. ამ თვალსაზრისით დამახასიათებელია ეტიმოლოგიური იგივეობა „ადამიანისა“ და „მიწის“ აღნიშვნათა ინდოევროპულში¹.

მაშასადამე, „ადამ-ი“ პირველი ადამიანის სახელია. არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ ეს სახელი 4 ასო-ნიშნისაგან შედგება. ბევრი რამ, რაც შექმნილ ქვეყანასთან, მიწასთან არის დაკავშირებული, ოთხი პარამეტრით წარმოდგება: 4 მხარე (აღმოსავლეთი, დასავლეთი, სამხრეთი, ჩრდილოეთი), წლის 4 დრო (გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი), 4 ელემენტი (ჰაერი, ცეცხლი, მიწა, წყალი), რომლისგანაც შედგება ყოველი ნივთი, ბიბლიური გადმოცემით, სამოთხიდან გამოსული 4 მდინარე (ფისონი, გეონი, ტიგროსი, ეფრათი) სულიერი ჭეშმარიტების 4 მაცნე, 4 მახარებელი (მათე, მარკოზი, ლუკა, იოანე), დედამიწაზე შექმნილი უძველესი ქვის ქანდაკება — სფინქსი (ხარის ტანით, ადამიანის სახით, ლომის ბრჭყალებითა და არწივის ფრთებით), საცხოვრისის 4 კედელი და 4 კუთხე და სხვ.

ცოდვით დაცემულ ადამს ქართულ მწერლობაში ხშირად ახლავს შემდეგი ეპითეტები: „უცხოქმნული“, „მომწყდარი“, „დაცემული“, „განხრწნილი“, „შიშველი“ და სხვ.

საღვთისმეტყველო ტრადიციაში არსებობს **მეორე ადამის** უაღრესად მნიშვნელოვანი კონცეპტიც: **მეორე ადამი პირველი ადამის პროტოტიპი** და ორიგინალია². მეორე ადამი ქრისტე-მაცხოვარია, რომელიც, აგრეთვე, მიწიერი სხეულით შეიმოსა. დავით აღმაშენებელი თავის გულისშემძვრელ სინანულის საგალობელში მიმართავს ღვთისმშობელს: „რომელმან

1 Гамкрелидзе Т. В., Иванов Вяч. Вс., Индоевропейский язык и индоевропейцы, II, 1984, с.821.

2 Толковая Библия, т. XI с. 444.

სიტყუაჲ განაზრქე ჳორცითა და კარვითა მიწისაჲთა“; დიდი მეფე კიდეც განგვიმარტავს: „ამისთვის ღმერთ-მამაკაცებრ იქმნა ზეშთა ღმერთთაჲ, **რათა კაცებრ უწყოდნეს ვნებანი ჩუენნი და ღმრთებრ იცნიდეს ბრალთაგან**, რომელთა ღმრთისმშობელად ქადაგონ ქალწული დედაჲ“. გზა დასახულია: ადამიანმა უნდა განვლოს გზა პირველი ადამიდან მეორე ადამამდე, მან უნდა დაიბრუნოს ღვთაებრივი სახე, თავის თავში უნდა შვას ახალი ადამიანი. გზა კი თავგანწირულ სიყვარულზე გადის, ადამისგან წარმოშობილი ქართული სიტყვა „ადამიანი“სწორედ ამას შეგვახსენებს.*

მესმასა (გალობაჲ დ)

არსენ იყალთოელის თარგმანი ამ გალობისა შედგება 27 ტროპარისგან, დაერთვის „სამეპისანი“ და „ღმრთისმშობლისანი“. ექვთიმე ათონელის თარგმანი კი 39 ტროპარს შეიცავს, გიორგი ათონელისა — 38-ს. ამ თარგმანებსაც „სამეპისანი“ და „ღმრთისმშობლისანი“ ასრულებს.

I ტროპარი. ტექსტი შინაარსობრივად ზუსტადაა გადმოღებული სამივე მთარგმნელის მიერ, ოღონდ ექვთიმე ათონელს ორიგინალის თემა გაშლილი აქვს არა ერთ, არამედ ორ ტროპარში. ექვთიმეს თარგმანი ლაკონიურია, დანწეხილია, გაურბის მრავალსიტყვაობას. ასე მაგალითად: ორიგინალშია: ἄλλ' ἔχεις, ὡς Κύριος πάντων, τὴν ἐξουσίαν ἀφίεναι ἀμαρτήματα („არამედ შენ, კაცთმოყუარეო, ვითარცა უფალსა ყოველთასა, გაქუს ჳელმწიფებაჲ ცოდვათა მოტევებად“, არსენ იყალთოელი). ექვთიმე ათონელი ცდილობს შეკუმშოს ფრაზა: „არამედ შენ, უფალო, მოწყალე ხარ, შენდავე მოქცეული, შემინყნარე“. გიორგი ათონელის თარგმანი თითქმის იდენტურია ორიგინალის, გადმოღებულია ტექსტის ყველა ნიუანსი. ეტყობა, ეს თარგმანი გათვალისწინებული აქვს არსენ იყალთოელსაც.

II ტროპარი. ექვთიმე ათონელი ამ ტროპარის თემასაც აფართოებს, სათქმელს ორ ტროპარში გაშლის, თუმცა გადასხვაფერებული, უფრო სწორედ, გაფერმკრთალებულია ორიგინალის ბრწყინვალე ხატი: „სიზმრებრ და ყვავილებრ წარვლენ ჟამნი ცხორებისანი; რაჲსა ამაოდ ვშფოთებთ“? (ზედმინევნითი თარგმანი არსენ იყალთოელისა). გიორგი ათონელს კი არ გამორჩენია აღნიშნული მხატვრული სახე; „რამეთუ მსგავსად ყუავილთა და სიზმართა წარვლენ [ჟამნი]“.

III ტროპარი. არსენ იყალთოელი ერთგულია ტექსტისა, მცირეოდენი გადახვევა შეიძლება დავინახოთ გამონათქვამებში: „მათი (იგულისხმება ცოდვათა — ლ. გ.) შენანებაჲ მოართუ ღმერთსა“. ბერძნულშია: ταύτας ἔπ' ὅψεσσι πρὸς ἀγαγέ („წინაშე თუალთა შენთა დაადგინე“; представ их пред очи (твои) (III)). ექვთიმე ათონელს, მასთან ერთად გიორგი ათონელსაც, გვერდი აუვლიათ ამ ფრაზისთვის, თუმცა ცოდვათაგან ცრემლით განწმენდაზე სამივე ქართულ თარგმანშია მოწოდება. გიორგი ათონელი კი ტროპარს დასკვნით, დამაგვირგინებელ შეგონებას წაამატებს: „ვითარ-იგი გასწავებენ შენ წერილნი“ (III).

IV-V ტროპარები გამოირჩევა სიმძაფრით, სინოფელით, გულახდილობით. არსენი

* „ადამიანი“, ადამისგან ნაწარმოები ეს სიტყვა სულიერი არსების აღსანიშნავად არ გვხვდება დამწერლობის მქონე არც ერთი ხალხის ენაზე, რაც დაადასტურა მსოფლიოში აღიარებულმა ჩვენმა თანამედროვე ენათმეცნიერმა, პოლიგლოტმა, აკად. თამაზ გამყრელიძემ საჯარო გამოსვლაში ბაქარ გიგინეიშვილის „ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონის“ პრეზენტაციაზე, რომელიც გაიმართა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში 2016 წ. 19 სექტემბერს.

თარგმნისას მაქსიმალურ სიზუსტეს აღწევს, ექვთიმე კვლავ ლაკონიურია და გამომსახველი, გიორგი მიჰყვება ექვთიმეს, მაგრამ გვერდს არ უვლის ორიგინალისეულ ნიუანსებსაც.

მოვიტან ნიმუშებს სამივე ქართული თარგმანიდან:

ექვთიმე ათონელი:	გიორგი ათონელი:	არსენ იყალთოელი
განიფრთხვე შენ, სულო, და მოიწსენენ საქმენი შენნი, და ნაკადული ცრემლთაჲ მოიგე და აღუვარენ ქრისტესა ბრალნი შენნი, რაჲთა ჰპოვო შენდობაჲ. (V ტროპარი)	განიფრთხვე შენ, ჰ, სულო ჩემო, და მოიწსენენ შეცოდებანი შენნი და გულითად გულისწმა-ყვენ და აღუარენ ღმერთსა საქმენი და განზრახვანი შენნი ცრემლითა მდინარითა, რაჲთა განჰმართლდე, ვითარ-იგი გასწავებენ შენ ნერილნი. (III ტროპარი)	განიფრთხვე შენ, სულო ჩემო, მოიწსენენ საქმენი, რომელნი გიქმნან და მათი შენანებაჲ მოართუ ღმერთსა, და ცუარნი ცრემლთანი დამოადინენ, კადნიერად მიუთხრენ საქმენი მოგონებითურთ ქრისტესა და განმართლდი. (III ტროპარი)

V ტროპარი საინტერესოა იმიტაც, რომ ბერძნულ ტექსტში, შესაბამისად, არსენის თარგმანშიც, კვლავ შემოდის სინდისის ცნება („დავისაჯე მე სანყალობელი თვთ სვნიდისისაგან, რომლისა არა რაჲ უმკუეთელეს არს“), ექვთიმე და გიორგი ათონელები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, **სინდისის** ცნებას კვლავ ალტერნატიული ცნებებით ცვლიან: „დაშჯილ ვარ მე მწარედ ჩემისა მამხილებელისაგან, რომელ არს **გონებაჲ**, რომლისა მხილებაჲ ფრიად ფიცხელ არს“ (ექვთიმე ათონელი). „...დაშჯილ ვარ მე და ქენჯნილ ჩემისა **მამხილებელისაგან**, მწსნელო, მწარედ და ულხინებლად სანყალობელო, რომელი არს გონებაჲ მამხილებელი, შემინყალე, დაფარულთა მხედველო, და მიწსენ და მაცხოვრე მონაჲ შენი“ (გიორგი ათონელი).

VI ტროპარი. ანდრია კრიტელი კიდევ ერთხელ უბრუნდება იაკობის კიბის იპოდიგმურ სახეს, განმარტავს მას და განახლებიკენ მოუწოდებს სულს. არსენ იყალთოელის თარგმანი შესაბამისობაშია ბერძნულ ტექსტთან. ექვთიმე ათონელი ტროპარის შინაარსს კვლავ ორ ტროპარში გაშლის და გონების კარნახით შემატებული ნიუანსებით აძლიერებს ტექსტის გამომსახველობით ძალას. გიორგი ათონელიც ორ ტროპარად აყალიბებს თემას და ექვთიმეს მსგავსად წარმოაჩენს ბიბლიური იპოდიგმური სახეების შინაარსს, საქმისა და ხედვის (ანუ პრაქსისისა და თეორიის) მნიშვნელობას ღმრთის შემეცნების გზაზე, რის შესახებაც ზემოთ ვიმსჯელებთ.

VII - VIII ტროპარებში გრძელდება დიდი პატრიარქის, იაკობის, თემა, მისი ორი მეუღლის — ლიასა და რაქილის — სახეთა სიმბოლური შინაარსის წარმოჩენა. არსენ იყალთოელი გვთავაზობს ლამის იდენტურ თარგმანს. ექვთიმე ათონელი გვერდს უვლის ამ ტროპარებს, გიორგი ათონელი კი თარგმნის საკმაო სიზუსტით.

ექვთიმე ათონელი იაკობის თემას მოაქცევს ერთ ტროპარში და დაასრულებს მღვიძარებისკენ მოწოდებით: „მღჳძარე იქმენ შენ, სულო, ვითარცა დიდი იაკობ, რაჲთა მოიგო

საქმე ხედვითურთ და გინოდოს მხილველ ღმრთისა, და იქმენ შენ განათლებულ მის მიერ (IX ტროპარი). გიორგი ათონელი თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებს ექვთიმე ათონელის განსჯას, მხოლოდ დასკვნით ტაეპს დაუმატებს: „და მოგეცეს ზეცით დიდი წყალობა“ (VII ტროპარი).

IX ტროპარი: არსენ იყალთოელი ამ ტროპარში სულს მღვიძარებისკენ (ასეა ბერძნულშიც!) მოუწოდებს და დედნის იდენტური შინაარსით დატვირთულ ტექსტს გვთავაზობს.

ექვთიმე ათონელის თარგმანი აღნიშნული ტროპარისა ინტერპრეტაციულია. ორიგინალის შინაარსზე დაყრდნობით წამოსწევს გონებით ღმრთის წვდომის თემას, სიცხადისთვის იხსენებს მოსე წინასწარმეტყველის სახელს, რაც არ ჩანს დედანში, ტექსტს დაასრულებს სიტყვებით: „და მიიწიო ნისლსა მას უხილავთა ხილვისასა და სცხოვნდე“ (X ტროპარი). არსენ იყალთოელს კი იგივე სათქმელი დედნის იდენტური სიტყვებით აქვს გადმოცემული: „და ესრეთ გამოჩნდე გონებად მხილველად ღმრთისა და ნისლსა საღმრთოთა ხედვათასა შეხვდე და იქმენ დიდვაჭარ ვინმე“ (IX ტროპარი).

გიორგი ათონელს ეს ტროპარი არა აქვს გადმოღებული.

X,XI,XII ტროპარები ბიბლიური იპოდიგმური სახელებითაა დატვირთული. ექვთიმე ათონელს გვერდი აუვლია მათთვის; გიორგი ათონელსა და არსენ იყალთოელს კი მაღალი ოსტატობით დაუძლევიან მათ წინაშე მდგარი ამოცანა.

	გიორგი ათონელი	არსენ იყალთოელი
Τοῦς δώδεκα πατριάρχας ὁ μέγας ἐν πατριάρχεις παιδοποιήσας, μυστικῶς ἐστήριξε σοὶ κλῆμακα πρακτικῆς, ψυχῇ μου, ἀναβάνσας, τοῦς παῖδας ὡς βάρβα, τα βάρβα ὡς ἀναβάνσεις, πανσόφως ὑποθήμενος. (X ტროპარი).	ათორმეტთა შვილთა მიერ დიდმან მამათმთავარმან, ზ, სულო ჩემო, აღგიმართა საიდუმლოდ კიბე საქმისა და მოლუანებისა სიბრძნით, რაათა შენცა სათნოებათა კიბისა მიერ აჰყდე ზეცასა და ჰპოვო დიდი წყალობა. (X ტროპარი).	საღმრთომან მამათმთავარმან შვილ-ისხნა რაა ათორმეტნი მამათმთავარნი, საიდუმლოდ კიბე აღგიმართა შენ [საქმის] აღსლვისაჲ, სულო ჩემო, და შვილნი — საფუძვლად და კიბე — აღსავალად ყოვლადსიბრძნით წინა-გიყვნა. (X ტროპარი).

მნიშვნელოვანია, რომ არსენ იყალთოელს აქაც შემოაქვს ახალი ტერმინები „სამშვნელი“ და „სული“, განსხვავებით გიორგი ათონელისაგან, რომლისთვისაც სულიც და სამშვნელიც აღინიშნება ტერმინით „სული“. ექვთიმე ათონელს აღნიშნული ტროპარი არ უთარგმნია. ფიქსირებული პროცესიც შესატყვისია იმ ეპოქისა, რომელშიც იქმნებოდა ეს ტექსტები.

XI ტროპარი ზედმიწევნითი სიზუსტით აქვს თარგმნილი არსენ იყალთოელს. გიორგი ათონელი უფრო თავისუფლად ეპყრობა ტექსტს. არა აქვს გადმოტანილი სიტყვა „მოძაგებული“. აგრეთვე არ გადმოუღია ტროპარის დასკვნითი ტაეპი: καὶ γυνώσκει δὶς σου

μετανόησον („ამისთვის შეინანე“).

XII ტროპარი. არსენ იყალთოელსაც და გიორგი ათონელსაც ტროპარის დედააზრი გადმოტანილი აქვთ, ოღონდ მცირეოდენი ცვლილებებით. მაგალითად, ბერძნულ ტექსტში ნათქვამია, რომ ესავს ედომი ეწოდა სახელად „დედაკაცთმოყუარებისთვის“. გიორგი ათონელი კი „დედაკაცმოყუარებას“ შეუნაცვლებს ცოდვისმოყვარებას, არსენ იყალთოელი — „გარდარეულ ბილწებას“. გიორგი ათონელის მიერ თარგმნილ ტროპარს დედნისგან განასხვავებს მის მიერ შემატებული დიდაქტიკური შეგონება: „იხილე, სულო ჩემო, და განეკრძალე, რაჟთა არა მსგავსად საქმეთა შენთა სახელიცა ბილწი დაიმკდრო შენ“.

XIII ტროპარი. საყურადღებოა, რომ ექვთიმე ათონელი „დიდი კანონის“ ვრცელი ტექსტიდან გვერდს უვლის უარყოფითი, საკიცხველი ზნის ადამიანთა მაგალითებს, მაღალი ზნეობის ადამიანთა სახე-მაგალითებს კი მოიხმობს. ასეთია ტროპარი, რომელიც მართალი იოზის თემას აშუქებს. ექვთიმე ათონელს ის გადმოუთარგმნია, ოღონდ მჭიდრო ყალიბში მოუქცევია: „გესმის ახოვანებაჲ იოზ მართლისაჲ, ჰ, სულო ჩემო, რად არ ჰბაძავ მოთმინებასა მისსა განსაცდელთა შინა, არამედ სამარადისოდ იძლევი“. გიორგი ათონელი სიტყვასიტყვით იმეორებს ექვთიმე ათონელის ტექსტს და მის მიერვე შემუშავებული კომპოზიციური კადანსით ამთავრებს ტროპარს: „იძლევი მწარედ მტერთა მიერ სიმედგრითა შენითა“. არსენ იყალთოელის თარგმანი, უნდა ითქვას, რომ იდენტურია ორიგინალისა.

XIV ტროპარი. გიორგი ათონელი და არსენ იყალთოელი ცდილობენ თარგმნისას დაიცვან სიზუსტე და კიდევ აღწევენ მიზანს. თარგმანთა ურთიერთშეჯერებისას ყურადღება მიიქცია ტროპარის დასაწყისმა; გიორგი ათონელი ლოგიკურად აგებს ფრაზას: „პირველ საყდართა მჯდომარე, შიშუელი სკორეთა ზედა მკვდრ იქმნა“, არსენ იყალთოელი კი (ტექსტის სიზუსტის დაცვის მიზნით) თითქოს არღვევს ამ ლოგიკას: „პირველ საყდართა მჯდომარე, შიშუელი სკორეთა ზედა მჯდომარე იყო“. აქვე არსენ იყალთოელი ამკვიდრებს ბრწყინვალე ეპიტეტს — „სახელმაღალი“, გიორგი ათონელს მის ნაცვლად აქვს „საჩინო“.

XV-XVI ტროპარებში გრძელდება მართალი იოზის თემა. გიორგი ათონელისა და არსენ იყალთოელის თარგმანებში ის ორგანულადაა დაკავშირებული წინა ტროპარებთან და ეს ტროპარები (XV-XVI) მოსდევენ მათ. ე. ლოვიაგინის გამოცემებში კი ისინი გადატანილია XXII-XXIII ტროპარებად.

არსენ იყალთოელის თარგმანი გამოირჩევა სიზუსტით, გიორგი ათონელიც ერთგულია დედნისა, ექვთიმე ათონელი ლაკონიურად აყალიბებს კითხვას: „უკუეთუ იოზი მართალი იყო უფროჲს ყოველთა და ვერ განერა გამოუცდელად, შენ, ჰ, ცოდვისმოყუარეო სულო, ვითარ განერე ბრალთაგან?“.

აქ ექვთიმე ათონელი ჩაურთავს ორ ტროპარს, განმსჭვალულს მწვავე სინანულით. გიორგი ათონელი გვერდს არ აუვლის ამ ლირიკულ ჩანართს, სათქმელს მოაქცევს უკვე შერჩეულ რიტმულ ჩარჩოში და ბრწყინვალე სტრიქონებს ქმნის (იხ. XVII-XVIII ტროპარები).

XVII ტროპარი. არსენ იყალთოელი ლამის სიტყვასიტყვით მიჰყვება ბერძნულ ტექსტს, ექვთიმე ათონელი კი თავისუფალ თარგმანს გვთავაზობს, ასევე იქცევა გიორგი ათონელი, რომელიც იზიარებს ექვთიმე ათონელის სახისმეტყველებას და ცოტას კიდევ განავრცობს მას.

ექვთიმე ათონელი:	გიორგი ათონელი:
მასხურე მე, ქრისტე, საპკურებელი სინანულისაჲ, და წყალობით შენითა, ტკბილო, განმბანე მე და უფროჲს თოვლისა განმასპეტაკე, მაცხოვარ. (XV ტროპარი)	მასხურე მე, ქრისტე ღმერთო, საპკურებელი სინანულისაჲ და წყალობითა შენითა განმბანე, ტკბილო, და უფროჲს თოვლისა განმასპეტაკე, რამეთუ ყოველივე ძალ-გიც, მწსნელო, და სიკუდილი ცოდვილთაჲ არაჲ გნებაჲს. (XIX ტროპარი)

XVIII ტროპარში ქრისტეს ჯვარცმის არსია წარმოჩენილი. არსენ იყალთოელი ვირტუოზულად თარგმნის ტროპარს, სემანტიკური ნიუანსებით მეტი სინათლე შეაქვს სტროფის სახისმეტყველებაში. ექვთიმე ათონელი აშკარად ინტერპრეტაციული თარგმანის მეთოდს ირჩევს, ლაკონიური და სადა ფრაზეოლოგიით გამოხატავს სათქმელს. გიორგი ათონელი მიჰყვება ექვთიმე ათონელს, ოღონდ დამატებით შემოაქვს დედნისეული ძალზედ მნიშვნელოვანი პასაჟები. საყურადღებოა, რომ ექვთიმე ათონელი, მასთან ერთად გიორგი ათონელიც, თემის ამოსაწურავად უმატებენ კიდევ ერთ ტროპარს და დედნისეულ (აგრეთვე, არსენ იყალთოელის იდენტური თარგმანის) შინაარსს დააგვირგვინებენ.

ეს ტროპარია: „სული შენი წმიდაჲ მიეც ჩემთჲს, ქრისტე მეუფეო, ჯუარსა ზედა, რაჲ დამსჭუალული-ყავ ცხორებისათჲს ჩუენისა, რაჲთამცა მე საკუთარ-მყავ მამისა“ (ექვთიმე ათონელი, XVII ტროპარი).

„სული შენი ყოვლადწმიდაჲ მიეც ჩემთჲს, ქრისტე მეუფეო, რაჲმს იგი ჯუარსა ზედა დამსჭუალულ-ყავ ცხორებისათჲს ჩემისა, რაჲთამცა მე საკუთარ-მყავ მამისა შენისა; დიდებაჲ, მწსნელო, მოწყალებათა შენთა“ (გიორგი ათონელი, XXI ტროპარი).

XIX, XX, XXI ტროპარები კვლავ ქრისტეს ჯვარცმის თემას ეძღვნება. განმარტებულია ჯვარცმის ჰერმენევტიკული არსი, მისი მნიშვნელობა კაცობრიობისათვის, ყოველი ადამიანისთვის; არსენ იყალთოელი სიზუსტეს იცავს, ახერხებს გადმოიტანოს ყოველი ნიუანსი ტექსტისა, ოღონდ თარგმნის მისეული სტილი შორს არის კალკირებისაგან. ექვთიმე ათონელს, შეიძლება ითქვას, სუბიექტური მუხტი შეაქვს თარგმანში. გიორგი ათონელი დედანს უერთგულებს, მაგრამ თავისებურად გადმოგვცემს სათქმელს. შესადარებლად მოვიტან არსენ იყალთოელისა და ექვთიმე ათონელის მიერ გადმოქართულებულ ტროპარებს:

არსენ იყალთოელი:	ექვთიმე ათონელი:
მაცხოვარებაჲ ქმნა შორის ქუეყანისა შემოქმედმან, რაჲთა მაცხოვნნეს, და ნეფსით ჯუარსა დამოკიდებითა პირველ დაჴშული ედემი განაღო და მრჩობლთა სოფელთა თანა ყოველთა წარმართთა ცხოვნებულთა თაყუანის-სცეს. (XIX ტროპარი)	ჰქმენ ცხორებაჲ, ქრისტე, შორის ქუეყანისა ჯუარსა ზედა რაჲ აჰმალღდი შენ და დაჴშული იგი სამოთხე განმიღე მე, გვედრები, შემიყვანე მას შინა. (XVIII ტროპარი)

XXI ტროპარი ახალი აღთქმის უმნიშვნელოვანეს თემას წამოწევს. მაცხოვრის გვერდიდან წყვილად გადმომდინარე წყარონი ხომ სჯულისა და მადლის ძველი და ახალი აღთქმის უნივერსალური სახეებია.

არსენ იყალთოელის თარგმანი კვლავ ზედმინვნითი სიზუსტით გამოირჩევა. ექვთიმე ათონელი, მის კვალობაზე გიორგი ათონელიც, თემას ორ ტროპარში გაშლიან და ამოწურავენ სათქმელს.

XXII ტროპარი ღრმა დრამატიზმითაა დატვირთული, ადამიანის უმძიმესი ხვედრია ასახული. არსენ იყალთოელს ზედმინვნითი საზუსტით გადმოაქვს სათქმელი: „წუებულ ვარ მე სასძლოჲსაგან და დაკლებულ ქორწილისაგან და სერობისა, ლამპარი დაშრტა, ვითარცა უზეთოჲ, და სასძლოჲ დამეწჷა მირულებულსა, და სერობაჲ აღკრბა, ხოლო მე ჴელით და ფერჴით შეკრული გარე-განმაგდეს“.

ექვთიმე ათონელი და მასთან ერთად გიორგი ათონელიც კვლავ ორ ტროპარში გაშლიან თემას და გულშიჩამწვდომ უბრწყინვალეს სტრიქონებს გვთავაზობენ (იხ. ექვთიმე ათონელის **XXII, XXIII** და გიორგი ათონელის **XXVI-XXVII** ტროპარები).

XXIII-XXVII ტროპარები მწვავე სინანულის, ვედრების, შეწყალების, მადლის გამოთხოვის ინტონაციითა წარმოთქმული. შეიძლება ითქვას, რომ სამივე მთარგმნელი „ბრძნადმეტყველებს“. მათი, განსაკუთრებით ექვთიმე ათონელისა და გიორგი ათონელის, ჩართვები საღვთისმეტყველო პოეზიის შედეგებად წარმოაჩენენ ქართველ მთარგმნელთა ღალადისს.

ექვთიმე ათონელი, თავის მხრივ, რამდენიმე სავედრებელ ტროპარს შეჰმატებს ორიგინალს; მათ, რა თქმა უნდა, გვერდს ვერ აუვლის გიორგი ათონელი და საგალობელში თითქოს აღიბეჭდება ყოველი კაცის განსაცდელი, ტკივილი, სევდა.

გალობა მთავრდება „სამებისანითა“ და „ღმრთისმშობლისანით“. არსენ იყალთოელს ზუსტად გადმოაქვს ორიგინალის ტროპარები. ექვთიმე და გიორგი ათონელების თარგმანები კი გარკვეულწილად თავისუფალია. ცხადია, ონტოლოგიური ტერმინოლოგია ყველგან ტრადიციულია და ეფუძნება საღვთისმეტყველო სწავლებას.

ღამითგანსა (გალობაჲ ე)

გალობა აგებულია ბიბლიურ იპოდიგმურ-პარადიგმულ სახეთა ინტერპრეტაციებზე. შეიცავს 20 ტროპარს. ბერძნულ ვერსიებში ახლავს ღირსი მარიამ მეგვიპტელისადმი მიძღვნილი 2 ტროპარი. გალობა სრულდება „სამებისანითა“ და „ღმრთისმშობლისანით“.

ქართულ თარგმანთა შეჯერებისას ერთმანეთთან და ბერძნულ ვერსიებთან ზოგადად ასეთი სურათი იკვეთება: არსენ იყალთოელი ერთგულად მიჰყვება ტექსტს, ექვთიმე თავისუფლებას იჩენს, ტექსტში შეაქვს კომპოზიციური ცვლილებები. ვთქვათ, დედანში მოსე წინასწარმეტყველის სახე თუ 5 ტროპარშია გაშლილი, ექვთიმესთან 1 ტროპარი ეთმობა. ექვთიმე ათონელი გვერდს უვლის რუბენის, აარონის, სამარიტელის სახეებს, სამაგიეროდ, შემოაქვს 7 ტროპარი, რომელთა გამომსახველობითი ძალა უზადოა. გიორგი ათონელის

მიზანია, არ გამოტოვოს დედნის არც ერთი ტროპარი და კიდევ აღწევს მიზანს, ამასთანავე, იგი არ ღალატობს არჩეულ გზას, გადმოაქვს ექვთიმე ათონელის მიერ შემატებული ყოველი ტროპარი, მაგრამ არა უცვლელად, არამედ ერთგვარი ნიუანსებით, რაც კიდევ უფრო მეტი ზემოქმედების ძალას ანიჭებს საგალობელს.

მივყვეთ ტექსტს.

I ტროპარი. არსენ იყალთოელის თარგმანი ადეკვატურობით ხასიათდება, ექვთიმე ათონელსაც სრულად გადმოაქვს ტექსტის მხატვრული შინაარსი, რომელიც ძალიან სადა, ნათელი, შთამბეჭდავი უბრალოებითაა გადმოცემული. გიორგი ათონელისთვის, როგორც ყოველთვის, ამოსავალია დედანი, რომელსაც შეუზავებს ექვთიმესეულ შტრიხებს, შეჰმატებს საკუთარ ნიუანსებსაც.

მეტიც შეიძლება ითქვას, გიორგი ათონელი თითქოს არსენ იყალთოელზე მეტი სიზუსტითაც კი მისდევს ტექსტს ამ კონკრეტულ შემთხვევაში.

მაგალითად, ორიგინალშია: „ქედ დღისად გამომაჩინე, მაცხოვარ, მე“ (ἀλλ' ὅς ἡμᾶς ὕψι, Σωτήρ, ἀνᾱδείξόν με). ექვთიმე ათონელი და არსენ იყალთოელი „დღეს“ (სავსებით ლოგიკურად!) შეუნაცვლებენ — „ნათელს“, გიორგი ათონელს კი თავის თარგმანში ორივე ნომინაცია აქვს: „ქრისტე მეუფეო, ქედ **ნათლისად** და **დღისა** გამომაჩინე“.

II ტროპარი, რომელიც ბიბლიური რუბენის თემას ეხება, ექვთიმე ათონელს გამოუტოვებია, არსენ იყალთოელსა და გიორგი ათონელს გადმოუღიათ, ოღონდ გიორგის თარგმანი ინტერპრეტაციულია, ტექსტისთვის შეუმატებია სათანადო განმარტება: „ვითარცა მან (იგულისხმება რუბენი) შეაგინა სარეცელი მამისა თვისისაჲ, ეგრეთვე მეცა ჴორცთა ბილწებითა შევაგინე სინმიდე სულისა ჩემისაჲ“.

III, IV, V, VI ტროპარებში გაშლილია ბიბლიური იოსების თემა. ქართველი მთარგმნელები დედნისადმი ერთგულებით გამოირჩევიან, ოღონდ გიორგი ათონელი აფართოებს ტექსტს:

არსენ იყალთოელი:	ექვთიმე ათონელი:	გიორგი ათონელი:
და ვითარცა იოსებ ძმათა, მეცა განვყიდე ნაყოფი სინმიდისა და უბინოებისაჲ. (III ტროპარი)	და ვითარცა პირველ იოსებ ძმათა მისთა მისცეს ეგპტეს, ეგრეთვე მე განვეც ეშმაკთა სინმიდე ჩემი. (II ტროპარი)	და ვითარცა იოსებ ძმათა განყიდეს, ეგრეთვე საღმრთოჲ სინმიდე ჩემი და ქაღწულებაჲ განვეც მტერთა ჩემთა, მომეც სინანული და მაცხოვნე მე. (II ტროპარი)

VI ტროპარი, რომლისთვისაც ექვთიმე ათონელს გვერდი აუვლია, სავარაუდოდ, მისი რთული სახისმეტყველების გამო, არსენ იყალთოელის თარგმანშიც ბუნდოვანი ჩანს, გიორგი ათონელი კი ოდნავ ასხვაფერებს ტექსტს და აზრი მკაფიო ხდება.

Εἰ καὶ λάκκῳ ᾤκησέ ποτε Ἰωσήφ, Δέσποτα κύριε, ἀλλ' εἰ τύπον τῆς ταφῆς καὶ τῆς ἐγέρσεώς σου. 'εἶ

δὲ τί σοί ποτε τοιοῦτον προσενέγκω (VI ტროპარი).

სიცხადისთვის წარმოვადგენ აღნიშნული ტროპარის თარგმანს:

„ოდესმე იოსებ მღვიმესა დაემკვიდრა, მეუფეო უფალო, ვითარ წინასახესა შინა საფლავად დადებისა შენისა და აღდგომისა, ხოლო მე მსგავსსა ამისა შენ რასა შემოგწირავ?“ (გვ. კობლატაძის თარგმანი).

„Иосиф был некогда во рве, Владыка Господи, но в образ твоего погребения и воскресения; а я что подобное когда-либо тебя представляю?“, (ე. ლოვიაგინის თარგმანი).

„დაიმკვდრა იოსებ მღვმე სახედ საცხოვრებელთა შენთა ვნებათა, მეუფეო, ხოლო მე, უბადრუკმან, რაჟ შევწირო ოდესცა შენდა ესევეითარი?“ (არსენ იყალთოელის თარგმანი).

„იოსებ მღვმესა შინა სახედ დაფლვისა და აღდგომისა შენისა შთაიგდო, მწსნელო, ხოლო მე, სანყალობელი ესე, მწვრესა შინა ბილნთა საქმეთასა შთავვარდი მედგრობით, ჴელი აღმიპყარ“. (გიორგი ათონელის თარგმანი).

VII-XIII ტროპარები მოსე წინასწარმეტყველის თემაზე აგებული ღრმა სახისმეტყველებითი შინაარსით იზიდავს მკითხველს (მსმენელს). არსენ იყალთოელსა და გიორგი ათონელს ლამის მაქსიმალური სიზუსტით გადმოაქვთ ტექსტი. ექვთიმე ათონელი კი ერთ ტროპარში მოაქცევს მოსე წინასწარმეტყველის თემას.

არსენ იყალთოელი იტყვის: „კიდობანი მოსესი გესმა, სულო ჩემო, ვითარ მი-მო-აქუნდა მდინარისა ღელვათა, და ვითარ სასძლოთა შინა იშუებდა, და განერა ბრძანებასა“, ექვთიმე ათონელს ტროპარის დედააზრი გადმოცემული აქვს: „ვითარცა დიდი მოსე კიდობანს მას შინა განერა მძევარესა ფარაოჲს ბრძანებასა, ეგრეთვე შენ, ჴ, სულო, სათნოებათა კიდობნად შევედ“.

თამამად შეიძლება ითქვას, „სათნოებათა კიდობანი“ ბრწყინვალე მხატვრული სახეა, ტევადი მეტაფორაა, რომელიც ბერძნულში არ არის და შეუქმნია ექვთიმე ათონელს. მას ვერ შელევია გიორგი ათონელი და მის მიერ ზედმიწევნით თარგმნილი ტროპარი დაუგვირგინებია აღნიშნული მეტაფორით: „და შენდა სათნოებათა კიდობნად შევედ“.

VIII ტროპარი. ამ ტროპარის ბერძნული ტექსტი ძნელად მისაწვდომი და გასააზრებელია. სწორედ ამიტომ გიორგი ათონელს ალტერნატიული გზა აურჩევია და ინტერპრეტაციული თარგმანი შემოუთავაზებია: „მოსწყდენ მსგავსად აღმქუმელთა ცოდვისმოყუარენი გულისთქუმანი, სულო ჩემო, და აცხოვნე სახედ წულთა უბინოჲ სინმიდე მსგავსად მოსესსა, და ვიდრე ჩჩჴლ იყო, იზარდებოდე სწავლითა სიბრძნისაჲთა“ (IX ტროპარი).

ექვთიმე ათონელს, როგორც ზემოთ აღვნიშნე, 5 ტროპარი (IX-XIII), სადაც მოსე წინასწარმეტყველის თემაა გაშლილი, არ უთარგმნია.

IX ტროპარი. არსენ იყალთოელს თარგმნისას ოდნავ შეუკუმშავს ეს ტროპარი, გამოტოვებულია „მეგვიპტელი“, თუმცა „მეგვიპტელი გონება“, უფრო მნიშვნელოვანი შინაარსობრივი ერთეული, გადმოტანილი აქვს. კალკირებული თარგმანისკენ იხრება ფრაზა: „და ვითარ დაემკვდრო ვნებათა უდაბნოსა სინანულისა მიერ“? (καὶ πᾶς οἰκίσεις, λέγει, τὴν ἔρημον τῶν παθῶν διὰ τῆς μετανοίας (IX ტროპარი).

გიორგი ათონელთანაც საუბარია არა მეგვიპტელსა და მეგვიპტურ გონებაზე, არამედ კონტამირებული ფორმით გმოხატულ ფენომენზე — „მეგვიპტელი იგი გონებისა“ (VIII

ტროპარი). ამავე ტროპარში წამოჭრილი შეკითხვაც უფრო გასაგებია: „და ვითარ მკვდრ იქმნა სინანულითა უდაბნოსა შინა წმიდასა ვნებათაგან და სცხოვნდე?“.

X ტროპარი. არსენ იყალთოელი ზედმინევნით თარგმანს გვთავაზობს, გიორგი ათონელიც ერთგულია ტექსტისა, ოღონდ ტროპარს კვანტიტატიური განვრცობით გვანვდის. თუ არსენ იყალთოელი იტყვის: „უდაბნოჲ დაიმკვდრა დიდმან მოსე, ემსგავსე, სულო ჩემო, ქცევასა მისსა, რაჲთა მაყულოვანსაცა შინა ღმრთის გამოცხადებისა ხილვასა მიემთხვო“, გიორგი ათონელი, ტექსტის სემანტიკიდან გამომდინარე, ბრძანებს: „მოვედ, სულო და ებაძვე მოსეს უდაბნოთა შინა ქცევასა, რაჲთა ხილვაჲცა მაყულისაჲ და გამოჩინებაჲ ღმრთისა იხილო და გეზრახოს შენ უხილავი იგი და აგავსოს ნიშთა და ძალთა მიერ“ (X ტროპარი).

XI ტროპარი. უმცირესი ტექსტობრივი გადახრებით არსენ იყალთოელიცა და გიორგი ათონელიც შინაარსობრივად, თუ სახეობრივად აღნიშნულ ტროპარს ადეკვატურად თარგმნიან.

XII ტროპარი. არსენ იყალთოელს ზუსტად გდამოაქვს ტროპარი, გიორგიც ერთგულია დედნისა, ოღონდ ის სემანტიკური ნიუანსებით აფართოებს მას; არსენი ბერძნულის შესატყვისად თარგმნის: „ხოლო ოფნი და ფინეზ შენებრ შენირეს, სულო, ყოვლად უცხო ღმრთისაგან მნიკულევანი ცხორებაჲ“. გიორგი ათონელი კი შემდეგნაირად ჩამოაყალიბებს სათქმელს: „სულო, ოფნი და ფინეზ, მსგავსად შენსა, — უცხოთა ცეცხლითა და ცხორებითა შეგინებულითა, ვინაჲცა რისხვით აღიფხურნეს იგინი“ (XII ტროპარი).

XIII ტროპარი. თავისუფალი თარგმანის ნიმუშად შეგვიძლია მივიჩნიოთ დასაწყისი გიორგი ათონელის მიერ გადმოღებული ტროპარისა. დედანშია: Ὡς βαρὺς τῶν γράμην Φαραὼν τῷ πικρῷ γέγονα (XIII ტროპარი). „ულმობელობითა უწყალო ვიქმენ, ვითარცა ფარაო“ (გვ. კოპლატაძის თარგმანი): „По жестокости я стал, как жестокий нравом фараон“ (ე. ლოვიაგინის თარგმანი).

არსენ იყალთოელის თარგმანით: „ფარაოხსებრ დავმძიმდი გონებითა“ (XIII ტროპარი).

გიორგი ათონელთან კი ნათქვამია: „ვითარცა მძიმე ზუავი, ფარაოხს მოხარკე ვიქმენ“.

XIV ტროპარი. ამ ტროპარიდან მოკიდებული დასასრულამდე დომინირებს სინანულის თემა, გოდების მოტივი და, ბუნებრივია, ექვთიმე ათონელი კვლავ ჩაერთვება შემოქმედებით პროცესში და არა მხოლოდ დედნისეულ ტროპარებს გადმოთარგმნის, არამედ „თვსით გულით“ კიდევ 8 ტროპარს დაურთავს ორგინალს. გიორგი ათონელი, ბუნებრივია, სრულად შეიტანს თავის თარგმანში ექვთიმე ათონელის ნაღვანს, ოღონდ არა უცვლელად. უცვლელია მხატვრული ქსოვილი, ესთეტიკური შინაარსი, მაგრამ, ალბათ, რიტმული ჩარჩოს ძლისპირთან შესაბამისობის დასაცავად ტექსტს შეჰმატებს სავედრებელ სიტყვებს, რომელთაც მსჭვალავს ღრმა სუბიექტური განცდა.

გამოვყოფ მთარგმნელობითი ხელოვნების რამდენიმე საყურადღებო მაგალითს:

არსენ იყალთოელს ვნებათა, მატერიალურ, ხორციელ ფენომენთა აღსანიშნავად (არა მხოლოდ ამჟერად! — ლ. გ.) გამოყენებული აქვს ტერმინი — „ნივთი“: „**ნივთად** შეყოფილ ვარ გონებითა, განმწმიდე, მეუფეო, საბანელითა ცრემლითა ჩემთაჲთა“; „გევედრები **ნივთი** ჴორცთა ჩემთაჲ თოვლებრ განასპეტაკე“ და სხვ.

ექვთიმე ათონელისა და გიორგი ათონელის თარგმანებში კი გვაქვს; „**ვნებათა** მწვირესა შინა დანთქმული გონებაჲ“.

არსენ იყალთოელთან კვლავ ნათქვამია: „განფრდილად ვჰპოვებ თავსა **ვნებათა შინა**“; ექვთიმე და გიორგი ათონელებთან არის ალტერნატიული გამონათქვამი: „ვჰპოვებ ცოდვათა ჩემთა უფროჲს ქჷმისა ზღვსაჲ“.

არსენ იყალთოელს დედნის ტაეპები ადეკვატურად გადმოუღია: „რამეთუ თჳთ ბუნებით წმიდაჲ მხოლოჲ ხარ და არავინ არს ყოვლად სხუაჲ უცხო ცოდვისაგან“ (XVI ტროპარი).

ექვთიმე ათონელი ლაკონიურია: „მხოლოო, ყოვლადწმიდაო და წყაროო მონყალებისაო“. გიორგი ათონელი კიდევ უფრო ლაკონიურად იტყვის: „უფსკრულო სახიერებისაო“.

არსენ იყალთოელთან გვხვდება: „უფსკრული უსაზღვრო წყალობისაჲ, გიორგი ათონელთან: „ჯურღმული წყალობათაჲ“.

არსენთან გვაქვს: „გულისა თუალნი“, გიორგისთან — „თუალნი გონებისა“.

არსენთან — „საცნაურნი ნათელი“, გიორგისთან — „ნათელი ეგე შინა საუკუნეთაჲ“.

შეიძლება ითქვას, რომ ქართველი მთარგმნელები ერთმანეთს ტოლს არ უდებენ ტექსტის წვდომასა და მხატვრულ გააზრებაში.

ლაღადყავსა (გალობაჲ ვ)

VI გალობაში სინანულის მოტივი კიდევ უფრო მძაფრ ხასიათს იღებს. გალობა ორიგინალში 16 ტროპარისგან შედგება. დაერთვის მარიამ მეგვიპტელისადმი მიძღვნილი ორი ტროპარი, რომელთაც, ბუნებრივია, ვერ ვხვდებით ქართულ თარგმანებში, რადგან, ეს ტროპარები შემდეგი დროის დანამატია. გალობა მთავრდება „სამებისანითა“ და „ღმრთისმშობლისანითა“. დედნისადმი ერთგულებით ხასიათდება არსენ იყალთოელისა და გიორგი ათონელის თარგმანები, ექვთიმე ათონელი კი „საკუთარ ღაღადყავსას“ გვთავაზობს.

აღნიშნული ტექსტიც შთაგონებულია ორიგინალით და მას გიორგი ათონელი არ ტოვებს უყურადღებოდ, შემოაქვს თავის საგალობელში მცირეოდენი ცვლილებებით. გვეძლევა შესაძლებლობა თვალი მივადევნოთ ქართულ თარგმანთა შესაბამისობას ბერძნულ ტექსტთან და, ამასთანავე, დავაკვირდეთ, როცა გიორგი ათონელი თავისუფალია ექვთიმე ათონელის მიერ თარგმნილი ტექსტისაგან, მის თარგმანს ეს რაიმესახის განსხვავებას ხომ არ სძენს? და კიდევ: როცა არსენ იყალთოელის თარგმანში შევნიშნავთ წინა თარგმანებთან სიახლოვეს, შეიძლება გაიმიჯნოს, ვის გავლენას განიცდის არსენ იყალთოელი და საერთოდ, განცდის კი წინა მთარგმნელების გავლენას?

I ტროპარი: არსენ იყალთოელი სტატიკური თარგმანის კლასიკურ ნიმუშს გვთავაზობს, ზედმიწევნითი სიზუსტით თარგმნის ტექსტს, გიორგი ათონელიც ერთგულია დედნისა, მაგრამ ფაქიზი მხატვრული სახეების (მეტაფორის, შედარების, ეპითეტის) და ღაღადისის ინტონაციის გამძაფრებით ახალ ელფერს ანიჭებს სათქმელს. მოვიტან მაგალითს:

არსენ იყალთოელი:	გიორგი ათონელი:
ცრემლთა თუალთა ჩემთასა, მწსნელო ჩემო, და სიღრმით-გამო სულთქუმათა მოსწრაფედ შევსწირავ, და ვჭმობ ესრეთ გულითა: შეგცოდე, ღმერთო, მილხინე მე წყალობით.	თუალთა ჩემთა ნაკადულნი, მწსნელო, და სიღრმით გულისაჲთ სულთქუმანი უნდონი შეინირენ შენ, ვითარცა საკუმეველნი და ისმინე ჳმაჲ ჩემი, რომლითა ვღალადებ: ღმერთო, მილხინე და ცოდვათა ჩემთა შენდობაჲ მომმადლე, ვითარცა ხარ მხოლოჲ მრავალმონყალე.

II ტროპარი. ორივე მთარგმნელი მიჰყვება ტექსტს, გიორგი ათონელი „გულით თჳსით“ ჩაუმატებს მიმართვას თავისი სულისადმი, ოდნავ გადაასხვავებებს დასასრულს. გიორგი ათონელის გავლენა არსენ იყალთოელის თარგმანზე არ იგრძნობა; პირიქით, თუ გიორგი ათონელთან არის „გარდასდერკ“, არსენ იყალთოელთან — „განუდექ“ (ბერძნულში: ἔξενυσας), გიორგი ათონელთან არის „მთხრებელი“, არსენ იყალთოელთან — „დანახეთქი“ (χάσμα τῆς γῆς), გიორგი ათონელთან არის „შეიყოს“, არსენ იყალთოელთან — „დაგფაროს“.

III ტროპარი. ორიგინალს გიორგი ათონელიცა და არსენ იყალთოელიც ერთგულად მიჰყვებიან, ოღონდ, გიორგი ათონელი, ტექსტის სემანტიკიდან გამომდინარე, მას ახალ მხატვრულ სახეს შეჰმატებს:

არსენ იყალთოელი:	გიორგი ათონელი:
ხოლო შენ ქურციკებრ იწსენ საბრჭით ცხორებაჲ, ფრთოვან ქმნილმან საქმით, და ხედვით, და გონებით.	ვითარცა რაჲ კუროჲ განკრთომილი, მსგავს ექმენ ეფრემს, ჳ, სულო, უნესოდ სლვითა, არამედ, ვითარცა რაჲ ქურციკი, განერი საბრჭისაგან ამის სოფლისა და ფრთოვან იქმენ, საქმით, და გონებით, და ხედვათა მიერ, და მოღუანებათა ზეცად აღფრინდი.

IV ტროპარი. არსენ იყალთოელს მცირეოდენი ცვლილებებით გადმოუღია:

ანდრია კრიტელი:	არსენ იყალთოელი:
Ἡ χεῖρ ἡμᾶς Μωσῆος πιστῶται, ψυχῇ, πᾶς δὲναται Θεός λερωθέντα βίον λευκάναι καὶ καθάραι, καὶ μὴ ἀπογνῶς σεαυτὴν, κἄν ἐλεπῶμιθ.	მოსეს ჳელმან გარწმუნენ, სულო, ვითარ ძალ-უც ღმერთსა კეთროვნისა ცხორებისა კულად განწმედად და შემკობად და ნუ უდებ ხარ, დალათუ განჰკეთროვნდი.

გიორგი ათონელის თარგმანი კვლავ ემოციური წიაღსვლებითაა გამდიდრებული და გაფართოებული. გიორგი ათონელის თარგმანთან შეპირისპირებისას იქმნება შთაბეჭდილება, რომ არსენზე გარკვეულ გავლენას უნდა ახდენდეს გიორგის თარგმანი.

V ტროპარი არსენ იყალთოელს ზუსტად აქვს თარგმნილი, ოღონდ დედნისეული წარსული დრო მომავალი დროით შეუცვლია, გიორგი ათონელს კი ეს ტროპარი არ გადმოუღია, რაც იშვიათი გამონაკლისია მისი მთარგმნელობითი პრაქტიკისათვის, ყოველ შემთხვევაში, „დიდი კანონის“ გადმოქართულებაში მსგავსი მაგალითები თითქმის არ გვხვდება.

IX ტროპარი. არსენ იყალთოელის თარგმანი იდენტურია, გიორგი ათონელისა კი — ინტერპრეტაციული, დინამიკური: მათი ეს თავისებურებანი თვალსაჩინო ხდება თარგმანთა შეპირისპირებისას:

ანდრია კრიტელი:	არსენ იყალთოელი:	გიორგი ათონელი:
Ὡς ἔπληξε Μωσὴς ὁ θεράπων τοῦ ράβδου τῆς πέτρας, τυπικῶς τῆς ζωοποιῶν σου πλερὰν προδιετύπου, ἐξ ἧς πάντες πόμα ζωῆς, Σωτήρ, ἀντλοῦμεν. (IX ტროპარი)	ოდეს მოსე, მსახურმან შენმან კუერთხი სცა კლდესა, ცხოველსმყოფელი წმიდა გუერდი შენი გამოსახა წინასწარ, რომლისგან ვსუამთ, ქრისტე, უზრუნველბასა. (IV ტროპარი)	სცა რაჲ კლდესა მონამან შენმან მოსე კუერთხითა, ცხოველსმყოფელი გუერდი შენი გამოსახა, ვინაჲ იგი, მაცხოვარ, ცხორებისა სასუმელსა აღმოვივსებით და უკუდავ ვიქმნებით. მეცა გევედრები, განმბანე მის მიერ ნაბრძვლთაგან სულისა ჩემისაჲთა. (V ტროპარი)

VII-VIII-IX-X-XI ტროპარებიც ამავე პრინციპითაა გადმოღებული არსენ იყალთოელისა და გიორგი ათონელის მიერ. პირველი ცდილობს დაიცვას სიზუსტე, მეორე სიზუსტის დაცვასთან ერთად თარგმანში შემოიტანს ორიგინალის ქვეტექსტში ნაგულისხმევ ნიუანსებს, რაც ტექსტს ემოციური ზემოქმედების ძალას მატებს.

XII ტროპარი. არსენ იყალთოელს რატომღაც გამოუტოვებია ბიბლიურ ტრადიციაზე დაფუძნებული სახე-სიმბოლო — „მწეცისა“ — „მიწსენ მწეცისაგან“ — τὸν θύρძ με ῥῶσαι. გიორგი ათონელი კი ამ სიმბოლოზე დაყრდნობით მხატვრულად დასრულებულ ბრწყინვლე ტროპარს გვთავაზობს:

ჰ, სახიერ,
 ვითარცა აცხოვნე,
 ჯმა-ყო რაჲ
 შენდამო პეტრე,
 მეცა მაცხოვნე და მიწსენ
 ცოდვილი მწეცისაგან,

სულთა მომსრველისა მძვნეარისა,
და აღმომიყვანე
უფსკრულით ცოდვათაჲთ
განრთხმითა მარჯუენისა შენისაჲთა.

(XII ტროპარი)

გიორგი ათონელი ამ ტროპარით ამთავრებს გალობას, არსენ იყალთოელთან დედნისეული კიდევ ერთი ტროპარია თარგმნილი და გალობა მთავრდება „სამეზისანი“ და „ღმრთისმშობლისანი“, რომლებიც იდენტურნი არიან დედნის ანალოგიური ტროპარებისა.

ანდრია კრიტელის „დიდი კნონის“ VI გალობა მთავრდება კონდაკით, რომელიც ერთი ტროპარისაგან შედგება, არსენ იყალთოელთან ის ორი ტროპარისგანაა შედგენილი. არსენის თარგმანს, კონდაკთან ერთად, ახლავს, აგრეთვე, იბაკო, რომელიც ითქმის „მომიწსენესა ზედა“ და თვით „მომიწსენე“.*

რაც შეეხება „მომიწსენეს“, რომელიც ბიბლიური იპოდიგმური სახეებითაა დატვირთული, არსენიყალთოელისთარგმანში 13 ტროპარს შეცავს („სამეზისანისა“ და „ღმრთისმშობლისანის“ ჩათვლით), გიორგი ათონელის „მომიწსენესა“ კი შედგება 10 ტროპარისაგან.**

ექვთიმე ათონელი, როგორც ზემოთ აღვნიშნე, საკუთარ „ღალადყავსას“ ქმნის. გიორგი ათონელი მის პერიფრაზირებულ ვარიანტს გვთავაზობს; ზოგჯერ ორი ტროპარი ექვთიმესი ერთ ტროპარად გადმოაქვს. მაგალითად, ექვთიმეს V და VI ტროპართა შინაარსი გიორგის ერთ, VII ტროპარში აქვს მოქცეული; ექვთიმე თუ ახსენებს „ნიგნს“ განსაზღვრების გარეშე („ნიგნნი განეხუმიან“, VII ტროპარი), გიორგი განმარტავს — „ნიგნნი მათიანეთანი“ (V ტროპარი) და ა.შ.

გალობა VII

გალობაჲ ზ (კურთხეულ არსა)

გალობის ძლისპირი, რომელიც ამოზრდილია ბაბილონელ ყრმათა გალობიდან, ერთგვარ კამერტონად ქცეულა მთელი გალობისთვის. გალობა შედგება 20 ტროპარისაგან. დედანში დაერთვის მარიამ მეგვიპტელისადმი მიძღვნილი ორი ტროპარი, აგრეთვე, „სამეზისანი“ და „ღმრთისმშობლისანი“.

ავტორი გოდებს ჩადენილ ცოდვათა გამო და მხურვალე ვედრებით მიმართავს უფალს, შეინყალოს იგი.

მთელი გალობა კვლავ გაჯერებულია ბიბლიური იპოდიგმურ-პარადიგმული სახეებით. ყოველ ტროპარში ბიბლიური ცოდვის გახსენებით, მონაწილე ადამიანი განსჯის თავს და

* „დიდი კნონის“ ბერძნულ გამოცემებში „მომიწსენესა“ არ არის შეტანილი.

** 10 ტროპარის მანძილზე არსენ იყალთოელისა და გიორგი ათონელის ტექსტები მიჰყვებიან ერთმანეთს, გიორგი ათონელს ტექსტისთვის კიდევ 3 ტროპარი შეუმატებია, დაუსრულებია „სამეზისანი“ და „ღმრთისმშობლისანი“ და ტექსტი განუვრცია კიდევ 7 ტროპარით.

ამის შემდეგ გიორგი ათონელთან იწყება ვრცელი ტექსტი (12 ტროპარისგან შემდგარი), რომელიც შეესაბამება ექვთიმე ათონელის „ღალადყავსას“ თარგმანს, შემდგარს 12 ტროპარისაგან ზედდართული „სამეზისანი“ და „ღმრთისმშობლისანი“.

ჩემი დაკვირვებით, ეს მასალა შემოქმედებითი და მთარგმნელობითი პრაქტიკის დასახასიათებლად ახალს არაფერს შეიცავს.

ემიჯნება ცოდვებს. გალობაში ნახსენებია ცთომილებანი საულისა, დავითისა, ოზანისა, აბესალომისა, აქიტოფელისა, სოლომონისა, რობოამისა, მანასესი, აქაბისა და სხვ.

არსენ იყალთოელს მთლიანად და უხარვეზოდ გადმოუღია გალობის ტექსტი. ექვთიმე ათონელიმის მიერვე შერჩეულ გზას მიჰყვება: პირველი 3 ტროპარი მისთვის დამახასიათებელი სემანტიკური მეთოდით გადმოუღია, მომდევნო 7 ტროპარი გამოუტოვებია, მის გზას გაჰყოლია გიორგი ათონელიც, რაც გასაკვირია, რადგან მისთვის ტექსტის „დაკლების“ ტენდენცია არ არის დამახასიათებელი; ექვთიმე ათონელს შეუტანია სხვა ცვლილებებიც: რამდენიმე ტროპარის შინაარსი ერთ ტროპარში მოუქცევია. მას მისდევს გიორგი ათონელიც.

ანდრია კრიტელის ტექსტის გადმოღების შემდეგ ექვთიმე ათონელი აგრძელებს მედიტაციას და 30 ტროპარში მოაქცევს ლაღადისს უფლისადმი. გიორგი ათონელი კვალდაკვალ მიჰყვება ნმიდა მამას.

შევეცდები ყურადღება გავამახვილო ქართველ მთარგმნელთა მთარგმნელობითი პრაქტიკის თავისებურებებზე. ერთმანეთის გვერდით წარმოვადგენ I ტროპარის სამივე თარგმანს:

ანდრია კრიტელი:	არსენ იყალთოელი:	გიორგი ათონელი:	ექვთიმე ათონელი:
Ἡμάρτηκα, ἐπλημέλησα. καὶ ἡθέντησα τὴν ἐντολήν σοῦ ὅτι ἐν ἀμαρτίαις προήχθην καὶ προσέθικα τοῖς μᾶλοισι τραύματα ἔμοι ἀλλ' αὐτὸς με ἐλέησον, ὥς εὐσπλαγχνός, ὁ τῶν πατέρων θεός	ვცოდე, და უსჯულო ვიქმენ მე, და შეურაცხ-ვეყვენ მცნებანი შენი, რამეთუ ცოდვათა შინა ვიშევ და წყლულთა ზედა შევსძინენ წყლულნი, არამედ შენ შემინყალე, ვითარ მონყალემან, მამათა ჩუენთა ღმერთმან.	ვცოდე, მაცხოვარ და შეურაცხ-ვეყვმცნებაჲ შენი ნმიდაჲ, ყოვლადსახიერო, გარნა ტკბილო, შემინყალე, ვითარცა კაცთმოყუარე ხარ და წყლულებანი ჩემთა ვნებათანი დაჰსწენ აურაცხელნი.	შეგცოდე შენ, მაცხოვარ, და შეურაცხ-ვეყვმცნებაჲ შენი ნმიდაჲ, ჰ, სახიერო, არამედ შენ, ქრისტე, შემინყალე, ვითარცა ხარ მეუფე მონყალე და განკურნე [სნეუ] ლებანი ესე ჩემნი აურაცხელნი.

არსენ იყალთოელის თარგმანი ბერძნული ტექსტის იდენტურია, ექვთიმე მთანმიდელი ამოკლებს ტექსტს, გამოუტოვებია დედნისეული: *προήχθην καὶ ἡροσέθικα τοῖς μᾶλοισι τραύματα ἔμοι* („რამეთუ ცოდვათა შინა ვიშევ და წყლულთა ზედა შევსძინენ წყლულნი“). გიორგიც, ექვთიმეს მსგავსად, გვერდს უვლის აღნიშნულ პასაჟს და ექვთიმეს მსგავსადვე დამამთავრებელ ტაეპში ჩართავს ვედრებას: „წყლულებანი ჩემთა ვნებათანი დაჰსწენ აურაცხელნი“.

II ტროპარიც არსენ იყალთოელს, შეიძლება ითქვას, ადეკვატურად გადმოუღია, შეტანილია უმნიშვნელო სემანტიკური ცვლილებები: გული (*καρδία*) შეცვლილია „გონებით“, გულმონყალე (*εὐσπλαγχνός*) შეცვალა „კაცთმოყუარეთი“, რაც სრულიად დასაშვებია პოეტური ტექსტის თარგმნისას. „გულისა“ და „გონების“ მონაცვლეობა კი საღვთისმეტყველო ტრადიციაში

მიღებული და გამართლებულია.

ექვთიმე და გიორგი ათონელების თარგმანში გული (გონება) ჩანაცვლებულია სხვა გამოთქმით: არსენ იყალთოელთან არის: „დაფარულთა გონებისათა აღგიარებ“, ექვთიმესთან და გიორგისთან კი: „დაფარულთა საქმეთა ჩემთა აღგიარებ“, რაც შინარსობრივად თითქოს სცილდება ტექსტს.

III ტროპარი, რომელიც მხოლოდ არსენ იყალთოელს აქვს თარგმნილი, საინტერესოა იშვიათი ლექსიკური ერთეულის შემოტანით; „გარენათ საქმედ მეფობაჲ პოვა“ (გარენათ — მოულოდნელად).

საინტერესოა, აგრეთვე, „სწრაფვის“, „ნდომის“ ეკვივალენტად „კრთომის“ მოხმობა („ნუსადა აღირჩინე სუფევასა ქრისტესსა პირუტყულნი კრთომანი“).

IV ტროპარის არსენისეული თარგმანის დამამთავრებელი ტაეპი თავისუფლადაა გადმოღებული და ვფიქრობ, რამდენადმე მოკლებულიცაა სიცხადეს. დედანშია: ἄλλ' αὐτῇ τα βαρύτερα τῶν ἔργων νοσεῖς ταῖς κατὰ γνῶμην ὁρμαῖς. (ლოვიაგინის თარგმანი: „но ты, душа моя, сама более тяжко, нежели сами делами, страдаешь произвольными стремлениями“); (გვ. კოპლათაძის თარგმანი: „შენ, სულო ჩემო, ამა საქმეთა უძვრესთა ნებსით სწრაფვათა გამო იტანჯები“). არსენ იყალთოელი კი გვამცნობს: „გარნა შენ უძვრესთა ჰყოფ საქმეთა წურთითა გონებისაჲთა“.

V ტროპარი. ამ ტროპარის თარგმნისას დაცულია სიზუსტე, შეცვლილია მხოლოდ დამამთავრებელი ტაეპები. დედანშია: ἄλλ' αὐτῇ πονηρότερα εἰργάσθω, ψυχῇ, μὴ μεταγνοῖσα Θεῷ („а ты, душа, совершив большие грехи, не раскаялась пред Богом“ (ე. ლოვიაგინის თარგმანი). „ხოლო შენ, სულო, უძვირეს, საქმეთა მოქმედმან, წინაშე ღმრთისა არა შეინანე“ (გვ. კოპლათაძის თარგმანი). არსენ იყალთოელის თარგმანი კი თავისუფალია: „არამედ შენ, უძვრეს მცოდველო სულო, მას ჰბაძევდ მოქცევითა“.

VI ტროპარი.

Δαβὶδ ποτε ἀνεστήλασε συγγραψάμενος ὡς ἐν εἰκόνι	განაქიქა ოდესმე დავით,
ῥῆμον.	ვითარცა ძეგლსა ზედა წარწერითა გალობასა შინა...

ვფიქრობ, ამ ტროპარში მინიშნებაა დავით წინასწარმეტყველის **XV** ფსალმუნზე და მის ზედწარწერაზე — ძეგლისწერა, რომელიც მიუთითებს იმაზე, რომ ამ ფსალმუნის შინაარსი თავისი ღირებულებითა და მნიშვნელობით იმსახურებს ამოტვიფრას (დანერას) ძეგლზე (სვეტზე), რათა ყველასთვის მისაწვდომი გახდეს და, რაც მთავარია, შემდომ თაობათათვისაც სამახსოვრო იყოს.

ე. ლოვიაგინის (აგრეთვე, გვ. კოპლათაძის) თარგმანში სხვაგვარი ინტერპრეტაციაა: „Давид некогда, живописуя как бы на картине, начертал песнь, в которой обличает совершенное им деяние, взывая: помилуй меня, ибо согрешил я пред тобою единым, Богом всех; сам очисти меня“ (Пс. 50,1).

„ოდესმე დავით“ თითქოსდა სურათს ხატავდა, საგალობელი შეთხზა, რომლითაც ამხილა საქმენი, მის მიერ ქმნილნი, მღალადებელმან: „მიწყალე მე, რამეთუ შენ მხოლოსა შეგცოდე, ყოველსა ღმერთსა, შენვე განმნმიდე მე“ (გვ. კოპლათაძის თარგმანი **VI ტროპარი**).

VII, VIII, IX ტროპარები, თარგმნილი არსენ იყალთოელის მიერ, მიჰყვებიან დედანს, ყურადღებს იქცევს ᾿ϥναταξας τὸ ἄδινῳ λαιν-ის შესატყვისად „მთავრებრივი პატივის“ შემოტანა.

IX ტროპარის შემდეგ ექვთიმე და გიორგი ათონელების თარგმანებში დავით წინასწარმეტყველის თემა წამოიწევს. შემოთავაზებულია კიდევ ერთი სევდით შეფერილი ტროპარი:

გიორგი ათონელი:	ექვთიმე ათონელი:
ერთგზის ცოდა და მარადლე დალტობნ ცხედარსა თვსსა დავით ტირილითა, ხოლო შენ, სულო, მარადის ბრალთა მიერ აღივსები და ცრემლნი არაჲ გქონან, და რაჲ ჰყო, რაჟამს წარსდგე წინაშე ღმრთისა“ IV ტროპარი	დავით ერთგზის შესცოდა და მარად დლე დაალტობნ ცხედარსა, სულო, ტირილითა, ხოლო მე მარა[დ]ლე ცოდვითა აღივსები და ცრემლნი არაჲ მქონან, და რაჲ ვყო, რაჟამს მივიდე განკითხვად წინაშე ღმრთისა. IV ტროპარი

X ტროპარი. არსენ იყალთოელს ზედმიწევნითი სიზუსტით აქვს თარგმნილი. ექვთიმე და გიორგი ათონელების თარგმანი კი თავისუფალია, თუმცა ტროპარის დედააზრი გადმოტანილია.

XI ტროპარზეც იგივე შეიძლება ითქვას. არსენ იყალთოელი იცავს სიზუსტეს, ექვთიმე ათონელი, მის მსგავსად გიორგი ათონელიც, ერიდებიან კალკირებას.

XII ტროპარი მხოლოდ არსენ იყალთოელს გადმოუთარგმნია. შესაბამისობა ორიგინალთან დაცულია. საყურადღებოა ტექსტის ერთი სეგმენტი: „Τὸν Ποσειᾶμ παρεῖλκασας, ἄλοχῆσαντα βυλῆς κατράς“. „თათბირი, არჩევანი მამისა“ — არსენს უთარგმნია, როგორც „მამულნი განზრახვანი“.

XIII ტროპარის დასაწყისის არსენ იყალთოელისეული თარგმანი რამდენადმე ბუნდოვანია. განსაკუთრებით ლექსიკურადაა ძნელი გასაგები შემდეგი გამონათქვამი: „აღძრვანი წინააღრჩევისანი“, სინტაქსურადაც ქართული ენისათვის ბუნებრიობასაა მოკლებული ფრაზა: „ვითარცა საძაგელნი, აღჰმართენ ვნებანი და განამრავლენ მოსაწყინელნი“.

ექვთიმე ათონელის, აგრეთვე, გიორგი ათონელის თარგმანი, რომელიც ექვთიმეს მიბაძვითაა გამართული, ნათლად გამოხატავს ტროპარის დედააზრს. მომაქვს სამივე მათგანის თარგმანი:

არსენ იყალთოელი:	ექვთიმე ათონელი:	გიორგი ათონელი:
მანასესნი მოიგენ, სულო, აღძრვანი წინააღრჩევისანი და ვითარცა საძაგელნი, აღჰმართენ ვნებანი და განამრავლენ მოსაწყინელნი... (XIII ტროპარი)	ცოდვათა მანასესთა მიემსგავსე შენ, სულო, და მისებრ აღჰმართენ შენ შორის გულისთქუმათა კერპნი. (VII ტროპარი)	მანასესთა მათ ცოდვათა ებაძვე შენ, სულო, და მისებრ აჰმართენ შენ შორის კერპნი ვნებათა ბოროტათანი... (VII ტროპარი)

XIV ტროპარი მხოლოდ არსენ იყალთოელს უთარგმნია და გამოირჩევა სიზუსტით. ოღონდ თუ დედანში არის: γέγονα σαρκικῶν μισθμάτων καταγύσιον, καὶ σκεῦος αἰσχρὸν τῶν παθῶν, არსენ იყალთოელს გადმოაქვს შეკვეცილად: „იქმენ ჴორციელთა ზრახვათა და ვნებათა სავანე“.

XV ტროპარის ქართულ თარგმანებზე დაკვირვებისას საინტერესო სურათი იკვეთება: არსენ იყალთოელი ბიბლიურ იპოდიგმურ სახეებზე დაფუძნებულ სტროფს შესატყვისად თარგმნის, ექვთიმე ათონელი ტროპარს გვერდს არ უვლის, მაგრამ მისი ხედვა ამ ძეგლის თარგმნისას უცვლელი რჩება, იგი ცდილობს ბიბლიური სახეებისგან განტვირთოს ტექსტი. ამ კონკრეტულ ვითარებაში გიორგი ათონელი მას მიჰყვება.

მოვიტან მაგალითებს:

არსენ იყალთოელი:	ექვთიმე ათონელი:	გიორგი ათონელი:
ცანი დაგეჴშნეს, ჴ, სულო, და სიყმილი მძაფრი გენია შენ, ვითარცა თეზბიტელისა ელიაჲს ურჩსა აქაბს, არამედ სარეფთელსა მას ემსგავსე და გამოზარდე შენცა სული წინანარმეტყუელისა. (XV ტროპარი)	ცანი დაგეჴშნეს, სულო, და სიკუდილი გენია, რმეთუ ურჩ ექმენ უფალსა, ხოლო ან შეუვრდი, რაჲთა კუალად მოგცეს შენ პური იგი ზეცისაჲ და გამოგიყვანოს ნათლად ბნელისაგან ცოდებათაჲსა. (VIII ტროპარი)	ცანი დაგეჴშნეს და სიყმილი გენია, სულო, რამეთუ ურჩ ექმენ ღმერთსა, ხოლო ან მასვე შეუვრდი, რაჲთა მოგცეს პური ზეცათაჲ და ნათლად ბნელისაგან შეცოდებათაჲსა გამოგიყვანოს. (VIII ტროპარი)

XVI—XVII-XVIII ტროპარები ვედრების გამომხატველნი არიან, სამივე ქართველ მთარგმნელს ტექსტი ზუსტად აქვს გადმოტანილი. არსენ იყალთოელს არ გამოუტოვებია მეძავის თემა („ვცოდე უფროჲს მეძვისა მის“). გიორგი ათონელი ლამის სიტყვასიტყვით იმეორებს ექვთიმე ათონელის თარგმანს. არსენს წარმატებულად აქვს დედნისეული მხატვრული სახე გადმოთარგმნილი: „დაგასხამ შენ, ვითარცა ცრემლთა, სულთქუმათა ჩემთა“.

ათონელებს რატომღაც ტროპარისთვის არ დაურთავთ დედნისეული: „ვითარცა გალობს დავით“, ეს სიტყვები კი რეფრენივით მეორდება XVIII ტროპარის დასასრულსაც.

არსენ იყალთოელის თარგმანი, რომელიც იდენტურია დედნისა, აქ სრულდება და კანონის შესატყვისად, გალობა დაიხურება „სამებისანითა“ და „ღმრთისმშობლისანით“, როგორც ეს დედანშია.

ექვთიმე ათონელი, მასთან ერთად გიორგი ათონელიც, აგრძელებენ ამ გალობას ექვთიმეს ტექსტისთვის დაუმატებია 22 ტროპარი, რომელთა სემანტიკა, რა თქმა უნდა, ორგანულია ანდრია კრიტელის დიდი სინანულის საგალობლის საღვთისმეტყველო და მხატვრული შინაარსისათვის.

მერვე გალობა (აკურთხევდითსა)

მერვე გალობაში, რომელიც 20 ტროპარისაგან შედგება და, წესისამებრ, ახლავს „სამებისანი“ და „ღმრთისმშობლისანი“, სინანულის მოტივი, კიდევ უფრო ღრმა და გამომსახველი ხდება, კვლავ უხვად შემოდის ბიბლიური სახე-ქმედებანი, რომელთა მიზანძვა ან რომელთაგან გამიჯვნა, შუასაუკუნეობრივი თვალთახედვით, სრულყოფის გზას მოასწავებს. ამ გალობაშია ჩამოყალიბებული „დიდი კანონის“ დედააზრის განმაზოგადებელი ტროპარი: „ძულისა აღთქუმისანი ყოველნივე სახედ მოგართუნ, სულო, რაჟთა ემსგავსო საქებელისა საქმესა და ევლტოდე ხენუმსა მას და ბილნსა ცოდვას უკეთურთასა“. ხოლო XIV ტროპარში გულისშემძვრელი გოდება კულმინაციას აღწევს: „ავაზაკისებრ ვჭმობ: მომიჭსენე, და პეტრესებრ ვტირ: მილხინე, მაცხოვარ, მეზურისაებრ ვგოდებ, მეძვისაებრ ვცრემლოვ, მიითუალე ჩემი გლოვაჲ, ვითარ კანანელისა“. სულის ეს ღაღადისი გრძელდება საგალობლის ბოლო სიტყვებამდე.

არსენ იყალთოელი, ბუნებრივია, კვლავ არ ღალატობს თავის მთარგმნელობით პრინციპებს, გადმოაქართულებს ოცივე ტროპარს, ზედ დართულ „სამებისანსა“ და „ღმრთისმშობლისანს“. ექვთიმე ათონელის მთარგმნელობითი მეთოდი კი კვლავ დინამიკური თარგმანის სტილს უფრო მიეკუთვნება. ჯერ ერთი ექვთიმე ათონელს კვლავ შეაქვს ტექსტში კომპოზიციური ცვლილებები. არ აქვს თარგმნილი III, IV, V, VI, VII, XI, XII, XIII, XXIII ტროპარები, ჩამატებული აქვს VII და XIII ტროპარები.

გიორგი ათონელი ერთგულია დედნისა, ცვლის ექვთიმე ათონელის XIII ტროპარსაც (გვერდს უვლის VII ტროპარს). თარგმნისას ოსტატურად გადმოაქვს დედანი, რომელსაც შეჰმატებს სუბიექტურ ელფერს, რითაც აძლიერებს გალობის ემოციურობას. მივყვეთ ტექსტს. ყურადღებას გავამახვილებ არსებით მომენტებზე.

I ტროპარი არსენ იყალთოელის თარგმანი ოდენ სემანტიკური ვარიანტების ფარგლებში რჩება, არსებითი ცვლილებები არ გვხვდება.

დედანშია:	არსენ იყალთოელის თარგმანი:
Ἡμαρτηκότα, Σωτήρ, ἐλέησον, διέγειρόν μου τόν νοῦν πρὸς ἐπιστροφὴν, δέξαι μετανοοῦντα, οἰκτείρεσον, βιάσντα ἡμαρτόν σοι, σῶσον, ἡνσίμωσα, ἐλέησον με.	შეცოდებული შემინყნარე, მწსნელო, და წადიერ-ჰყავ გული ჩემი მოქცევად, მონანული მაცხოვრე და მომხედენ, რომელი ვჭმობ: შეგცოდე, შემინყალე და წარწყმედული მპოვე.

νοῦν გადმოტანილია, როგორც „გული“ და არა „გონება“, რაც მხოლოდ არსენ იყალთოელისთვის არ არის დამახასიათებელი. ვარიანტებულია დამამთავრებელი ტაეპი: ἡμαρτόν σοι, σῶσον, ἡνσίμωσα, ἐλέησον με. („მაცხოვრე, უსჯულოება ვქმენ, შემინყალე მე“).

ექვთიმე ათონელი ძალზედ ლაკონიურია, გიორგი ითვალისწინებს ექვთიმე ათონელის თარგმანს და განავრცობს მას დედნისეული პასაჟებით: „ღმობიერ-ყავ ჩემი გონებაჲ“ (და არა „გული“, როგორც არსენ იყალთოელთან გვაქვს).

II ტროპარი: არსენ იყალთოელს სრულად გადმოაქვს ტექსტი. ექვთიმე ათონელიც გადმოსცემს ტროპარის დედააზრს, ოღონდ მასში აზრობრივი აქცენტები მონაცვლეობენ. ბერძნულში ტროპარი იწყება ელიას სასწაულის აღწერით, ბოლო ტაეპში კი გაისმის მოწოდება: τὸν τοῦ οὐν, φυχῆ μου, τὴν ἄνοιον ἀναλογίζῃ. („აღსვლაჲ მისი გულისხმა-ჰყავ, სულო ჩემო“).

ექვთიმე და გიორგი ათონელებთან ტროპარი იწყება მოწოდებით: „იჴსენებდი შენ, სულო, ამალღებასა ელიაჲსა“. გიორგი აგრძელებს ტექსტის ინტერპრეტირებას და მასში ნაგულისხმებ შინაარსს უფრო ნათელს ხდის: „ისწრაფე შენცა, რაჲთა განეშორო სოფელს საქმეთაგან და სათნოდ ცხოვრებითა ზეცად აჰმალდე, მძლექმნილი ჳორცთა ნებათა“.

III ტროპარშიც ანალოგიური ვითარებაა.

IV და V ტროპარები არსენ იყალთოელის თარგმანის შემცველ ხელნაწერებში ადგილმონაცვლეობენ, გიორგი ათონელის თარგმანი ბერძნულ ტექსტს მიჰყვება. უნდა აღინიშნოს, რომ გიორგი ათონელის ტექსტში წარმოდგენილი თანმიმდევრობა ტროპარებისა გამართლებულია, რადგან V ტროპარში გრძელდება ელიას თემა, IV-ში კი იწყება ახალი თემა. ასეა ბერძნულშიც.

VII ტროპარი მთავრდება მოწოდებით: „καὶ πρόσθαμε τῇ μετανοίᾳ“, რომელსაც არსენ იყალთოელი შემდეგნაირად თარგმნის: „შეიტკბე სინანული“, გიორგი ათონელი კი განავრცობს სინანულის თემას, თუმცა არ ახსენებს ბიბლიურ ოზიას. მომაქვს ორივე მთარგმნელის ინტერპრეტაციები:

არსენ იყალთოელი	გიორგი ათონელი
ოზიას მიმსგავსებითა, ჰ, სულო, მრჩობლ გაქუს შენ შორის კეთროვანებაცა მისი, ბილნთა საქმეთა წურთითა და უსჯულოთა ქმნითა, დუტევენ ესენი და შეიტკბე სინანული. (VII ტროპარი)	მრჩობლითა კეთროვანებითა შეგინებულ იქმენ, ჰ, უბადრუკო სულო, რომელ არს მნიკული გულისსიტყუათაჲ და ბილნებაჲ საქმეთაჲ, რომელნი-იგი მოიძაგენ და სინანული უბიწოჲ წადიერად შეიტკბე, რაჲთა გაცხოვნოს და გიჴსნას სატანჯველთაგან. (VII ტროპარი)

VIII ტროპარი. არსენ იყალთოელს თარგმნისას დედანთან სრული შესაბამისობა აქვს დაცული. ექვთიმე ათონელს მეტისმეტად შეუმოკლებია (შესაძლოა, პრობლემა ხელნაწერებშია, ან თვითონ ექვთიმეს ჰქონდა ნაკლული დედანი, ან ჩვენამდე მოღწეული ქართული ხელნაწერები შეიცავენ ხარვეზს). თუმცა ისიც უნდა ითქვას, აქაც გაისმის, ნინეველთა მჴურვალე სინანულის ბაძვა რომ გვმართებს. ამ მიზნით ექვთიმე ათონელი მცირე მოცულობის III ტროპარს გვთავაზობს. გიორგი ათონელი კი აფართოებს ტექსტს მისთვის დამახასიათებელი კვანტიტაური ჩართვით, რაც ტექსტის გაგებას, შინაარსის სრულ წვდომას ემსახურება, და ამ შემთხვევაშიც მიღწეულია მიზანი:

არსენ იყალთოელი:	გიორგი ათონელი:
გასმიეს ნინეველთა შევრდომაჲ ღმრთისაჲ ძაძითა და ნაცრითა, სულო, რომელთა არა ჰბაძავ, არამედ გამოსჩნდები უძკრეს ყოვლთავე პირველთა და შემდგომთა სჯულისათა. (VIII ტროპარი)	ნინეველთაჲ, სულო ჩემო, გესმა სინანული მწურვალე ღმრთისა მიმართ, რომელთა ძაძითა, და ნაცრითა, და ცრემლთა მდინარითა, და მარხვითა მოწყალე- ყვეს უფალი, და ყოვლად არაჲ ჰბაძავ და ესრეთ ყოველთავე შეცოდებულთა უმედგრეს იქმენ, უბადრუკო. (VIII ტროპარი)

გიორგი ათონელის თარგმანში ბოლო ტაეპი შემოკლებულია, დედააზრი კი უცვლელადაა გადმოტანილი. არსენ იყალთოელს დაუცავს დედნის ლექსიკა; „რომელთა (ნინეველთა — ლ. გ.) არა ჰბაძავ, არამედ გამოსჩნდები უძკრეს ყოველთავე პირველთა და შემდგომთა სჯულისათა“ (ნინეველებს რომ არ ჰბაძავ, გამოჩნდები ყველაზე უარესი, ვინც კი სცოდა სჯულამდე და სჯულის შემდეგ). გიორგი ათონელმა შეამჭიდროვა სათქმელი: „სჯულამდე თუ სჯულის შემდგომი ცოდვათა ყველა ჩამდენნი“ და ერთი დეფინიციით — „ყოველი შეცოდებული“ — გააერთიანა.

IX ტროპარი ყურადღებას იპყრობს ქართველ მთარგმნელთა ინტერპრეტაციებით. არსენ იყალთოელი არ გამოდის დედნის ჩარჩოებიდან, ექვთიმე ათონელი და მასთან ერთად გიორგი ათონელი კი სხვაგვარად ავითარებენ აზრს. არსენი, შესაბამისდ ბერძნული ტექსტისა, იტყვის: იერემია სიონისათვის გოდებდა, მიემსგავსე ცრემლთა ღვრით მის ცხოვრებას და სცხონდები. ექვთიმე ათონელი კი კონტრასტული პარალელიზმის გამოყენებით საინტერესოდ ავითარებს აზრს: [იერემია] ერისთვის ღვრიდა ცრემლს, „შენ თვსთა ცოდვათათჳს არა იგლოვ, არცა ითხოვ მწურვალეთა ცრემლთა წყაროსა, რაჲთა ჰპოვო მიტევებაჲ ცოდვათა შენთა“ (V ტროპარი).

გიორგი ათონელი ფაქიზი ნიუანსების შემატებით თითქოს დაასრულებს, ბოლომდე ნათელყოფს სათქმელს:

მიჰხედენ, ჳ, სულო ჩემო,
 ცრემლით გოდებასა
 მას ერემიაჲსსა
 ტომთათჳს.
 და შენ, თვსთა ბრალთათჳს
 არაჲ სტირ და არც ითხოვ
 მწურვალეთა ცრემლთა წყაროსა, რაჲთა
 ჰპოვო ცოდვათა შენთა
 ურიცხუთა მოტევებაჲ
 და ესრეთ განერე
 ცეცხლისაგან უშრეტისა.
 (IX ტროპარი)

ამ ტროპარების ქართული თარგმანები საინტერესოა ტერმინოლოგიური თვალსაზრისით. ბერძნულშია: „πᾶν τὸν Σῶν“, არსენთან არის მხოლოდ „სიონი“ („მასმიეს სიონისათჳს“), ექვთიმესთან გვაქვს „ერი“ („ცრემლთა მათ ღვრემიასთა ერისათჳს“), გიორგისთან „ტომი“ („ცრემლით გოდებასა მას ერემიასსა ტომთათჳს“).

„ქალაქი“, „ერი“, „ტომი“ ეკვივალენტურ ცნებებად და ტერმინებადაა მოაზრებული.

X ტროპარი არსენ იყალთოელს ზედმინვეთი სიზუსტით აქვს თარგმნილი, ექვთიმეს თარგმანი თავისუფალი, ინტერპრეტაციულია. ინტერპრეტაციულია გიორგი ათონელის თარგმანიც, თვალსაჩინოა მასზე ექვთიმეს თარგმანის ზეგავლენა.

XI ტროპარის არსენისეული თარგმანი დედნის შესატყვისია. გიორგი ათონელი გაშლის სათქმელს და ტროპარს მხატვრულად და ემოციურად აძლიერებს:

„დანიელ მღვმესა შინა
დაუყვნა, ჰ, სულო,
მწეცთა პირნი და ყრმათა
საჯუმილი
საზარელი დაშრიტეს,
რამეთუ სინმიდითა
და მარხვითა
ბრწყინვალედ შემკულ იყვნეს,
ამათ მიემსგავსე შენ
და ვნებათა საჯუმილი,
მგ ზებარე შენ შორის,
დაშრიტე მოღუანებიტა“.
(XI ტროპარი)

ექვთიმე ათონელს ეს ტროპარი არ გადმოუღია, მის სანაცვლოდ ვედრების შემცველი მცირე მოცულობის ტროპარია ჩართული:

„ჰ, მართალთა მსაჯულო ქრისტე,
შემიწყალე და მიჰსენ მეცა
გეჰენიისაგან, რაჟთა ჯმა-ვყო:
აკურთხევდით“.
(VII ტროპარი)

უნდა აღინიშნოს, რომ ამ გალობაში, რომელსაც ქართულად „აკურთხევდითსა“ ეწოდება, ექვთიმეს თარგმანში (განსხვავებით არსენ იყალთოელისა და გიორგი ათონელისაგან), რამდენიმე ტროპარი მთავრდება მოწოდებით „აკურთხევდით“ და გულისხმობს შესაბამის გაგრძელებას.

XII ტროპარი „დიდი კანონის“ საღვთისმეტყველო-ეთიკურ-ესთეტიკური კრედოს გამომხატველია:

„ძუელისა
აღთქუმისანი ყოველნივე
სახედ მოგართუნ, სულო,
რაჲთა ემსგავო
მართალთა საქებელსა
საქმესა და ევლტოდი
ხენეშსა მას
და ბილნს ცოდვასა უკეთურთასა“.

გიორგი ათონელსაც ადეკვატურად გადმოუღია ტექსტი. ექვთიმე ათონელი კი, გასაგები მიზეზის გამო, გვერდს უვლის აღნიშნულ ტროპარს: ექვთიმეს ხომ გამოტოვებული აქვს სწორედ ბიბლიურ სახე-მაგალითთა მომცველი ტროპარები, რადგან ითვალისწინებს მკითხველის (მსმენელის) შემეცნებით და ემოციურ შესაძლებლობებს.

XIII ტროპარიდან მიკიდებული, გალობის დასასრულამდე, ისმის მონანული ადამიანის გულმხურვალე ვედრება: „მონყალე ექმნეს უფალი“.

ძველი აღთქმის იპოდიგმებს ჩაენაცვლება ახალი აღთქმის პარადიგმები. ესენია: ქანანელი დედაკაცი, მართა და მარიამი, მირონის მცხებელი მეძავი, მონყალე მწყემსი... მაგალითად დასახულია: მარცხენა ავაზაკი, ცრემლით მღალაღებელი პეტრე მოციქული, მგოდებელი მეზვერე, ცრემლით დაღტობილი მეძავი...

სამივე ქართველი მთარგმნელი გულის სიღრმიდან მომდინარე, ღრმა განცდით დატვირთული ინტონაციით ღალაღებს. სახე, სიტყვა, მაგალითი, ხმის მიმოხრა უზადოა და გამომსახველი. ქართულ პოეტურ მეტყველებაში, მხატვრულ საზოგადოებრივ სისტემაში ადგილს იმკვიდრებენ ადამიანის სულიერ სამყაროში აღმოცენებული, ადამიანის ამაღლებულ განცდათა გამომხატველი სიტყვა-გამოთქმანი: მომიხსენე, მილხინე, შემინყალე, შემინდვე, ვგოდებ, ვცრემლოვ, შეგივრდები, ღმობიერ-მყავ, განმკურნე, რაჲთა აგამაღლებდე, ვღალაღებ, ვსტირ, ვჳმოვ, ვითხოვ, მომიტევენ, შეგცოდე, გიღალაღებ, შემინდვე, გვევდრები, მომიძიე, მიჴსენ, წყალობა-ყავ, მონყალე მექმენ, მეწიე, სულთქმით გიღალაღებ, გოდებით მვედრებელი.

ტკბილი მაცხოვარი, შიშით მონანული, ძრწოლით მღალაღებელი, მრავალმონყალე, მპოვე წარწყმედული, მეწიე შეცთომილსა, შეგრაცხე თანა სამწყსოჲსა შენთასა, ძეო დავითისო, ფესუსა შენსა წიდოვანისაებრ ძრწოლით შევეხები, ვსტირ ცოდვითა მომკუდარსა გლახაკსა სულსა ჩემსა, ცრემლთა ნელსაცხებელი, შიშით მონანული, ძრწოლით მღალაღებელი, ვითარცა მწყემსმან მპოვე წარწყმედული, შენ ხარ ღმერთი მხოლოვ, მონყალე და შემწყნარებელი ყოველთა მონანულთაჲ, არ არს საზღვარი მონყალებათა შენთა და სახიერებათაჲ, სახიერებათა მათ შენთა სივრცე განუცადელი, სამწყსოთა მათ თანა შენთა წმიდათა შემრთე და შემინყალე მე, მეცა მონასა შენსა ნუ განმიშორებ პირისა შენისაგან ტკბილისა. წყლულებაჲ ჩემი განკურნე ზეთითა და ღვნითა, რომელ არს სინანული ცრემლითურთ, პორფირი იგი ჴორცთა ევმანუელისათაჲ მოიქსოვა სულიერი.

IX გალობა (ადიდებდითსა)

IX გალობა, რომლის ძლისპირი ღმრთისმშობელს მიემართება, თავს უყრის სათქმელს. მღალადებელი თავის თავს, თავის „მეს“ ესაუბრება: „მოგიტხარ შენ მოსესი სოფლის შესაქმე, ზ, სულო, რომლისა მიერ ყოველივე სჯულისა წერილი გაუწყე შენდა, მართალთა თანა ცრუნი, ხოლო შენ შემდგომთა ჰბაძავ, უდებო, არა პირველთა მათ, ღმრთისა მიმართ უგუნურქმნითა“. ყურადღება მთლიანად „ახალ წიგნზე“ (ახალ აღთქმაზე) გადადის. მოხმობილია ახალი მაგალითები, ახალი სახისმეტყველებითი ეპიზოდები. საოცრი ზემოქმედების ძალა აქვს გამეორებას, პარალელიზმს. ლამის ყოველ ტროპარში გაისმის: „ქრისტე განკაცნა“, „ქრისტე აცხოვნნა“, „ქრისტე განიცდებოდა“ და ა.შ. მთელი IX გალობის (ისევე, როგორც მთელი ქრისტიანული პოეზიის) ფუძე და გვირგვინი ქრისტე მაცხოვარია, ღალადისი მისკენაა მიმართული.

არსენ იყალთოელი კვლავ არ ღალატობს თავის მთარგმნელობით მეთოდს და ტექსტი უცვლელად გადმოაქვს. ექვთიმე ათონელს არ უთარგმნია ათამდე ტროპარი, თუმცა შეუმატებია ვედრების გამომხატველი ხუთიოდე ახალი ტროპარი.

I ტროპარი. არსენ იყალთოელის თარგმანი ზუსტია, მთარგმნელი მხოლოდ სემანტიკური ვარიანტების უფლებას აძლევს თავს. ექვთიმე ათონელი ამოკლებს ტექსტს, მაგრამ დედააზრს უცვლელად გადმოიტანს. გიორგი ათონელი კი, პირიქით, აფართოებს სათქმელს და რიტმის გამძაფრებით დაძაბულობას ჰმატებს აღსარებას. მომაქვს სამივე თარგმანის ნიმუში:

არსენ იყალთოელი:	ექვთიმე ათონელი:	გიორგი ათონელი:
გონებაჲ მწარედ წყლულ არს, ჯორცნი — დაჴსნილ და განკაფულ, სნეულ არს სული, მოუძღურებულ — სიტყუაჲ, წარწირულ არს ცხორებაჲ, და სიკუდილი კართა ზედა, ვინაჲცა, უბადრუკო სულო, რაჲ-მე ჰყო, ოდეს მოვიდეს მსაჯული დიდი განსჯად შენდა? (I ტროპარი)	გონებაჲ ჩემი მოწყლულ არს და ჯორცნი — შებღალულ ცოდებათა სიმრავლითა, სული განფრდილი და სიკუდილი კართა ზედა მოახლბულ არს, რაჲ-მე ვყო მედგარმან, რაჴამს განკითხვად მოვიდეს ქრისტე ღმერთი? (I ტროპარი)	გონებაჲ ჩემი მოწყლულ არს, ხოლო ჯორცნი — დაჴსნილ და სული — სნეულ, სიტყუაჲ — უძღურ, ცხორებაჲ — მომკუდარ და სიკუდილი — მონევენულ, და რაჲ-მე-ჰყო შენ, უბადრუკო სულო, რაჴამს განსჯად მოვიდეს ღმერთი და განკითხვიდეს შენთა საქმეთა, გულისსიტყუათა და განზრახვათა თუალუხუავად? (I ტროპარი)

II ტროპარი. არსენ იყალთოელი მიჰყვება ტექსტს, სრულად გადმოსცემს შინაარსს, მაგრამ მისეული სინტაქსური კომბინაციები ცოტა ბუნდოვანს ხდის ტექსტს. ამის თქმის უფლებას გვაძლევს გიორგი ათონელისეული თარგმანი აღნიშნული ტროპარისა, აგრეთვე, ე. ლოვიაგინის თარგმანი, გვ. კოპლატაძის მიერ გადმოღებული ტექსტი:

არსენ იყალთოელი:	გიორგი ათონელი:
მიგითხარ შენ მოსესი სოფლის შესაქმე, ზ, სულო, რომლისა მიერ ყოველივე სჯულისა წერილი გაუწყე შენდა, მართალთა თანა ცრუნი, ხოლო შენ შემდგომთა ჰბაძავ, უდებო, არა პირველთა მათ, ღმრთისა მიმართ უგუნურქმნითა. (II ტროპარი)	მოსეს წერილნი მოგითხრენ, სულო, და მათ შინა თქმულნი უწყებანი ცრუთა და მართალთათჳს, ყოველნი აღმოგიკითხენ ცუდად, ვინაჲთგან ულმოებელ ხარ და არაჲ ემსგავსები ღირსთა, არამედ ცრუთა და განქიქებულთა, და ურიდად და წარმდებებით სცოდავ წინაშე ღმრთისა. (II ტროპარი)

სურათინთელია, გიორგი ათონელი ოდნავ სცილდება (სემანტიკური ველიდან გაუსვლელად) დედანს და ამ გზით თითქოს უფრო გვაახლოებს მასთან. ასეთი მიდგომა თარგმნის დინამიკური სტილისთვისაა დამახასიათებელი.

ექვთიმე ათონელი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რაკი ბიბლიური სახისმტყველებიდან ჭარბი ნიმუშების მოხმობას ერიდება, მსგავსი ხასიათის ტროპარებს გვერდს უვლის.

III და IV ტროპარები არსენ იყალთოელსა და გიორგი მთაწმიდელს ზუსტად უთარგმნიათ, თუმცა ორივეს თარგმანს ატყვია მთარგმნელთა ხელწერა.

V ტროპარი (მას შინაარსით შეესაბამება გიორგის VI ტროპარი) არსენ იყალთოელსაც და გიორგი ათონელსაც შესატყვისად გადმოუღიათ, ოღონდ დედნისეული ერთი ნიუანსი არსენ იყალთოელის თარგმანში გაფერმკრთალებულია, გიორგი ათონელს კი ის შეუმჩნეველი არ დარჩენია და ზუსტად გადმოუტანია:

„ἢ θύρα ἰνέσεται τῆς βασιλείας
ἥδη, καὶ προεράζουσιν αὐτὸν φαρισαῖοι
καὶ τελῶναι καὶ μοιχοὶ μεταποιούμενοι“.

გიორგისთან გაისმის გაფრთხილება: „სასუფევლის კარი ღიაა და მას მიიტაცებენ (შენზე ადრე) მონანული მეზუერენი და მეძავნი“...

არსენ იყალთოელის ფრაზა კი უფრო მოზომილია: „განხუმულ არიან კარნი სასუფევლისანი და შევლენ მას შინა ყოველნივე მეზუერენი და...“

ექვთიმე ათონელის თარგმანი თავისუფალია, აქ არცაა ნახსენები „მეზუერენი“ და „მეძავნი“, თუმცა მოწოდება მკაფიო და მიზანდასახულია: „შეინანე, ვიდრელა სასუფეველი ღიად არს, ისწრაფე, რაჲთა არა დაჰჴმას იგი და გარე-დაშთე შენ“ (II ტროპარი).

VI ტროპარი დატვირთულია ღრმა საღვთისმეტყველო შინაარსით. სამივე მთარგმნელს დაცული აქვს და გადმოღებული ტროპარის დედაზრი:

არსენ იყალთოელი:	ექვთიმე ათონელი:	გიორგი ათონელი:
ქრისტე განკაცნა, სულო, და ჯორცითა გუეზრახა ჩუენ და ყოველნივე ბუნებისა საქმენი სრულებით აღასრულნა, თვნიერ ხოლო ცოდვისა, და ხატი და სახე გიჩუენა დამდაბლებისა თვსისაჲ, რაჲთა განგაახლოს წყალობით. (VI ტროპარი)	ქრისტე განკაცნა, ო, სულო, ყოველი ნეფსით ბუნების ჩუენისა საქმე მიიღო, თვნიერ ცოდვისა, რაჲთა შენ მოგცეს სიმდაბლითა თვსითა სახე სინანულისაჲ და ცხორებად. (III ტროპარი)	ქრისტე განკაცნა, ჰ, სულო ჩემო, და ყოველი საქმე ბუნებისა ჩუენისა ნეფსით მიიღო, თვნიერ ხოლო ცოდვისა, რაჲთა შენ მოგცეს სიმდაბლითა თვსითა სახე სინანულისაჲ ცხორებად, მას უკუე ევდრებოდე, რაჲთა ღირს-გყოს მიბაძვებად სიმდაბლეთა თვსთა მაღალთა. (V ტროპარი)

VII-X ტროპარები ქრისტე მაცხოვრის სასწაულების თემას ეფუძნება, ტროპართა დედააზრი ამ სასწაულებთან მიმართებაში იხსნება და კონტრასტული პარალელიზმით რეალიზდება.

არსენ იყალთოელს უცვლელად გადმოაქვს VII ტროპარის საღვთისმეტყველო და მხატვრული შინაარსი (ერთგან „ჩვილთა **სიმრავლე** — **σὺν ἑνὶ ὄντι** — შეუცვლია „ჩჩვლთა **ბანაკით**“). გიორგი მთაწმიდელი გვთავაზობს „ჩჩვლთა მწყობრს“ და ტროპარის ბოლო ტაეპს გააფართოებს: „ვაჲ შენდა, საწყალობელო, დღესა მას განკითხვისასა, რაჟამს დაისჯებოდი ღმრთისაგან“ (VII ტროპარი).

გიორგი ათონელი VIII ტროპარს ჩაამატებს (შესაძლოა, ეს განსხვავებული წყაროთი იყოს ნაკარნახევი), განსაცდელის მოტივს შემოიტანს. ეს თემა გრძელდება შემდეგ ტროპარებშიც.

VIII ტროპარიდან ექვთიმე ათონელიც ჩაერთვება და სამივე მთარგმნელი მიჰყვება ტექსტს. თუმცა სამივე თარგმანს ატყვია მთარგმნელთა ინდივიდუალური მიდგომა. არსენ იყალთოელის თარგმანი ზუსტია, მხოლოდ ტროპარის დასასრულს მეტაფორული სახისმტყველებით ჩაანაცვლებს დედნისეულ ფრაზეოლოგიას.

დედანშია:	გვ. კოპლაცაძის თარგანი:
ψυχῇ, μὴ ἀθυσμῆτης, ἅν σοι προσιβᾶλη ὁ ἐχθρὸς, προσηυχῇ τε καὶ νηστεία ἐκ ποδῶν ἀποκριῶσθῆται σοι (VIII ტროპარი)	სასოს ნურცა შენ წარიკვეთ, სულო, არამედ მოგიხდეს თუ მტერი, დაე, ლოცვითა და მარხვითა ფერჯთა შენთაგან უკუნ-იქცეს. (VIII ტროპარი)

არსენ იყალთოელი:	ექვთიმე ათონელი:	გიორგი ათონელი:
...სულო, მოგიწდეს თუ მაცთური, რამეთუ მარხვაჲ და ლოცვაჲ გქონან საჭურველად მის ზედა. (VIII ტროპარი)	...და შენ გასწავა, სულო ჩემო, რაჲთა მტერთა ბრძოლასა მარხვითა და ლოცვითა ენყვებოდე. (IV ტროპარი)	...გასწავოს, სულო ჩემო, განფრთხობად და არა მომედგრებად, რაჲთა რაჟამს შენცა გენყვებოდეს მტერი, მარხვითა და სიმდაბლითა და ლოცვითა დასცე, და იოტო იგი შენევნითა საღმრთოთა. (IX ტროპარი)

ამავე, VIII ტროპარში ცხადად იკვეთება ქართველ მთარგმნელთა დამოკიდებულება ფრაზის სტილისა თუ სემანტიკისადმი. არსენ იყალთოელი იტყვის: „მერმე შეემშია მას“ (მაცხოვარს — ლ.გ.), რაჲთა **აჩუენოს კაცთა ბუნებისა ქონებაჲ**; ექვთიმე ათონელი უფრო დანეხილი ფრაზით გამოხატავს სათქმელს: „რაჲთამცა **საცნაურ-ყო განკაცებაჲ**“, გიორგი ათონელი კი გაშლის თემას და ბუნებრივი, სადა ფრაზეოლოგიით აღწევს მიზანს: „რაჲთა **ცხად-ყოს კაცებაჲ** და შენ გასწავოს“.

უნდა ითქვას, რომ ამ კონკრეტული ტროპარისთვის დამახასიათებელი მთარგმნელობითი თავისებურებანი ჩვენი მთარგმნელების შემოქმედებით პრინციპთა თვალსაჩინო მახასიათებელია.

IX ტროპარი არსენ იყალთოელს სრულად აქვს გადმოცემული. ექვთიმე ათონელს ტენდენციურად განუვრცია ტექსტი, შეუტანია პირადი განცდის გამომხატველი ტაეპები. არსენ იყალთოელი მისდევს დედანს: „ქრისტე განიცდებოდა, ხოლო ეშმაკი განსცდიდა“. ექვთიმე ათონელი ღრმა ემოციით დატვირთავს სათქმელს: „ქრისტეს ეშმაკმან შეჰკადრა გამოცდად, ზ, სულო, შეძრწუნდი და იხილე, შენამცა ოდეს გრიდა, გარნა თავადსა ქრისტესა შეუვრდი, რაჲთა მან მოგცეს ძლევაჲ, რომელი შენთჲს გამოიცადა“. გიორგი ათონელი სიტყვასიტყვით იმეორებს ექვთიმეს თარგმანს: „ქრისტეს ეშმაკმან შეჰკადრა, სულო, გამოცდად, იხილე და შეძრწუნდი, შენმცა ოდეს გრიდა“...

X ტროპარი. ექვთიმე ათონელს ეს ტროპარი არ უთარგმნია. გიორგი ათონელი აბსოლუტური სიზუსტით თარგმნის ტექსტს. ამ თარგმანის თანხვედრია არსენ იყალთოელის თარგმნილი ტექსტიც:

გიორგი ათონელი:	არსენ იყალთოელი:
გურიტმან, უდაბნოჲს მოყუარემან, და ჴმამან დიდმან ღალადებისამან და სანთელმან ქრისტესამან ჴმა-ყო ჴმა-ტკბილად სინანული, ხოლო ჴეროდე უღმრთო იქმნა იროდიას თანა. იხილე, სულო ჩემო, ნუ ემსგავსები უშჯულოთა, არამედ მოიქეც სინანულად და ჴპოვო ნყალობაჲ.	გურიტმან უდაბნოჲსამან, ჴმამან ღალადებისამან, ქრისტეს სანთელმან ჴქადაგა სინანული, ხოლო ჴეროდე უღმრთო იქმნა იროდიადაჲს თანა; იხილე, უბადრუკო სულო, და ნუ დაეცემი შენცა, არამედ შეიტკეპე მოქცევაჲ.

გიორგი ათონელის გავლენა არსენ იყალთოელის თარგმანზე აშკარაა, თუმცა ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ორივენი ერთგულნი არიან ორიგინალისა.

XI ტროპარი. ექვთიმე ათონელის თარგმანი თავისუფალია, დანწეხილია, როგორც მოწოდება სინანულისაკენ გიორგი ათონელი და არსენ იყალთოელი მისდევენ დედანს.

XII ტროპარი ღრმა ჰერმენევტიკული აზრითაა დატვირთული. მასში ქორწილის საკრალურობაზეა აქცენტი გაკეთებული. ამასთანავე, ხაზგასმულია ქრისტეს პირველი სასწაულის განსაკუთრებულობა; ქრისტემ ქორწილზე ღვინოდ შეცვალა წყალი და ამით მიგვანიშნა, რომ ადამიანშიც უნდა მოხდეს მსგავსი გარდასახვა. არსენ იყალთოელმა ტექსტი დედნის შესაბამისად თარგმნა: „ესე პირველად ნიშად აჩვენა, რაჟთა შენცა შეგცვალოს, სულო“. ექვთიმე ათონელმა გამოტოვა ტროპარის პირველი ნაწილი (ქორწინების სინმიდებზე) და წამოსწია ადამიანის სულიერი ამაღლების თემა. მას მიჰბაძა გიორგი ათონელმაც, ოღონდ მან არც ქორწილის თემას აუარა გვერდი, პირიქით, ადამიანს მოუწოდა ზეციური ქორწილისკენ სწრაფვა (იხ. XIII ტროპარი) და სულიერი გარდასახვის მოტივიც საოცარი ოსტატობით გამოკვეთა:

ექვთიმე ათონელი:	გიორგი ათონელი:
შეუვრდი შენ, სულო ჩემო, მეუფესა ქრისტესა, რაჟთა ვითარცა-იგი კანას წყალი ღვინოდ შეცვალა, ეგრეთვე შენი სიგრილე მჭურვალეზად შეცვალოს საღმრთოდ, რაჟთა არა წყლებრ დაითხიო. (VII ტროპარი)	შეუვრდი, გლახაკო სულო ჩემო, ქრისტესა მეუფესა, რაჟთა ვითარცა-იგი კანას წყალი ღვინოდ შეცვალა, ეგრეთვე შენიცა სიგრილე საღმრთოდ მჭურვალეზად შეცვალოს, რაჟთა არა წყლებრ დაითხიო შენ, არამედ მსგავსად ღვნისა იყო მახარებელი შეურვებულთა“ (XIV ტროპარი)

XIII ტროპარი კვლავ ქრისტეს სასწაულებს ეხება, არსენ იყალთოელი და გიორგი ათონელი ერთგულად მისდევენ ტექსტს (ექვთიმე ათონელს უთარგმნელად დაუტოვებია), რომლის დასასრული გიორგი ათონელმა კლასიკური სრულყოფილებით დააგვირგვინა: „და ესრეთ მდიდრად, სულო ჩემო, გაუნყა შენ წყალობითა თვსთა სივრცე, რაჟთა გაცხოვნოს“ (XV ტროპარი).

XIV ტროპარის არსენ იყალთოელისეული თარგმანი ორიგინალის ადეკვატურია, ექვთიმე ათონელმა ამ ტროპარის შინაარსი სამ სტროფში (X, XI, XII) გაშალა და ყოველი მათგანი თხოვნა-ვედრების გამომხატველი მიმართვებით დატვირთა. გიორგი ათონელს ექვთიმეს თარგმნილი ეს ტროპარები გადმოაქვს, ცხადია, არა უცვლელად და ორიგინალისა და ექვთიმესეული ტროპარების ურთიერთშეზავებით გამომსახველობის ახალ საფეხურს აღწევს. მაგალითისთვის მოვიტან ერთი ტროპარის სამივე თარგმანის ნიმუშებს:

არსენ იყალთოელი:	ექვთიმე ათონელი:	გიორგი ათონელი:
წიდოვანი განკურნა, შე-რაჲ-ეხო ფესუსა მისსა, და კეთროვანნი განწმიდნა, დაღრეკილნი და ბრმანი განჰმართნა და განანთლნა, ხოლო ყრუნი და უტყუნი, და დაღონებულნი სიტყვით განკურნნა უფალმან, რაჲთა შენცა გაცხოვნეს, სულო. (XIV ტროპარი)	წიდოვანი შეეხო ქრისტეს სამოსლისა ფესუსა, მეცსეულად განწმიდნა და შენცა, ჰ, სულო ჩემო, გონებითა მიეახლე მას, რაჲთა ვნებათა შენთა მდინარენი განაჰმნეს ღმერთმან. (X ტროპარი)	წიდოვანი რაჲ შეეხო ფესუსა სამოსლისასა, განწმიდა მესწნელმან, და კეთროვანნი, და ბრმანი, და მკელობელნი განკურნა, და ყრუნი, და უტყუნი მეტყუელ- ყვნა, და შენცა მჭურვალედ შეუვრდი, სულო ჩემო, რაჲთა ვნებათა მათ შენთა მრავალსახენი იგი სალმობანი განკურნნეს წყალობით. (XVIII ტროპარი)

XV ტროპარი (ე. ლოვიაგინთან XVI ტროპარია) არსენ იყალთოელის თარგმანში რამდენადმე ბუნდოვანია, თითქოს აკლია სიზუსტე (შესაძლოა, გადამწერთა მიერ იყოს ტექსტი შებღალული).

დედანშია:	ქართული თარგმანი გვ. კოპლატაძისა
Τελώνης ἐσώζετο, καὶ πόρνη ἐσωφρόνιζε, καὶ φαρισαῖος αὐτὸν κατεκρίνετο· ὁ μὲν γὰρ, ἰλασθῆναι ἦ δε, ἐλθέσόν με· ὁ δὲ ἐκόμπαζε βίῳ· ὁ Θεός, εὐχαριστῶ σοι, καὶ ἐξῆς τὰ τῆς ἀνοίας ρητά. (XVI ტროპარი)	მეზვერე გადარჩა, მეძავი განწმიდა, მზვაობარი ფარისეველი კი დაისაჯა, რამეთუ პირველიხმობდა: მილხინემე, მეორე — შემინწყალე მე, ხოლო მესამე სიქადულით ამბობდა: გმადლობ შენ, ღმერთო, და სხვათა უგუნურთა სიტყვათა. (XVI ტროპარი)

ტროპარში საუბარია მეზვერეზე, მეძავზე და ფარისეველზე, რომელთაგან თითოეულს თავისი სავედრებელი ჰქონდა უფალთან. არსენ იყალთოელის თარგმანში მკაფიოდ არ არის გამოკვეთილი ეს იერარქია: „იგი ამბობდა: მაცხოვრე, და ესე — ღმერთო, მილხინე, ხოლო მესამე სიქადულით იტყოდა: გმადლობ შენ“...

XVI ტროპარი (ე. ლოვიაგინთან XV ტროპარია) ექვთიმე და გიორგი ათონელებს არ უთარგმნიათ, არსენ იყალთოელის თარგმანი ზედმიწევნითია, ოღონდ რატომღაც გვერდი აუვლია ქრისტიანული თეოლოგიის საკვანძო ტერმინისთვის — ქრისტე = ლოგოსი || ქრისტე = სიტყვა. დედანშია: „Τὰς νόμους ἰσμενοῦς, πτοχοῦς εὐηγγελίζατο **ΧΡΙΣΤΟΣ ὁ Λόγος**“ (XV ტროპარი), არსენ იყალთოელის თარგმანში კი ვკითხულობთ: „გლახაკთა ახარებდა, სწეულებათა ჰკურნებდა და ვნებულთაგან ვნებათა აოტებდა **ქრისტე**“ (XVI ტროპარი).

XVII ტროპარის თარგმანში არსენ იყალთოელს საგულისხმო დეტალი შეაქვს, ფარისეველ სიმონზე. დედანში მხოლოდ ისაა ნათქვამი, რომ იგი „ცდუნდა“ („Καὶ φαρισαῖος ὁ Σίμων

ἑσθλὰς), არსენი კი დამატებით ცნობას გვანვდის: „ფარისეველ სიმონ პურისმტე იქმნა“. შესაძლოა, არსენზე, სახარებასთან ერთად, გავლენა მოახდინა გიორგი ათონელის თარგმანმა: „სახლსა სიმონისსა ისერა“.

XVIII ტროპარი. არსენ იყალთოელის მიერ ზუსტადაა ნათარგმნი, ექვთიმე ათონელი ტექსტის დედააზრს კი გადმოიტანს, მაგრამ არ ცდილობს სრული შესაბამისობის დაცვას. გიორგი ათონელი ამ ტროპარის შინაარსს ჩააქსოვს თავისი თარგმანის XXI ტროპარში.

XIX-XX ტროპარები არსენ იყალთოელსა და გიორგი ათონელს დედნის შესაბამისად აქვთ თარგმნილი, ექვთიმე ათონელს კი არ გადმოუღია ისინი.

XXI-XXII ტროპარების ქართული თარგმანები ზედმინევნითია, ყურადღებას იქცევს საღვთისმეტყველო დეფინიციებით. არსენი მაცხოვარს მიმართავს სიტყვებით: „ძეო ღმრთისაო“ (დედანშია: „ძეო დავითისო“ — ὁ υἱὸς Δαβὶδ), ექვთიმე ათონელი მას „მაცხოვრად“ უხმობს, გიორგი ათონელი კი სრული დეფინიციით მოუწოდებს მას: „კაცებითა ძეო დავითისო და ღმრთეებითა ძეო ღმრთისაო“.

მეცხრე გალობის (ადიდებდითასას) კულმინაცია XXIII ტროპარში აღწევს ზენიტს, სამივე ქართველი მთარგმნელი დედნის საფუძველზე შემადრწუნებელ ხატს ქმნის:

არსენ იყალთოელი:	ექვთიმე ათონელი:	გიორგი ათონელი:
დაბადებულნი განჰკრთეს, ჯუარცუმულსა რაჲ გხედვიდეს შენ; მთანი და კლდენი შიშისაგან განიპნეს, ქუეყანაჲ შეირყია, ჯოჯოხეთი ოკერ იქმნა, დაბნელდა ნათელი მზისაჲ, რაჟამს ჯუარიტა ვნებულად გიხილეს შემოქმედი თჳსი. (XXIII ტროპარი)	დაბადებულნი შეძრწუნდეს, რაჟამს-იგი ჯუარსა ზედა გიხილეს, ქრისტე, მთანი და კლდენი განიპნეს და ქუეყანაჲ შიშით შეიძრა, და ჯოჯოხეთი მოკუდა და ჩუენ ვპოვეთ წყალობაჲ. (XVII ტროპარი)	დაბადებულნი შიშით შეძრწუნდეს, რაჟამს გიხილეს შენ ჯუარცმული, მთანი და კლდენი განიჴსნეს, და ქუეყანაჲ შეიძრა, და ნათელი მზისაჲ დაბნელდა, ხოლო ჯოჯოხეთიწარმიტყუენა; ამისთჳს ძლიერებათა შენთა უსაზღვროთა უგალობთ და მადლობით გადიდებთ, მჴსნელო. (XXV ტროპარი)

XXIV-XXV დამამთავრებელი ტროპარები განმსჭვალულია ინტიმით, ვედრებით, ცრემლით, სასოებით. ეს ტონალობა გადმოდის ქართულ თარგმანებშიც. სამივე მთარგმნელი უფალს შესთხოვს „შემუსვრილ გულს“, „გლახაკობას სულთა“, „ანგელოზთა თანა“ განსასჯელად მოსულ შემოქმედს შესთხოვენ შეწყალებას.

გიორგი ათონელი სინანულის თემას დააგვირგვინებს „დიდ კანონში“ უკვე გაჟღერებული ტექსტის ვარიაციით:

„ძუელთა და ახალთა
აღუთქუმათაგან

სწავლანი მოგითხრენით, შენ,
სულო,
რაჲთამცა ღმობიერ-ვყავთ
ულმობელი გონებაჲ შენი,
არამედ ქვისა გულსა ვზრახავთ,
ვინაჲთგან ულმობელობაჲ ეგე
შენი
უძკრეს აღმატების
და ვაჲ არს შენდა, დღესა მას დიდსა საშჯელისასა“.
(XXIX ტროპარი)

კიდევ უფრო მძაფრად ჟღერს გიორგი ათონელის მიერ შემატებული XXX ტროპარი:

„უკუეთუ კეთილთა ქადაგებანი
და სატანჯველთა შინებანი,
და მართალთა პატივნი, და ცოდვილთა
მწარედ დასჯანი
და სურვილი სასუფეველისაჲ,
და ჭირთა ჯოჯოხეთისათა სიმწარე
ვერ მოგდრეკს შენ, სულო ჩემო,
რაჲ-მე იყოს სასოებაჲ შენი, გარნა
წყალობაჲ ხოლო ქრისტესი?“
(XXX ტროპარი)

სამივე ქართველი მთარგმნელი ტექსტს დაასრულებს „სამეზისანი“ და „ღმრთისმშობლისანი“, ოღონდ არსენ იყალთოელი ტექსტს ბერძნულიდან თარგმნის, ათონელები კი განსხვავებულ „ღმრთისმშობლისანებს“ მიმართავენ.

არსენ იყალთოელის თარგმნილი „ღმრთისმშობლისანი“ შეიცავს ვედრებას ღვთისმშობლისადმი, დაიცვას თავისი ქალაქი:

„უხრწნელო ღმრთისმშობელო,
დაიცევ ქალაქი შენი, რომელი-ესე
შენ მიერ მეფობს საღმრთოდ.
შენ მიერ მოაქუს ძალი
და შენ მიერვე სძლევს მტერთა“.
(XXVII ტროპარი)

აღნიშნულ ტროპართან დაკავშირებით გამოთქმულია საინტერესო მოსაზრება: „ღმრთისმშობლისანის“ შინაარსი არ არის დაკავშირებული კანონის შინაარსთან, კანონში არ არის გამოკვეთილი ეს იდეა. დასმულია კითხვები: რომელ ქალაქზეა აქ საუბარი? რომელი ძლევა იგულისხმება? რა განსაცდელს ამარცხებს ქალაქი? რომელ მტერს ამარცხებს და

იმორჩილებს?

პასუხი ასეთია: ღვთისმშობლის მფარველობის ქვეშ მყოფი ქალაქი, ალბათ, სამეფო ქალაქი, კონსტანტინეპოლია. ცნობილია, რომ ადრიდანვე არსებობდა გადმოცემები წმინდანთა თუ ღვთისმშობლის მიერ ქალაქთა თუ სხვა სამკვიდრებელთა მფარველობის შესახებ. ამიტომ ამ ქალაქებს ხშირად ზეციურ მფარველთა სახელწოდებებს მიაკუთვნებდნენ ხოლმე. ბიზანტიის დედაქალაქი — სამეფო ქალაქი (კონსტანტინეპოლი) ღვთისმშობლის მფარველობის ქვეშ იყო. იუსტინიანე იმპერატორმა აქ წმ. სოფიას ტაძარი აღმართა, მასში მოათავსეს ლუკა მახარებლის მიერ შექმნილი ხატი წმ. ღმრთისმშობლისა. ბერძენი ღმრთისმშობელს „ოდიგიტრიას“, ანუ მეგზურს, გზის გამკვალავს უწოდებდნენ. ბერძენი მეზღვაურები, შორეულ ზღვაოსნობაში მიმავალნი, გემის კიროზე ათავსებდნენ ღვთისმშობლის, ოდიგიტრიის ხატს. საბრძოლო დროებზეც გამოსახული იყო ოდიგიტრია — სახე ღვთისმშობლისა. მეომრები ღვთისმშობლის მფარველობას იყვნენ მინდობილნი.

წმ. ანდრია კრიტელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის წლები დაემთხვა იმდროს, როცა სამეფო ქალაქი მტრის ძლიერ შეტევებს უმკლავდებოდა. ამიტომ შესთხოვდნენ ღმრთისმშობელს, დაეცვა მას თავისი ქალაქი მტერთაგან.

„დიდი კანონის“ ბერძნულ გამოცემებში ტექსტი მთავრდება წმ. ანდრია კრიტელისადმი მიძღვნილი ტროპარით, სადაც ღვთისმოსავნი მას შესთხოვენ, ევედროს უფალს, რათა შეენიოს მის მგალობელთ. ქართველ მთარგმნელთაგან ამ ტროპარს მხოლოდ გიორგი ათონელი ეხმიანება. იგი ეფუძნება ორიგინალის დედააზრს და მისი გაფართოებით, ღრმა ინტერპრეტაციით გამდიდრებული ბრწყინვალე ტროპარით დააგვირგვინებს ტექსტს:

არსენ იყალთოელის თარგმანი:

ზეცისა ძალთა და მოციქულთა,
წინასწარმეტყუელთა და
მართალთა მამათმთავართა
და მღვდელმოდურთა, და
მწნეთა მოწამეთა, და ყოველთა
წმიდათა კრებულსა თანა ოხაჲ
ჩუენთჳს შეწირე წინაჲ ღმრთისა,
ღმერთშემოსილო ანდრეა, კრიტისა
მწყემსო და მნათობო ყოვლისა
სოფლისაო.

(XXXI ტროპარი)

წმ. ანდრია კრიტელის „დიდნი გალობანი სინანულისანი“ სასულიერო პოეზიის ბრწყინვალე ნიმუშია. იგი ხასიათდება რელიგიური განცდის სიღრმით, აზრის დახვეწილობით, ფაქიზი ლირიზმით. ენა საგალობლისა გამორჩეულია სისადავითა და გამომსახველობით, სტილი — ამაღლებულობითა და გამჭვირვალობით. იგი ადვილად იკაფავს გზას მსასოებელი ადამიანის გულისკენ. ამას ხელს ისიც უწყობს, რომ ტექსტი თავისუფალია ბუნდოვანებისა და რთული საღვთისმეტყველო ლექსიკისაგან, თუმცა მისი წვდომა სულიერ მზაობასა და შინაგან

დახვეწილობასთან ერთად, ბიბლიაში ჩაღრმავებასაც მოითხოვს.

ქართველმა მთარგმნელებმა (წმ. ექვთიმე მთაწმიდელმა, წმ. გიორგი მთაწმიდელმა და წმ. არსენ იყალთოელმა) შეძლეს „დიდი კანონის“ ღრმა ეთიკურ-ესთეტიკური შინაარსის გათავისება და პოეზიის ამაღლებულ სამყაროში ქართველი მკითხველის (მსმენელის) შეძლოა.

წმ. ექვთიმე ათონელი არ სცილდება დედნის სტილურ სპეციფიკას, გვერდს არ უვლის მის სემანტიკურ სივრცეს და ადეკვატურ შესატყვისობებს პოულობს ტექსტის ღრმა შინაარსის გადმოსაცემად. მართალია, მას შეაქვს კომპოზიციური ცვლილებები, გვერდს უვლის ზოგ ბიბლიურ იპოდიგმურ-პარადიგმულ სახეს, არც ტექსტის სემანტიკურ ნიუანსირებას გაურბის, მაგრამ ყოველივე ეს მკითხველის გულში სათქმელის შესაღწევად გზის გაკაფვას, მის გაიოლებას ემსახურება. ექვთიმე ათონელი, როგორც ეს მისთვისაა დამახასიათებელი, ითვალისწინებს „სიჩჩოებასა ჩუენისა ნათესავისასა“. თუმცა მისი ენა, ამასთანავე, ყოველთვის გამოირჩევა პავლე მოციქულის მიერ დამკვიდრებული „გულის რიტორიკით“, ევანგელური დიდებულებით.

წმ. გიორგი ათონელის მთარგმნელობითი მეთოდი ტექსტთან სრული შესაბამისობით გამოირჩევა. ამ მეთოდითაა თარგმნილი ანდრია კრიტელის „დიდი კანონიც“. თუმცა მისი თარგმანი ზოგჯერ ორიგინალისადმი სრული თანხვედრით არ ხასიათდება, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს, პირველ რიგში, განპირობებულია მთარგმნელის ღრმა მოკრძალებით ექვთიმე ათონელის მიერ თარგმნილი ტექსტისადმი.

წმ. გიორგი ათონელი ტექსტისადმი ერთგულებას იჩენს როგორც ბერძნული ტექსტის თარგმნისას, ისე ექვთიმე ათონელის მიერ შემატებული ტროპარების გადმოღებისას. გიორგის თარგმანში ჰენდიადისებით გავრცობილი პასაჟები, ხატოვანი სიტყვა-თქმანი ტექსტის აზრობრივ სტრუქტურას არ არღვევს, ნათქვამს მხოლოდ გამომსახველობით ძალას და ემოციურობას მატებენ.

არსენ იყალთოელი მართებულადაა მიჩნული ჩვენში ელინოფილური მთარგმნელობითი მეთოდის ერთ-ერთ დამამკვიდრებლად. მისი თარგმანი „დიდი კანონისა“ აგრეთვე ადასტურებს არსენ იყალთოელის, როგორც მთარგმნელის განსაკუთრებულ ერთგულებას სათარგმნი ტექსტისადმი. იგი შინაარსობრივადაც და ფორმითაც მისდევს ორიგინალს, თუმცა ზოგჯერ არც დინამიკური თარგმანის პრინციპებზე ამბობს უარს. ეს გამომწვეული უნდა იყოს ტექსტის, როგორც პოეტური ფენომენის, სპეციფიკით. ტროპარის რიტმულ-მელოდიური სტრუქტურა, საგალობელში გამოკვეთილი ხატ-სახეები გადმოღებისას ზოგჯერ ტექსტიდან გადახვევასაც მოითხოვს. არსენ იყალთოელის თარგმნილი „დიდი კანონი“ აშკარად არქეტიპის კონსტრუქციისკენ ისწრაფვის. საგულისხმო ისიცაა, რომ წმ. ანდრია კრიტელის „დიდმა კანონმა“ სრული აღიარება დავით აღმაშენებლის ეპოქაში პოვა. შემდგომ ეპოქათა თითქმის ყველა გადამწერი „დიდი კანონისა“ არსენ იყალთოელის თარგმანს მიენდო.

და კიდევ:

ჩანს, წმ. ანდრია კრიტელის „დიდნი გალობანი სინანულისანი“ სილოამის წყალსატევად გადაქცევია მრავალ ბრძოლაგამოვლილ, დაღლილ, ნაომარ ქართველობას... ამის თქმის უფლებას მაძლევს თვით დავით მეფე, აღმაშენებელი, რომელზეც ამ დიდებულ ძეგლს ისეთი

ზეგავლენა მოუხდენია, რომ გადაუწყვეტია, თვითონვე ჩართულიყო საღვთისმსახურო ცხოვრებაში: არსენ იყალთოელისთვის, თავისი სულიერი წინამძღვრისთვის, უბრძანებია ტექსტის ხელახლა გადმოღება ბერძნულ წყაროსთან ქართული თარგმანის სრული დაახლოების მიზნით, იოანე ქართლის კათალიკოსისათვის უთხოვია ტექსტისთვის ხმის (მელოდიის) შეწყობა, თავად კი სულისშემძვრელი „გალობანი სინანულისანი“ შეუქმნია და თავისი ხალხისთვის დაუტოვებია როგორც ანდერძი, როგორც გზამკვლევი და ნიშანსვეტი სათოებათა კიბისა.

ტექსტისთვის

1. „დიდი კანონის“ ქართული თარგმანების წინამდებარე გამოცემაში თარგმანთა ქრონოლოგიური თანმიმდევრობა დარღვეულია. კერძოდ, I სვეტში ნაცვლად ტექსტის პირველი თარგმანისა (ექვთიმე ათონელისეულისა), მოთავსებულია არსენ იყალთოელისეული თარგმანი, II სვეტში გიორგი ათონელისეული თარგმანია, III სვეტში კი ექვთიმე ათონელისა.

ეს გადაწყვეტილება აღნიშნულ თარგმანთა ბერძნულ ტექსტთან მიმართების გათვალისწინებამ განაპირობა. არსენ იყალთოელს, როგორც ეს მისთვისაა დამახასიათებელი, „დიდი კანონის“ ზუსტი, თითქმის იდენტური თარგმანი შეუქმნია. მას უცვლელად გადმოუღია ორიგინალის არა მხოლოდ ხმა და ძლისპირები, არამედ ტროპარები, ბიბლიური იპოდაგმურ-პარადიგმული სახეები, ტექსტის იდეური და მხატვრული შინაარსი. არსენისეული თარგმანი რომ ერთგულად მიჰყვება ბერძნულ ტექსტს, ამას ქართული ტექსტის სლავურ თარგმანებთან შედარებაც ადასტურებს. ამას მოწმობს ბერძნულიდან გვანცა კოპლათაძის მიერ ქართულ ენაზე გადმოთარგმნილი „დიდი კანონი“ და ჩემ მიერ ჩატარებული წინასწარი კვლევა. ასე რომ, არსენის თარგმანი ერთგვარად ასრულებს დედნის ფუნქციასაც და მკითხველს საშუალებას აძლევს დაინახოს სამივე ქართული თარგმანის ერთმანეთთან მიმართებაც და ბერძნულ ტექსტთან შესაბამისობაც.

2. ქართული თარგმანების პუბლიკაციისას შევეცადე წარმომეჩინა სამივე თარგმანის ურთიერთშესაბამისობა, რისთვისაც არ მოვერიდე ინტერვალებს ამ ტექსტებში, თუმცა იმასაც ვცდილობდი, შენარჩუნებულიყო თითოეული თარგმანის კომპოზიციური აღნაგობა და მთლიანობა.

„დიდი კანონის“ ტექსტის შემცველი ხელნაწერები და მათი ლიტერები

„დიდი კანონის“ ექვთიმე ათონელისეულ თარგმანთა შემცველი ხელნაწერები და მათი აღმნიშვნელი ლიტერები:

1. A — პარ. 5 (XII-XIII სს.)
2. B — სინ. 5 (1052 წ.)
3. C — სინ. 75 (XIII-XIV სს.)

ტექსტის დასადგენად გამოყენებულია სამივე ხელნაწერი.

„დიდიკანონის“ გიორგი ათონელისეულ თარგმანთა შემცველი ხელნაწერები და მათი აღმნიშვნელი ლიტერები:

1. A — პარ. 5 (X-XIII სს.)
2. B — იერ. 61 (XII-XIII სს.)
3. C — A 125 (XVII სს.)
4. D — A 111 (1703-1715)

ტექსტის დასადგენად გამოყენებულია ABC ხელნაწერები.

„დიდი კანონის“ არსენ იყალთოელისეულ თარგმანთა შემცველი ხელნაწერები:

1. A — პარ. 5 (XII-XIII სს.)
2. B — იერ. 67 (XII სს.)
3. C — სინ. 70 (XII-XIII სს.)
4. D — იერ. 56 (XII-XIII სს.)
5. E — A 258 (XIII სს.)
6. F — A 446 (XIII სს.)
7. G — A 147 (XV სს.)
8. — A 111 (1703-1715 წწ.)
9. — S 4933 (1712 წ.)
10. — H 1076 (XVIII სს.)
11. — H 263 (XVIII სს.)
12. — H 2036 (XVIII სს.)
13. — H 3108 (XVIII სს.)
14. ცენტრ. სახელმწიფო საისტორიო არქივის 261 ხელნაწერი (1772 წ.)

ტექსტის დასადგენად გამოყენებულია ABCDEFG ხელნაწერები. ძირითად ხელნაწერად აღებული გვაქვს პარიზი 5 (A; XII-XIII სს.).

გალობანი სინანულისანი,
თქუმული წმიდისა ანდრია
იარუსალიმელისა, კრიტალ
მთავარაპისკოპოსისანი B*

დიდნი გალობანი ანდრია
კრიტალისა თქუმული და
ჩუენ, გიორგი მთაწმიდელისა
მიარ, მეორის გუარდსა
აღწერილნი¹

დიდნი გალობანი
სინანულისანი, თქუმული
ანდრია კრიტალისანი,
რომელი იყო (წერსა)ლ(ე)
მით¹

ჟამა: ბ გუარდი
გალობა ა

ჟამა: ბ გუარდი
უგალობდითსა²

ჟამა: ბ
უგალობდითსა

ძლისპირი: შემწე და მწსნელ და
მფარველ მეყო.

ძლისპირი: ზლუაჲ მენამული³.

ძლისპირი: რომელმან
წამისყოფით.

1. უგალობდეთ უფალსა, რამეთუ
დიდებით... **

ვინაჲ ვინყო მე გლოვად
საქმეთა ცხორებისა ჩემისათა,
[A238r] ანუ რომელი დასაბამი
ვყო, ქრისტე,
[C118 გოდებისა¹ ამის?
არამედ, ვითარცა ტკბილმან,
მომცენ ცრემლნი ღმობიერნი.

1. უგალობდეთ უფალსა, რამეთუ
დიდებით დიდებულ არს
ვინაჲ ვინყო მე
გლოვად ჩემისა
უბადრუკისა ცხორებისა
საქმეთა⁴,
ვითარი-მე დასაბამ ვყო გოდებათა
ჩემთა?
ქრისტე მრავალ-მონყალე,
მომმადლენ მე ცრემლნი
სინანულისა⁵
ღმობიერისანი და მაცხოვრე.

1. უგალობდეთ უფალსა, რამეთუ
დიდებით დიდებულ არს
ვინაჲ ვინყო მე გლოვად
ცოდვათა ჩემთა,
ანუ ვითარი-მე დასაბამი ვყო,
ქრისტე მეუფეო, შენდა მომართ
ვედრებისა?
არამედ, შენ, სახიერ,
მომცენ ღმობიერებისა
ცრემლნი, რაჟთა ჯეროვნად
შეგივრდე, შენ, მონყალესა.

2. ცხენები და მწედრები შთასთხია
ზლუასა, შემწე და მფარველ მეყო
მწსნელად

მოვედ, სულო მდაბალო,
ჯორცთა თანა და² დამბადებელსა
აღუარე³ და იჯმენ პირველისა
მის

პირუტყუებისაგან⁴
და შენიერენ შენ უფლისა
ცრემლნი სინანულისანი.

2. ცხენები და მწედრები შთასთხია
ზლუასა, შემწე და მფარველ-მეყო
მე მწსნელად.
მოვედ, ზ, სულო
ჩემო ცოდვილო,
ჯორცთა თანა დღეს და
დამბადებელსა
აღუვარენ ბრალნი და განეშორე
ამიერიტგან პირველთა მათ
შენთა პირუტყუებათა⁶
და შენიერენ ღმრთისა
მჭურვალენი
ცრემლნი და სინანული, რაჟთა
სცხოვრდე.

2. ცხენები და მწედრები შთასთხია
ზლუასა, შემწე და მფარველ-მეყო
მე მწსნელად.
მოვედ², სულო ცოდვილო,
ჯორცთა თანა დღეს,
დამბადებელსა აღუვარენ³
ბრალნი,
და განეშორე⁴ ამიერიტგან
პირველთა
საქმეთა ცოდვისათა
და შენიერენ შენ უფლისა
ცრემლნი მჭურვალენი
და სინანული, რაჟთა სცხოვრდე⁵.

1 გოდებისა BDEF.

2 — BEDF.

3 აღუვარე BCDEFG.

4 პირუტყუებისაგან BC.

* A ხელნაწერში (გეორგ. 5) დიდი კანონი
ინყება ძლისპირით. კიდევ, ტექსტის
დასაწყისის გასწვრივ, იკითხება მხოლოდ
[გალ]ობაჲ; სათაური არ არის არც C (სინ
70) ხელნაწერში (ფოტოპირში). გალობანი
სინანულისანი თქუმული ანდრია
კრიტელისანი (D).

** ფოტოპირში დიდი კანონის სამივე
ქართული თარგმანის ბიბლიური
წანამდგრების დაზიანებული ადგილების
ამოსაკითხად ვითვალისწინებთ
ფსალმუნთა მზექალა შანიძისეულ
გამოცემაზე დართულ ბიბლიურ
გალობათა ტექსტებს (იხ. ფსალმუნის
ძველი ქართული რედაქციები X-XII
საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით. თბ.
1960, გვ. 411-445.)

1 დიდნი გალობანი, თქუმული ანდრია
კრიტელისანი და ჩუენ მიერ მეორის
გუერდსა აღწერილნი B. დიდნი გალობანი
სინანულისანი, თქუმული ანდრია
კრიტელისანი და გიორგი მთაწმიდელისა
აღწერილნი C.

2 უგალობსა B.

3 + გიორგის თარგმანი.

4 + ანუთუ B, C.

5 სინანულისანი B.

6 პირუტყუებათა ABC. შემდეგში
სქოლიოში ჩამოტანის გარეშე ვასწორებთ
“უ” კომპლექსის დაწერილობას “უე“-თი
სამივე თარგმანში.

1 გალობანი სინანულისანი,
თქუმული წმიდისა ანდრია კრიტელ
მთავარეპისკოპოსისანი B. გალობანი
სინანულისანი, თქუმული ანდრია
მთავარეპისკოპოსისანი C.

2 + ან B.

3 აღუვარენ C.

4 + შენ B.

5 ცრემლნი მჭურვალენი და სინანული
სცხოვრდე სინანული და მჭურვალენი
ცრემლნი, რაჟთა გაცხოვრდეს შენ BC.

3. ესე არს ღმერთი და ვადიდო
ესე ღმერთი მამისა ჩემისა და
აღვამაღლო ესე.

თიჯა ესე ქუეყანით
აღმიღე, ღმერთო,
და ცხოველად პირმეტყუელად
შემქმენ მე,
და შთამბერე სული ცხოველი და
გონიერი,
და¹ ან გევედრები,
შემოქმედო და მწსნელო ჩემო
და მსაჯულო მართალო,²
შენდობა ცოდვათა მომეც.

4. უფალმან შემუსრნა ბრძოლანი,
უფალ არს სახელი მისი.

აღვიარებ შენ, ქრისტე,
ცოდვათა ჩემთა,
რომელნი მიქმნიან სულით და
ჯორცით,
და წყლულებათა მათ,
რომელნი³ დამესხნეს⁴ ჩემ ზედა
მწარეთა⁵ ავაზაკთა
ბოროტთა გულისსიტყუათა⁶
და⁷ გევედრები, ღმერთო⁸,
სახიერებით განმკურნე⁹.

5. ეტლები ფარაოჲსი და ყოველი
ძალი მისი შთასთხია ზღუასა.

დაღაცათუ შეგცოდე, [127v
ჰ, სახიერო,
არამედ უწყი მოწყალება შენი,
რომელმან¹⁰ სწყლი¹¹ და
კუალად წყალობით განჰკურნი
და არაჲ შეურაცხის-ჰყენი¹²
ცრემლნი სინანულისანი,
არამედ შეინყნარი¹³
სული, შენდა მოქცეული.

1 და B.

2 მსაჯულო მართალი] სიმართლისა მშ--
ჯლო G.

3 რომელი BC.

4 დამსხნეს A.

5 +ამით B, +მათ C.

6 სიტყუთაგან B, სიტყუათა ჩემთაგან C.

7 — BC.

8 ღმერთო] სახიერ BC.

9 სახიერებით განმკურნე და მაცხოვრე
მე BC.

10 რომელმანცა BC.

11 მისწყლი BC.

12 შეურაცხე-ჰყენი B.

13 + შეინირი C.

3. ესე არს ღმერთი ჩემი და ვადიდო
მამისა ჩემისა და აღვამაღლო ესე.
